

შოთა რუსთაველის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

პ რ ი ნ ტ ა გ ა ბ ო ძ ე

აკაკი წერეთლის თხზულებათა
ბამოცემები

თბილისი

2009



რედაქტორი: ირმა რატიანი
პროფესორი

რეცენზენტები: მანანა კაკაბაძე
პროფესორი

ნანა ფრუიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი

© შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
ჯუღიყვა გაბოძე

ISBN 978-9941-0-1719-3

ს ა რ ჩ ე მ ბ ი

შესავალი..... 9

თაზო I

აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულები და მათი მომზადების ტექსტოლოგიური პრინციპები.

§ 1 აკაკი წერეთლის რჩეული ნაწერები ოთხ ტომად (1925-1928 წ.წ.) სერგი გორგაძისა და ალექსანდრე აბაშელის რედაქტორობით 25

§ 2 აკაკის თხზულებათა სრული კრებული შვიდ ტომად – საიუბილეო გამოცემა 33

§ 3 აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტი ტომად (1950-1963 წ.წ.) 44

თაზო II

აკაკი წერეთლის თხზულებათა გამოცემის ისტორია და ტექსტოლოგიური ანალიზი (70-80-იანი წლები) 52

§ 1 „ჩანგურის“ გამოცემის ისტორიიდან..... 54

§ 2 70-იანი წლების გამოცემები და გამოცემები..... 58

ა) ნიკო ნიკოლაძე და მისი საგამომცემლო საქმიანობა 55

ბ) ძმები ჭილაძეები და მათი გამოცემები..... 59

გ) ანდრია ღულაძე – „თორნიკე ერისთავი“ 63

დ) ნიკო დიასამიძის მიერ გამოცემული „თამარ ციხერი“ 70

§ 3 ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და მისი საგამომცემლო საქმიანობა	74
§ 4 აკაკი წერეთლის მიერ თარგმნილი კრილოვის იგავ-არაკები და ათი გამოცემის ისტორია	77

თაზო III

აკაკის ნაწერების გამოცემები – XIX ს. 90-იან წლებში	86
§ 1 აკაკი წერეთლის „პატარა კახის“ ახალი ავტორიზებული ნაბეჭდი წყარო	88
§ 2 აკაკი წერეთლის ლექსების კრებულ „სალამურის“ გამოცემის ისტორია და ტექსტოლოგიური ანალიზი	102
„განთიადის“ პირველი პუბლიკაცია კრებულ „სალამურში“ და ლექსის დათარიღების საკითხი	112
§ 3 ქართველთა წიგნის გამომცემელი ამხანაგობა და აკაკის „თხზულებანის“ გამოცემის ისტორია	125
ა) აკაკი წერეთლის „თხზულებანი“ I-II ტომი	130
ბ) 90- იან წლებში გამოცემული აკაკი წერეთლის ცალკეული ნაწარმოებები (პოლემიკა აკაკისა და „ქართველთა ამხანაგობას“ შორის)	135
§ 4 პოემა „მედიას“ გამოცემის ისტორია და ტექსტოლოგიური ანალიზი	140
§ 5 აკაკის ნაკვესები	148

§ 6 აკაკის ურთიერთობა გამომცემლებთან – მიტროფანე ლალიძე „ნათელას“ გამოცემის ისტორია	151
---	-----

თაზო IV

„აკაკის თვიური კრებულის“ გამოცემის ისტორია	161
---	-----

„აკაკის კრებულში“ დაბეჭდილი ზოგიერთი ნაწარმოების ტექსტოლოგიური ანალიზი	172
---	-----

თაზო V

აკაკი წერეთლის სიცოცხლის ბიოლოგი- ინდელი ნაწერების გამოცემის ისტორია (1900- 1915 წ.წ.)	184
--	-----

§ 1 ავტორისეული გამოცემები: „ბაში-აჩუკი“ „ჩემი თავგადასავლი“	187 188
გაზეთ „ხუშარას“ გამოცემის ისტორია	191

§ 2 1908 წელი – აკაკი წერეთლის შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლის იუბილე და ნაწერების ცალკეული გამოცემანი	194
1908 წლის – საიუბილეო კომიტეტის გამოცემები	197

§ 3 1909-1911 წლებში გამოცემული აკაკის ნაწერების შესახებ	202
---	-----

§ 4 აკაკის უცნობი პოემა „ასი წლის ამბავი“	210
--	-----

§ 5 პოემა „ომის“ ხელნაწერი და მისი ავტორიზებული ასლი	219
---	-----

§ 6 აკაკის „ჩემი ნაწერების“ გამოცემის ისტორია	222
„ჩემი ნაწერები“ – ტექსტოლოგიური შენიშვნები	230
§ 7 იოსებ მერკვილაძე -აკაკი წერეთლის თხზულებების გამომცემელი (წიგნის მაღაზია „ცოდნას“ ამოცემები)	234
§ 8 აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ აკადემიური ტექსტის დადგენისათვის (ლიტერატურულ-ტექსტოლოგიური ანალიზი)	260
§ 9 „გამზრდელის“ ფოლკლორული წყაროების შესახებ.....	275
დასკენა.....	281
დამოწმებული ლიტერატურა.....	291
რეკოლუციამდელი პერიოდული გამოცემები	301
ხელნაწერები.....	302
საძიებლები.....	304

ავტორის წინათქმა

აკაკი წერეთლის ყველა თხზულების გამოცემის ისტორია დღემდე სრული სახით არ გამოქვეყნებულა. არსებობს მონოგრაფიები და გამოკვლევები, რომლებიც ეძღვნება მწერლის ცალკეული ნაწარმოების შემოქმედებითი ისტორიის შესწავლას. წინამდებარე ნაშრომი ამ დანაკლისის შევსების მცდელობაა. იგი განსაკუთრებით ფასეულია დღეს, როცა ქართველი საზოგადოება ემზადება დიდი პროექტის საიუბილეო თარიღის ღირსეულად აღნიშვნისათვის და დაწვებულია მუშაობა აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემის ოცტომეულზე. 2009 წლიდან რუსთაველის ფონდის ხელშეწყობით შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მიმდინარეობს მუშაობა პროექტის – „აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური ოცტომეულის (პირველი ათი ტომი) გამოცემა“- განხორციელებისათვის. (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელია პროფესორი ირმა რატიანი).

წინამდებარე ნაშრომი მრავალი წლის ტექსტოლოგიური კვლევის შედეგია და კლასიკოსთა ტომების მომზადებისას მიღებულ გამოცდილებას ეფუძნება. კლასიკოსის თხზულებათა მეცნიერული გამოცემის მომზადება მეტად რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. შესწავლილი უნდა იქნეს მწერლის არქივი, ავტოგრაფები და ხელნაწერი ასლები, აგრეთვე, მისი სიცოცხლისდროინდელი ყველა გამოცემა. დადგინდეს ძირითადი ტექსტი, ხშირ შემთხვევაში ნაწარმოების დაწერის თარიღი. ზოგჯერ გასარკვევია ატრიბუციის (ავტორობის) საკითხიც, ვინაიდან მწერლები ფსევდონიმებს ეყარებოდნენ, ან სულაც ხელმოუწერლად ბეჭდავდნენ, ზოგი ნაწარმოების გამოქვეყნებას კი, სიცოცხლის განმავლობაში ვერც ახერხებდნენ.

ნაშრომში შესწავლილია აკაკი წერეთლის სიცოცხლეში განხორციელებული ყველა ის გამოცემა, რომელთა მომზადებაში თავად ავტორს მიუღია მონაწილეობა:

აკაკის „თხზულებანის“ I-II ტომები, 1893 წლის „ქართველთა წიგნის გამომცემელი ამხანაგობის „ გამოცემა.

ეურნადი „აკაკის თვითკრებული“, (1897-1900 წ.წ.). ავტორის გამოცემა.

აკაკის „ჩემი ნაწერები“ I-II წიგნი 1912-1913 წლებში ავტორის გამოცემა.

„აკაკის ლექსთა კრებული „სალამური“, 1893 წელი. კ. ლორთქიფანიძის გამოცემა.

პატარა კახის“ 1890 წლის. და „ოცნება“ 1911 წლის ავტორიზებული გამოცემები, რომელთა ცალებში აკაკის თავისი ხელით შეუტანია შესწორებები.

1 „ნათელა“, 2 „ოთია მესხი და ადამ ბებურიშვილი“, 3 „ბაგრატ დიდი“, 4. „კიკოლას ნაამბობი“, 5. „გამზრდელი“, 6. „ბაში-აჩუკი“. 1911-1913 წლებისთვის მერკვილაძის გამოცემები.

ყველა ეს ნაწარმოები ნასწორებია შემოქმედებითად თავად ავტორის მიერ. ანუ ისინი არიან ავტორიზებული ნაბეჭდი წყაროები.

ავრეთვე, ავტორის სიცოცხლეში განხორციელებული თითქმის ყველა გამოცემა.

საგანგებოდაა შესწავლილი მწერლის გარდაცვალების შემდეგ განხორციელებული სამი დიდი გამოცემა:

1. აკაკი წერეთლის რჩეული ნაწერები ოთხ ტომად (1925-1928 წ.წ.) ს. გორგაძისა და ალ. აბაშელის რედაქტორობით.

2. აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებული შვიდ ტომად – (1940-1961 წ.წ.) .

3. აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად (1950-1963წ.წ.).

შესწავლილია რამდენიმე ნაწარმოების შემოქმედებითი ისტორია და დადგენილია მათი შექმნის თარიღი; პოემები: „გამზრდელი“, „მედვა“, უცნობი პოემა „ასი წლის ამბავი“, „პოემიდან „ბოდვა“, ლექსები; „განთიადი“.

დადგენილია რამდენიმე პუბლიცისტური წერილის დაწერის თარიღი. დაზუსტდა აკაკის რამდენიმე პირადი წერილის დაწერის თარიღიც.

ნაშრომის საგანგებო თავები ეძღვნება ცალკეულ ნაწარმოებთა ტექსტოლოგიურ ანალიზს და მწერლის ენისა და სტილის ზოგიერთი თავისებურების გამოკვეთას.

კვლევაში საშუალება მოგვცა პოემა „გამზრდელის“ ფოლკლორული წყაროდ აფხაზური თქმულება მიგვეჩინა.

ნაშრომი წლების განმავლობაში იწერებოდა. მისი დასრულების შემდეგ რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოკვლევა გამოქვეყნდა, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა ყველა მათგანის გამოყენება და დამოწმება.

მაშინაც (როცა ეს შრომა იწერებოდა) და ახლაც, რჩება ბევრი ამოუცნობი და და დასაზუსტებელი საკითხი და არ გვმორდება კითხვა: „რა ვქნა?“, მაგრამ კვლავაც ამ ხალხური სიბრძნით ვინუგეშებთ თავს: „დრო... მოალის და კარ გაიღებს...“ მომავალი კვლევა, ალბათ, ბევრ კარს გახსნის და ბევრ კითხვას გასცემს პასუხს. ჩვენ მადლიერებით მივიღებთ ყველა ღირებულ ცნობასა და საჭმიან რჩევას.

შ ე ს ა ვ ა ლ 0

კლასიკოსის თხზულებათა აკადემიურ გამოცემას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მწერლის შემოქმედებითი მემკვიდრეობა იმავდროულად ერის კულტურის ისტორიის ნაწილიცაა. ქართული წიგნსაცავები ბევრი მწერლის მრვალტომეულით იწონებენ თავს. ამ ტომეულთა შედგენილობა დროდადრო იცვლება და იზრდება. იმისდა მიხედვით, მეცნიერები რა რაოდენობის ახალ მასალას მოიკვლევენ ამ თუ იმ მწერლის შემოქმედებიდან. ამიტომაც დროთა განმავლობაში საჭირო ხდება განახლებული და შევსებული გამოცემებით გამდიდრდეს ჩვენი ბიბლიოთეკაც.

წიგნის ბეჭდვისა და ჟურნალისტიკის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ იყო დრო, როცა ქართველი კლასიკოსები იმ ბედნიერებასაც კი მოკლებულნი იყვნენ, სიცოცხლეშივე ეხილათ საკუთარი ნაწერების სრული კრებულები. მეტიც, ნიკოლოზ ბარათაშვილი ისე გარდაიცვალა, რომ თავისი ნაწარმოებები დაბეჭდილი საერთოდ არ უნახავს. მისი ბედი ზოგმა სხვამაც გაიზიარა. სიცოცხლეში ჩვენი უპირველესი კლასიკოსების, ილიას და აკაკის ცალკეული ნაწარმოების რამდენიმე გამოცემა მოხერხდა მხოლოდ, თუმცა ქართული კულტურის მესვეურებს იმთავითვე შესანიშნავად ესმოდათ მათი გამოცემის აუცილებლობა.

ჟამთა სიავეგამოვლილმა ქართულმა მწერლობამ თუ მე-18 საუკუნის დასაწყისში სტამბურად გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ და კიდევ რამდენიმე სხვა ძეგლიც შემატა მსოფლიო საგნძურს, ასი წლის შემდეგ, 1801-1837 წლებში, თბილისში რვა წიგნი დაბეჭდილა მხოლოდ. მიზეზი ამისა ის გახლდათ, რომ ქართველობა ჯერ კიდევ იგლოვდა დაკარგულ ეროვნულ თავისუფლებას, და როგორც ჩანს, წიგნისათვის არ ეცალა, მაგრამ საბედნიეროდ მაშინაც ფხიზლობდნენ „განძეულის გუშავნი“ და ერთგულად დარაჯობდნენ ეროვნულ საუნჯეს.

იმ დროს საქართველო განსაკუთრებით საჭიროებდა მამულიშვილთაგან მრავლის ცოდნასა და მრავალმხრივ მუშაკობას. სწორედ ამ დროს მოველინა ქართულ კულტურას მხსნელად პლატონ იოსელიანი. ფილოსოფოსი და სწავლული. პეტერბურგში განათლებამიღებული მოღვაწე მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, აღწერდა ისტორიულ ძეგლებს, აგროვებდა სიგელ-გუჯრებსა და ეკლესია-მონასტერთა უძველეს წარწერებს, აღნუსხავდა და აღგენდა მნიშვნელოვან საეკლესიო წიგნსაცავთა კატალოგებს, ასწავლიდა და წერდა სახელმძღვანელოებს, ბეჭდავდა უამრავ წერილს თბილისისა და პეტერბურგის პრესაში და ცდილობდა, გაეცნო ქართული კულტურა რუსული და ევროპული სამყაროსათვის. ამის დასტურია მისი მიმოწერა მარი ბროსესთან, კეპენთან, შეგრენტან, ფრენტან და სხვებთან. მერე კი, როცა შეძლო და დააინტერესა ევროპელი მეცნიერები ამ დიდი კულტურული წარსულის მქონე ერის ისტორიით, მსურველედ შესთხოვა თანამემამულეთ: „ძალისაგებრ თვისისა შეეწეოდეს საზოგადოსა ზრუნვას აღდგენისათვის დაცემულისა სიტყვიერებისა და მწერლობისა... ნუ მივსცემთ დავიწყებას მამა-პაპისა ჩუენის კალმის შრომათა. ნუ განვაქრობთ მათსა გონებისა, ლექსთაწყობათა და პროზად, მწერლობისა გმირობასა, ნუ დაგვკარგავთ კაცთა ნათესავსა, ძუელთა და წარსულთა დროთა მწერლობისავე ღუაწლთა“ (გვარამაძე 1971: 143). ამ მოწოდებას მაშინვე გამოეხმაურნენ ერის კულტურის სხვა მოამაგენი. „დროებასა“ და „მნათობში“ გამოქვეყნდა პეტრე უმიკაშვილის, გიორგი წერეთლისა და ნ. ბერძენოვის წერილი: „ძველი წიგნების გამოცემაზედ“. „გარკვევით უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენი მწერლობის თხზულებანი ძალიან მცირენი დაბეჭდილან... აქამომდე ისევ დავით ჩუბინოვის ქრესტომატია რჩება, რომ მოსურნე ქართველი მწერლების სახელი მაინც იცოდეს, თვით ამ საუკუნის მწერლების ალექსანდრე ჭავჭავაძის, ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის თხზულებანიც კი სრული გამოცემით არ არის დაბეჭდილი. ამგვარათ ცხადათ სჩანს საჭიროება ჩვენი თვითოეული მწერლის

თხზულებთა ერთად გამოცემისა“, – წერდა პეტრე უმიკაშვილი (უმიკაშვილი 1881: 5).

გიორგი წერეთელი საგანგებოდ განიხილავდა მწერალთა ნაწერების ბეჭდვის აუცილებლობას, რადგან უამისოდ „მწერლობას ფესვები ეკვეცებოდა... ანუ მოკლედ ის აზრი გამოდის, რომ ჩვენ ჯერ არ ვიცით ლიტერატურის ისტორიულად შესწავლის სარგებლობა და ამის გამო კიდევაც არ იბეჭდება ჩვენი მწერლობის თხზულებანი... მაგრამ ცხადად სჩანს აუცილებელი საჭიროება ჩვენი თვითეული მწერლის თხზულებათა ერთად გამოცემისა“ (უმიკაშვილი 1869, № 4: 5).

ქართველ მწერალთა ნაწერების გამოცემის აუცილებლობის შეგნებამ განაპირობა სწორედ 1875 წელს „ქართველ გამომცემელთა ამხანაგობის“ შექმნა. ამ წრის დაარსების ამბავს აუწყებდა ნიკო ნიკოლაძე აკაკი წერეთელს 1874 წლის 4 ნოემბერს თბილისიდან გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში: „ყოვლად საჭიროა, რომ სამი-ოთხი დღით აქ ჩამოხვიდე. აქ ესლა დიდი ამბები და ყრილობებია ქართული წიგნის მბეჭდველი წრის შესადგენად. შენ ამ ყრილობებს უსათუოდ უნდა ესწრებოდე, თუ გინდა, რომ საქმე ამ თავითვე არ წახდეს“ (კეკელიძის... № 599).

„ამხანაგობის“ საქმიანობას წარმართავდა კომიტეტი: ი.ჭავჭავაძის, ბეს. ლოლობერიძის, ბეს. ჯაფარიძის, იასე ჭავჭავაძის, დიმიტრი ბაქრაძის, გიორგი თუმანიშვილის, პეტრე უმიკაშვილის, რაფიელ ერისთავისა და სერგი მესხის შემადგენლობით. „ამხანაგობამ“ 1876 წელს ექვთიმე ხელაძის სტამბაში დაბეჭდა ნ. ბარათაშვილის ლექსების კრებული შემდეგი სახელწოდებით: „ლექსნი თქმულნი თ.ნ. ბარათაშვილისაგან“, წიგნში შეტანილი იყო 31 ნაწარმოები.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მთელი აღმავლობით გაიშალა ლიტერატურული ცხოვრება. პერიოდულ პრესაში გამოჩნდა მანამდე უცნობი დარგი „ბიბლიოგრაფია“, რომლის მიზანი იყო არა მხოლოდ ის, რომ აღეწერა წიგნი და მკითხველისათვის მიეწოდებინა ცნობა მის შესახებ, არამედ უკვე ყურადღება ექცეოდა გამოცემის ხარისხს. მოითხოვდნენ სხვადასხვა ხელნაწერთა ურ-

თიერთშეჯერებას. მიუთითებდნენ გამოცემის წყაროებსა და ვარიანტებზე.

მკვლევარი ი.ლორთქიფანიძე შენიშნავს: „ედიციურ-ტექსტოლოგიური მუშაობა საქართველოში მე-18 საუკუნის 10-იანი წლებიდან დაიწყო („ვეფხისტყაოსანი“) და მე-19 საუკუნის 70-ის წლებამდე ძირითადად პრაქტიკული მიზნებით იფარგლებოდა. მაგრამ ცხოვრების წინსვლასთან ერთად თანდათანობით ისახებოდა ახალი მეცნიერული მოთხოვნილების შესაბამისი პრინციპები. გამომცემლები უკვე საგანგებო ყურადღებას ამახვილებენ წმინდა ტექსტოლოგიურ საკითხებზე: „საიდან გადმოიბეჭდა ტექსტი, რა ცვლილებაა შეტანილი ავტორის მიერ ტექსტში, ანგარიში ეწევა მწერლის ნებას („თუ ოდესმე დაჰბეჭდავთ ამ ეგზემპლარიდან უნდა დაბეჭდოთ“) დასაბეჭდად უნდა წარდგენილიყო ავტორის მიერ უკანასკნელად გადათვალიერებული და შესწორებული ტექსტი“ დგება ატრიბუციის პრობლემა, მკვიდრდება ნაწარმოების ქრონოლოგიური და ჟანრობრივი განლაგების პრინციპი, დიდი ყურადღება ექცევა „მართლწერისა და სასვენი ნიშნების“ საკითხებს, ინერგება ტექსტის აღდგენის მეთოდი (პ.უმიკაშვილის მიერ გამოცემული „არსენას ლექსი“ და „ეთერიანი“) ბევრ მოღვაწეს მიაჩნდა ჩვენი თითოეული მწერლის თხზულებათა ერთად გამოცემის საჭიროება, რის გამოც გამოცემის აუცილებელ ატრიბუტად მოითხოვდნენ მწერლის ბიოგრაფიას და მისი ნაწერების კრიტიკულ განხილვას. გამომუშავდა საკმაოდ მყარი შეხედულება გამოცემის ტიპზე. ძირითად ტიპად პოპულარული გამოცემა იყო მიჩნეული“ (ლორთქიფანიძე 1971: 36).

ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი მე-19 საუკუნეში ქართულ ტექსტოლოგიაში პლატონ იოსელიანმა გადადგა: 1838 წელს მან გამოსცა ჩახრუხადის და შავთელის სახოტბო ოდები, 1851 წელს – იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“, 1852 წელს – იონა მიტროპოლიტის „მიმოსვლა“, 1853 წელს ანტონ კათალიკოსის „წყობილსიტყვაობა“ და „თეიმურაზ პირველის ცხოვრება“ მან ამ გამოცემებს დაურთო ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის შენიშვნები და სქოლიოები. იგი რამდენიმე წყაროდან არჩევს უკეთესს.

მისი კომენტარები მრავალფეროვანია: ისტორიული, გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული. მის მიერ გამოცემულ „მომოსვლას“ ახლავს ბიბლიოგრაფიული ნარკვევი, ბოლოს კი ტექსტოლოგიური განხილვა, საიდანაც ვგებულობთ, რომ ტექსტი დაიბეჭდა ავტოგრაფიდან.

პლატონ იოსელიანის გზას აგრძელებს და აღრმავებს დავით ჩუბინაშვილი, რომელმაც გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“ (1860 წ.), „ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილი, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ (1859 წ.), ხოლო მისმა ქართულმა ქრესტომატიამ „მტკიცე საფუძველი დაუდო ძველი მწერლობის მეცნიერულ შესწავლას, რამდენადაც, ნაწილობრივ მაინც ხელმისაწვდომი გახდა ისინი დაინტერესებულ პირთათვის“ (ლორთქიფანიძე 1971: 39)

პეტრე უმიკაშვილს გამორჩეული ადგილი უჭირავს მე-19 საუკუნის ქართველ ტექსტოლოგთა შორის. იგი აგროვებდა ხელნაწერებს, ერთმანეთთან ადარებდა მათ, არჩევდა სრულ საიმედო ტექსტს, ურთავდა ბიოგრაფიებსა და შენიშვნებს. მან ორჯერ (1870-1881 წწ.) გამოსცა „დავითიანი“, მეორე გამოცემას დართული აქვს ნარკვევი, რომელშიც აღწერილია გურამიშვილის „დავითიანის“ ყველა პუბლიკაცია, „დახასიათებულია ხელნაწერი წყაროები, დართული აქვს ტექსტის დახასიათება და სქოლიოები“. 1873 წ. პ.უმიკაშვილმა გამოსცა გრ.ორბელიანის ლექსები, რომლებიც **ქრონოლოგიურად** დაალაგა. ეს პრინციპი მან პირველმა დაამკვიდრა. 1886 წელს მის მიერ გამოცემული ვახტანგ მეექვსის „დასტურლამალი“ ამ დროისათვის იყო აკადემიური გამოცემა, წიგნს დართული ჰქონდა ძირითადი ტექსტის ვარიანტები, საძიებელი, ლექსიკონი და კომენტარები“ (გვარამაძე 1971: 41). 1884 წელს „ვისრამიანის“ პირველ გამოცემას პ. უმიკაშვილი ილიასთან ერთად ოთხი ხელნაწერის მიხედვით ამზადებდა. იგი ამ გამოცემის ერთ-ერთი რედაქტორი იყო. პ.უმიკაშვილის საგამომცემლო მოღვაწეობას სხვაც ბევრი დამსახურება გამოარჩევს.

ცნობილია, საქართველოში არ ყოფილა სფერო და დარგი, დიდი ილიას ნიჭი, რომ არ გამოვლინებულიყო, ყველას და ყველაფრის პატრონობას ახერხებდა იგი. მისი

მზრუნველი ხელი არც საგამომცემლო საქმეს მოჰკლებია. მისმა მეცნიერულმა ნიჭმა ტექსტოლოგიურ მეცნიერებასაც დაუტოვა მემკვიდრეობა. ილიას სახელს უკავშირდება ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების პირველი პუბლიკაცია და არა მხოლოდ ეს. ილია ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო 1879 წელს თბილისში დაარსებული ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოებისა, რომელმაც 1880 წელს მიიღო დადგენილება, გამოეცათ ქართული კულტურის ძეგლები. უპირველეს ყოვლისა – „ვეფხისტყაოსანი“. ილია იმ კომისიის წევრი იყო, რომელიც ამზადებდა ამ გამოცემას და პოემის 22 ხელნაწერს უდარებდა ერთმანეთს. ილია იყო პირველი, რომელიც 33-ე სტროფში სიტყვა „ასულის“ დღეისათვის მისაღები განმარტება მოგვცა.

1884 წელს ილიას მონაწილეობითა და წინასიტყვაობით გამოვიდა ალ. ჭავჭავაძის ლექსების პირველი წიგნიც, რომელიც ასევე, სხვადასხვა, წყაროთა შეჯერებით იქნა შედგენილი.

1884 წელს „ვისრამიანის“ პირველ გამოცემას, რომლის სქოლიოში წარმოდგენილია ვარიანტული სხვაობანი და დართული აქვს სიტყვათა განმარტება, ახლავს ილიას წინასიტყვაობაც. ძეგლის წარმომავლობის შესახებ ილიას ასეთი საბულისხმო აზრი გამოუთქვამს: „მესამე აზრი და უფრო საბუთიანი ის არის, რომ “ვისრამიანი“ თარგმანია და არა საკუთარი ქართული თხზულება“. ამ წინასიტყვაობიდან პ.უმიკაშვილს რამდენიმე სიტყვა ამოუღია, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა ამ წინასიტყვაობის ფრაგმენტი და შთამომავლობისათვის ცნობილი გახდა ილიას ის შეხედულება, რაც შემდეგ მეცნიერთა ხანგრძლივი კვლევაძიების შედეგად იქნა აღიარებული (სანაძე 1970: 172).

მაგალითების დამოწმება უხვად შეიძლება, რაც აშკარად მიანიშნებს საქართველოში საგამომცემლო საქმიანობის აღმავლობაზე და ტექსტოლოგიის განვითარებაზე. გამომცემელთა მოღვაწეობამ ბევრი ძეგლი შემოუნახა შთამომავლობას. ეს საქმე შემდეგ ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელ საზოგადოებას გადაეცა, რომელმაც ბევრი გამოცემით გაამდიდრა ქართული კულტურის საგანძური.

ქართული ლიტერატურის ძეგლების გამოცემაში ასევე დიდი მოვლენა იყო 1890 წელს „წიგნის გამომცემელთა ქართველთა ამხანაგობის“ დაარსება ალ. ჯაბადარის ხელმძღვანელობით. ამ „ამხანაგობამ“ განიზრახა ქართველ მწერალთა თხზულებების კრებულებად გამოცემა. მათმა მოღვაწეობამ ქართული ტექსტოლოგიის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი. მათ გამოსცეს ბაჩანას, ალ. ყაზბეგის, დავითაშვილის და სხვათა ნაწერები. ასევე ხელშეკრულება დაუდეს ილიას და აკაკის და ივალდეზულეს მათი თხზულებების 10 ტომად გამოცემა. ცხადია, ტომთა ასეთი სოლიდური რაოდენობა მხატვრულ ნაწარმოებებთან ერთად, მათი პუბლიცისტური ნაწერების გამოცემასაც ითვალისწინებდა. მართალია, „ამხანაგობამ“ 1892 წელს ილიას „თხზულებანის“ მხოლოდ ოთხი ტომი გამოსცა, აკაკის „თხზულებანის“ (1893წ.) ბეჭდვა კი ორი ტომის შემდეგ შეწყდა, მაგრამ ამ გამოცემებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან გამოკვლეულია, რომ ილიაც და აკაკიც აქტიურად მონაწილეობდნენ თავიანთი „თხზულებანის“ მომზადებასა და რედაქტირებაში. ამდენად, ეს გამოცემები გამოხატავენ ავტორთა ნებას. რაც აუცილებელი პირობაა ძირითადი ტექსტის დადგენის დროს.

ასე თანდათანობით, ნელ-ნელა იკვეთებოდა ის ტექსტოლოგიური პრინციპები, რომლებიც შემდეგ ამ დარგის ძირითად დებულებებად ჩამოყალიბდა. მწერლის თხზულებათა აკადემიურად მომზადება ამ პრინციპთა გამოყენების გარეშე შეუძლებელია. თეორიული დებულებანი, რომლებიც სხვადასხვა გამომცემლის მიერ ყალიბდებოდა და ის მდიდარი პრაქტიკული გამოცდილებაც, რომლებიც წლებმა დააგროვა, შესანიშნავად გამოიყენა იმ სოლიდურმა კომისიამ, რომელმაც ილია ჭავჭავაძის თხზულებათა პირველი აკადემიური გამოცემის მომზადება ითავა მიხეილ გედევანიშვილის მეთაურობით. დიდი ილია ბრძანებდა: „სახელი და დიდება XIX საუკუნისა ის არის, რომ უხვი მოსავალი მოგვცა“. მისი მოვლა-დაბინავება კი მეოცე საუკუნეს დაევა და ისიც შესანიშნავი მეურნე გამოდგა.

ამ საუკუნეში ქართულ წიგნსაცავებს ბევრი სანაქებო გამოცემა შეემატა. მარტო ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს;

ნიკო მარმა ახალ ეტაპზე აიყვანა ქართული წერილობითი ძეგლების შესწავლისა და გამოცემის საქმე და გაუთანაბრა იგი ევროპის მოწინავე ქვეყნების ფილოლოგიის დონეს“ (ჭუმბურიძე 1981: 79) მის მიერ 1900წ. დაარსებული სერიით „ტექსტები და ძიებანი სომხურ-ქართულ ფილოლოგიაში“ გამოვიდა 1911 წელს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მეცნიერულად დადგენილი ტექსტი და რუსული თარგმანი. ამ ძეგლის პირველ ბეჭდურ გამოცემას ახლავს გამოკვლევა და ლექსიკონი. შავშეთ-კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები“ (ჭუმბურიძე 1981: 79).

განუზომელია ქართულ ტექსტოლოგიაში სიმონ ხუნდაძის, კორნელი კეკელიძის, აკაკი შანიძის, სიმონ ყაუხჩიშვილის, ილია აბულაძის, ივანე ლოლაშვილის, პავლე ინგოროყვას, სერგი გორგაძის, იოსებ გრიშაშვილის, სოლომონ ყუბანეიშვილის, სარგის კაკაბაძის, გიორგი აბზიანიძისა და სხვათა ღვაწლი. მათ მიერ განხორციელებული გამოცემები ამდიდრებდა ქართულ წიგნსაცავებს და აყალიბებდა იმ დარგს მეცნიერებისას, რომელსაც ტექსტოლოგია ჰქვია.

დარგის განვითარებას განაპირობებდა ქართველ კლასიკოსთა გამოცემები და ტექსტოლოგიური აზრის წინსვლა. ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვათა ნაწერების მეცნიერული გამოცემების საჭიროებამ განაპირობა ტექსტოლოგიის სპეციალური განყოფილების ჩამოყალიბება, რომლის ამოცანა იყო ქართველ კლასიკოსთა თხზულებების სრული და აკადემიური გამოცემათა მომზადება. აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტისათვის საჭირო შეიქმნა პრაქტიკულად შემოწმებული ტექსტოლოგიური პრინციპების თეორიული დამუშავება. მათ შორის, განსაკუთრებით გამოიკვეთა თხზულებათა გამოცემის ისტორიის შესწავლის აუცილებლობა, რამაც ტექსტოლოგიურ მეცნიერებას მეტად მნიშვნელოვანი დასკვნები შესძინა. გამოირკვა, რომ კლასიკოსის თხზულებათა ყოველი გამოცემისას ყალიბდებოდა ძირითადი ტექსტოლოგიური პრინციპები, რომლებიც ავტორის ნების დადგენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობად იქცა. ამასთანავე, შესაძლებელი გახდა ბიბლიოგრაფიის, ატრიბუციისა და მრავალი სხვა

საკითხის დაზუსტებაც. ტექსტოლოგიური მეცნიერება იცნობს ბევრ თეორიულ ნაშრომს, როგორც უცხოურ, ასევე ქართულ ენაზეც (იხილეთ ჩამონათვალი).*

ქართული კულტურის მნიშვნელოვანი შენაძენია კლასიკოსთა თხზულებების აკადემიური გამოცემები, რომლებიც პრაქტიკული დადასტურებაა ყოველივე ზემოთქმულისა, ხოლო მათი სარედაქციო წერილები და კომენტარები ამ ტექსტოლოგიური პრინციპების თეორიული დასაბუთებაა, თუმცა ერთობ მოკლე. ეს კი ბუნებრივია, რადგან აკადემიურ გამოცემას გადატვირთავს ვრცელი თეორიული ნაშრომი. ასეთი გამოკვლევები ცალკე უნდა იქმნებოდეს, სასურველია აკადემიური გამოცემის პარალელურად, რადგან ამ დროს, ერთი მხრივ, მკვლევარს საშუალება ექმნება, გაითვალისწინოს გამომცემელთა მიერ დადგენილი ესა თუ ის წყარო და თეორიული დებულება, ხოლო გამომცემლები კი თავის მხრივ, გაიზიარებენ მკვლევართა მიერ გამოვლენილ ამა თუ იმ სიახლესა და ჩამოყალიბებულ ტექსტოლოგიურ პრინციპს. ეს ურთიერთშეთანხმებული თანამშრომლობა კი, მთლიანობაში უზრუნველყოფს გამოცემის სრულყოფას.

ასეთი თანამშრომლობის შედეგად დღეს გვაქვს ნიკოლოზ ბარათაშვილის „თხზულებების“ **1945 წლის გამოცემა კ. კეკელიძის რედაქციითა და პ. ინგოროყვას** ვრცელი ნარკვევით, ერთვის სოლ. ყუბანეიშვილის „ხელნაწერები და გამოცემები“, რომელშიც დაწვრილებითაა გად-

* Вопросы текстологии, сборник статей, вып. I. М.: 1957.
Вопросы текстологии, сборник статей. вып. II. М.: 1962.
Вопросы текстологии. сборник статей, вып. III. М.: 1964.
Вопросы текстологии. сборник статей, вып. IV. М.: 1967.
ტექსტოლოგიის საკითხები. I, თბ.: 1970.
ტექსტოლოგიის საკითხები. II, თბ.: 1971.
ტექსტოლოგიის საკითხები. III, თბ.: 1971.
ტექსტოლოგიის საკითხები. IV, თბ.: 1974.
ტექსტოლოგიის საკითხები, V, თბ.: 1976.
Основы текстологии, под редакции В.С. Нечаевой. М.: 1962.
ტექსტოლოგიის საფუძვლები I, თბ.: 1981.
ტექსტოლოგიის საფუძვლები. II, თბ.: 1983.

მოცემული ყოველი ხელნაწერისა და ნაბეჭდი წყაროს აღწერილობა (ბარათაშვილი 1945). **1972 წელს აკაკი გაწერელიასა და ივანე ლოლაშვილის რედაქციით** გამოიცა ნიკოლოზ ბარათაშვილის „თხზულებანი“ (ბარათაშვილი 1972). შესავალ წერილში ვკითხულობთ: „ნ. ბარათაშვილის თხზულებათა წინამდებარე გამოცემა თავისი აღნაგობითა და დანიშნულებით აკადემიური ხასიათისაა, შედგენილობით კი, ყველა ადრინდელ კრებულზე სრული (მასში პირველად შევიდა პროზაული თარგმანები) ტექსტები დადგენილია ყველა (მათ შორის დღემდე უცნობი) ავტოგრაფის, ძირითადი ნუსხების და პირველნაბეჭდთა კრიტიკულად შესწავლის შედეგად. გათვალისწინებულია საბჭოთა პერიოდის აკადემიური გამოცემები, პოეტის გარშემო არსებული სამეცნიერო ლიტერატურა და საარქივო მასალები“. ტექსტებს უძღვის ა. გაწერელიას ვარიაციები პოეტის თემებზე. ერთვის ი.ლოლაშვილის ფილოლოგიური ნარკვევი „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა“, რომელშიც განხილულია პოეტის თხზულებათა მეცნიერულ-კრიტიკულ გამოცემებთან დაკავშირებული ტექსტოლოგიური საკითხები და სრული სამეცნიერო აპარატი-კომენტარები, ვარიანტები, თხზულებათა ქრონოლოგიური ნუსხა, საკუთარ სახელთა და არქაულ სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი (ბარათაშვილი 1972).

მოკლედ, აღნიშნული წიგნი აკადემიური გამოცემის კარგი მაგალითია, თუმცა სანიმუშოდ ვერ ჩაითვლება, რადგან, თუ ამ შემთხვევაში, მასალის სიმცირის გამო, შესაძლებელი გახდა მეცნიერული გამოკვლევისა და ტექსტის ერთ ტომად გამოქვეყნება, სხვა დროს ეს შეუძლებელია, ისევ მასალის მოცულობის გამო. ამიტომ ძირითად პრინციპად აღიარებულია, რომ სარედაქციო წერილში მითითებულ იქნას ის სიახლე, რომელსაც ეს გამოცემა შეიცავს, ხოლო დართულ ვარიანტებსა და ნაწარმოებთა პასპორტში სრულად და იმავე დროს, კომპაქტურად იქნას წარმოდგენილი ყველა ვარიანტული ცვლილება და რედაქციული ჩარევაც. ეს კი მკითხველს დროის დიდ ეკონომიას მისცემს.

ასეთ გამოცემებად შეიძლება მივიჩნიოთ ილიას თხზულებათა ათტომეული (1950-1961), აკაკის თხზულებათა თხუთმეტტომეული (1950-1963), ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ხუთტომეული, (1961 წ.) და ათტომეული (1964 წ.), ვასილ ბარნოვის თხზულებათა კრებული 10 ტომად (1969-1970), გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა კრებული 12 ტომად (1966-1973) და სხვ. ეს გამოცემები შედარებით სრულად, წარმოადგენენ ამ მწერალთა მემკვიდრეობას. მათი მომზადება იმ პერიოდში ხდებოდა, როცა ყველა მასალა არ იყო გამოვლენილი და ზოგიც, კონიუნქტურის გამო, ვერ მოხვდა ტომებში. ამავე დროს არ იყო ჩამოყალიბებული თეორიული პრინციპებიც თხზულებათა აკადემიური გამოცემების შესახებ. ქართულ ტექსტოლოგიაში ასეთი ნაშრომები ცოტა მოგვიანებით შეიქმნა. ეს იყო სინთეზი იმ დროისათვის არსებული თეორიული და პრაქტიკული გამოცდილებისა, რომელიც ზემოთ აღნიშნულმა გამოცემებმა დააგროვა მეცნიერთა შორის.

2006 წელს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა გამოსცა ახალი სახელმძღვანელო „ქართული ტექსტოლოგია“, შედგენილი იმ მეცნიერ-ტექსტოლოგთა მიერ, რომელთაც ქართველ კლასიკოსთა ნაწერების არა ერთი აკადემიური გამოცემა მოამზადეს. წიგნი ემყარება თანამედროვე ტექსტოლოგიის მიღწევებსა და მდიდარ პრაქტიკულ გამოცდილებას (ქართული ტექსტოლოგია 2006).

აღნიშნულ შრომებში დაწვრილებითაა ჩამოყალიბებული ის პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს მწერლის თხზულებათა აკადემიურ გამოცემას. „თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემა გამოცემათა უმაღლესი სახეა. იგი სრულად მოიცავს მთლიან მემკვიდრეობას. ასეთი გამოცემის მოსამზადებლად უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ზუსტი ბიბლიოგრაფიის შედგენა, მწერლის ფსევდონიმებისა და კრიპტონიმების გახსნა. შესწავლილ უნდა იქნეს სადავო თხზულებანი... თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემის ერთი განმსაზღვრელი მხარეა მასში შესულ ნაწარმოებთა ვარიანტების ჩვენება. ასევე მნიშვნელობა აქვს საძიებლებს,

რაც დროის დიდი ეკონომიის საშუალებას აძლევს მკითხველს. თხზულებათა სრული კრებულის გამოცემისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ძირითადი წყაროს დადგენის საკითხს და ამის შემდეგ გამოცემებში ნაწარმოებთა განლაგების პრინციპს. ამჟამად განმტკიცებულია ჟანრობრივ-ქრონოლოგიური პრინციპი. თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემისას აუცილებელია მოკლე სარედაქციო სტატია“ (ჭრელაშვილი 1970: 22-25). ამ და სხვა მნიშვნელოვანმა თეორიულმა ნაშრომებმა (ქართული ტექსტოლოგია 2006), აგრეთვე, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ახალმა აკადემიურმა გამოცემამ საფუძველი მოამზადა, შექმნილიყო ვრცელი გამოკვლევა მწერლის თხზულებათა გამოცემის ისტორიის საკითხების შესახებ. მკვლევარ ნათელა ჩიტაურის საკვალიფიკაციო ნაშრომში (ჩიტაური 1984) შესწავლილია ილიას თხზულებათა 1892 წლის, 1907 წლის წ.კ.გ.ს.-ბის და 1914 წლის მის. გედევანიშვილისეული გამოცემების ისტორია. აგრეთვე, მწერლის გარდაცვალების შემდგომ წლებში განხორციელებული თხზულებათა სამი დიდი გამოცემა: (1925-29 წ.წ.; 1937-1962 წ.წ.; 1950-1961 წ.წ.).

კლასიკოსის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მომზადება დღეს უკვე შეუძლებელია მისი **ნაწერების გამოცემის ისტორიის** შესწავლის გარეშე. რადგან ეს ისტორიები ბევრ საკითხს ჰფენენ ნათელს. ცნობილია, მწერლები დროდადრო, გამოცემიდან გამოცემამდე ცვლიდნენ თავიანთ ნაწერებს. ქმნიდნენ ახალ ვარიანტებს, ზოგჯერ ახალ რედაქციასაც კი. თხზულებათა გამოცემის ისტორიის შესწავლით მკვლევარს საშუალება ეძლევა, გამოავლინოს ეს რედაქციული, თუ ვარიანტული სხვაობანი და ახსნას ამ ცვლილებათა მიზეზიც. იმავდროულად დაადგინოს ავტორის **ბოლო შემოქმედებითი ნება** და ამდენად, ნაწარმოების **ძირითადი აკადემიური ტექსტი**.

თხზულებათა გამოცემის ისტორიის შესწავლა ეხმარება მკვლევარს ცალკეული **ნაწარმოების ატრიბუციის** გარკვევაშიც. ასევე, მწერლის შემოქმედებითი ნების გამოვლენას უწყობს ხელს ნაწარმოების **ავტორიზებული წყაროების მოპოვება** და შესწავლა. საკითხის ამგვარი

კვლევა შესაძლებელს ხდის, გადაწყდეს ბევრი ნაწარმოების დათარიღების პრობლემა.

ნაწარმოების გამოცემის ისტორიის შესწავლის შედეგად შესაძლებელი ხდება დაზუსტდეს და განივრცოს **კომენტარები**. კვლევის შედეგად გამოვლინდება ხოლმე მწერლის უცნობი **პირადი წერილებიც**, რომლებიც ასევე მნიშვნელოვანია მისი შემოქმედების სრულყოფილად შესწავლისათვის. მკვლევარს ნაწარმოების გამოცემის ისტორიის გაცნობა საშუალებას აძლევს, შეისწავლოს **მწერლის წერის სტილი**, მისი ლექსიკა და ამდენად, ნათელი წარმოდგენა შეექმნას მის ლექსიკურსა და გრამატიკულ შეხედულებებსა და პრინციპებზე. ეს კი აუცილებელი პირობაა თხზულებათა აკადემიური გამოცემის მომზადებისას, რადგან აღნიშნული საკითხი ხშირად ბევრ სირთულეს უქმნის გამომცემელს. მოკლედ, ესა და ბევრი სხვა მნიშვნელოვანი საკითხი გამოიკვეთება ნაწარმოების გამოცემის ისტორიის შესწავლით.

ამ მხრივ, რასაკვირველია, არც აკაკი წერეთლის შემოქმედება წარმოადგენს გამონაკლისს. დღეისათვის მწერლის თხზულებათა რამდენიმე გამოცემა არსებობს. ყოველ მათგანს ღირსებასთან ერთად, არაერთი ნაკლიც გააჩნია. ამიტომაც დღის წესრიგში დადგა აკაკის თხზულებათა სრული ახალი აკადემიური გამოცემის აუცილებლობა, ამ გამოცემათა ისტორია კი დღემდე შესწავლილი არ ყოფილა. ჩვენი მიზანი იყო შეგვესწავლა და მოკლედ გაგვეანალიზებინა აკაკის სიცოცხლეში გამოცემული და გარდაცვალების შემდეგ განხორციელებული თხზულებების სრული კრებულები (კერძოდ, ოთხტომეული (1925-1928); შვიდტომეული (1940-1961) და თხუთმეტტომეული (1950-1963), რაც გარკვეულ დახმარებას გაუწევდა აკაკის ახალი აკადემიური გამოცემის მომზადებლებს. ამ გამოცემათა განხილვამ უფრო თვალსაჩინო გახადა ის, რაც გაკეთდა დღემდე. გაირკვა; რა ღირსება და ნაკლი გააჩნია მათ. ჩვენი კვლევა რომ უფრო სრულყოფილი ყოფილიყო, გადავწყვიტეთ თანმიმდევრობით შეგვესწავლა აკაკის სიცოცხლეში განხორციელებული მისი თხზულებების ყველა ის გამოცემა, რომლებიც შემოქმედებითად, ან

ტექსტოლოგიურად გადამუშავებული იყო ავტორის ან (ზოგ შემთხვევაში) რედაქტორის მიერ.

თხზულებათა გამოცემების ისტორიის შესწავლა მართლაც პრაქტიკულად საჭირო ამოცანა იყო, რაც დადასტურდა კიდევ ჩვენ მიერ გამოვლენილ საკითხთა რაოდენობითა და მნიშვნელობით.

თ ა ვ ი

აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულები და მათი მომზადების ტექსტოლოგიური პრინციპები

„ქართული მწერლობა საზოგადოდ ვერა სდგას კარგ ნიადაგზე, მაგრამ ყველაზე უფრო მეტი უბედურობა კი ჩემ ნაწერებს ეწვია: ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ორი პატარა ტომის მეტი არ გამოსულა, მაშინ როდესაც რამდენიმე ათეული მაინც უნდა გამოცემულიყო, ამის მიზეზი ხელმოკლეობა და დაუდევრობა იყო“ – წერდა აკაკი 1910 წლის 2 მაისს ჟურნ. “თეატრსა და ცხოვრებაში“.

მართლაც, რომ უცნაური ბედი დაჰყვა აკაკის შემოქმედებას. ერმა საქართველოს ბუღბუღი შეარქვა. ათასობით კაცი ყურს უგდებდა მისი ჩანგის ჟღერას, მაგრამ მის თხზულებათა არა თუ სრული, არასრული კრებულების გამოცემაც კი ვერ იქნა და ვერ მოხერხდა პოეტის სიცოცხლეში. აკაკის შემოქმედება ერთგვარ საჯილდო ქვად გადაიქცა გამომცემელთათვის. ბევრმა მოღვაწემ სცადა ბედი, მაგრამ ამაოდ, ზოგს შეძლებამ შეუშალა ხელი და ზოგსაც გარემოებამ. როგორც ჩანს, პოეტის სიცოცხლეში ამ სანუკვარ ოცნებას ახდენა არ ეწერა.

ბ ბ ბ ბ ბ ცეცხვითელი

სრული ნაწარმი

ტომი 1

ს. ბურბაძის და ს. აბაშელის

რედაქციით

სსსრ.

სახელმწიფო გამომცემლობა

1925

ტ ბ ბ ბ ბ ბ ბ

§ 1. აკაკი წერეთლის რჩეული ნაწერები ოთხ ტომად

(1925-1928 წ.წ.) სერგი გორგაძისა და ალექსანდრე
აბაშელის რედაქტორობით

აკაკის გარდაცვალების შემდეგ მისი თხზულებების ბევრი გამოცემა განხორციელდა. პირველი სრული გამოცემა იყო სერგი გორგაძისა და ალექსანდრე აბაშელის რედაქტორობით მომზადებული აკაკის რჩეული ნაწერების ოთხტომეული, რომლის პირველი ტომი გამოვიდა 1925 წელს და მოიცავდა მხატვრულ პროზას, მეორე ტომი – 1926 წელს განხორციელდა და შედგებოდა პოემებისაგან, მესამე – 1927 წელს – დრამები; მეოთხე – 1928 წელს დაიბეჭდა – გაერთიანდა ლექსები. სარედაქციო წერილში მითითებული იყო: „რათა მკითხველს ექნეს მთლიანი წარმოდგენა აკაკის მხატვრულ ნაწარმოებთა სრული მოცულობისა, თვითეული ტომის ბოლოში მოთავსდება ბიბლიოგრაფიული საძიებელი იმ ნაწარმოებთა, რომელნიც ვერ მოხვდნენ ამ ოთხტომეულ გამოცემაში (წერეთელი 1925: 3); ამრიგად, აღნიშნული გამოცემის ერთ-ერთი დიდი დამსახურება ის იყო, რომ მას ერთვოდა ს. გორგაძის მიერ შედგენილი აკაკის ნაწერების ბიბლიოგრაფია.

თავად გამოცემის ტიპის შესახებ ოთხტომეულის შემდგენლები წერდნენ, რომ „წინამდებარე გამოცემა არც სრულია და არც ვიწრო აკადემიური, იგი აკაკის მხოლოდ რჩეულ ნაწარმოებთა კრებულს წარმოადგენს, რომელიც უმთავრესად ფართო საზოგადოებისთვისაა დანიშნული და არა მხოლოდ მკვლევართა და ვიწრო სპეციალისტებისათვის. ამიტომ ამ გამოცემაში მკითხველი ვერ შეხვდება ე.წ. „კრიტიკულ აპარატს. „საზოგადოდ აკაკის ნაწარმოებთა ტექსტის შესახებ ამ გამოცემაში ჩვენ მხოლოდ აუცილებლად საჭირო ცნობებს შემოვიტანთ“ (წერეთელი 1925: 335).

შემდეგ გამომცემლები ასახელებენ იმ პრინციპს, რომლითაც იქნა შერჩეული ნაწარმოებები. ამ პრინციპით ოთხტომეულში მოხდნენ „მხოლოდ კაზმულსიტყვაობის ნიმუშები. საკუთრივ მათშიც სასტიკი შერჩევა იქნა მოხდენილი“ (წერეთელი 1925: 336). ტექსტების გამოცემისას შემდგენლებს გაუთვალისწინებიათ ყველა გამოცემა და ავტოგრაფი, რაზედაც კი ხელი მიუწვდებოდათ: „მასალა დაწყობილია ქრონოლოგიურს რიგზე. ამა თუ იმ ნაწარმოების დაწერის ან პირველი დაბეჭდვის მიხედვით“. გამომცემლებს ასევე უზრუნიათ, რომ ავტორის ენასა და მართლწერას არ დაშორებოდნენ, „მაგრამ ამასთანავე, შეძლებისდაგვარად ის აუცილებელი ერთგვარობაც დაგვეცვა, რომელიც საჭიროა ასეთ გამოცემებში. ამ ერთგვარობის დაცვის დროს არსად არ გვიხმარია ისეთი ფორმა, რომლის გამართლება თვით აკაკისავე ავტოგრაფების ტექსტით ან უდავოდ თვით პოეტის მიერ გამოცემული ტექსტების მართლწერით არ შეიძლებოდეს“ (წერეთელი 1925: 336).

აღ. აბაშელის და ს. გორგაძის მიერ მომზადებული აკაკის თხზულებათა ოთხტომეული იყო პირველი პრაქტიკული ცდა იმისათვის, რომ მკითხველს ასე ვრცლად გაეცნო აკაკის შემოქმედება. ამიტომ ამ გამოცემაში მეტად მაღალი შეფასება მიიღო. აღინიშნა მისი ეპოქალური მნიშვნელობა.

მკვლევარი ლ. სანაძე საგანგებოდ განიხილავს აღნიშნულ გამოცემას და სათანადო და საყურდღებო დასკვნებსაც აკეთებს: 1. „აკაკის თხზულებათა რჩეული ტექსტი და შენიშვნები მეცნიერულად არის დადგენილი და დამუშავებული. აქ მასალა განლაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და მოტანილია საყურადღებო ცნობები ტექსტის დათარიღებისათვის 2. „საინტერესოა შემდგენელთა დამოკიდებულება „ძირითადი წყაროს შერჩევის შესახებ“, 3. გამოცემებში ხშირია მსჯელობა ტექსტის გამართვისათვის ჩატარებული მუშაობის შესახებ (სანაძე 1971: 99)

„როგორც ვხედავთ, აკაკი წერეთლის რჩეული ნაწერების გამოცემისას სერიოზული მუშაობაა ჩატარებული

ტექსტების დადგენისათვის. ფართოდ არის გაშლილი მსჯელობა ნაწარმოებში შეტანილი ყოველი შესწორებისა და ცვლილების შესახებ. არ არის მხოლოდ ვარიანტული წაკითხვები, რაც, როგორც გამომცემლები აღნიშნავენ, მხოლოდ აკადემიური გამოცემისათვის არის სავალდებულო. საინტერესო მასალაა წარმოდგენილი აკაკის რჩეულში ცალკეულ ნაწარმოებთა კომენტარების მიზნითაც. აღნიშნულია, თუ ვის ეძღვნება ესა თუ ის ნაწარმოები, როდის, და რა პირობებში დაიწერა იგი... როგორც ვხედავთ, აკაკი წერეთლის ნაწერების ოთხტომიანი რჩეულის სამეცნიერო აპარატი იმდენად სერიოზულ და მნიშვნელოვან ცნობებს აწვდის მკითხველს ნაწარმოების ტექსტის შესახებ, რომ მისი დანიშნულება აშკარად სცილდება მასობრივი გამოცემის ფარგლებს, რასაც თავმდაბლად მიაკუთვნებენ ამ გამოცემას მისი მომმზადებლები. „ეს გამოცემა მეცნიერული ხასიათის გამოცემა“ – ასკვნის მკვლევარი (სანაძე 1971: 101)

გამოცემის ღირსებასთან ერთად ლ.სანაძე იქვე ჩამოთვლის შენიშვნებს, რაც ამ ოთხტომეულის შესახებ გასჩენია. ესენია: 1. „შენიშვნები, კომენტარები, ცნობები ტექსტის შესახებ და ყველა სხვა სახის საჭირო მასალა ერთმანეთის მიყოლებით, ყოველგვარი წინასწარ შემუშავებული თანრიგის გარეშე, ერთნაირი შრიფტით არის დაბეჭდილი, რაც აძნელებს სასურველი ცნობის მიკვლევას. 2. ტომებს შორის შეინიშნება მასალის მიწოდების სხვადასხვაგვარი ფორმაც. 3. სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი თარიღები. ზოგან ტექსტს ქვემოთ მიწერილი აქვს ორი თარიღი. დაწერისა და პირველი გამოქვეყნების, ხოლო ზოგს მხოლოდ დაწერის თარიღი. 4. რეცენზენტი გამოცემის ძირითად ნაკლად თვლის იმას, რომ აკაკის რჩეული ლირიკა დაყოფილია თემატურ რკალებად. 5. ზოგჯერ გამომცემლებს ზედმეტი სიფრთხილე გამოუჩენიათ და ავტორის ტექსტში აშკარა შეცდომაც კი არ გაუსწორებიათ. 6. გამოცემის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ აქ ავტორის ტექსტში ერთ ფორმამდე დასული პარადღელიზმები“ (სანაძე 1971: 101-102)

ასევე დაწვრილებით აქვს შესწავლილი აღნიშნული ოთხტომეული ლევან ჭრელაშვილსაც. წერილში „გამოცემათა სახეები“ (ჭრელაშვილი 1971: 3) იმ ღირსებასთან ერთად, რაც გააჩნია ამ გამოცემას, მკვლევარი მიუთითებს, რომ „ამ გამოცემის სტრუქტურა, თანამედროვე ტექსტოლოგიის თვალსაზრისით, კრიტიკას ვერ უძლებს“. რეცენზენტის ძირითადი შენიშვნა ისაა, რომ – 1) „რჩეული ნაწერების“ დასაწყისშივე უნდა დაიბეჭდოს კვალიფიციური მკვლევარის კრიტიკული ნარკვევი, რომელიც ა. წერეთლის ოთხტომეულში ბოლო IV ტომს აქვს დართული“ 2. „მართალია რჩეულისათვის შერჩევის პრინციპი აუცილებელია, მაგრამ იგი შესაბამისობაში უნდა იყოს გამოცემის დასახელებასთან.“ კლასიკოსის „რჩეულ ნაწერებში“ უნდა შევიდეს ყველა საუკეთესო და მნიშვნელოვანი ნაწარმოები მათი ჟანრის მიუხედავად, ამ პრინციპის დაცვა ყველა სახის რჩეულ გამოცემებში სავალდებულოა, რადგან „რჩეულის“ მეშვეობით მკითხველი მისი მოთხოვნილების ფარგლებში უნდა გაეცნოს კლასიკოსის მთელი მემკვიდრეობის საუკეთესო ნაწილს და არა რომელიმე კერძო ჟანრის რჩეულ ნაწარმოებს. 3. გაუმართლებელია აგრეთვე კლასიკოსის რჩეული ნაწერების თემატური პრინციპით დალაგება. „რჩეულში ნაწარმოებები შესაძლებლობის ფარგლებში განლაგებული უნდა იქნას ქრონოლოგიურად, რათა მკითხველმა კრიტიკული ნარკვევის დახმარებით შეისწავლოს მწერლის შემოქმედებითი გზა“ (ჭრელაშვილი 1971: 19-20).

აღარ გავაგრძელებთ ამ გამოცემის ღირსება-ნაკლოვანებების შესახებ არსებული მოსაზრების გადმოცემას. გამოვთქვამთ მხოლოდ რამდენიმე ჩვენს დაკვირვებასა და შენიშვნას.

ჩვენი აზრით, შენიშვნას იმსახურებს ის ბიბლიოგრაფიული მასალაც, რომელიც ერთვის ტომს. წარმოდგენილი ბიბლიოგრაფია რომ სრული არაა, ეს სავსებით გასაგებია. სხვათა შორის, ამის პრეტენზია არც მის შემდგენელებს გამოუთქვამთ. მთავარი ისაა, რომ ეს არის აკაკის ნაწერების პირველი ბიბლიოგრაფია, რაც, საუბედოდ დაედო ყველა შემდგომდროინდელ გამოცემას.

ტომების შემდგენელებს ნაწარმოების ძირითადი წყაროს შერჩევისას გამოკვეთილი ტექსტოლოგიური პრინციპი არ გააჩნიათ. მხედველობაში გვაქვს აკაკი წერეთლის რჩეული ნაწერების მეორე ტომი, რომელიც მოიცავს 13 პოემას და ხუთ იგავს.

თხზულებათა ამგვარი ჟანრობრივი განლაგება დღევანდელი პრინციპებით მიუღებელია. ახლა უშუალოდ პოემების შესახებ:

„თორნიკე ერისთავის“ ბიბლიოგრაფიაში დასახელებულია 1884 წლის გამოცემა, „აკაკის კრებული“ (1898 წ. №6) და ბოლოს ცალკე გამოცემა 1919 წელს „საისტორიო და საეთნოგრაიო საზღვის სახელით“ გამომცემლები წერენ: „ქუთათური გამოცემა (1919) პოემის ბოლოში იძლევა შესწორებას: „ამ დროს მოესმათ, ანგელოსთ გუნდი ჰგალობდა ტკბილსა საგალობელსა“ – რაც არც ერთი სხვა გამოცემით არ მართლდება. ამიტომაც ჩვენ უპირატესობა მივუცით „კრებულის“ ტექსტს (წერეთელი 1926: 340)

ამ ბიბლიოგრაფიაში არაა დასახელებული „თორნიკე ერისთავის“ 1908 წლის საიუბილეო გამოცემა, რომელიც ავტორის სიცოცხლისდროინდელი ბოლო გამოცემაა. სწორედ მასში ვხვდებით დასახელებული სტროფის იმგვარ წაკითხვას, რაც 1919 წლის გამოცემის ტექსტში შეუნიშნავთ გამომცემლებს. როგორც ჩანს, 1908 წ. გამოცემის ტექსტი გაუთვალისწინებია „ქუთათურ გამოცემას“. მხოლოდ დღეს, აკაკის თხზულებათა ახალ აკადემიურ გამოცემაში გახდა შესაძლებელი, გვეღიარებინა პოეტის საბოლოო ნება ტომის შემდგენელმა ლ. ჭრელაშვილმა დაადგინა, რომ „თორნიკე ერისთავის“ 1908 წლის გამოცემა არის ძირითადი წყარო.

„თამარ ცბიერი“ 1886 წ. გამოსცა ნიკ. დიასამიძემ ტფილისში, ისტორიული ოთხმოქმედებიანი დრამატული პოემა. მართლაც, ამ გამოცემაში მხოლოდ ოთხი მოქმედებაა, გამოტოვებულია წინამდებარე გამოცემის მესამე მოქმედება, ხოლო ამავე გამოცემის მეოთხესა და მეხუთე მოქმედებას იქ ეწოდება მესამე და მეოთხე“ (წერეთელი 1926: 340). სინამდვილეში, „თამარ ცბიერის“ ქუთათური ხელნაწერი ნუსხის მიკვლევის შემდეგ, პროკლე კეკელი-

ქემ დაადგინა, რომ თავდაპირველად პოემა იყო ოთხმოქმედებიანი და მხოლოდ შემდეგ „აკაკის კრებულში“ (1898წ. №11) დაემატა მას მეხუთე მოქმედება. ამდენად, ახალ აკადემიურ გამოცემაში პოემის არსებულ წყაროებს შეემატება კიდევ ერთი, ავტორიზებული წყარო: ქუთათური ხელნაწერი (ვრცლად, II თავი, გვ. 61).

„ორი ქართველი, ოთია მესხი და ადამ ბებურიშვილის“ – შესახებ წერია: „ეს პოემა გვხვდება აკაკის „თხზულებანის“ (1893) II ტომში, რომელიც ცენზორისაგან ნებადართულია 1892 წ. 18 დეკემბერს. წინამდებარე ტექსტი ამ გამოცემას ემყარება“ (წერეთელი 1926: 341)

ბიბლიოგრაფიაში გამორჩენილია ამ პოემის ორი ნაბეჭდი წყარო: 1) „ჩემი ნაწერები“, II წიგნი, 1913, (გვ. 216) და 2) 1911 წლის ი.მერკვილაძის წიგნის მალაზია „ცოდნას“ გამოცემა. როგორც კვლევით დადგინდა, იგი ავტორიზებული წყაროა.

„ნათელა“ – „ეს პოემა პირველად „კრებულში“ დაიბეჭდა 1900 წელს. წინამდებარე ტექსტი „კრებულისას“ ემყარება – წერენ გამომცემლები (წერეთელი 1926: 341) აქ გათვალისწინებული არ არის პოემის პირველი ნაბეჭდი წყარო 1897 წლისა და ასევე მისი ბოლო, ნაბეჭდი ავტორიზებული წყარო 1911 წლის, გამოცემული ი.მერკვილაძის მიერ.

„გამზრდელის“ ბიბლიოგრაფიაში საერთოდ არაა დასახელებული ორი ნაბეჭდი წყარო: აკაკის „ჩემი ნაწერების“ II წიგნი (გვ.14-35) და პოემის 1913 წლის ი. მერკვილაძისეული გამოცემა, არა და კვლევით დადგინდა, რომ პოემის ბოლო ავტორიზებულ ტექსტს სწორედ მერკვილაძისეული გამოცემა შეიცავს (იხ. „გამზრდელი“ დოკუმენტური გამოცემა გამოკვლევით, თბ., 2000წ) (წერეთელი 2000).

„ალექსის“ ბიბლიოგრაფიაც არ ასახელებს 1910 წლის ი.მერკვილაძის გამოცემას, რომელიც ასევე ავტორიზებული ნაბეჭდი წყაროა.

„ანდრია პირველწოდებულის“ შესახებ წერია, რომ იგი დაიბეჭდა 1884 წელს ჟურნ. „მწვემსში“ და განმეო-

რებით იქვე 1892 წლის №8, 9, 10 გამოტოვებულია 1908 წლის საიუბილეო გამოცემა (ფრუიძე 2002:).

„წმინდა ნინო“ (ისტორიული პოემა) ცალკე გამოცემა „ჯვარი ვახისას“ რედაქციისა. ტფ. 1906 წ. ამ პოემის ავტოგრაფიც მოიპოვება (წერეთელი 1926: 345)

ბიბლიოგრაფიაში არაა დასახელებული ამ პოემის 1908 წლის საიუბილეო გამოცემა, რომელიც ეკუთვნის მ.ლალიძეს და რომელიც მეტად მნიშვნელოვან ვარიანტულ წაკითხვებს შეიცავს. ეს არის ამ პოემის ბოლო გამოცემა და, ამდენად, გამოსატყავს პოეტის ბოლო შემოქმედებით ნებას.

ამ რჩეულის გამოსვლიდან 70 წელზე მეტი გავიდა. მას შემდეგ აკაკის ნაწერების რამდენიმე სრული და ბევრი ცალკეული გამოცემა განხორციელდა. გამოვლინდა მრავალი უცნობი მასალა: ავტოგრაფები და ნაბეჭდი წყაროები. ამიტომ დღევანდელი გადასახედიდან აღვიღია ყველა ამ ნაკლისა და უზუსტობის შემჩნევა და აღნუსხვა, მაგრამ ეს არაა ჩვენი მიზანი.

აკაკი წერეთლის ნაწერების რჩეული ოთხტომეული უდავოდ მნიშვნელოვანი გამოცემაა, რადგან სწორედ ამ გამოცემით გახდა შესაძლებელი აკაკის თხზულებების პირველი ბიბლიოგრაფიის წარმოდგენა, რამაც საფუძველი ჩაუყარა პოეტის შემოქმედების შემდგომ მეცნიერულ კვლევას. სერგი გორგაძისა და ალექსანდრე აბაშელის მიერ მომზადებულ აკაკის ნაწერების რჩეულ ოთხტომეულს დაეფუძნა შემდგომში გამოცემული პოეტის თხზულებათა სრული კრებულები.


ახკაჟი
წერეთელი



თხზულებანი
სრული კრებული
შვიდ ტომად



ი. თაყაიძის, ა. აბაშელის, ი. გრიშაშვილის,
პ. ინგოროყვას და ვ. ლეონიძის
რედაქტორობით



ახკაჟი
წერეთელი



პოემები



ი. გრიშაშვილის
რედაქტორობით



K 171
3

§ 2 აკაკის თხზულებათა სრული კრებული შვიდ ტომად საიუბილეო გამოცემა

1940 წელს აკაკი წერეთლის დაბადებიდან 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაიწყო პოეტის თხზულებათა სრული კრების გამოცემა შვიდ ტომად. პირველი ტომი გამოვიდა 1940 წელს. სარედაქციო წერილში ეწერა: „წინამდებარე გამოცემის სახით პირველად ქვეყნდება აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებული. იგი შვიდ ტომად არის განზრახული. ცალ-ცალკე ტომებში მოთავსებული იქნება: **ტომი პირველი – ლექსები – 1859-1914 წწ.**; **ტომი მეორე – ლექსები:** ა) უთარიღონი, ბ) საბავშვო, გ) იგავ-არაკები, დ) იგავ-არაკები კრილოვით, ე) თარგმანები, ვ) ყრმობის და ჭაბუკობისდროინდელი ლექსები ზ) სხვადასხვა, თ) ვარიანტები. ამ ორი ტომის რედაქტორები იყვნენ პინგოროყვა და ალ.აბაშელი); **ტომი მესამე – პოემები –**დრამატული ნაწერები ლექსად – რედაქტორი ი.გრიშაშვილი; **ტომი მეოთხე – მოთხრობები –**ჩემი თავგადასავალი – რედაქტორი პინგოროყვა; **ტომი მეხუთე – დრამატული ნაწერები პროზით –** რედ. ი. გრიშაშვილი; **ტომი მეექვსე და მეშვიდე – პუბლიცისტიკა, კრიტიკა, სხვადასხვა წერილები“.**

ბოლო ორ ტომს გამოსაცემად ამზადებდა ლევან ასათიანი, მისი გარდაცვალების შემდეგ ტომებზე მუშაობა განაგრძო და ბოლომდე მიიყვანა სოლომონ ხუციშვილმა.

შვიდტომეულში მასალა განლაგდა ჟანრობრივ-ქრონოლოგიური პრინციპით, თუმცა ეს პრინციპი სრულად ვერ იქნა დაცული.

პირველი ტომი იხსნება პავლე ინგოროყვას ვრცელი კრიტიკული მიმოხილვით. რომელშიც განხილულია აკაკის მთლიანი შემოქმედება. გადმოცემულია ცალკეული ნაწარმოების იდეურ-ლიტერატურული ანალიზი. საგულისხმოა, რომ პ. ინგოროყვა პოემა „ნათელას“ ამ წერილში ჯერ კიდევ 1900 წლით ათარიღებს (წერეთელი 1940: XVIII). ეს შეხედულება შესწორებულია ამავე გამო-

ცემის III ტომში, რომელიც ი.გრიშაშვილმა მოამზადა. (წერეთელი 1940: 699).

როგორც აღნიშნეთ, პირველი ტომი მოიცავს პოეტის ყველა თარიღიან ლექსს 1859-1914 წ.წ. უთარიღო ლექსები, თარგმნები და სხვა, მეორე ტომშია შეტანილი. ამავე ტომშია წარმოდგენილი კომენტარები და შენიშვნები. ცხადია, ამგვარი განლაგება მეტად მოუხერხებელია. ნარკვევში „აკაკი წერეთლის ლექსები (კომენტარი, ტექსტის ისტორია, ქრონოლოგია), რომელიც ერთვის მეორე ტომს, (წერეთელი 1941: 621), „აკაკის ლექსების გამოცემის ისტორიიდან“ წარმოდგენილია სრული სურათი, რამდენი ლექსი შეემატა ამ ახალი გამოცემით პოეტის მემკვიდრეობას. „ჩვენი გამოცემის წყაროები“ – ამ ქვეთავში დასახელებულია ავტორის სიცოცხლისდროინდელი ყველა ის გამოცემა, რომლებიც საფუძვლად დაედო შვიდტომეულს. აქვეა ნაჩვენები ავტოგრაფები და სხვა ხელნაწერი წყაროები. „გამოცემის გეგმაში“ შემდგენლები განიხილავენ ნაწარმოებთა ქრონოლოგიურ-ჟანრობრივი განლაგების აუცილებლობას.

ქრონოლოგიის შესახებ უთითებენ, რომ „აღნიშნული გვაქვს თითოეული ლექსის პირველად დაბეჭდვის თარიღი, ხოლო როდესაც ეს შესაძლებელია დადგენილ იქნას, აღნიშნული გვაქვს ლექსის დაწერის თარიღიც“ (წერეთელი 1941: 628)

დედნები: „ყოველი ლექსის შესახებ აღნიშნული გვაქვს ყველა ძირითადი დედნები, რომელთა მიხედვით დავადგინეთ თითოეული ლექსის ტექსტი“.

ტექსტის დადგენის პრინციპი: „ყოველი ლექსის გამოცემას საფუძვლად უდევს უკანასკნელი, ავტორის მიერ პუბლიკაცია ლექსისა (განსაკუთრებით ანგარიშს ვუწვევდით 1893 და 1912-13 წ.წ. ავტორიზებულ გამოცემებს და აკაკის შურნალ „კრებულში“ დაბეჭდილ ტექსტებს). დანარჩენი დედნები (მათ შორის ავტოგრაფები) მიღებული გვქონდა, როგორც საკონტროლო მასალა. ამ დანარჩენი დედნების მიხედვით აღდგენილი გვაქვს დაზიანებული ადგილები. აგრეთვე, ცენზორის მიერ დამახინჯებული ადგილები (წერეთელი 1941: 628).

ვარიანტები: „ჩვენ ჩავატარეთ შედარება აკაკის ლექსების ყველა დედნებისა, მაგრამ მოყვანა შენიშვნებში ყველა იმ სტილისტური ვარიანტებისა, რომელსაც შეიცავენ დედნები, შორს წაგვიყვანდა. ეს საგრძნობლად გაზრდიდა ჩვენი ისედაც ვრცელი შენიშვნების ფარგლებს. ჩვენ დავეკმაყოფილდით იმით, რომ ის ლექსები აკაკისა, რომლებიც უფრო მნიშვნელოვნად არის გადამუშავებული პოეტის მიერ და განსხვავებულ რედაქციას წარმოადგენენ, მთლიანად დაგებუდეთ ჩვენი გამოცემის მეორე ტომში. ხოლო ცალკეული სტილისტური ვარიანტები, სიტყვების წაკითხვის სხვაობა, და სხვა ასეთი დეტალები აღარ მოგვიყვანია შენიშვნებში (წერეთელი 1941: 629).

აკაკი წერეთლის თხზულებათა შვიდტომეულს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ გამოცემას დიდი მოწონებით შეხვდა საზოგადოება. იმდროინდელი პერიოდულ პრესაში მას სათანადო გამოსმაურება მოჰყვა: „აკაკი წერეთლის დიდმა ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ (პირადი წერილების გამოკლებით) შვიდტომეულში პირველად მოიყარა თავი, ხოლო ნაწარმოების ერთი ნაწილი – და არც თუ უმნიშვნელო ნაწილი – საერთოდ პირველად გამომხეურდა. ამ მხრივ, აღნიშნული გამოცემა წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს დიდი ქართველი მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში“. ამ გამოცემით გამოვლინებულ იქნა და ფართო მკითხველისათვის პირველად გახდა ცნობილი აკაკის ორასამდე ორიგინალური ლექსი. შვიდტომეულში პირველად დაიბეჭდა აგრეთვე, რამდენიმე პოემა, პიესა, თარგმანი და სხვ. – აკაკის თხზულებათა დიდი ნაწილი, – განსაკუთრებით კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები, – ადრინდელ პერიოდულ პრესაში იყო გაფანტული და პირველი პუბლიკაციის შემდეგ მწერლის თხზულებათა არც ერთ კრებულში არ შესულა (ჭუმბურიძე 1961: 100).

აკაკი წერეთლის შვიდტომეულის პირველი და მეორე ტომების შემდგენელებს გაუთვალისწინებიათ აკაკის თანამედროვის, არტემ ხანაზაროვის ცნობა, რომ ჟურნ. „თეატრის“ 1886 წ. №1-ში ხელმოუწერლად დაბეჭდილი ლექსი

სები: „ხალხური“ (წერეთელი 194: 364), „გამოცანა“ (წერეთელი 1940: 365) და „მურზაყანის დახასიათება“ ეკუთვნის აკაკის კალამს. ეს მასალა განლაგებულია შესაბამისი ქრონოლოგიური მიმდევრობით I ტომში (გვ.363), ასევე სარწმუნო ცნობადაა მიღებული არტემ ახნაზაროვის მიერ ლექსის „სოფლური“-ს დათარიღება 1884 წლით და არა 1892 წლით, როგორც ეს მანამდე იყო მიჩნეული, (გვ.357) ასევე არტემ ახნაზაროვის გადმოცემულ ავტორაფს ეყრდნობა გამომცემელი ლექსის „მღვდელი და ექიმის“ ბეჭდვისას (წერეთელი 1940: 2)

პროფ. ზ. ჭუმბურიძე განიხილავს აკაკის შვიდტომეულის აღნიშნულ გამოცემას და მიუთითებს ზოგიერთ იმ მასალაზე, რაც გამორჩენიათ I-II ტომების შემდგენელებს, „რევოლუციამდელ ჟურნალ-გაზეთებზე მუშაობის დროს ჩვენ მივაკვლიეთ აკაკის ერთ ლექსს სათაურით „ჩანგი“, რომელიც შეტანილი არ არის პოეტის თხზულებათა არც ერთ კრებულში, ეს ლექსი გამოქვეყნებულია ორკვირეული სალიტ. ჟურნალის „ცხოვრების“ ფურცლებზე (I.VII. 1916, №11)“ ლექსი დაბეჭდილია დასახელებულ წერილში (ჭუმბურიძე 1961: 101).

ზ. ჭუმბურიძის შემდეგი შენიშვნა ეხება შვიდტომეულის II ტომში (გვ.548) დაბეჭდილ ერთ ლექსს „სახსოვარი“, რომელიც დათარიღებულია 1900 წლით „აღბათ იმ მოსაზრებით, რომ პუბლიცისტი ილია ხონელი (ბახტაძე), რომლის ხსოვნასაც ეძღვნება ეს ლექსი, 1900 წელს გარდაიცვალა“ (ჭუმბურიძე 1961: 102). სინამდვილეში ლექსი დაბეჭდილი ყოფილა 1916 წლის 15 თებერვალს ჟურნ. „ცხოვრებაში“ და დათარიღებული ყოფილა ასე „1907 წლის წიგნობისთვის“. ლექსს ახლავს შენიშვნა: „ეს ლექსი აქ ახლა პირველად ისტამბება. ჯერ არსად ყოფილა ის დაბეჭდილი. რედაქტორის თხოვნით, ეს ლექსი დასაბეჭდათ რედაქციას გამოუგზავნა პატივცემულმა სერგეი ლუკას ძე ბახტაძემ“ (ჭუმბურიძე 1961: 102).

იმავე ჟურნალში (ოღონდ უკვე შეცვლილი სახელწოდებით „თავისუფლება“ I.VII 1917, №7) დაბეჭდილი ყოფილა ს.ბახტაძის წერილი „სადღეისო“, რომელიც შეიცავს

მოგონებას აკაკის შესახებ და სხვათა შორის შიგ ჩართულია აკაკის ერთსტროფიანი ლექსიც:

„ისიდორე ქიქოძეო,
ცოტა ჭკუა გვიბოძეო,
გამვლელ-გამომვლელისათვის
გადმოვკიდებ დიდ ბოძეო“.
(ჭუმბურიძე 1961: 102).

აკაკი წერეთლის თხზულებათა შვიდტომეულის გამოცემა საგანგებოდ შეუსწავლია მკვლევარ რუსუდან კუსრაშილს. იგი განიხილავს III და V ტომებს, რომლებიც მოამზადა იოსებ გრიშაშვილმა. „1940 წელს გამოცემულ აკ.წერეთლის თხზულებათა III ტომში ტექსტები ჟანრობრივად არის დალაგებული: პოემები, დრამატული ნაწერები ლექსებად, ნაწყვეტები და ვარიანტები, ისინი ქრონოლოგიური თანამიმდევრობითაა დალაგებული. პოემების ბოლოს მოთავსებულია საბავშვო ზღაპარი. სიჭაბუკისდროინდელი ნაწარმოებები: „ალექსი“ და „მეუდაბნოე“. დრამატულ ნაწერებში ცალკეა გამოყოფილი სატირული ნაწარმოებები „პირუტყვის არჩევანი“ და ყრმობისდროინდელი ნაწერი „ძველი ამხანაგები“.

ი. გრიშაშვილს ტექსტებზე მუშაობის დროს პირველყოვლისა, ყურადღება მიუქცევია ავტოგრაფებისათვის და მათზე დაყრდნობით გაუმართავს და აღუდგენია პოემები: „თამარ ცბიერი“, „პატარა კახის“ ნაწილი და სხვა, მაგრამ ამ ტომს აქვს ნაკლოვანებები“ (კუსრაშილი 1971ა: 65).

შემდეგ მკვლევარი მიუთითებს, რომ ი.გრიშაშვილს პოემა „მოსუცის გრძნობა“, რომელიც იბეჭდებოდა მანამდე დაზიანებულად, აღუდგენია პოეტის დედნების მიხედვით, მაგრამ იქვე შენიშვნებში (გვ. 700) საწინააღმდეგო ცნობას ვაწყდებით. ირკვევა, რომ პოემას არავითარი ავტოგრაფი არ ჰქონია. „ამ შენიშვნაში არ არის ცნობილი, რომელ ტექსტს დაყრდნო გამომცემელი, ან საიდან შეიტანა ტექსტში შესწორება. საფიქრებელია, მან ძირითად ტექსტად 1905 წლის გამოცემა აიღო, მაგრამ 20 ხანა საიდან აღადგინა, ეს მაინც გაურკვეველი რჩება“ (კუსრაშილი 1971ა: 66).

ნარკვევში აღნიშნულია ყველა ის ღირსება, რომლებიც ახლავს ტომს. კერძოდ, ი.გრიშაშვილს აღუდგენია 1884 წლის საცენზურო ხელნაწერის მიხედვით პოემა „თორნიკე ერისთავში“ მთელი რიგი ადგილები. ასევე პირველად დაიბეჭდა სრულყოფილი სახით პოემა „სნეული“. „ასი წლის ამბავი* – ტერმზოვანთ კეკელა“ და სხვ.

ველიცოს „გორის ციხის“ შესახებ კი პირველმა ი.გრიშაშვილმა აღიარა, რომ იგი თარგმანია. მანამდე ეს პიესა ორიგინალურად ითვლებოდა.

შემდეგი შენიშვნა მკვლევარისა ისაა, რომ ხშირ შემთხვევაში გაურკვეველია, თუ რომელ ნაბეჭდ წყაროს ეყრდნობოდა ი.გრიშაშვილი. ასევე თითოეული ნაწარმოების ბიბლიოგრაფიაში წარმოდგენილია მწერლის არა მარტო სიცოცხლისდროინდელი, არამედ სიკვდილის შემდეგდროინდელი ნაბეჭდებიც. ეს კი აკადემიური გამოცემისათვის არაფრისმთქმელია. „შენიშვნებში არსად არ არის განმარტებული საკომენტარო სიტყვები, თუმცა ისინი ტექსტში დიდი რაოდენობით გვხვდება. ასევე არ არის სრულად ტექსტების ვარიანტული წაკითხვები. „ავტორის უკანასკნელი ნება უმეტეს შემთხვევაში გამომცემლისათვის გასაზიარებელი უნდა იყოს. ი.გრიშაშვილს თავის ტექსტოლოგიურ მუშაობაში ეს ორი აუცილებელი კომპონენტი მეტ შემთხვევაში უგულვებლყოფილი აქვს“ (კუსრაშვილი 1971: 67).

მ. დუდუჩავას შენიშვნა დაიმსახურა ი. გრიშაშვილის მიერ აკაკის პოემებში ცალკეული ადგილების შეცვლამ იმიტომ, რომ რედაქტორს არ დაუსახელებია წყარო, რასაც იგი ეყრდნობოდა ამ სწორების დროს (დუდუჩავა 1948: 251). რ. კუსრაშვილი ეთანხმება მკვლევრის ამ შენიშვნებს და აღნიშნავს: „მას რომ შენიშვნებში დასაბუთებულად აღენიშნა, თუ როგორ შეასწორა „მესტამბის“

* პოემა „ასი წლის ამბავი“ სრული სახით არც ერთ გამოცემაში არ გამოქვეყნებულა. იგი დაბეჭდა 2001 წელს წგ-ში “უცნობი აკაკი”, გვ. 64 (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. – ჯ.გ.).

შეცდომები და როგორ აღადგინა აკაკისეული ტექსტი, ვფიქრობთ საყვედურს კი არა, დიდ მადლობას დაიმსახურებდა“ (კუსრაშვილი 1971: 70).

იოსებ გრიშაშვილის საგამომცემლო და რედაქტორული მუშაობა იმდენად დიდია (და არა მხოლოდ აკაკის შემოქმედებაზე), რომ მადლობას ნამდვილად იმსახურებს, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ჩვენც გვაქვს ერთი შენიშვნა:

აკაკის „პატარა კახის“ გამოცემისას ი. გრიშაშვილს დიდი მუშაობა ჩაუტარებია. საიუბილეო კრებულის III ტომის შენიშვნებში (გვ.709). იგი წერს: „წინამდებარე გამოცემაში გასწორდა სამი შეცდომა“:

იყო:

გასწორდა:

- | | |
|---|---|
| <p>1. ასე ამბობენ, იმდენი ხელი სუყველა იმას შესჩერებოდა.</p> <p>2. გივი: ვაი თუ თვითონ ალისკანტია</p> <p>3. დავლურში უნდა გამოვითხოვო, ან უნდა მოვკვდე, ან შევაკვდები“</p> | <p>1. ასე ამბობენ, იმდენი სული სუყველა იმას შესჩერებოდა.</p> <p>2. ბაადურ. ვაი თუ თვითონ ალისკანტია?</p> <p>3. დავლურში უნდა გამოვითხოვო, ან უნდა მოვკლა, ან შევაკვდები“</p> |
|---|---|

მკითხველისათვის გაუგებარია, რას ეყრდნობოდა გამომცემელი ამ სწორებისას. აღნიშნულ საკითხს ვრცლად შევეხეთ ჩვენს ნაშრომში (გაბოძე 2000ბ: 150; აგრეთვე, III თავი, გვ. 77)

„**ორი ქართველი**“ დაიბეჭდა „თხზულებანში“ 1893წ. (ტ. II გვ. 5). ცალკე წიგნად გამოვიდა 1911 წ. („ცოდნას“ გამომცემა) ბიბლიოგრაფიაში (გვ.895) გამოტოვებულია ერთი ნაბეჭდი წყარო, „ჩემი ნაწერები“ II წიგნი, 1913 წ. გვ.216)

საიუბილეო გამოცემის IV ტომში დაიბეჭდა მოთხრობები, რედაქტორი იყო პავლე ინგოროყვა. ტომმა შენიშვნა დაიმსახურა იმ მხრივ, რომ მასში არ იქნა აღდგენილი ცენზურისაგან დამახინჯებული ადგილები. „ჩვენ ვფიქრობთ, რომ თუკი სათანადო დოკუმენტური მასალა ხელთა გვაქვს, დიდ სიძნელეებთან არ არის დაკავშირებული

ცენზურულ დამახინჯებათა გასწორება. მიუხედავად ამისა, წლების განმავლობაში ამგვარი ადგილების აღმდგენლად იბეჭდებოდა აკაკის მრავალი ნაწარმოები, ხოლო მოთხრობები „პატარა ტარიელი“, „ოქროს წყაროს ზღაპარი“, „ვარდი და ეკალი“ და სხვა აკადემიური გამოცემის შვიდტომეულშიც იმგვარი მოცულობითაა წარმოდგენილი, როგორც ის ცენზორს გაუშვია“ (კალაძე 1961: 35).

საგანგებო წერილი მიუძღვნა პროფ. ზურაბ ჭუმბურიძემ შვიდტომეულის მეექვსე ტომის განხილვას. მასში ჩამოთვლილია რიგი წერილებისა, რომლებიც ვერ შევიდა მეექვსე ტომში. მაგ. „მცირე შენიშვნა“ („კვალი“, 1901 წ. № 11) „რეცენზენტის ხვანცარიკი“ (ივერია“, 1904, № 35) „სომხური წარმოდგენა 14 სექტემბერს“ („დროება“, 1879, №192) და სხვ. „ტომში წარმოდგენილი აკაკის კრიტიკული და პუბლიცისტური ნაწერები შესწორებულია ნაწილობრივ და გამართულია თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით. ტომს როგორც წესი, დართული აქვს რედაქტორის შენიშვნები, მაგრამ ეს შენიშვნები ყველა წერილს არ ერთვის და ზოგი სრულიად უკომენტაროდ არის დაბეჭდილი. ჩანს, ლ. ასათიანს ვერ მოუსწვრია მისი კომენტირება“ (ჭუმბურიძე 1958: 4).

აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის სა-რედაქციო კოლეგია ვარაუდობდა, რომ VII ტომში წარმოდგენილი იქნებოდა აკაკის პირადი მიმოწერა. მაგრამ ამ გეგმის განხორციელება ვერ მოხერხდა. ასევე ვერ მოხვდა ტომებში სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული თუ მხოლოდ ხელნაწერების სახით დაცული საკმაოდ ბევრი კრიტიკული და პუბლიცისტური წერილიც. მაგ. ორი ასეთი წერილის შესახებ უთითებს ს. სხირტლაძე. ეს წერილებია: 1) „აკაკის სიტყვა გაბრიელ ქიქოძის პანაშვიდზე გელათის მონასტერში 1897 წელს“. გამოქვეყნდა კრებულში „სულმნათი გაბრიელის საუნჯე“ (ქართველი ნოქრების გამოცემა, ქუთაისი, 1907 წ.); 2) უსათაურო ფელეტონი, რომელიც დაიბეჭდა გაზ. “შრომაში“ 1881წ. 9 დეკემბერს. ამ ფელეტონს წინ უძღვის ინიციალებით აკაკის ლექსი „ოცნება თარზე“ (სხირტლაძე 1960: 3).

როგორც პროფ. ზურაბ ჭუმბურიძე შენიშნავს, კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებს შორის წარმოდგენილი არ არის აგრეთვე აკაკის ის შრომები, რომლებიც ხელნაწერების სახითაა დაცული. მაგ: „სიტყვა ნინობას ქალთა საზოგადოებაში“ (ხელნ. ინსტ. აკაკის ფონდი, №210), „პოლონეთს დავეხმაროთ“ (იქვე, №195). „ჭეშმარიტების ადგინება“ (დაცულია სანხერეში, მწერლის სახლ-მუზეუმში №712)), ასევე გამოტოვებულია მთელი რიგი წერილებისა რუსულ ენაზე: „Речь к украинцам,“ (№256), „Автокефалия Грузинской церкви“, (№ 258), „Речь к экзарху“ (№ 259), „О русско-грузинских отношениях“ (№ 260) და სხვ. ეს ხელნაწერები ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტის აკაკის ფონდში.

ასევე არ შესულა მეშვიდე ტომში აკაკის ნაშრომი „Несколько слов в пользу оригинальности „Барсовой кожи““. ეს ნაშრომი აღმოჩნდა ლენინგრადის ოლქის ისტორიულ არქივში.

შვიდტომეულში არაა შეტანილი აგრეთვე აკაკის სიტყვა სვანეთის გლეხთა შეიარაღებული აჯანყების მონაწილეთა დასაცავად 1876 წ. 1 დეკემბერს. ეს სიტყვა მოთავსებული სამხედრო საველე სასამართლოს პროცესის ანგარიშში, გამოაქვეყნა ა. კლიმიაშვილმა 1945 წ. (საისტ. მოამბე, №1) (ჭუმბურიძე 1961: 103-104).

ზ. ჭუმბურიძის წერილში საგანგებოდაა განხილული ტექსტის დადგენის საკითხი საიუბილეო გამოცემაში. მკვლევარი თვლის, რომ ამა თუ იმ ტექსტის დადგენისათვის მთავარია დავადგინოთ ავტორის ხელიდან გამოსული ტექსტის საბოლოო სახე, მწერლის ბოლოდროინდელი დამოკიდებულება ამ ტექსტის მიმართ. „საიუბილეო გამოცემა ემყარება ავტორისეულ უკანასკნელ პუბლიკაციას. ავტოგრაფებს კი მხოლოდ საკონტროლოდ იყენებს, მაშინ როდესაც ავტოგრაფს უპირატესობა ეძლევა ძირითადი ტექსტის დადგენისათვის“ (ჭუმბურიძე 1962: 226).

მკვლევარი თვლის, რომ თუ ავტოგრაფი ნაწარმოების საბოლოო სახეს წარმოადგენს და შემდგომ აღარ განუცდია ტექსტს ცვლილება მაშინ, ბუნებრივია, შეიძლება მასზე დაყრდნობა. მაგრამ თუ ავტოგრაფის შემდგომ გადამუშავდა ტექსტი, მაშინ უნდა დავადგინოთ რატომ, რა

მიზნით იქნა ესა თუ ის ცვლილება შეტანილი მასში? განხილულია მაგალითად ლექსი „კანდელისადმი“, რომლის ავტოგრაფი აუღიათ გამომცემლებს ძირითად ტექსტად, თუმცა ლექსმა წლების მანძილზე განიცადა ცვლილება. ზ. ჭუმბურიძე თვლის, რომ ეს ლექსი უსათაუროდ უნდა დაბეჭდილიყო.

ასევე ვაღიარებ ვალდებული ვარ გამომცემელი, აღნუსხოს ყველა ის ცვლილება, რომლებიც იქნა შეტანილი ტექსტში. ლექსიკური იქნება ის, თუ გრამატიკული. ამ მხრივ, კი შვიდტომეულში ორთოგრაფიული ცვლილებების თაობაზე არაფერია ნათქვამი. ამ რიგის განსხვავებანი ვარიანტებში არ არის აღნუსხული, თუმცა თვითონ ტექსტში კი ამგვარი ცვლილებანი საკმაოდაა შეტანილი, რაც ერთგვარ უხერხულობასა და გაუგებრობას ბადებს“ (ჭუმბურიძე 1962: 227)

ასეთია, ზოგადად აკაკი წრეთლის თხზულებათა შვიდტომეულის მოკლე მიმოხილვა. მიუხედავად არსებული ხარვეზებისა, ეს გამოცემა უადრესად მნიშვნელოვანი იყო, რადგან ის იყო მწერლის თხზულებათა პირველი სრული კრებული, ანუ ამ გამოცემათა მეორე საფეხური, რაც შემდგომში აკადემიური გამოცემისათვის სახელმძღვანელო გახდა, თუმცა გარკვეული ხნის განმავლობაში (1950-1961 წ.წ.) ეს ორი გამოცემა ერთდროულადაც კი იბეჭდებოდა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
რეზიუმის სახელმძღვანელო ლიტერატურის სტორიის ინსტიტუტი

აკაკი წერეთელი

თხზულებათა სკული
კვებული
თხუთვი ბრძანად



საქართველოს სსრ სახელმწიფო ბაიბლიოთეკა
14 - თბილისი - 56

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
რეზიუმის სახელმძღვანელო ლიტერატურის სტორიის ინსტიტუტი

აკაკი წერეთელი

ბრძ
VI

დრამატული ნაწერები
ლექსად

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბაიბლიოთეკა
14 - თბილისი - 56

§ 3 აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად (1950-1963 წ.წ.)

1950 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა დაიწყო აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა თხუთმეტ ტომად. როგორც აღვნიშნეთ, ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული აკაკის ნაწერების საიუბილეო შვიდტომეულის გამოცემა. თხუთმეტტომეულის გამოსაცემად შედგა სარედაქციო კომისია და ინსტიტუტის მეცნიერთა დიდი შრომის შედეგად 1950 წელს გამოვიდა I და II ტომები. I ტომი მოიცავდა – 1859-1879 წ.წ. დაწერილ ლექსებს, II ტომში შევიდა – 1880-1900 წ.წ. ლექსები. III ტომი (1954 წ.) შედგებოდა 1901-1914 წლებში დაწერილი ლექსებისაგან. 1955 წელს გამოვიდა IV ტომი, რომელშიც შევიდა აკაკის მიერ გადმოკეთებული და თარგმნილი ლექსები, უთარიღონი, ყრმობისდროინდელი ლექსები, ნაწვევტები, დამატებანი. ამ ოთხი ტომის რედაქტორი იყო ვიორჯი აბზიანიძე. 1956 წელს გამოვიდა V ტომი (პოემები); იმავე წელს VI ტომი (დრამატული ნაწერები ლექსად), ორივე ტომი მოამზადა და რედაქტორობდა იოსებ გრიშაშვილი. 1958 წელს გამოვიდა აკაკის თხზულებათა VII და VIII ტომები, რომლებშიც შევიდა მწერლის მხატვრული პროზა. ტექსტები და ვარიანტები მოამზადა აკაკი კენჭოშვილმა, რედაქტორი იყო გ. აბზიანიძე. შემდეგ ტომებში IX-X გაერთიანდა დრამატული ნაწერები (ორიგინალური და თარგმანები). XI-XIV ტომებით წარმოდგენილი იყო აკაკის შესანიშნავი პუბლიცისტიკა, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილის თავმოყრა შეძლო მწერლის თხზულებათა შვიდტომეულმა. ამდენად, ამ ტომებით პირველად იქნა გამოქვეყნებული აკაკის მდიდარი პუბლიცისტური ნაწერები. ბოლო XV ტომის გამოსვლით, 1963 წელს, დასრულდა აკაკი წერეთლის თხზულებათა ამ შესანიშნავი კრებულების გამოცემა. აღნიშნულ ტომში გაერთიანდა

აკაკის ეპისტოლური მემკვიდრეობა და რუსულენოვანი თარიღიანი და უთარიღო თხზულებანი და ახალგაზრდობის პერიოდის ნაწერები 1864-1865 წ.წ.) ამ ტომის რედაქტორი იყო გიორგი აბზიანიძე.

აღნიშნულ გამოცემაში აკაკი წერეთლის შემოქმედება სრულყოფილად და მეცნიერულად იყო წარმოდგენილი. მასში მასალა განლაგდა ჟანრობრივ-ქრონოლოგიური პრინციპით. ტომებს ერთვოდა შენიშვნები, ვარიანტები და კომენტარები. I ტომის დასაწყისში სარედაქციო წერილის შემდეგ დაიბეჭდა გიორგი აბზიანიძის ბიოგრაფიული ნარკვევი – „აკაკი წერეთელი“, რომელშიც ვრცლადაა განხილული დიდი მწერლის შემოქმედება და მოცემულია მისი პოეზიის იდეურ-მხატვრული შეფასება.

აკაკის თხზულებათა თხუთმეტტომეულის სარედაქციო წერილში მითითებული იყო, რომ „რედაქციამ დიდი მუშაობა ჩაატარა აკაკის როგორც ხელნაწერი, ისე ნაბეჭდი ფონდების გამოვლინებისათვის. ამ მიზნით შესწავლილ იქნა საქართველოს სიძველეთსაცავებში და მოსკოვ-ლენინგრადის არქივებსა და მუზეუმებში დაცული მასალები“ (წერეთელი 1950ა: 6) გამოცემის რედაქტორი გ. აბზიანიძე მიუთითებდა, რომ „აკაკი წერეთლის ყოველი თხზულება შედარებულია არსებულ ავტოგრაფთან, ასლთან და ნაბეჭდ ტექსტებთან. ძირითადი ტექსტის დადგენისას ჩვენ უპირატესობას ვაძლევდით აკაკის ავტოგრაფს და პოეტის სიცოცხლეში დაბეჭდილი თხზულების უკანასკნელ რედაქციას.“ (წერეთელი 1950ა: 399).

აკაკი წერეთლის თხზულებათა თხუთმეტტომეულის გამოსვლას დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რადგან ეს იყო მწერლის აუხდენელი ოცნების განხორციელება. ბოლოს და ბოლოს, ქართველმა საზოგადოებამ იხილა აკაკის სრული შემოქმედება 15 ტომად გამოცემული. პრესაში იბეჭდებოდა წერილები, შენიშვნები, აკაკის შესახებ მოგონებები და ზოგჯერ – ახალი, გამოუქვეყნებელი მასალებიც. დადებითი შეფასება მიეცა ამ გამოცემას, თუმცა აღნიშნული იყო ის ნაკლოვანებანიც, რომლებიც გააჩნდა თითოეულ ტომს. ჩვენთვის ცნობილია, ყველა მათგანი, ბევრს ვეთანხმებით და ვიზიარებთ, ზოგს არასწორ შე-

ხედულებად მივიჩნევთ. ჩვენს ნაშრომში შევეცდებით მოკლედ მიმოვიხილოთ აკაკის თხუთმეტტომეულის შესახებ არსებული მოსაზრებანი, თუმცა ყველა მათგანის წარმოდგენა შეუძლებელია და მათ მხოლოდ ლიტერატურის სიაში მივუთითებთ. ამ გამოცემის შესახებ არსებულ ყველა მოსაზრებასა და შენიშვნას, ბუნებრივია, იცნობენ აკაკის თხზულებების აკადემიური გამოცემის შემდგენლები. მათ ასევე გათვალისწინებული და შესწავლილი აქვთ ყველა ის მასალაც, რომლებიც თხუთმეტტომეულის გამოსვლის შემდეგ გამოვლინდა, არადა, ასეთი საკმაოდ ბევრია. ამ შემთხვევაში ჩვენ გვსურდა, კიდევ ერთხელ მოგვეყარა მათთვის თავი და ასევე გაგვეზიარებინა ჩვენეული დაკვირვებანიც.

ერთ-ერთი ვრცელი გამოკვლევა აკაკის თხუთმეტტომეულის შესახებ ეკუთვნის პროფ. ზურაბ ჭუმბურიძეს. წლების მანძილზე იგი პერიოდულ პრესაში აქვეყნებდა თავის დაკვირვებებსა და შენიშვნებს აკაკის თხზულებათა გამოცემების შესახებ. „აკადემიურ გამოცემაში დაბეჭდილია ბევრი ისეთი ნაწარმოები, რომელიც ადრე არ შესულა მწერლის თხზულებათა არც ერთ კრებულში, ან საერთოდ არ ყოფილა გამოქვეყნებული.“ მეორე ღირსება გამოცემისა ესაა ვარიანტულ სხვაობათა სრული სურათის ჩვენება, ტომს დართული აქვს შენიშვნები, სადაც განხილულია აკაკის მრავალი ნაწარმოების შექმნის ისტორია, ამოხსნილია მთელი რიგი ინიციალები და დაშიფრული პიროვნებანი. მოცემულია ცნობები ტექსტში ნახსენებ ისტორიულ პირთა შესახებ. აკადემიური გამოცემის რედაქციას და კერძოდ, მთვარ რედაქტორს გ. აბზიანიძეს დიდი მუშაობა გაუწევიათ აკაკის პირადი წერილების გამოსავლენად და შესასწავლად. ამ მუშაობის ნაყოფია ის 250-მდე კერძო წერილი, რომლებიც თავმოყრილია თხზულებათა XV ტომში. ამ წერილების უდიდესი ნაწილი ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის პირველად ხდება ცნობილი“ (ჭუმბურიძე 1982: 91-92).

ერთ-ერთი შენიშვნა, რომელსაც აკაკი წერეთლის თხზულებათა თხუთმეტტომეულის შესახებ გამოთქვამს რ. კუსრაშივილი, ეხება საკითხს, თუ „როგორ იცავს იგი

აკადემიური გამოცემისათვის თხზულებათა განლაგების წესს. I-IV ტომში მოთავსებულია ლირიკა, რომელიც დაჯგუფებულია ასე: პირველად მიდის ორიგინალური ლექსები, მას მიჰყვება ნათარგმნი ლექსები და ბოლოს მოთავსებულია ყრმობისდროინდელი ლექსები. ორიგინალური ლექსებიდან ჯერ თარიღიანი ლექსებია, რომლებსაც შემდეგ უთარიღონი მოსდევს. უმჯობესი იყო აკადემიურ გამოცემაში ეს ლექსები ასე დალაგებულიყო: ყრმობისდროინდელი ლექსები, შემდეგ ქრონოლოგიურად მათი მომდევნო ლექსები, უთარიღონი და ბოლოს თარგმანები. აკაკი წერეთლის აკადემიური გამოცემის პირველ ოთხ ტომში, მაშასადამე, დარღვეულია როგორც ნაწარმოებთა განლაგება, ისე ქრონოლოგიური პრინციპი. V-VI ტომებში შედის ჯერ პოემები, შემდეგ გადმოკეთებული და აღრეული ნაწერები. ამ უკანასკნელშიც აღრეულია ქრონოლოგია. ჯერ დაბეჭდილია „გორის ციხე“ (1892 წ.) შემდეგ „მეუდაბნოე“ (1889 წ.) და ბოლოს „აღექსი“ (1869 წ.) (კუსრაშვილი 1971ბ: 128-129) საგულისხმო შენიშვნაა ის, რომ „გამოცემის ძირითად ტექსტებს ცალკე დამოუკიდებელ ტექსტებად მოსდევს მათი რედაქციები და ვარიანტები და ნაწყვეტები. ბუნებრივია, ისინი ტომს ბოლოს უნდა ერთვოდეს, მაგრამ ძირითადი ტექსტების ვარიანტები რომ კვლავ დამოუკიდებელ ლექსებად იბეჭდება, ეს მიზანშეწონილი არ არის“ (კუსრაშვილი 1971ბ: 128-129).

მკვლევარის შემდეგი შენიშვნა ეხება პროზის VII ტომს, რომელშიც ასევე დარღვეულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობა, (ჯერ დაბეჭდილია „ჩემი თავგადასავალი“ და „ბაში-აჩუკი“ და შემდეგ სხვა მოთხრობები) თუმცა „პუბლიცისტურ წერილებში კი ზუსტადაა დაცული ქრონოლოგიური თანმიმდევრობა“ (კუსრაშვილი 1971: 129).

თუმცა იქვე აღნიშნავს იმ დიდ ღირსებას, „რაც ვარიანტების სრულად წარმოდგენაა: „ჯერჯერობით არც ერთი ქართველი მწერლის თხზულებათა კრებული არ გამოცემულა ვარიანტების ასეთი სრული და დაწვრილებითი ჩვენებით, რაც საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ მწერლის

შემოქმედებით ლაბორატორიას და ამა თუ იმ ნაწარმობის გამოქვეყნების ისტორიას (ჭუმბურიძე 1959: 3).

ვარიანტების აღნუსხვის მხრივ ერთ-ერთ საუკეთესო გამოცემად თვლის ც.კალაძე აკაკის თხუთმეტომეულის გამოცემას. „თუმცა ამ გამოცემაშიც ერთი პრინციპი დაცული არაა: პირველი ოთხი ტომის სამეცნიერო აპარატი ისე განსხვავდება მე-5-6 ტომებისაგან, თითქოს ისინი ორ სხვადასხვა გამოცემას ეკუთვნოდნენ“ (კალაძე 1961: 378).

ამრიგად, მკვლევართა საერთო მოწონებას იმსახურებს აკაკი წერეთლის თხზულებათა თხუთმეტომეულში ნაწერების ჟანრობრივ-ქრონოლოგიურ განლაგების პრინციპი, თუმცა ამ მხრივაც იყო შენიშვნები. ასევე მოსაწონია კარგად მომზადებული სამეცნიერო აპარატი: ვრცელი შენიშვნები, კომენტარები და ვარიანტები.

როგორც პროფ. ზურაბ ჭუმბურიძე მიუთითებს: „პირველად აკადემიურ გამოცემაში დაიბეჭდა ლექსები: უსათაურო („ხანდახან ცეცხლი გაქრება“ ტ. II გვ. 169) და „თინას“ (ტ. III. გვ. 403) ...უსათაურო ლექსი („დიდფურანთ ყროყინას“, ტ. III, გვ. 214), რომელიც გამოქვეყნებული იყო ჟურნ. „ხუმარაში“ (1907, №1) და შემდეგ არც ერთ კრებულში არ შესულა. ასევე „ზოგიერთების მამაო ჩვენო“. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ორი უსათაურო ლექსი („ქართულზედ რომ ხელს იღებენ“ და „ზემოური იმერელი“), ჩართული ჟურნ. „ცისკრის“ (1862, №5) ფელეტონში „ახირებული ფურცელი“, რომელიც ხელმოწერილია „თერგდალეულის“ ფსევდონიმით. ახალი გამოცემის რედაქტორის გ. აბზიანიძის მტკიცებით, ეს ფელეტონი შიგ ჩართული ლექსებითურთ აკაკის კალამს ეკუთვნის. ლექსების ფორმა და საერთო ხასიათი ეჭვს არ იწვევს, რომ მათი ავტორი მართლაც აკაკი უნდა იყოს“ (ჭუმბურიძე 1961: 101).

ზ. ჭუმბურიძისავე წერილში დასახელებულია ის მოთხრობები („ბროწეულის წყარო“, „ბენია და ბეშტია“, „ბეშტია და ბენია“, „სოფელ აღის აოხრება“, „როგორ გადაჰყვა თავადი გოჯასპირ თავის უღვაშებს“), რომლებიც პირველად არის შეტანილი აკადემიური გამოცემის VIII ტომში.

მკვლევარმა რუსუდან კუსრაშვილმა საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა იოსებ გრიშაშვილის რედაქტორულსა და საგამომცემლო საქმიანობას. სხვებთან ერთად ნაშრომში ვრცლადაა წარმოდგენილი აკაკის თხზულებათა თხუთმეტომეულის V და VI ტომების ტექსტოლოგიური ანალიზი. როგორც ცნობილია, ამ ტომების რედაქტორი იყო ი. გრიშაშვილი.

ტომებში ნაწარმოებთა განლაგების შესახებ რ. კუსრაშვილი აღნიშნავს, რომ „აქაც ჩანს ის არასწორი პრინციპი, რომლის მიხედვითაც ტექსტის ნაწყვეტები და ვარიანტი ტექსტები ცალკეა გამოყოფილი. ფაქტიურად, ისინი უნდა მოთავსებულიყო ძირითადი ტექსტების შენიშვნებში და არა ტომის მთავარ ნაწილში დამოუკიდებელ ნაწარმოებად. ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო V ტომში 1940 წლის გამოცემებიდან არ არის შეტანილი „ანდრია პირველწოდებული“, „სნეული“, „ასი წლის ამბავი-ტერმშოვანთ კეკელა“ და „წმინდა ნინო“. 1956 წელს აკ.წერეთლის თხზულებათა VI ტომიც იმავე მეთოდებით არის გაკეთებული. მასში ბევრი მეტად საინტერესო დაკვირვებები და ცნობებია მოცემული, ბევრი ადგილია აღდგენილი და ტექსტების მეტი ნაწილი სრულად იბეჭდება.. მაგ. გასწორებულია და სავსებით აღდგენილია ი. გრიშაშვილის მიერ „თამარ ცბიერის“ ტექსტი. „პატარა კახშიც“ სამი ადგილი გასწორდა, მაგრამ საიდან იყო ეს სწორება, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი... კარგად არის გაკეთებული „ვორონცოვის“ შენიშვნები“. თუმცა რეცენზენტისათვის გაუგებარია ტომის რედაქტორის ი. გრიშაშვილის შემდეგი განცხადება: „არსებობს აკაკის ერთი დავიწყებული ლექსი, ქართულად იგი დაბეჭდილი არ გვინახავს. ლექსის სათაურია „სავარცხელი“ (გვ. 396) ამას წერს 1956 წელს. 1940 წლის გამოცემაში კი მის მიერ „სავარცხელი“ დამოუკიდებელ ლექსად მიდის გამოცემის ძირითად ნაწილში. მე-6 ტომში იგი მხოლოდ „ვორონცოვის“ „მონათესავე ლექსად სცნო ი. გრიშაშვილმა და ტომის ძირითადი ნაწილიდან შენიშვნებში გადაიტანა“ (კუსრაშვილი 1971ა: 70-74).

დიდხანს შეიძლება გაავარძელოთ ამ გამოცემის განხილვა, რადგან აკაკის თხზულებათა თხუთმეტომეული ამის საშუალებას ნამდვილად იძლევა. მასალის სრულყოფისა და სამეცნიერო აპარატის მხრივ, მანამდე ამგვარი გამოცემა არ არსებობდა.

ჩვენ ვიზიარებთ ამ გამოცემის დადებით შეფასებას მეცნიერთა და მკვლევართა მიერ და ასევე ვეთანხმებით ბევრ შენიშვნას. მაგრამ, როგორც მივეუთითებდით, ყოველი მათგანის დამოწმება და ციტირება არაა მხოლოდ ჩვენი ნაშრომის მიზანი. ამიტომაც დაგვიყოფილდით ამ გამოცემის შესახებ არსებული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვით. როგორც აღვნიშნეთ, დღეისათვის გამოვლენილი ყველა ახალი მასალა და ამ გამოცემის შესახებ არსებული შენიშვნები გათვალისწინებული იქნება აკაკის თხზულებათა ახალ აკადემიურ გამოცემაში, რაც ბუნებრივია, ხელს შეუწყობს ამ გამოცემის სრულყოფას.

ამდენად, გვსურს, წარმოვადგინოთ ჩვენ მიერ მოძიებული და მიკვლეული ახალი მასალები, რომლებიც გამორჩა თხუთმეტომეულში და სხვა გამოცემებში. ამ მასალას ემყარება ჩვენი შეხედულება აკადემიურ გამოცემებში ძირითადი ტექსტის დადგენის საკითხზე, იმ წყაროებზე დაყრდნობით, რომელთა შესწავლაც მოგვიხდა და რამაც მოგვცა საფუძველი, რომ ეს ტექსტები გვეღიარებინა ახალი აკადემიური გამოცემის ძირითად ნაბეჭდ წყაროებად.

აქვე წარმოვადგენთ აკაკის უცნობი პოემის „ასი წლის ამბავი“ შემოქმედებით ისტორიას და შექმნის თარიღს.

1902 წელს აკაკიმ გამოაქვეყნა მე-4 ნაწილი ლექსისა „პროზიდან ბოდვა“, სათაურით: „პოემიდან ბოდვა“. თამაზ კვაჭანტირაძის მიერ მიკვლეული ამ ლექსის უცნობი შვიდი სტროფისა და ახალი ვარიანტის მიხედვით, შევეცადეთ, დაგვედგინა ნაწარმოების უანრი.

ჩვენ მიერ მიკვლეული მასალების გათვალისწინებით შევეცადეთ, დაგვეთარიღებინა აკაკის ზოგიერთი ნაწარმოები, თუ პუბლიცისტური და პირადი წერილი.

ჩვენ მიერ გამოვლენილი რამდენიმე პირადი წერილი, ვფიქრობთ, გაამდიდრებს აკაკის ეპისტოლარულ მემკვიდრეობას.

აქვე გვსურს საგანგებოდ ვიმსჯელოთ აკაკის ენისა და სტილის შესახებ, რა პრინციპებია გატარებული პროექტის თხზულებათა თხუთმეტომეულში ამ მხრივ და რამდენად მართებულია ისინი.

თ ა ვ ი ი

აკაკი წერეთლის თხზულებათა გამოცემის ისტორია და ტექსტოლოგიური ანალიზი (70-80-იანი წლები)

1860 წელს ჟურნალ „ცისკრის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა ლექსი „საიდუმლო ბარათი“, რომელსაც ხელს აწერდა საზოგადოებისათვის მანამდე უცნობი ახალგაზრდა პოეტი აკაკი წერეთელი. თუმცა ეს არ ყოფილა მომავალი დიდი პოეტის ლიტერატურული დებიუტი. იგი უფრო ადრეც ბეჭდავდა ლექსებს „ცისკარში“, მაგრამ არც ერთ მათგანს აკაკის ხელმოწერა არ ახლდა. აი, რას წერს აკაკი ამ ლექსის შესახებ: „ეს ლექსია, რომელიც პირველად გამოქვეყნდა ჩემი სახელით და გვართ. მანამდე კი უსახელოდ ვბეჭდავდი. ვერც ამ ლექსზე ვბეჭდავდი ჩემი ვინაობის გამოცხადებას, მაგრამ ჩემდა შეუტყობლად მოხდა. დაებეჭდა „ცისკრის“ რედაქტორს და თავისთავად მოეწერა ჩემი სახელი და გვარი“ (წერეთელი 1912: 64). ამის შემდეგ ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე წლების განმავლობაში უკვე ინტენსიურად იბეჭდებოდა აკაკი წერეთლის ლექსები და პუბლიცისტური წერილები (ჭრელაშვილი 1999: 95; ევგენიძე 1999: 54). იგი აქტიურად თანამშრომლობდა აგრეთვე, გაზ. „დროებასა“ და „ივერიაში“.

Handwritten signature

899.962-1

ჩონგური

ნ. ბარათაშვილის, ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლისა

ა

სხვა მწერლების

დექსების კრება,

შედგენილი

კ. დორთქიფანიძისაგან.

F 130

K 34.726

«ცუდად რომ მაინც არ ჩაივლის ეს
განწირულის სულის კვეთება!»
ნ. ბარათაშვილი.



შეტკებურდი.

1864.

სამეცნიერო აკადემიის ტიპოგრაფიაში.

500 (17x12) 50067

§ 1 „ჩანგურის“ გამოცემის ისტორიიდან

1864 წელს პეტერბურგში გამოდის კირილე ლორთქიფანიძის მიერ შედგენილი პოეტური კრებული, რომლის სრული სახელწოდება ასეთია: „ჩანგური“ ნ. ბარათაშვილის, ილ. ჭავჭავაძის, აკ.წერეთლისა და სხვა მწერლების ლექსების კრება“. ეს იყო იმდროინდელი ქართული პოეზიის პირველი ანთოლოგია, რომლის გამოსვლასაც დიდი აღტაცებით შეხვდა საზოგადოება.

1865 წლის „ცისკრის“ № 92ში დაიბეჭდა აკაკი წერეთლის სტატია: „რამოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ“. ავტორი აღფრთოვანებულია ამ კრებულის გამოსვლით და გთავაზობს მის ლიტერატურულ-კრიტიკულ ანალიზს. იგი დიდ შეფასებას აძლევს წიგნს: „ჩანგური არის პირველი წიგნი, რომელსაც ასხია ქართული ხორცი, უდგია ქართული სული, სტირის და კვნესის ქართველების კვნესით“. ამ წერილში აკაკი იძლევა ნ. ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ღრმა ანალიზს და არსებითად ამ ავტორთა პირველ რეცენზენტად და კრიტიკოსადაც გვევლინება. აღნიშნულთან ერთად, მწერალი ეხება მწვავე პრობლემასაც – ლიტერატურული კრიტიკის არარსებობას საქართველოში.

კ. ლორთქიფანიძის მიერ გამოცემულ კრებულში დაიბეჭდა აკაკის 12 ნაწარმოები. „ჩანგურმა“ პირველად გააცნო მკითხველს აკაკი წერეთლის პოეტური ნაწარმოებები ერთად თავმოყრილი და ასე ვრცლად წარმოდგენილი. ერთობ მნიშვნელოვანია კ. ლორთქიფანიძის მიერ დაწერილი განმარტებანი იმ ლექსებისა, რომლებიც დაიბეჭდა კრებულ „ჩანგურში“. ლექსები დათარიღებულია და შეიცავს კომენტარებს: 1. **მოგონება** – თორმეტი ტაეპი არის. 63 წ.; 2. **ამაო ძებნა** – ათი ტაეპი 60 წ. ეს ჭავჭავაძის არაგვის გამო არის დაწერილი; 3. **ზღაპარი** – სამოცდასამი სტრიქონია. 62 წ.; 4. **ფუტურთ** – სამი ტაეპი, 9 იანვარი. 62 წ. ვის გამო დასწერა არც მას უთქვამს და ვერც ჩვენ სტუდენტებმა გავიგეთ. თუ მას ვინმე მიზანში ამოღებული ჰყავდა, მხოლოდ ის მიხვდებოდა და, რასაკვირველია, არაფერს იტყოდა. 5. **ფარისეველი** – პოემიდგან

რუსეთუმე, 6 იანვარი, 62 წ. 36 სტრიქონი. ეს არის დაწერილი, როგორც ის ამბობდა ექვთიმე წერეთელზე, გიორგი წერეთლის მამაზე, მაგრამ მე ძალიან ვეჭვობ ამას, იმ დროს დარწმუნებული ვიყავი და ახლაც კიდევ უფრო მჯერა, რომ ეს ლექსი თვით აკაკის მამას შეეხება. ერთობ გაჭირვებულად ცხოვრობდა აკაკი პეტერბურგში და მის ახლო-მახლო აგარებში და მამის სახელი რომ ეხსენებია, ცუდად ჩამოართმევდნენ. ამას უნდა დავამატო კიდევ, რომ აკაკისაგან ხშირად გამიგონია, მე თუ ვინმე ნიშანში ამოვიდე და მისი მხილება განვიზრახე, არასოდეს არ დავწერ ისე, რომ ერთმა კაცმა პირდაპირ თავის თავზე მიიღოსო, მას ასე ვათქმევინებ, თორემ უამისოდ ჩემს დევნულებას ვერ გადაუზრახებოდიო, ექვთიმე წერეთლისა და აკაკის გარდა, სხვასაც ბევრს ფარისეველს ნახავდა მაშინ კაცი და ახლაც შეიძლება ვნახოთ; 6. **აპკელაციის მცოდნე** – 7 ტაეპია. დეკემბერი 61 წ. არ ვიცი ვიხედ არის დაწერილი, მაგრამ ვფიქრობ ახალ აღვოკატებზედ არ უნდა იყოს მითითებული და, რომ თავის თავზედ არავინ მიიღოს. 61 წ. განგება აღუნიშნავს, დაწერილი კი გვიან არის; 7. **მუშური** – 48 სტრიქონი – 15 აპრილს 61 წ.; 8. **სალამური** – თორმეტი ტაეპია. 61 წ.; 9. **გლეხის აღსარება** (ეპიგრაფის შემდეგ. 6 ტაეპია 61 წ.); 10. **სიმღერა მკის დროს** – 61 ტაეპი, 63 წ.; 11. **შიქასტა** 27 ტაეპი, აპრილი, 62 წ.; 12. **საბრალთ გული** – 6 სტროფიანია, 18 ნოემბერს 61 წ. ეს ლექსი ჩემთვის ეძენა აკაკის და დაებეჭდა – „ცისკარში“ – მე კი სრულად ჩემს თავზე ვერ მივიდე და დარწმუნებული ვარ, რომ იგი ამ გვარს ლექსს მხოლოდ თავის თავზედ თუ დასწერდა, რადგან სტუდენტებს, ვინც უხნეები იყვნენ, არ მოსწონდათ აკაკი და ხშირად უგონებდნენ მას რაღაც რამეებს. ერთხელ გამოძიებასავით გამოკითხვისათვის ჩვენებური სტუდენტების კრება დაინიშნა და ამ კრებაზე გავრცელებული ხმები თვით გამავრცელებლებმა ტყუილ ამბათ გამოიყვანეს და ვინც მისი მდევნელი არ იყო, მათში აკაკიმ მე ამირჩია თავის გულის მდევარების გასამჟღავნებლად“.

ასეთია ის საინტერესო კომენტარები, რომლებიც ათარიღებს „ჩანგურში“ გამოქვეყნებულ ნაწარმოებებს და

ხსნის ამა თუ იმ ლექსის დაწერის მიზეზსა და მიზანს. როგორც სერგი გორგაძე წერს „ეს განმარტება დაწერილია აკაკის ნაამხანაგარის კირილე ბეჟანის ძეს ლორთქიფანიძის მიერ, ჩემის თხოვნით“ (ლეონიძის... №12128/ს)

წარმოდგენილი მასალა მეტად მნიშვნელოვანია აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური გამოცემისათვის. აღნიშნული კომენტარები და დათარიღება გათვალისწინებულია აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალ აკადემიურ გამოცემაში. მხოლოდ არაა გაზიარებული კ. ლორთქიფანიძის მოსაზრება ლექსის „აპელაციის მცოდნე“ თარიღის შესახებ .

საინტერესო იქნება კირილე ლორთქიფანიძის იმ წერილის გაცნობაც, რომელიც გაუგზავნია მას გიორგი წერეთლისადმი. წერილში მოთხრობილია „ჩანგურის“ გამოცემის ისტორია და ამავე დროს საკითხის სხვადასხვაგვარად დასმის საშუალებასაც იძლევა. აი, რას სწერს კირილე: „აკაკიზედაც მქონდა იმედი, მე მეგონა, რომ ლექსების გამოცემაში არ გაისვენებდა იმას, რომ ჩვენ არ ვიყავით კარგად ერთმანეთთან 1863 წლიდან. იმან პასუხიც კი არ შემომითვალა, თორემ ლექსების გამოუგზავნელობას ვინდა დაეძებდა? მხოლოდ სამსონ აბაშიძე სწერდა იმ კაცს, რომელსაც წიგნი მივაწერინე აკაკისათვის, რომ აკაკის თავისი ლექსები, რაც დაუწერია და ან რასაც დასწერს, ყველა მე მომცა, ისე, რომ არა თუ სხვას, თვითონ აკაკისაც არ შეუძლიან ჩემდა უნებურად გამოცემაო. ამისთვის მე „Veto“-ს გეუბნებითო. არ გამოსცეთო, თორემ კონფისკაციას ვუქო“.

კირილე ლორთქიფანიძე გაცელებულია და აცხადებს, რომ მას აკაკის ლექსების კრებულის გამოცემა არ განუზრახავს და ამდენად, მისი გამოცემა ხელს არ შეუშლიდა ს. აბაშიძის გეგმებს. წერილი ინახება კ. ლორთქიფანიძის არქივში. გამოქვეყნებულია წიგნში: „მასალები XIX ს. 60-90იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებიდან“. აღნიშნული წიგნის კომენტარებში ელ. აბრამიშვილი მიუთითებს, რომ იმ კაცის ვინაობა, ვისაც გააგზავნინა კირილემ წერილი აკაკისთან, უცნობია (აბრამიშვილი 1981: 118).

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში მუშაობისას 1989 წელს კირილე ლორთქიფანიძის არქივში მივაკვლიეთ ერთ წერილს, რომელიც გაგზავნილია კირილესადმი და ხელს აწერს გრიგოლ ნაკაშიძე (ქუთაისის... №2-700). წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ ივია სწორედ ის პიროვნება, რომლის მეშვეობითაც სთხოვა კირილემ აკაკის ლექსების გაგზავნა თავისი „ჩანგურისათვის“. კ. ლორთქიფანიძის წერილი სხვა მხრივაც საინტერესოა. ვეცნობით „ჩანგურის“ გამოცემის ისტორიას. საყურადღებოა, მისი განცხადება: 1863 წლიდან ჩვენ ერთმანეთთან კარგად არ ვიყავითო. კრებული 1864 წელს გამოვიდა. 1865 წელს კი აკაკიმ შესანიშნავი რეცენზია უძღვნა კრებულსა და მის გამომცემელს. ასევე საგულისხმოა ცნობა იმის შესახებ, რომ აკაკის თავისი ნაწერების გამოცემის უფლება გადაუცია სამსონ აბაშიძისთვის. თუმცა ჩვენთვის უცნობია, თუ რომელი გამოცემის უფლება შეიძინა სამსონ აბაშიძემ, მაგრამ ფაქტი თავისთავად საგულისხმოა. ჯერ კიდევ 60-იან წლებში იყვნენ დაინტერესებული ცალკეული გამომცემლები აკაკის თხზულებათა გამოცემით. როგორც ჩანს, შემდგომ ეს პირობა რაღაცა მიზეზების გამო დაირღვა, რადგან ჩვენთვის უცნობია, აკაკის რომელი ნაწარმოები გამოსცა სამსონ აბაშიძემ. საერთოდაც, თუ გადავხედავთ აკაკი წერეთლის თხზულებათა ბიბლიოგრაფიას, ვნახავთ, რომ 60-იან წლებში აკაკის არც ერთი ნაწარმოები არ გამოცემულა ცალკე წიგნად. ამგვარი გამოცემები ცოტა მოგვიანებით განხორციელდა.

§ 2 70–იანი წლების გამოცემები და გამომცემლები

1874 წელს პირველად დაიბეჭდა ცალკე წიგნად აკაკის „საახალწლო ხუმრობა“. წიგნი დაიბეჭდა ექვთიმე ხელაძის სტამბაში. მასში გარდა ხუმრობანარევი პროზაული „საახალწლო მილოცვისა“ და მცირეოდენი საყვედურისა, შესულია ლექსები: „გლეხური სიმღერა“, „სიტყვა თქმული მთელი ხალხისაგან ახალი წლისადმი“, „ვარსკვლავთმრიცხველი“, „კუბოს მზიდველები“, „ხმა“. წიგნი შეიცავს 52 გვერდს. ფასი ხუთი შაური. ლექსს „გლეხის სიმღერა“ აქვს ავტორის მინაწერი: „ეს ლექსი დავწერე მე პოეტმა გაჩეხილაძემ. გლეხების თხოვნით, ფასიც სრულად მივიღე ორი შაური ვერცხლისა. მითი ორი სტაქანი ღვინო ვიყიდე. ერთით ახალ წლის სადღეგრძელო დავლიე და მეორეთ მკითხველის. გთხოვთ, შენდობა მიბოძოთ. 1-ს იანვარს. 1874 წ.“ საგულისხმო კომენტარია. დასახელებულია ლექსის დაწერის მიზანი და გახსნილია პოეტის ერთ-ერთი ფსევდონიმი – გაჩეხილაძე. აღნიშნული ლექსები აკაკი წერეთლის თხოულებათა თხუთმეტტომეულის I ტომში 1873 წლითაა დათარიღებული. ტომის შენიშვნებში ვკითხულობთ: „საახალწლო ხუმრობაში“ მოთავსებული ლექსები: „გლეხური სიმღერა“, „სიტყვა თქმული მთელი ხალხისაგან ახალ წლისადმი“, „ვარსკვლავთმრიცხველი“, „კუბოს მზიდველები“ და „ხმა“, რომლებიც 1874 წელს დაიბეჭდა, დაწერილი უნდა იყოს არა უგვიანეს 1873 წლის მიწურულისა (წერეთელი 1950ა: 470). ახალი აკადემიური გამოცემის I ტომის შემდგენლის განცხადებით კი: “თხუთმეტტომეულისაგან განსხვავებით, ჩვენ ტომში არ შევიტანეთ პროზასა და პუბლიცისტურ წერილებში-ჩართული ლექსები, რომელთაც დამოუკიდებელი მხატვრული ღირებულება არ მოუპოვებიათ და ავტორსაც ცალკე არასოდეს შეუტანია თავის თხოულებათა კრებულში. მათ მკითხველი გაეცნობა სათანადო ადგილას (პროზისა და პუბლიცისტის ტომებში) (წერეთელი 1991: 268).

1875 წელს კი გამოვიდა ისტორიული პოემა „**ბაგრატ დიდი**“. პოემა პირველად დაიბეჭდა გაზ. „დროებაში“ 1875 წლის 41-ე ნომერში. შემდეგ კი მისი ამონაბეჭდი ცალკე წიგნად გამოვიდა. როგორც აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის VI ტომის შემდგენლები შენიშვნებში (წერეთელი 1956: 365) მიუთითებენ: „ინგილო (დიმიტრი ჯ.გ.) ჯანაშიელმა „ქართლის ცხოვრებიდან“ ამოღებული ერთი ეპიზოდის მიხედვით დაბეჭდა ორი წერილი სათაურით „ბაგრატ დიდი“ („დროება“ 1875 № 28, 29; 7 და 9 მარტი).

ინგილო ჯანაშიელის ამ ისტორიულმა ნარკვევმა აკაკის ბიძგი მისცა ლექსად დაეწერა შესანიშნავი პოემა „ბაგრატ დიდი“, რომელიც ჯანაშიელის სტატიის დაბეჭდიდან ერთი თვის შემდეგ იმავე „დროებაში“ გამოქვეყნდა.

შემდეგ წლებშიც გამოვიდა ცალკე წიგნებად აკაკის თითო-ოროლა ნაწარმოები. 1877 წელს გამომცემელ ი. დავიდოვისა და ნ. გიგაუროვის მიერ ექვთიმე ხელაძის სტამბაში „**გოგია მეჩონგურე**“, ლეგენდა და რამდენიმე ლექსი აკაკისა გადმობეჭდილი „დროებიდან“. წიგნში შევიდა: გოგია მეჩონგურე, ლეგენდა, ლექსები: „პატარა მეგობრებს“, „მაისის ღამე“, „ღამურა“, „სიმღერა“ („ბუღბუღი ვარდს მაშინ დაჰყეფს“).

1879 წელს თებერვლის პირველ ნახევარში ცალკე წიგნად გამოვიდა აკაკის ვოდვეილი „**ბუტიათა**“. ეს ვოდვეილი სცენაზედაც რამდენჯერმე დაიდგა. ერთხელ თავად აკაკის რეჟისორობითაც. 1880 წელს გამოქვეყნდა ლექსად დაწერილი ზღაპარი „**ალექსი**“.

საქართველოში წიგნის გამოცემის საქმე ამ დროისათვის ნელ-ნელა ფართოვდებოდა. ცალკეული პირები საკუთარი ინიციატივით აარსებდნენ სტამბებს და საკუთარი ხარჯებითვე ბეჭდავდნენ წიგნებს. ამით კერძო გამომცემლები შეძლებისდაგვარად, ხელს უწყობდნენ ქართული კულტურის პოპულარიზაციას ხალხში. როდესაც კერძო გამომცემლებზე ვსაუბრობთ, სწორედ რომ უპრიანია, პირველ რიგში, დავასახელოთ ზაქარია ჭიჭინაძე. იგი თითქმის ყველა ლიტერატურულ ორგანოში აქვეყნებდა წერი-

ლებს, ბეჭდავდა წიგნებს და იმავდროულად, სხვებსაც მოუწოდებდა ამ დიდებული საქმის კეთებისაკენ.

წიგნის გამომცემელთა რიცხვი თანდათანობით იზრდებოდა. მალე მათ საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიც მოიკიდეს ფეხი. ბევრი მათგანი დაინტერესდა აკაკი წერეთლის ნაწერების გამოცემით. თბილისელ გამომცემელთაგან დაეასახელებთ ზოგიერთ მათგანს: ზ. ჭიჭინაძე, გრ. ჩარკვიანი, ნ. და გრ. დიასამიძეები, ექვთ. ხელაძე, ს. მერკვილაძე, ს.მელიქიშვილი, მ. შარაძე, არ. კალანდაძე, ნ. გიგაუროვი, თ. დავიდოვი, კ. თავართქილაძე და სხვები. თბილისელებს არც ქუთაისელები ჩამორჩებოდნენ: კირილე ლორთქიფანიძე, მიტროფანე ლალიძე (რომლის მოღვაწეობა, სხვათა შორის, მარტო საგამომცემლო საქმით როდი ამოიწურებოდა), ვახტანგ ღამბაშიძე, ვახტანგ ბეჟანეიშვილი, ქ. ქუთათელაძე, ძმები ჭილაძეები (ამათზე საგანგებოდ ქვემოთ ვისაუბრებთ) და სხვ.

ა) ნიკო ნიკოლაძე და მისი საგამომცემლო საქმიანობა

ბევრ გამომცემელთან აკაკის ახლო ურთიერთობა ჰქონდა. თუ თვალს გადავაგვლებთ პოეტის მიმოწერას, ადვილად დავრწმუნდებით ამაში. თითოეული გამომცემლის მიერ გაწეული შრომა მართლაც, რომ დასაფასებელია, მაგრამ, მიუხედავად მათი მონდომებისა, საქართველოში წიგნების გამოცემას მაინც ქაოსური, არაორგანიზებული ხასიათი ჰქონდა და მკითხველთა უკვე გაზრდილ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებდა. ჩანს, ქართველ საზოგადოებას აფიქრებდა და აწუხებდა ეს საკითხი და მის გადასაჭრელად სათანადო გზებსაც ეძებდა. ამას ადასტურებს ნიკო ნიკოლაძის წერილიც, რომელიც მას თბილისიდან გაუგზავნია აკაკისთვის 1875 წელს: „ყოვლად საჭიროა, რომ სამი-ოთხი დღით აქ ჩამოხვიდე, აქ ეხლა დიდი ამბებია და ყრილობებია ქართული წიგნების მბეჭდველი წრის შესადგენათ. შენ ამ ყრილობებს უსათუოთ უნდა ესწრებოდე, თუ გინდა, რომ საქმე ამთავითვე არ წახდეს“ (კეკელიძის... №599).

ასეთი წრე ქართული წიგნის მბეჭდავთა ამხანაგობის სახით კარგა მოგვიანებით შეიქმნა, თუმცა ზრუნვა ამგვარი წრის შესადგენად ქართველ ინტელიგენციას, როგორც ჩანს, გაცილებით ადრე დაუწყო. მანამდე კი კერძო გამომცემელთა ინიციატივა ოდნავ თუ შევლოდა საქმეს. ქართული ლიტერატურის ბევრი ძეგლი ამოდ ელოდა დღის სინათლეს. ეს საკითხი ბევრ ქარველ მოაზროვნეს აწუხებდა. ამაზე მეტყველებს დიდი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის მეორე წერილიც აკაკისადმი. იგი შეიცავს საინტერესო ცნობას აკაკის ნაწერების გამოცემის ისტორიისათვის, ამიტომ ვბეჭდავთ მას მცირედი შემოკლებით: „ძნაო აკაკი, რადგანაც ამ ზაფხულს აქ, რუსეთში, უნდა დავრჩე და იმედი მაქვს, ცოტაოდენი დროც მექნება თავისუფალი, მოვინდომე შემედგინა და გამომეცა „ჩონგურისთანა“ კრება უმჯობესი ქართული ლექსებისა. ამ განზრახვით გადმოვაწერინე, რაც კი რამ ლექსი იყო

დაბეჭდილი ქართულ ჟურნალ-გაზეთებში „ცისკრის“ დასაწყისიდან დღემდე და როცა ხელში ჩავიგდე ეს ლექსები, დავინახე, რომ პირველი ჩემი განზრახვა უნდა შეეცვალო და ახალი პლანი მივიღო. აი, ეს პლანი რაში მდგომარეობს. ერთობ მდიდარი ვყოფილვართ ლექსებით, იმოდენათ მდიდარი, რომ ცოდვაა ამათგან ზოგიერთების ამორჩევა და უმეტესი ნაწილის კი მივიწყება. სჯობია გამოვიწყოთ ჩვენი მწერლების (პოეტების) „კრება“ და თითოეული მათგანის ცალკე წიგნათ გამოცემა. „დღეს შემიდგა ჩინებული კოლექცია (ხელნაწერი) თხუთმეტი ტომისა! აი ამ კოლექციის ანუ კრების გამოცემა განვიზრახე და უსათუოთ მინდა მისი სისრულეში მოყვანა. მინდა პირველი ტომი შენს პოეზიას უძღვნა. აქაურ პუბლიკურ ბიბლიოთეკაში რაც ჟურნალ-გაზეთები მოიძიება (აკლია „დროება“, 1871 და 1875 წლების), იქედამ ამოვწერეთ ყველაფერი, რაც კი შენ დაგიბეჭდია. შედგა შვენიერი ხელნაწერი წიგნი 300 გვერდიანი, თუ არა მეტი. ესლა შენ უნდა მომაწოდო მანდედამ, რაც დაუბეჭდავი რამ გქონდეს და გადაათვალიერო „დროება“ 1871 და 1875 წ.წ. ...მინდა, რაც დაგიბეჭდია, სრულიათ გადმოვბეჭდო. ამორჩევას, გამოშვებას, მეტისმეტ გადასხვაფერებას არც შენ გირჩევ. ამ გამოცემას ისე უნდა მოვეპყროთ, როგორც Полное собрание сочинение-ს წესია“ (გაბოძე 1988: 58). შემდეგ ნ. ნიკოლაძე ვრცლად საუბრობს ამ გამოცემის ფორმასა და ხარისხზე, ტირაჟის რაოდენობაზე; იგი ამჯობინებს ისეთი გამოცემის მომზადებას, რომელსაც ხალხში გასავალი ექნება. აკაკის სთხოვს პორტრეტის გამოგზავნას. ამის შემდეგ სწერს ჰონორარის შესახებ და ერთხელ კიდევ ახსენებს: „ესლა ველი შენგან: 1) დაუბეჭდავ ძველ და ახალ ლექსებს. 2) ლექსებს, რომელნიც „დროებაში“ იყო დაბეჭდილი 1871 და 1875 წ.წ.-ში. 3) რჩევასა და აზრს, თუ როგორ გამოცემას შევუდგე; იაფს თუ ძვირს. 4) რჩევას – რამდენი ეგ ზემპლარი დავაბეჭდინო, 1200 თუ 2000. 5) პირობებს შესახებ გამოცემის მიღებისა და 6) შენს პორტრეტს და ავტოგრაფს – მთელი ერთი პატარა ლექსი, ჯერ დაუბეჭდავი, კარგად დასწერე კარგ ქა-

ღალღზე, ქვეშ სახელი და გვარი მიაწერე და გამომიგზავნე“ (გაბობე 1988: 58).

წერილი უაღრესად საინტერესოა. ნ. ნიკოლაძის მიერ ჩატარებული სამუშაო დიდი შრომის შედეგია. იგი შეიძლება ჩაითვალოს აკაკის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემის ერთ-ერთ პირველ ცდად. მკვლევართათვის უთუოდ მეტად საინტერესო იქნებოდა ნ. ნიკოლაძის მიერ შედგენილი გეგმის („პროსპექტის“) და აკაკის 300 გვერდიანი ხელნაწერი კრებულის ხილვა. სამწუხაროდ, მისი შემდგომი ბედი ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ფაქტი თავისთავად ერთობ საინტერესო და მრავლისმთქმელია. ნ. ნიკოლაძისა და სხვა გამომცემელთა ამგვარი საქმიანობა გვაძლევს საფუძველს, დავასკვნათ, რომ XIX საუკუნისის გამოჩენილი ქართველი მწერლების თხზულებათა სრული კრებულების გამოსაცემად ზრუნვა ჩვენს საზოგადო მოღვაწეებს ადრევე დაუწყიათ და საამისოდ სათანადო პრინციპებიც შეუმუშავებიათ.

რასაკვირველია, საინტერესოა, რა ბედი ეწია ნ. ნიკოლაძის ამ დიდებულ წამოწყებას. ამაზე პასუხს იძლევა მისი სხვა წერილი აკაკისადმი, გამოგზავნილი პავლოვსკიდან 1884 წლის 15 ივლისს: „ძმაო აკაკი.... არ შეგიძლია წარმოიდგინო, თუ რაოდენათ მეწყინა, რომ შენი ლექსების გამოცემის უფლება სხვისთვის გარდაგიცია, მაშასადამე, ჩემი პლანი, ქართული პოეტების კოლექციის გამოცემის შესახებ, უნდა მივატოვო. აბა, რა კოლექცია იქნება უშენოთ? ისევ ჩემ ძველ აზრს უბრუნდები, თუ დარი დამიდგა და გამოვცემ ერთ წიგნს უმჯობესი ლექსების კრებას, ქრისტომატიის მსგავსად...“ (გაბობე 1988: 59), მაგრამ ამ გეგმის განხორციელებას თვითონ ნ. ნიკოლაძეც უკვე ეჭვობდა, რადგან ასე მოწადინებული და ენერგიულად წამოწყებული საქმე დასაწყისშივე ჩაეშალა. ის ცეცხლი მიწავლდა და ამას ისიც დაემატა, რომ ქართული კულტურის ეს დიდი მოამაგე და მოაზროვნე სხვა, უფრო შრომატევადი, საქმეებით აღმოჩნდა დატვირთული.

კითხვას, თუ ვის გადასცა აკაკიმ თავისი ნაწერების გამოცემის უფლება, პასუხობს პოეტის წერილი ნ. ნიკოლაძისადმი. ეს პასუხი, რომლის დედანი დაცულია საქარ-

თველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ნ. ნიკოლაძის ფონდში, გამოქვეყნებულია აკაკი წერეთლის თხზულებათა XV ტომში (წერეთელი 1963: 73-74). აი, რას სწერს აკაკი: „მეწიგნე ჭილაძეს მივყიდე ჩემი ყოველი ნაწერი და უფლება აღარა მაქვს იმაზე“-ო. თუმცა იგი იქვე სთავაზობს ნიკო ნიკოლაძეს ახალი კრებულის შედგენას და ჰპირდება, საამისოდ სხვა ლექსებს შეგირჩევო. აკაკის ეს წერილი ტომში მიახლოებითაა დათარიღებული: „80-იანი წლები.“ ნ. ნიკოლაძის ზემოთხსენებული წერილები კი საშუალებას გვაძლევს, თარიღი უფრო ზუსტად განვსაზღვროთ. ნიკო ნიკოლაძის პირველი წერილი 1884 წლის 19 მაისსაა გამოგზავნილი, მეორე კი – 1884 წლის 15 ივლისს, აკაკის პასუხი ამ ორი თარიღს შუა ექცევა, ე.ი. **1884 წლის 19 მაისიდან 15 ივლისამდე.**

ბ) ძმები ჭილაძეები და მათი გამოცემები

გიორგი და ვარლამ ჭილაძეები იყვნენ ძმები, მოღვაწეობდნენ ქუთაისში, ეწეოდნენ კულტურულ საქველმოქმედო და საგამომცემლო საქმიანობას როგორც ერთად („ძმები ჭილაძეების“ სახელით), ისე ცალ-ცალკე. მათ საქმიანობაზე კარგად მეტყველებს ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების სხდომათა ოქმები და ცალკეული ანგარიშები. იქ საგანგებოდაა აღნუსხული ძმები ჭილაძეების მიერ გამოცემული წიგნები.

ვარლამ ჭილაძე დიდ საშვილიშვილო საქმეს იწყებს პირადი ინიციატივით. აი, რას წერს გაზ. „დროება“: „ერთი ახალი სალიტერატურო ამბავიც: მოგესხენებათ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს საუკეთესო მწერალთა თხზულებათა საერთოდ თავმოყრას და დაბეჭდვას ერთს ან რამდენიმე წიგნად. დღეს ჩვენ საუკეთესო მწერალთა შორის მხოლოდ ორიოდ-სამის თხზულებანი თუ არიან დაბეჭდილნი, თორემ დანარჩენი ნაწერები სხვადასხვა ჟურნალებსა და გაზეთებშია გაბნეული. ქუთაისის წიგნის მაღაზიის პატრონს ბ.ვ. ჭილაძეს მოუწადინებია შეავსოს ეს ნაკლი ჩვენი მწერლობისა და დაბეჭდოს როგორც აკაკის თხზულებათა კრებული, ისე ილია ჭავჭავაძის ნაწერები“. წერილის ავტორი გახარებულია ამ ცნობით და დიდი სიამოვნებით აცხადებს, რომ აკაკის და ილიას თხზულებანიც მიემატება აქამდე გამოცემულ მწერალთა კრებულებს, ეს კი ხელს შეუწყობს ქართული სალიტერატურო კრიტიკის განვითარებას. შემდეგ სტატიის ავტორი სიამოვნებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ“... წიგნების გამომცემელს ბ. ჭილაძეს შეუკრავს პირობა ილია ჭავჭავაძესთან და აკაკისთან მათი თხზულებების გამოცემის შესახებ. ეს პირობა მათი კერძო საქმეა. სრული გამოაშკარავების ნება არა გვაქვს, შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ორს ავტორს სრულიათ არა ეხარჯებათ რა თავიანთ გამოცემებზედ, ე. ი. გამომცემელი კისრულობს სრულს ხარჯს და მზადაა, წმინდა შემოსავალი შუა გაუნაწილოს მათ, ოღონდ მათი თხზულების გამოცემის ნება კი ჰქონდეს...“ (ხაზი ჩვენია, ჯ.გ.) (დროება 1884ა: 2).

ვარლამ ჭილაძემ კიდევ დაბეჭდა აკაკის „საყმაწვილო ამბები“ 1885 წელს ი. მელიქიშვილის სტამბაში. როგორც ჩანს, ძმ. ჭილაძეების წამოწყება უაღრესად სერიოზული და მნიშვნელოვანი იყო, ისინი გამოცემული წიგნის ბოლოშიც მიუთითებენ ამ ხელშეკრულებაზე. „ძმ. ჭილაძეთა წიგნის... მაღაზიამ შეიძინა უფლება და შეუდგა გამოცემას ჩვენი ორი დიდი პოეტის – ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის თხზულებათა კრებისა“. მაშასადამე, ძმ. ჭილაძეებს შეუძენიათ უფლება ილიას და აკაკის თხზულებათა გამოცემისა და პირობაც შეუკრავთ ავტორებთან. პირობებიდან კი ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ერთი – ხელშეკრულება ვ. ჭილაძისა ი. ჭავჭავაძესთან (ჭრელაშვილი 1981: 45). აკაკისთან დადებულ პირობას ჩვენ ჯერ ვერ მივაკვლიეთ.

ამავე საკითხს ეხება, სხვათა შორის, ვარლამ ჭილაძის წერილი ნიკო ნიკოლაძისადმი: – „ბატონო ნიკო იაკობის ძეგ! თქვენ უკეთესათ მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ლიტერატურა ძლიერ ღარიბი არის გამოცემებით და ნამეტურ კლასიკურით. ამის გამო ვბედავ, ჩემი პატარა კაპიტალით ხელი მივყო კლასიკურს ნაწერების გამოცემას. თუმცა ეს საძნელო საქმეა ჩემთვის. ...საჭიროთ ვრაცხ მოგახსენოთ, რომ ილია ჭავჭავაძეს ვაძლევ ნახევარ მოგებას, გაყიდვის შემდეგაც, რადგან იმდენი შეძლება არა მაქვს, რომ ხვედრი ფული წინდაწინვე მივცე. **ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებები სულ ყველა გადავაწერინე და ივლისში ჩავაბარე გადასახედად და გასასწორებლათ და დასაყოფათ ნაწილ-ნაწილ** (ხაზი ჩვენი, ჯ. გ.).

ეს წერილი მრავალმხრივია საყურადღებო. ჯერ ერთი, იგი ვეცნობს ვარლამ ჭილაძის დამსახურებას ქართული წიგნის გამოცემის საქმეში, ვეცნობით ილიასთან დადებულ პირობასაც. როგორც, ვიცით, ვ. ჭილაძემ ილია ჭავჭავაძეს ხელშეკრულება დაუდო 1885 წელს. როგორც წერილიდან ჩანს, მას 1885 წლის ივლისისათვის უკვე გადაუწერინებია ილიას თხზულებანი და კიდევ გადაუცია ავტორისათვის „გადასახედათ, დასაყოფათ და გასასწორებლად“. ვ. ჭილაძე იქვე აგრძელებს, „ჯერ ვერ მუასწორო“ ზემოთ მოყვანილი წერილი 1886 წლის 17 იანვარ-

საა დაწერილი, მაშასადამე, ეს ცნობაც ადასტურებს, რომ ილია ისე გულდასმითა და საფუძვლიანად ასწორებდა გამოსაცემად გამზადებულ ნაწერებს, რომ ექვსი თვის განმავლობაში ალბათ, ვერ დაასრულა თავისი ნაწარმოებების გადახედვა (გაბოძე 1988: 60). წერილში ვარლამ ჭილაძე საუბრობს ილიასთან დადებულ პირობაზე. აქ არსადაა ნახსენები აკაკი წერეთელი. 1884 წლის გაზეთების განცხადება და 1885 წლის „საყმაწვილო ამბების“ ყდაზე დაბეჭდილი ცნობაც მხოლოდ იმას იუწყება, რომ ძმებმა ჭილაძეებმა შეიძინეს უფლება ილიასა და აკაკის ნაწერების გამოცემისა. ამავე უფლების გადაცემას ამცნობს აკაკიც ნიკო ნიკოლაძეს. არც აქ არის ნახსენები აკაკისთან ვ. ჭილაძის მიერ დადებული ხელშეკრულება. ვფიქრობთ, იქნებ არც კი დადებულა ამგვარი ხელშეკრულება და ძმ. ჭილაძეთა წამოწყებაც მხოლოდ „საყმაწვილო ამბების“ გამოცემით დამთავრდა? თუმცა ვარლამ ჭილაძემ ვერც ილიასთან დადებული პირობის შესრულება შეძლო.

ამრიგად, აქამდე ცნობილ მასალებს ავსებს და ადასტურებს ვ. ჭილაძის წერილიც. ამის შემდეგ სადავო აღარ არის ის ფაქტი, რომ ილიას ხელთ ჰქონია გადასახედად და შესასწორებლად თავისი ნაწარმოების ხელნაწერი კრებულები, გადაწერილი მათი გამოცემების მიზნით. ხოლო ამ კრებულებზე ილიას მიერ ჩატარებული მუშაობა (ჩანიშვნები, თემატიკური დაყოფის მიმანიშნებელი მინაწერები და ა.შ.), უკვე ეჭვს აღარ იწვევს. (ჭრელაშვილი 1981: 47).

როგორც ჩანს, ვ. ჭილაძეს დიდ ხანს ჰქონდა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემის სურვილი. მაგრამ ამის კეთება ერთი პიროვნების ძალას ყოველნაირად აღემატებოდა, ამიტომაც იყო, რომ ამ საქმის შესრულება შემდეგ იკისრა ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ. საბოლოოდ კი ეს მისია ქართველთა წიგნის გამომცემელმა ამხანაგობამ აღასრულა.

„საყმაწვილო ამბები“ ფრიად საყურადღებოა წმინდა ტექსტოლოგიური თვალსაზრისითაც (ჭრელაშვილი 1987: 92). როგორც სათაური მიგვანიშნებს, წიგნი განკუთვნი-

ლია ყმაწვილთათვის. მასში მოთავსებულია ნაწარმოებები პროზად, შიგ ჩართული ლექსებით. იგივე ნაწარმოებები კი სხვა გამოცემაში, კერძოდ, 1893 წლის აკაკის თხზულებანში უკვე შეცვლილი ფორმითაა წარმოდგენილი. მაგალითად, ცნობილი ლექსი „ღამურა“ სრულიად განსხვავდება, ფორმითაც და ნაწილობრივ შინაარსითაც, „საყმაწვილო ამბებში“ წარმოდგენილი „ღამურასაგან.“ იგივე შეიძლება ითქვას ლექსებზე: „ვარდი და ეკალი“, „გოგია მეჩონგურე“ და სხვ. მაშასადამე, ამით დასტურდება ის ცნობა, რომ ზოგჯერ აკაკი ლექსებს თავდაპირველად პროზად წერდა. ამრიგად, აკაკის ნაწარმოებები გზადაგზა თვალსაჩინო გადამუშავებას განიცდიდა. პოეტი ძალიან ბევრს მუშაობდა ლექსზე: პირველ ეტაპზე ლექსის პროზანარევი ვარიანტული ფორმით დამუშავება აკაკი წერეთლის შემოქმედებითი მუშაობის ერთ-ერთი თავისებურებაა (ზარდიაშვილი 1997). 1885 წელს ჟურნალ „თეატრის“ 17 ნოემბრის №5-ში ასეთი წერილია: „ვისაც ქართული ანბანი უსწავლია, ყველამ კარგად იცის აკაკის სახელი. ყველა ახალ დროის პოეტებზედ აკაკის სახელი უფრო მეტად გაგრძელებულია ხალხში და თითქმის კიდევ დაიმსახურა სახალხო პოეტის სახელი... ჯერ კიდევ ლიტერატურულს კრიტიკას არა აქვს ნიადაგი, რადგანაც აკაკის თხზულებანი არ შეკრებილან და არ გამოცემულან“.

აკაკისა და ილიას თხზულებათა სრული კრებულის გამოცემას უფრო მეტი ორგანიზება და დიდი თანხა ესაჭიროებოდა, ვიდრე ეს ერთ ან ორ გამომცემელს გააჩნდა. ამიტომაც, გასაკვირი არ არის, რომ ძმებმა ჭილაძეებმა საკუთარი სახსრებით ვერ შეძლეს ამ დიდი საქმის დაგვირგვინება.

ვ) ანდრია ღულაძე – „თორნიკე ერისთავი“

კერძო გამომცემელთა საქმიანობას ამ დროისათვის ფრიად კეთილშობილური, მაგრამ იმავე დროს კომერციული მხარეც გააჩნდა. გამომცემლები ცდილობდნენ, ისეთი ნაწარმოებები დაებეჭდათ, რომლებიც მკითხველი საზოგადოების მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდა და სწრაფად გაერცვლდებოდა. ამ დროს აკაკი ყველაზე პოპულარული პოეტი იყო საქართველოში და, ბუნებრივია, მისი ნაწერების დაბეჭდვის სურვილი ბევრს ჰქონდა. აი, რას სწერს ანდრია ღულაძე აკაკის: „ერთსა გთხოვ, მომცე ნება მაინც იმ სამიოდ-ოთხი ლექსის დაბეჭდვისა, რომელიც მე მაქვს მიღებული წინეთ. ჟურნალში გამოვაცხადებ ამას. ... რომ იცოდე, რათ ეღირება ეს ჩემთვის დარწმუნებული ვარ შემობრალეზი და შემიწყნარებლი კიდევ“. ეს წერილი 1883 წელსაა დაწერილი. ამ წელს ანდრია ღულაძე სათავეში ჩაუდგა ჟურნალ „ნობათს“. მან მშვენივრად იცოდა, რომ აკაკის თანამშრომლობა ხელისმომწერსა და მკითხველს მოუმრავლებდა ახლადდაარსებულ ჟურნალს.

როგორც ჩანს, აკაკი დათანხმდა ამ თანამშრომლობას. ამაზე მეტყველებს ჟურნალ „ნობათის“ აღნიშნული წლების ცალკეული ნომრები, რომლებშიც პოეტის რამდენიმე ნაწარმოებია დაბეჭდილი. **1884 წელს** კი ჟურნალ „ნობათის“ რედაქციამ ცალკე წიგნად გამოსცა აკაკი წერეთლის პოემა „თორნიკე ერისთავი“. ეს ფაქტიც უსათუოდ დიდ პოპულარობას შემატებდა ჟურნალსა და მის გამომცემელს.

პოემის ბიბლიოგრაფია ამგვარად წარმოგვიდგება: არსებობს პოემის შემდეგი **ხელნაწერები**: ავტოგრაფი, ხელნაწერი ნუსხა და საცენზურო ხელნაწერი. რომელიც გამოაქვეყნა იოსებ გრიშაშვილმა. **ნაბეჭდი წყარო**: 1884 წელს პოემა გამოსცა ჟურნ. „ნობათის“ რედაქციამ, მეორედ დაიბეჭდა „აკაკის კრებულში“ 1898 წლის № 6-ში; მესამედ – 1908 წელს გამოსცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ პოეტის საიუბილეოდ. პოემა შეიძებ 1919 წელს გამოიცა. 1926 წ. პოემა

დაიბეჭდა ს. გორგაძისა და ალ. აბაშელის რედაქტორობით. 1940 წ. პოემა დაიბეჭდა აკაკის რჩეული ნაწერების III ტ.-ში. 1956 წ. „თორნიკე ერისთავი“ გამოქვეყნდა აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის V ტ. (გვ. 25) პროკლე კეკელიძის მონოგრაფიაში (კეკელიძე 1961: 036) საფუძვლიანადაა შესწავლილი პოემის ხელნაწერი და ნაბეჭდი წყაროები, ცენზურული კუპიურები და სხვ. პოემის ავტოგრაფის, ხელნაწერი ნუსხისა და გამოცემის შესწავლით ირკვევა, რომ ისინი გარკვეულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც ტექსტობრივი, ისე ზოგიერთი ენობრივ-სტილისტური, ლექსიკური და ორთოგრაფიული თავისებურებით.

პროფ. ლევან ჭრელაშვილი მიუთითებს, რომ „ტექსტის დადგენისათვის მხედველობაში ვიღებთ მხოლოდ ა.წერეთლის ხელნაწერებსა და პოეტის სიცოცხლისდროინდელ გამოცემებს. ი. გრიშაშვილისაგან განსხვავებით, რომელმაც ძირითად ტექსტად საცენზურო კომიტეტში წარდგენილი ხელნაწერი აიღო, ჩვენ ძირითად ტექსტად ავიღეთ მწერლის ბოლო – 1908 წლის გამოცემა; ირკვევა, რომ ავტორს გადაუხედავს ამ გამოცემის ტექსტისათვის. ყველა გამოცემისა და ხელნაწერის მიხედვით პოემის ბოლოს (გვ. 86) გამოდიოდა, რომ საგალობელს „დედაო ღვთისაჲ“ გალობდნენ თვით ნინო, თამარი და ქეთევანი. ამ საგალობელში კი არის მათი დიდება. ჩანს, მწერალს უგრძობია ეს უხერხულობა და ტაყები: „და შეერთებით, ხმაშეწყობილად ჰგალობდნენ ტკბილსა საგალობელსა“ – შეუცვლია ტექსტით:

„ამ დროს მოესმათ, ანგელოსთ გუნდი
ჰგალობდა ტკბილსა საგალობელსა“;

რითაც შინაარსი უფრო მოწესრიგებულია; ახლა საქართველოს დედები თავის თავზე კი არ ამბობენ „დიდებას“, არამედ ანგელოზები ღაღადებენ, რომ ერს:

„ნუ დაავიწყებ იმ ტკბილს ენასა,
რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა,
ქეთევან მარად შენ გადიდებდა

და ნინო ძისა შენისა მცნებას
შენგან რჩეულ ერს უქადაგებდა“.

ტექსტზე ავტორის მუშაობას გვიჩვენებს ზოგიერთი სხვა ნაირწაკითხვებიც“ (წერეთელი, ხელნაწერი). ჩვენ ვიზიარებთ ლ. ჭრელაშვილის მოსაზრებას, იგი „თორნიკე ერისთავის“ ძირითად წყაროდ პოემის 1908 წლის გამოცემას ასახელებს. ტექსტოლოგიური პრინციპების მიხედვით ეს არჩევანი სრულიად გამართლებულია. პოემა დაიბეჭდა პოეტის სიცოცხლეში, იგი უკანასკნელი გამოცემაა. მასზე ავტორის შემოქმედებითი მუშაობის კვალი ჩანს და უფრო მეტიც, პოეტს ზოგიერთი ადგილის ახლებური ვარიანტიც კი შეუქმნია.

ზემოთდასახელებულ მონოგრაფიაში პროკლე კეკელიძე საგანგებოდ განიხილავს „თორნიკე ერისთავის“ ყველა გამოცემასა და ხელნაწერ წყაროებს და მათ შორის, განსაკუთრებულ ადგილს უთმობს პოეტის ხელნაწერ ნუსხას, რომლისთვისაც მიუგნია ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის კირილე ლორთქიფანიძის არქივში და რომელიც პირველად „თორნიკე ერისთავის“ ავტოგრაფის გამოცემისას (1946 წ.) გამოუყენებია მკვლევარს. (კეკელიძე 1961: 91) მკვლევარი საგანგებოდ მსჯელობს ამ ხელნაწერ ნუსხაზე, იგი მას ათარიღებს არა უადრეს 1883 წ. მარტისა და არა უგვიანეს 1884 წ. მარტის ბოლო რიცხვებით. (კეკელიძე 1961: 96), ხელნაწერის პალეოგრაფიული შესწავლის საფუძველზე პრ. კეკელიძე ამტკიცებს რომ, აღნიშნული ხელნაწერი ნუსხა გადაწერილია კირილე ლორთქიფანიძის მიერ. მკვლევარი თვლის, რომ ამ ხელნაწერში წარმოდგენილია „ავტოგრაფის ტექსტის ბოლო რედაქცია. ავტოგრაფში წაშლილი და უარყოფილი ვარიანტები ან ადრინდელი რედაქციები ხელნაწერში გადმოტანილი არ არის... როგორც პრ. კეკელიძე მიუთითებს „გადამნუსხველს ზოგიერთი საგულისხმო შესწორებაც შეაქვს პოემის ტექსტში. ეს განსაკუთრებით შეეხება თხზულების ენობრივ-სტილისტიკურ მხარეს, ნაწერის ზოგიერთ ორთოგრაფიულ და პუნქტუაციურ ცვლილებებს. პოემის თავების კარებად, ხოლო ქვეთავების თავებად გამო-

ყოფას, ზოგიერთი სიტყვის შეცვლას და სხვ. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ გადამწერი საგრძნობლად ამოკლებს თხზულების ტექსტსაც. ხელნაწერში წაშლილია 62 ტაეპი... აგრეთვე ცალკე საღებავ სტრიქონები. დაწუნებულ სტროფებს მარცხენა აშიაზე შავი ფანქრით ჩამოსმული აქვს ხაზი, შემდეგ კი გადახაზულია შავი მელნით“ (კეკელიძე 1961: 95). რა მიზნით იქნა ეს ხელნაწერი შესრულებული, პირდაპირი ცნობების არარსებობის გამო, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ცოტა რთულია. პრ. კეკელიძის ვარაუდით, აღნიშნული ხელნაწერი გადამწერს ხედავს შეუსრულებია სტამბაში ჩასაშვები ტექსტი გამოცემის სარედაქციო-საკონტროლო ეგზემპლარად. ეს უნდა ყოფილიყო პოემის უკანასკნელი ტექსტი, რომელშიც კვლავ შეიძლებოდა ზოგიერთი შესწორებების შეტანა ნაწარმოების ბეჭდვის პროცესში“ (კეკელიძე 1961: 98).

როგორც მივუთითებდით, იოსებ გრიშაშვილმა გამოაქვეყნა პოემა „თორნიკე ერისთავის“ 1884 წლის გამოცემის საცენზურო ეგზემპლარი, რომელიც ავტორის ხელით არ არის გადაწერილი. გადამწერს ხედავს უცვლელად გადაუტანია ავტოგრაფის საბოლოო ტექსტი. ეს კარგად ჩანს აღნიშნული ხელნაწერის გამოცემისა და ავტოგრაფის ტექსტების შედარებით. ამიტომ ვერც ეს ტექსტი ჩაითვლება კანონიკურად. პოემის 1884, 1898, 1908, 1919 და 1926 წლების გამოცემები ხელნაწერებთან შედარებით უფრო მოკლე ტექსტებია და მოცულობით თითქმის ერთნაირია. პრ. კეკელიძე თვლის, რომ ი. გრიშაშვილს აღუდგენია 50 ტაეპი პოემის საცენზურო ხელნაწერის მიხედვით, რასაც დიდ მონაპოვრად თვლის თხზულების ტექსტის შევსების თვალსაზრისით. თუმცა გასარკვევია ერთი რამ: ადრინდელ გამოცემებთან შედარებით ხელნაწერებსა და უკანასკნელ გამოცემებში (1940, 1956 წ.წ.) წარმოდგენილი 50 ტაეპიდან რომელი სტრიქონები უნდა იქნას გათვალისწინებული დეფინიციურ ტექსტში. მით უფრო, როცა აღნიშნული სტროფები არის აგრეთვე ავტოგრაფში, კ. ლორთქიფანიძისეულ ხელნაწერ ნუსხაში და საცენზურო კომიტეტის ეგზემპლარში.

იბადება კითხვა: რატომ არ შევიდა მითითებული ტაეპები ადრინდელ გამოცემებში? როგორც ჩანს, ეს სტრიქონები ცენზურის მიერ არ ყოფილა ამოღებული საცენზურო ეგზემპლიარიდან, რადგან ი. გრიშაშვილი წერს, რომ „ახლად აღმოჩენილ პოემაში (საცენზურო ეგზემპლარი) არის ოთხი ვრცელი ადგილი, რომელიც დღემდე არც ერთ გამოცემაში არ არის დაბეჭდილი. თუმცა ცენზორს იგი არ წაუშლია“ ამ სტრიქონების ადრინდელი გამოცემებიდან ამოღების ფაქტს ი. გრიშაშვილი მიაწერს „ასოთამწყოების დაუდევრობასა და გამომცემლის უყურადღებობას“.

პრ. კეკელიძის აზრით, ი. გრიშაშვილის ეს განცხადება სწორი არ არის, რაც ალბათ, გამოწვეულია იმით, რომ გამომცემლებს ხელთ არ ჰქონდათ პოემის ავტოგრაფი და დღეისათვის ცნობილი ყველა ხელნაწერი. ამასთანავე ისინი თავიანთ ნაბეჭდ ტექსტს ზუსტად არ ადარებდნენ ყველა გამოცემას (კეკელიძე 1961: 038). მეცნიერი კვლევის შედეგად იმ დასკვნამდე მიდის, რომ პოემაში ცალკეული სტრიქონების გამოტოვება შესაძლოა ავტორის ნებაც იყოს, თორემ „რა დაუშლიდა აკაკი წერეთელს საკუთარ გამოცემაში („კრებული“, 1898) აკრძალული ოთხი სტრიქონის გვერდით აღედგინა მითითებული 50 სტრიქონიც. შეუძლებელია, რომ ავტორს, მით უმეტეს, ისეთი ძლიერი მეხსიერების უნარით აღჭურვილ პოეტს, როგორც იყო აკაკი წერეთელი, თავისი პოემის ეპიზოდები არ ხსომებოდა და აღნიშნული სტროფების გამორჩენის ფაქტი არ შეემჩნია, ეს რომ ასოთამწყოების მიზეზით ყოფილიყო გამორჩენილი, შეუძლებელია კირილე ლორთქიფანიძეს ან რომელიმე სხვა გამომცემელს არ შეენიშნათ.

„ჩვენი აზრით, მითითებული სტროფების გარკვეული ტაეპები ავტორისა და რედაქტორ-გამომცემელთა მიერ უნდა იყოს ამოღებული... ეს ოპერაცია უმეტესად ალბათ, დაკავშირებულია ნაწარმოებში ზედმეტი დეტალიზაციისა და ასახულ მოვლენათა განმეორების თავიდან აცილების, თხზულების კომპოზიციური მთლიანობის დაცვი-

სა და საერთოდ პოემის შემდგომი სრულყოფის მიზან-
თან“ (კეკელიძე 1961: 041).

ჩვენ საკვებით ვეთანხმებით პატივცემული მეცნიერის
ამ მოსაზრებას. ბუნებრივია, აღნიშნული სტროფების
ამოღება ავტორის სურვილი იყო. მით უფრო; თუ საცენ-
ზურ ცალში წაშლილი არაა ისინი ცენზორის მიერ,
სწორედ ამ საბოლოო ნების გამოსატყულებაა პოემის 1908
წლის გამოცემაც, რომელიც პოეტმა შემოქმედებითად გა-
დაამუშავა. ამიტომაც ვფიქრობთ, სადავო აღარ არის ის
პრინციპი, რომ მწერლის შემოქმედების აკადემიური გა-
მოცემის დროს, უპირატესობა მიენიჭოს მის სიცოცხლის-
დროინდელ ბოლო გამოცემას, თუკი ცნობილია, რომ ავ-
ტორი უშუალოდ მონაწილეობდა ამ გამოცემაში. ამიტო-
მაც ვიზიარებთ ბატონი ლევან ჭრელაშვილის არჩევანს,
როცა პოემის ძირითად წყაროდ პოეტის სიცოცხლის ბო-
ლოდროინდელი 1908 წლის გამოცემა მიიჩნია

11943
209

Handwritten signature

4205.

8.12.919

თამარ-სზიერი.

ისტორიული ოთხ-მოქმედებანი
დრამატიული პოემა.

თხზულება აკაკისა.

გამოცემული

თ. ნ. დასასამძისაგან.

თბილისი

საჭაბუა შელიქიშვილისა.

1886

დ) ნიკო დიასამიძის მიერ გამოცემული „თამარ ცბიერი“

ნიკო დიასამიძე ცნობილი პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე და გამომცემელი იყო. მას ახლო მეგობრობა აკავშირებდა აკაკისთან. ეს ტრადიცია შემდეგ მისი ოჯახის წევრებმაც გააგრძელეს. ცნობილია ნიკოს ვაჟის გრიგოლ დიასამიძის დამოკიდებულება დიდ პოეტთან.

1886 წელს ნიკო დიასამიძემ წიგნად გამოსცა აკაკის „თამარ ცბიერი“. ცენზორს ვიზა 1885 წლის 12 დეკემბერს მიუცია. ეს იყო ამ ნაწარმოების პირველი სრული პუბლიკაცია, თუმცა თავდაპირველად, ერთი სცენა დაიბეჭდა გაზ. „დროებაში“ 1885 წლის № 66 და № 67 იმავე გაზეთში დაიბეჭდა პოემის ვრცელი შინაარსი. პოემიდან ნაწყვეტი დაიბეჭდა ვასო აბაშიძის გაზ. „თეატრში“ 1885 № 18 და არა № 22-ში; როგორც მითითებული იყო ი. გრიშაშვილის მიერ. გადამუშავების შემდეგ აკაკიმ პოემა კვლავ გამოაქვეყნა თავის „კრებულში“ 1898 წლის № 11-ში და არა № 2-ში. როგორც ამას წერს ი. გრიშაშვილი (წერეთელი 1956ბ: 382).

ხელნაწერი ნუსხები: არსებობს პოემის ხელნაწერი ნუსხა, რომელსაც პროკლე კეკელიძემ ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში მიაკვლია 1945 წელს (კეკელიძე 1993: 70). აგრეთვე, არსებობს პოემის **საცენზურო ხელნაწერი**, რომელიც საფუძვლად დაედო 1886 წლის გამოცემას. ამ ხელნაწერს მიაკვლია პოეტმა აკადემიკოსმა ი. გრიშაშვილმა საქართველოს ცენტრარქივის საისტორიო მუზეუმის საცენზურო კომიტეტის ფონდში (წერეთელი 1956ბ: 381). ეს მეტად მნიშვნელოვანი ხელნაწერი ნუსხაა, რომლის მიხედვითაც ი. გრიშაშვილს პოემაში გამოტოვებული რამდენიმე ადგილი აღუდგენია, მაგრამ, როგორც პრ. კეკელიძე მიუთითებს: „ქრონოლოგიურად საცენზურო ხელნაწერს წინ უსწრებს ქუთათური ხელნაწერი ნუსხა. ამ ხელნაწერს აქვს ასეთი წარწერა: „თამარ ცბიერი, ისტორიული ოთხმოქმედებიანი დრამა (ვუძღვნი დ.გ. ერისთავს) აკაკისა“.

ხელნაწერი შეიცავს საერთო რვეულად შეკრულ უხაზო ქაღალდის 48 ფურცელს და დაცულია № 967 ნომრით. ტექსტი შესრულებულია შავი მეღნით 36 ფურცლის ორივე გვერდზე. ტექსტი დაწერილია სუფთად, ლამაზი გარკვეული ხელით და თანამიმდევრულად. როგორც პრ. კეკელიძე მიუთითებს, „ხელნაწერზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ იგი შესრულებული უნდა იყოს ორი გადამნუსხველის მიერ. ზოგიერთი ჩამატებული მასალა, მაგ. 20 და 21 მთელი გვერდი და 16 ტაეპი აკაკის ხელითაა შესრულებული. „ნანინას“ მთელი ტექსტიც აკაკის ხელს წააგავს, აგრეთვე თხზულების ბოლო უკანასკნელი სცენის ახალი რედაქცია შესრულებულია აკაკის ხელით. ტექსტის ზოგიერთი ჩასწორებაც ავტორს მიეკუთვნება. ამდენად, ცხადი ხდება, რომ ქუთათური ხელნაწერი წაუკითხავს, ჩაუსწორებია და გარკვეული ტექსტიც საკუთარი ხელით შეუსრულებია პოეტს. ამიტომ ქუთათური ხელნაწერი ავტორიზებული ნუსხაა. ზოგ შემთხვევაში ავტორაფიც“ (კეკელიძე 1993: 70). როგორც პრ. კეკელიძე აღნიშნავს, ქუთათური ხელნაწერი უთარიღოა, „თამარ ცბიერის“ ტექსტი ოთხმოქმედებიანია და იგი არ შეიცავს საბოლოოდ შესრულებული პიესის მესამე მოქმედებას. ხელნაწერი პიესის ერთ-ერთი ადრინდელი რედაქციაა. ქუთათურ ხელნაწერს აშკარად ატყვია ავტორის ხელი. ამ შემოქმედებითი მუშაობის შედეგად ტექსტს განუცდია როგორც იდეურ-მხატვრული, ისე ენობრივ-სტილისტური ხასიათის ცვლილებანი. „მთლიანად შეუცვლია თხზულების ბოლო (მეოთხე მოქმედების) უკანასკნელი, დამამთავრებელი სცენის ადრინდელი რედაქცია და შეუქმნია ახალი“... „ქუთათური ხელნაწერის შესწავლა და გამოცემა ხელს შეუწყობს „თამარ ცბიერის“ აკადემიური ტექსტის დადგენას“ (კეკელიძე 1993: 83), – დასძენს მკვლევარი.

დასახელებულ ნაშრომში პროკლე კეკელიძე აღნუსხავს ყველა იმ უზუსტობას, რაც ამ პიესის გამოქვეყნების შესახებ არსებობს. კერძოდ, იგი აღნიშნავს იმ დიდ დამსახურებას, რომელიც იოსებ გრიშაშვილს მიუძღვის ამ პიესის შესწავლის საქმეში (სწორედ მან მიაკვლია პოემის საცენზურო ხელნაწერს და პირველად მან გამო-

აქვეყნა „თამარ ცბიერის“ ტექსტი აღდგენილი სახით). ასევე მცდარად თვლის მეცნიერი ი. გრიშაშვილის ცნობას იმის შესახებ თითქოს „1886 წლის გამოცემიდან ცენზორმა მთლიანად ამოაგდო მესამე მოქმედება“ (წერეთელი 1940ბ: 707), შდრ. (წერეთელი 1956ბ: 381). ამავე ცნობას გვაწვდის „აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანეც“: „იანვრის პირველი ნახევარი – ნიკო დიასამიძე ბეჭდავს აკაკის ისტორიულ დრამას „თამარ-ცბიერს“ (წიგნი გამოვიდა მესამე მოქმედების გარეშე, რადგან ცენზურამ აკრძალა მისი დაბეჭდვა) (გურგენიძე 1989: 187). პროკლე კეკელიძე ასკვნის, რომ ნ. დიასამიძის გამოცემაში მესამე მოქმედება გამოტოვებული კი არ იყო, ან ამოგდებული ცენზორის მიერ, არამედ ეს მოქმედება საერთოდ არ იყო დაწერილი. ე.ი. იმთავითვე „თამარ ცბიერი“ 1885 წელს სრული ხუთმოქმედებიანი პოემის სახით კი არ იყო დაწერილი, არამედ იგი უფრო მოგვიანებით დაამატა ავტორმა“ (კეკელიძე 1993: 84) პოემა სრული სახით მხოლოდ 1898 წელს გამოქვეყნდა „აკაკის კრებულში“ №11. ამრიგად, პროკლე კეკელიძის კვლევის შედეგად უფრო ფართოვდება პოემის დაწერის თარიღი. იგი მოიცავს 1885-1898 წლებს. მეტად საინტერესო ცნობას შეიცავს აკაკი წერეთლის ერთი პირადი წერილი ნიკო ნიკოლაძისადმი: „გავათავე დრამა „თამარ ცბიერი“. იმ გონიერთა წრეს, რომელმაც თორნიკე გაჰკიცხა, არ მოეწონა არც ეს და მირჩიეს გადაკეთება, მაგრამ ხომ იცი ჩემი სიზარმაცის ანბავი – დამეზარა. თორემ რჩევა კი საგულისხმო იყო. დრამას არ შეშვენის სახალხო ენაო. პირველი მოქმედებიდანვე უნდა ჩანდეს შინაარსიო. დიდი ტანჯვა დიდის ღრიალით უნდა გამოითქმოდესო. სისხლი, ხანჯალი, ჰაი-ჰუი და ბრახა-ბრუხიო. უამათოდ დრამა რა დრამა იქნებაო.“ წერილი დაწერილია 1886 წელს (წერეთელი 1963: 80). მართალია, აკაკი ცოტა ირონიულადც გადმოსცემს იმ შენიშვნებს, რომელიც ამ დრამის შესახებ მიუციათ, მაგრამ იმასაც ამბობს: „რჩევა საგულისხმო იყო“, როგორც ჩანს, პოეტს ზოგიერთი რამ ჭკუაში დაუჯდა, თუმცა პიესა 1885 წელს დაწერა და მალევე გამოაქვეყნა კიდევ, მაგრამ იგი დიდხანს ვერ

ელეოდა მას, ისევე როგორც ბევრ თავის თხზულებას, (ნაწარმოების რამდენიმე გზის შემოქმედებითად გადამუშავება ხომ ეგზომ დამახასიათებელია აკაკისათვის) და კვლავ ფიქრობდა მასზე. იგი რამდენჯერმე მიუბრუნდა პიესას და მეტად საინტერესო ცვლილებებიც შეიტანა. როგორც ჩანს, თავად პოეტს არ აკმაყოფილებდა „თამარ ცბიერის“ ის რედაქცია, რომელიც შექმნა. ამიტომაც დიდხანს არ ასვენებდა მისი სრულყოფის სურვილი და ბოლოს უკვე შემოქმედებითად გადამუშავებული და ხუთმოქმედებიანად გადაკეთებული დაბეჭდა თავის პურნალ „კრებულის“ 1898 წლის №11-ში.

ამრიგად, პროკლე კეკელიძის მიერ მოძიებული ხელნაწერი ნუსხა ერთობ მნიშვნელოვანია პოემის კანონიკური ტექსტის დადგენისთვის. მკვლევარს შეუსწავლია „თამარ ცბიერის“ ყველა არსებული ნაბეჭდი და ხელნაწერი წყარო, შეუჯერებია ისინი ერთმანეთთან და თავის ნაშრომში თანმიმდევრულად ჩამოთვლის ყველა იმ ცვლილებას, რომელთა გათვალისწინებაც პოემის კანონიკური ტექსტის სრულყოფისათვის საჭიროდ მიაჩნია. მკითხველს თავად შეუძლია გაეცნოს ამ ნაშრომსაც და ტექსტსაც (კეკელიძე 1993: 68), დაგასკენით, მხოლოდ ერთს, რომ წარმოდგენილი კვლევა საშუალებას იძლევა, შევისწავლოთ აკაკი წერეთლის შემოქმედების ბევრი თავისებურება, კერძოდ კი ის, თუ როგორ მუშაობდა პოეტი ცალკეულ ნაწარმოებებზე, როგორ საგულდაგულოდ ამუშავებდა მას შინაარსობრივადაც და ორთოგრაფიულადაც გამოცემებიდან გამოცემებამდე. ამგვარად, ხელთ გვაქვს „თამარ ცბიერის“ კანონიკური ტექსტი, რომელიც ასე საჭიროა აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემისათვის და ვფიქრობთ, გამომცემელი მას გვერდს ვერ აუვლის და აუცილებლად გაითვალისწინებს.

§ 3 ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და მისი საგამომცემლო საქმიანობა

XIX ს. მეორე ნახევარში ქართული კულტურის ისტორიაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება. ამ დიდებულ ორგანიზაციას ილია ჭავჭავაძე ჩაუდგა სათავეში და გვერდით ამოიყენა ქართული კულტურის ბრწყინვალე წარმომადგენლები. აკაკისა და ილიას სახელები ამ საშვილიშვილო საქმეში განუყოფელია. საზოგადოებას იმ თავითვე დიდი მიზნები და ფართო გეგმები ჰქონდა, იგი ხალხში მარტო წერა-კითხვის გავრცელებითა და სკოლების გახსნით როდი დაკმაყოფილდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოება იყო იმდროინდელი საქართველოს კულტურული ცხოვრების ნამდვილი ცენტრი. საზოგადოების გამგეობამ ითავა წიგნების გავრცელებისა და ბეჭდვის დიდებული მისიაც. 1885 წლის 15 ოქტომბრის სხდომაზე ქ. შ. წ. კ. გ. საზ-ბის გამგეობამ მიიღო შემდეგი განჩინება: „სასარგებლო წიგნების დაბეჭვდა აუცილებელ საჭიროებად დანახულ იქნა და ამისთვის ამორჩეულნი იქნენ სამნი წევრნი, რომელთაც საკუთრივ მიენდობათ ამ წიგნების ბეჭვდის შესახები საქმე მთლად. ეს წევრები არიან: აკაკი წერეთელი, გიორგი იოსელიანი და ალექსი მირიანაშვილი. ამ კომისიას მიენდოს შეადგინოს ინსტრუქცია ვრცელი ამ საგანზედ და წარმოუდგინოს მმართველობას დასამტკიცებლად“ (ცენტრალური... 481/6/66).

საზოგადოების საგამომცემლო საქმიანობა მრავალგვარია. აკაკი წერეთლის მონაწილეობასა და თანამშრომლობას ამ საქმეში ერთი ფაქტიც ადასტურებს. 1889 წლის 23 სექტემბერს საზოგადოების გამგეობის მე-4 სხდომაზე განიხილეს საკითხი, რომ გამგეობამ შექმნას კომისია, რომელიც მოამზადებს დასაბეჭვლად საზოგადოების კანცელარიაში დაგროვილ ზღაპრებს. სხდომაზე ასეთი განჩინება მიიღეს: „მიენდოს გამგეობის წევრთ: ი. გო-

გებაში ილსა და ი. მაჩაბელს და ეთხოვოს აკაკი წერეთელს მონაწილეობის მიღება **სახალხო ზღაპრების ამორჩევაში დასაბეჭდად**. ი. მაჩაბელი (ცენტრალური... 481/6/198) (ხაზი ჩვენია, ჯ. გ.).

საგამომცემლო საქმე, როგორც ვხედავთ, ნელ-ნელა წინ მიიწევს, ქ. შ. წ. კ. საზოგადოების გამგეობაში უკვე კარგა ხანია დგას საკითხი ქართველ კლასიკოსთა ნაწერების გამოცემის აუცილებლობის შესახებ. 1889 წლის 24 დეკემბრის სხდომაზე გამგეობამ საგანგებოდ იმსჯელა ამ საკითხზე და ასეთი განჩინება მიიღო: „**ეთხოვოს ი. ჭავჭავაძეს, დაგვითმოს დასაბეჭდად თავისი ნაწერები საზოგადოდ და ჯერაობით კი პირველი ტომი – ლექსებისა და პოემებისა. ესევე ეთხოვოს აკაკი წერეთელსაც „თავმჯდომარის მაგიერ ნ. ცხვედაძე** (ცენტრალური... 481/6/198). ილიას ნაწარმოებთა დაბეჭდვის შესახებ მსჯელობა შემდეგ სხდომაზეც გაგრძელდა (ჭრელაშიელი 1981). რაც შეეხება აკაკის თხზულებათა გამოცემას, ამის შესახებ შემდეგი ცნობები არსად ჩანს.

ამრიგად, ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების მონდომება და სურვილი სურვილად დარჩა. მანაც ვერ შეძლო ილიასა და აკაკის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა. ქართველი ინტელიგენცია კვლავაც დიდი გულისტკივილით აღნიშნავდა ამ ფაქტს, მაგრამ მაინც არ კარგავდა იმედს. მაგრამ, მარტო მონდომება და და თუნდაც დიდი სურვილი არ კმაროდა თხზულებათა სრული კრებულის გამოსაცემად, საამისოდ დიდი თანხა იყო საჭირო, რაც, ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებას არ გააჩნდა.



ქართული „ნობელი“ ჟურნალის

ისტორიული პოემა

მერნია შრისთავი

თბილისი

აკაკისა

Handwritten notes: $\frac{2.695}{2.01}$ and other scribbles.

თბილისი
1884.

89 გვ. (17x19)

უკუი ან ოთახი №	
სახლი- წოდება №	31114.
ფურც. №	7699.

§ 4 აკაკი წერეთლის მიერ თარგმნილი კრილოვის იგავ-არაკები და მათი გამოცემის ისტორია

საგანგებოდ უნდა განვიხილოთ აკაკი წერეთლის მიერ თარგმნილი რუსი მწერლის ივანე კრილოვის იგავ-არაკების გამოცემები, როგორც ცნობილია, აკაკიმ კრილოვის 152 იგავი გადათარგმნა. აკაკიმ მათი თარგმნა დაიწყო 1862 წლიდან და სიცოცხლის ბოლომდე აქვეყნებდა მათ ჟურნალ-გაზეთებში. ამ იგავების პირველი პუბლიკაცია იყო 1862 წლის „ცისკრის“ №8-ში სათაურით „მეზავრები და ძაღლები“. სხვათა შორის, აკაკიმ ეს იგავი შემდგომშიც რამდენჯერმე გამოაქვეყნა, თუმცა ერთობ შეცვლილი სახით. აკაკის მიერ თარგმნილმა იგავებმა მაშინვე დიდი პოპულარობა მოიპოვა და პოეტის სიცოცხლეშივე ხუთჯერ გამოიცა ცალკე წიგნად. აღარაფერს ვამბობთ იმ ცალკეულ იგავებზე, რომლებიც 40 წლის განმავლობაში ყოველწლიურად იბეჭდებოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში ზოგი მათგანი შედიოდა ი. გოგებაშვილის „დედა ენაში“.

1889 წლის 1 სექტემბერს ქ. შ. წ. კ. გამაგრცვლებელმა საზოგადოებამ აკაკისაგან შეიძინა მის მიერ თარგმნილი კრილოვის 40 იგავი, რაზედაც მიიღო შემდეგი „განხილება“: „გამგეობა თანხმდება აკაკი წერეთელს პირობაზედ, ე. ი. აძლევს თითო იგავ-არაკში ხუთ მანეთს, რომ სულ შესდგეს არა უმეტეს სამასის მანეთსა. ამაზე ჩამოერთვას ნოტარიუსის წესით ქალაღდი, რომ სამუდამოდ უთმობს ამ იგავ-არაკების გამოცემას საზოგადოებას. ი. მაჩაბელი (ცენტრალური... 481/6/198). ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიული არქივის ფონდებში არის ასეთი დოკუმენტიც, რომლის მიხედვით ვგებულობთ, რომ „აკაკი წერეთელი სამუდამოდ უთმობს წ. კ. გ. საზოგადოებას 60 იგავ-არაკს კრილოვისაგან ნათარგმნს ლექსად. (51 უკვე წარმოდგენილია, დანარჩენ 9-საც გვპირდება. წარმოგიდგენთ) და თითო იგავ-არაკში თხოულობს 5 მანეთს. ასე რომ სრულად შესდგება 300 მანეთი“ (ცენტრალური... 481/6/198/6).

ამის შემდეგ წ. კ. გ. საზოგადოებამ **ხუთჯერ გამოსცა** ეს იგავ-არაკები. **პირველად 1891 წელს** „კრილოვის იგავ-არაკები, ნათარგმნი აკაკისაგან,“ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კუთვნილება სტამბა მ. შარაძისა, 1891 წ. **მეორედ 1893 წ.** კრილოვის არაკები ნათარგმნი აკაკისაგან. გამოცემა მე-2 შეუცვლელი. ტფ. წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა, 100 გვ. **მესამედ 1898 წელს:** კრილოვის არაკები, ნათარგმნი აკაკისაგან, გამოცემა მე-3 ტფ. ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. 9 სურათი, 104 გვ. 30. **მეოთხედ** – კრილოვის არაკები, ნათარგმნი აკაკისაგან. გამოცემა მეოთხე. შეცვლილი. 9 სურათით. ტფ. წ. კ. გ. ს. გამოცემა № 52 ექ. ხელაძის სტ. **1901 წ.** 104 გვ. **მეხუთე გამოცემა** განხორციელდა **1906 წელს.**

მას შემდეგ, რაც აკაკიმ ქ. შ. წ. კ. საზოგადოებას მიჰყიდა თავის მიერ თარგმნილი 59 იგავი, იგი კვლავაც უბრუნდებოდა მათ და თარგმნიდა ახალ იგავებს. აკაკი წერეთლის ნაწერების ბიბლიოგრაფიისთვის თვალის ერთი გადავლევაც კმარა, რომ დავრწმუნდეთ, რაოდენ უხვად ბეჭდავდა პოეტი თავის თარგმანებს იმდროინდელ პერიოდულ ორგანოებში. ხოლო საზოგადოების დიდი ინტერესის გამოხატულებაა ის, რომ 10 წლის განმავლობაში ეს იგავები ოთხჯერ გამოიცა.

1901 წლის შემდეგ, როგორც ჩანს, აკაკის კვლავაც უხვად დაუგროვდა ახლად თარგმნილი იგავები და მათი გამოცემის საქმე ისევ ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებას მიანდო. 1902 წელს პოეტსა და წერა-კითხვის საზოგადოებას შორის ხელშეკრულებაც დაიდო; „ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობას, ამავე გამგეობის წევრთა სამსონ ფირცხალავას და ნიკო ელიავას მოხსენება: ბ-ნ აკაკი წერეთელს სურს, მის მიერ ნათარგმნი და გადმოკეთებული კრილოვის იგავ-არაკების გამოცემა და თანახმაა, ეს გამოცემა გადმოსცეს წერა-კითხვის საზოგადოებას. ჩვენი აზრით, ამ გამოცემის შექმნა მეტად ხელსაყრელი იქნება საზოგადოებისათვის და ამიტომ საჭიროა, დროზე მოველაპარაკოთ პატივცემულ ავტორს.“ შემდეგ მომხსენებელი აღ-

წერს იმ პირობას, რომელსაც უდებენ აკაკის. ისინი პირველ გამოცემაში ავტორს 300 მანეთს სთავაზობენ. ხოლო შემდეგ ყოველი გამოცემიდან მოგების 50%-ს. ამავე წერილს თან ახლავს მინაწერი: „აკაკი არ შეიქმნა თანახმა გამგეობის პირობაზე“. თუმცა, როგორც ჩანს შემდეგ მაინც მიაღწიეს შეთანხმებას (ცენტრალური... 481/6/211).

ამრიგად, თხუთმეტი წლის განმავლობაში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ხუთჯერ გამოსცა აკაკი წერეთლის მიერ თარგმნილი იგაგ-არაკები. ეს ფაქტი კი იმაზე მიუთითებს, რომ ქართველი საზოგადოების ინტერესი და მოწონება მეტად დიდი იყო ამ იგაგებისადმი. იმავდროულად მკითხველის ამგვარი სიყვარული იმანაც განაპირობა, ი. გრიშაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ: „აკაკი წერეთელი არ არის კრილოვის ჩვეულებრივი მთარგმნელი. კრილოვს საქართველოში თხუთმეტამდე მთარგმნელი ჰყავდა, მაგრამ ვერც ერთი ვერ მივიდა ხალხის გულამდე. მთამომავლობამ მხოლოდ აკაკი დაიმახსოვრა“ (გრიშაშვილი 1964: 194).

აკაკისეული თარგმანი ფართო განსჯის საშუალებას იძლევა. მეცნიერებაში გამოთქმულია სხვადასხვაგვარი მოსაზრება ამ თარგმანების შესახებ, რომ ისინი მხატვრული სრულყოფილების ნიმუშებია, რომ პოეტმა გააქართულა ისინი და ეროვნულ ნიადაგზე დააფუძნა, ეროვნული სამოსით შემოსა (თუნდაც რუსული სახელების შეცვლა ქართულით), ასევე ქართული ანდაზებითა და ხალხური იგაგებით შეავსო, რამაც უფრო მეტად შეაყვარა ხალხს ისინი. როგორც აღვნიშნეთ, ეს თარგმანები საკითხის მრავალმხრივად დასმის საშუალებას იძლევა.

ქვემოთ საგანგებოდ განვიხილავთ რამოდენიმე იგაგს, რათა უფრო თვალნათლივ დავრწმუნდეთ ზემოთქმულში: თუ როგორ ხვეწდა აკაკი თითოეულ იგაგს გამოცემიდან გამოცემამდე. აკაკი წერეთლის თხზულებათა თხუთმეტტომეულის IV ტომის (წერეთელი 1955: 69-379) დიდი ნაწილი ეთმობა კრილოვის არაკების აკაკისეულ თარგმანს. ამ ტომის შემდგენლები შენიშვნებისა და ვარიანტების განყოფილებაში (გვ. 439-480) წარმოადგენენ ყოველი იგაგის პასპორტსა და კომენტარს. გამომცემლები ძირითად

როგორც ვხედავთ, A ვარიანტი უფრო გავრცობილია, თხრობა უფრო დინჯია, სათქმელს უფრო შორიდან იწყებს ავტორი. ის, რასაც B ვარიანტში ორ სტროფში ამბობს, ახალ A ვარიანტში პოეტმა სამი სტროფით გადმოსცა. ჩვენ სრულად არ წარმოვადგენთ ამ იგავს, მოვიხმობთ მხოლოდ ბოლო სტრიქონებს:

B ვარიანტი იყოს:

A ვარიანტი არის:

„ეს რომ უთხრა მოიდრუბლა,
ამოვარდა უცბად ქარი...
გაავდარდა ელვა-ჭექით
და შეიძრა მთა და ბარი!
ქარიშხალმაც ის ლერწამი
გადახარა-გადმოხარა,
მაგრამ იმ დროს დიდი მუხა
კი სრულიად ამოთხარა“.
(გვ. 441)

„ეს რომ უთხრა, სწორედ ამ
დროს
მოიდრუბლა, ატყდა ქარი!
წამოვიდა გრიგალივით,
შეარყია მთა და ბარი,
დაეძკერა ჩვენს მუხასაც,
ბევრი აღარ დააცალა...
ამოთხარა ძირიანად
გადიყვანა ყირამალა“.
(გვ.73)

ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ იგავის ახალი რედაქცია უფრო მაღალმხატვრული იყოს, ვიდრე ადრინდელი, პირიქით, ზოგი სტროფი ძველი ვარიანტისა უფრო სხარტი და ყოვლისმომცველია, მაგრამ ფაქტია, რომ მთარგმნელი არ დააკმაყოფილა პირველმა ვარიანტმა და იგავის განსხვავებული რედაქცია შექმნა. სხვაობა განიცადა იგავის სათაურმაც: (B ვარიანტში) აკაკი „ლერწამს“ წერს, (A ვარიანტში) კი – ლელწამს.

„გამეფელები და ძაღლები“ არსებობს ამ იგავის რამდენიმე ნაბეჭდი წყარო: „ცისკარი“, 1862 წ. №8 (გვ. 163-164) და 1906 წ. გამოცემა (გვ. 73-74). საგულისხმოა, რომ კრილოვის ამ იგავის თარგმანით შედგა აკაკის დებიუტი. როგორც ჩანს, ეს იგავი ჟურნ. „ცისკრიდან“ გადაუბეჭდავთ აკაკის „თხზულებანის“ 1893 წლის გამოცემაში, საიდანაც გადმოიბეჭდა აკაკის „ჩემი ნაწერების“ II წიგნში (1912 წ.), ხოლო იგავის განსხვავებული ვარიანტი აკაკიმ 1891 წელს გამოაქვეყნა და ასე იბეჭდებოდა იგი 1906

მაგრამ აბა, ვნახოთ, როგორ სხარტი და მრავლის მომცველი, ყოვლისმთქმელი გახადა აკაკიმ იგივე მორალი ახალ ვარიანტში:

„შურიანები ამგვარად
ჰყეფენ და იღრინებიან,
მაგრამ ხმას რომ არ გასცემენ,
თვითონვე გულზე სქდებიან“.
(წერეთელი 1955: 136)

ამრიგად, ეს იგავიც შემოქმედებითად გადაუმუშავებია ავტორს. დაუხვეწავს, უფრო ქართულად აუქლერებია.

იგავი „გლეხი და სიკვდილი“ 1891 წ. გამოაქვეყნა პოეტმა, და შემდეგაც დაბეჭდა. 1906 წელს კი მისი ახალი ვარიანტი გამოაქვეყნა. როცა ვკითხულობთ ამ ორ ვარიანტს, თითქოს გვიჭირს მათ შორის უკეთესის გამორჩევა. პირველი ვარიანტი საკმაოდ სხარტი, დახვეწილი და მხატვრულად სრულყოფილია, შესაძლოა, ამიტომაც პ. ინგოროყვამ იგი ძირითად ტექსტად აირჩია. (წერეთელი 1941: 61). აი, რას წერს იგი ამ ტომის შენიშვნებში: „ამ ლექსის ორი რედაქცია არსებობს: ერთი 1891 წლის გამოცემისა. მეორე – 1906 წლის გამოცემისა. (სათაურით „გლეხი და სიკვდილი“). მხატვრულობის მხრით უფრო სრულყოფილად მივიჩნiewთ პირველი რედაქცია და იგი დავბეჭდეთ ჩვენი გამოცემის ძირითად ტექსტში. მეორე რედაქცია (1906 წლის) მოგვყავს ვარიანტებში (წერეთელი 1941: 617, 729) B ვარიანტი, მართლაც, უფრო მოკლე და სხარტია. A ვარიანტი კი უფრო ვრცელი და იქნებ ცოტა გაჭიანურებულიც კია, მაგრამ ტექსტოლოგიური პრინციპების თანახმად აკადემიურ გამოცემებში გათვალისწინებული უნდა იქნას ავტორის ბოლო ნება, ეს ნება კი 1906 წელს გამოქვეყნებულ იგავში გამოხატა აკაკი წერეთელმა. ამ ვარიანტს კვლავაც აკაკისეული სტილი გამოარჩევს. ხოლო დედნის მორალი, რომელიც იგავის პირველ B ვარიანტს აკლია:

"Что как бывает жизнь ни тошно
А умирать еще тошней".

(კრილოვი 1951: 72)

აკაკიმ ასე მშვენივრად აამეტყველა ქართულად:

„ვინ არ იტანჯვის ამ ქვეყნად
და ვის არ დაუკვნესია?
მაგრამ ყოველგვარ ტანჯვაზე
სიკვდილი უარესია“.

(წერეთელი 1955: 241)

ამრიგად, ჩვენ შევეცადეთ მოკლედ წარმოგვედგინა აკაკი წერეთლის მიერ თარგმნილი კრილოვის იგავ-არაკების ტექსტოლოგიური ანალიზი. რასაკვირველია, ამ კვლევას სრულყოფილების პრეტენზია არ ჰქონია. მაგრამ ამ რამდენიმე იგავ-არაკის შემოქმედებითი ისტორიის შესწავლის შედეგად, ჩვენთვის ნათელი წარმოსადგენია პოეტის მუშაობის პრინციპი. აკაკი წერეთელი სიტყვასიტყვით კი არ თარგმნიდა, არამედ შემოქმედებითად ამუშავებდა ამა თუ იმ იდეას, ხვეწდა, თავისებურ ინტერპრეტაციას უკეთებდა. აქართულებდა და ახალხურებდა. ხომ ცნობილია, როგორც შესავალშიც მივუთითებდით, რომ აკაკიმ კრილოვის გმირებს არა მხოლოდ სახელები და სამოსი შეუცვალა, არამედ ცალკეული ზნე-ჩვეულებებიც კი გადმოუქართულა, ამის მაგალითად ცნობილი იგავი „ჭირვეული თამადაც“ იკმარებს. აკაკი საგანგებოდ ცდილობდა, ყოველი გადმოთარგმნილი იგავი ქართული სინამდვილისათვის, ქართული ყოფისათვის შეესაბამებინა. იქნებ ამიტომაც უბრუნდებოდა იგი ზოგ იგავს რამდენიმეჯერ, ხელახლა ამუშავებდა, ხვეწდა. სათქმელსაც ავრცობდა და აფართოებდა, თუცა, იქნებ ზოგჯერ სცილდებოდა კიდევ თარგმანს, მაგრამ ვფიქრობთ, აკაკისათვის მთავარი იყო, ეთქვა ის, რა მორალსაც კრილოვი ქადაგებდა, ხოლო როგორ, ან რა ფორმით გადმოსცემდა ამას, ეს უკვე მისი საქმე იყო. საქმე, რომელსაც მშვენივრად გაართვა თავი. გვახსენდება უუკოვსკის ფრთიანი გა-

მონათქვამი: „პროზად მთარგმნელი მონაა ავტორისა, ხოლო ლექსად მთარგმნელი – ავტორის მეტოქე“.

აკაკი წერეთლის მსგავსი შემოქმედნი ვერც ვერასოდეს იგუებენ მონობას, მაგრამ ამ შემთხვევაში რომ აკაკიმ ნამდვილად მეტოქეობა გაუწია ივანე კრილოვს, ეს უდაოა! თუ დღეს კრილოვის იგავ-არაკები გახალსურდა და ქართველთათვის საყვარელ ნაწარმოებებად იქცა, სწორედ რომ აკაკის დამსახურებაა, რადგან კრილოვის სტილი აკაკიმ გაათავისებურა და მისცა მას აკაკისებური ელფერი. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ „ხალხმა ორივე ხელით მიიღო კრილოვი“, – წერდა ი. გრიშაშვილი.

თ ა ვ ი III

აკაკის ნაწერების გამოცემები –

XIX ს. 90-იან წლებში

XIX საუკუნის 90-იანი წლები განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო აკაკი წერეთლისათვის. ეს ის დროა, როცა პოეტი შემოქმედებითი სრულყოფისა და ზეობის ხანაშია. ამ წლებში შეიქმნა შედევრები: „პატარა კახი“, „მედია“ „ნათელა“, „განთიადი“, „ბაში-აჩუკი“, „ჩემი თავგადასავალი“. ამ წლებში თითქოს ფრთები უნდა შესხმოდა აკაკის ოცნებას: “ქართველთა წიგნის გამომცემელმა ამხანაგობამ“ მისი ნაწერების სრული კრებულების ატომეულის გამოცემა განიზრახა. მაგრამ ამოდ, “თხზულებანის“ ორი ტომის მეტი არ გამოსულა. თუმცა ზოგიერთი ნაწარმოები ცალკე წიგნად მაინც გამოიცა. აკაკის მეგობარმა კირილე ლორთქიფანიძემ 1893 წელს გამოსცა აკაკის ლექსთა კრებული „სალამური“. მიუხედავად ყველაფრისა, ამ წლებში გამოცემული ნაწერები ერთობ მნიშვნელოვანია აკაკის შემოქმედების კვლევისათვის. ზოგი მათგანი პოეტის ბოლო შემოქმედებითი ნების გამოვლინებაა, ზოგსაც ძირითადი ტექსტის დადგენის თვალსაზრისით გამორჩეული ადგილი უკავია.

ახლა ცალ-ცალკე განვიხილოთ ყველა ის გამოცემა, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პოეტის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემისათვის.

პატარა კახი

სუთ-მოქმედებიანი ისტორიული დრამა

K 4.318
201

აკაკისა.

გამოცემა «თეატრის» რედაქციისა.



საქმის №	
ფურცლები	5889
მთლიანი №	10599

თბილისი.
გრ. ჩარკვიანის სტამბა
1890 წ.

§ 1 აკაკი წერეთლის „პატარა კახის“ ახალი ავტორიზებული ნაბეჭდი წყარო

ნიკო ნიკოლაძის პირადი არქივის კატალოგში ტომის შემდეგენლი ქ-ნი თამარ მაჭავარიანი (მაჭავარიანი 1964: 119) აღწერს არქივში დაცულ ერთ წიგნს. ესაა „აკაკი წერეთლის „პატარა კახი“ ხუთმოქმედებიანი ისტორიული დრამა „თეატრის რედაქციის გამოცემა, თბ., 1890 წ. წიგნს აკლია გვ. 1-6; 89-112. თავფურცელზე აქვს წარწერა: „მის მტერ-მოყვარეს ნ. ნიკოლაძეს აკაკისაგან“. აკაკის ხელით უნდა იყოს გასწორებული შემდეგი გვერდები: გვ. 10, 20, 22, 20, 30, 35, 30, 40, 43, 78, 87, 88 -წერს თ. მაჭავარიანი. (მაჭავარიანი 1964: 119).

ჩვენ, ბუნებრივია, დაგვაინტერესა ამ ცნობამ და მოვიძიეთ „პატარა კახის“ აღნიშნული ეგზემპლარი. მართლაც, შემორჩენილ გვერდებზე (7-88) არის პოეტის ხელით გაკეთებული სხვადასხვა ხასიათის სწორება; სახელდობრ, გადახაზულია და შეცვლილია სიტყვები, რაც ზოგ შემთხვევაში შინაარსობრივ ცვლილებას იწვევს. ამასთანავე, პოემა ნასწორებია ორთოგრაფიულად და პუნქტუაციურად. როგორც ჩანს, პოეტს უმცირესი კორექტურული ლაფსუსებიც კი არ გამორჩენია. საგულისხმოა, რომ პოემის აღნიშნულ ეგზემპლარს დღემდე არ იცნობს აკაკის შემოქმედების არც ერთი გამომცემელი. აქედან გამომდინარე, ქვემოთ დასახელებული სწორებანი გათვალისწინებული არ არის აკაკის სიცოცხლის შემდეგ გამოქვეყნებულ არც ერთ გამოცემაში (რამიშვილი 1983: 25).

ამრიგად, ჩვენ ხელთ გვაქვს „პატარა კახის“ უცნობი ავტორიზებული ტექსტი, პოემის ახალი ვარიანტული წაკითხვა.

„პატარა კახის“ ამ უცნობ ავტორიზებულ ტექსტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მწერლის მემკვიდრეობის შესწავლისათვის. მით უფრო მაშინ, როცა მომზადებულია და იბეჭდება აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალი აკადემიური ოცტომეული. მასში დრამატულ პოემებს მეხუთე ტომი ეთმობა (ტომის შემდგენელი ნორა კოტინო-

ვი, მაია არველაძე). ვფიქრობთ, აღნიშნული ლიტერატურული წყარო ერთობ ძვირფასი შენაძენია ამ გამოცემისათვის.

მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს პოემის ავტორიზებულ ტექსტთან. აკაკი წერეთელმა ნაწყვეტები პოემიდან „პატარა კახი“ თავდაპირველად გამოაქვეყნა გაზ. „თეატრში“ 1980 წ. № 1-ში (II მოქმ. I გამოსვლა და იმავე წელს № 4-ში (I მოქმედება II გამოსვლა. ასეთი თანამიმდევრობით). მხოლოდ ამის შემდეგ დაიბეჭდა პოემა სრული სახით. პოემამ მკითხველი საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა. აი, რას სწერს აკაკი ივ. მაჩაბელს: „ჩემი ზოგიერთი თხზულება რუსულად ითარგმნა. მათ რიცხვში – “თამარ ცბიერი“ და „პატარა კახი“. ეს ორი მაინც მოწონებულია. განსაკუთრებით, „პატარა კახი“, ძალიან მოსწონთ და მალე იქნება დაბეჭდილი, თუმც პროზათ არის ნათარგმნი“ (წერეთელი 1963: 140). 1897 წელს აკაკიმ პოემა დაბეჭდა „აკაკის თვით კრებულში“ № 4. პოეტის სიცოცხლეში „პატარა კახი“ მეტად აღარ გამოცემულა.

აკაკის გარდაცვალების შემდეგ 1919 წელს საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ გამოსცა პოემა. 1927 წელს იგი კვლავ დაიბეჭდა (წერეთელი 1927: 257). 1940 წელს პოემა შევიდა პ. ინგოროყვასა და ს. აბაშელის მიერ გამოცემული აკაკი წერეთლის თხზულებათა შვიდტომეულის მე-3 ტომში (გვ. 443) და ბოლოს, იგი დაიბეჭდა თხზულებათა სრული კრებულის (თხუთმეტტომეულის) VI ტომში. ამ ორი ბოლო გამოცემის რედაქტორი იყო იოსებ გრიშაშვილი.

აკაკის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებული „პატარა კახის“ ყველა გამოცემა თითქმის იმეორებს 1890 წ. დაბეჭდილ პოემის ტექსტს. რაც, რასაკვირველია, თანამედროვე ტექსტოლოგიური პრინციპების დარღვევაა. მით უფრო მაშინ, როცა არსებობს პოეტის სიცოცხლის ბოლოდროინდელი გამოცემა (ჟურნ. „აკაკის კრებული“ 1897 წ. № 4) თანაც, როგორც ცნობილია, იგი ავტორიზებულია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გარდა ნაბეჭდი წყაროებისა, დღეისათვის ცნობილია პოემის ერთი ხელნაწერიც, რომელიც ინახება ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში 420 II

ფონდში. როგორც წარწერიდან ირკვევა, ხელნაწერი 104 გვერდისაგან შედგებოდა. ხელნაწერს რამდენიმეგან აწერია თარიღი: „1889 წ. 25 ოქტომბერი“. ეს არის 1890 წ. გამოცემული „პატარა კახის“ საცენზურო ეგზემპლარი. გადამწერის ვინაობა უცნობია. ხელნაწერსა და პოემის არსებულ ნაბეჭდ წყაროებს შორის საკმაოდ ბევრი ვარიანტული სხვაობაა. ხელნაწერს თავფურცელზე ახლავს ასეთი წარწერა: „საცენზურო ეგზემპლარი“ ხელს აწერს რაფ. ერისთავი. თავი დაკარგულია (ერთი ფოთოლი). ელიზბარ პოლუმორდვინოვის წინადადებით ჩემს ბიბლიოთეკას შემოსწირა განსვენებული ივანე პოლუმორდვინოვის (1875-1952) ქვრივმა. ხელი სხვისია. ი. გრიშაშვილი. 1952 წ. 27 ნოემბერი“.

ვიდრე უშუალოდ ზემოთ დასახელებული ავტორიზე-ბული ტექსტის კვლევას შევუდგებოდეთ, უთუოდ ყურადსადებია ის წარწერა, რომელიც ახლავს წიგნს, კერძოდ: „მის მტერ-მოყვარეს ნ. ნიკოლაძეს“. როგორც ჩანს, აკაკიმ წიგნი ავტოგრაფითა და ერთობ საინტერესო წარწერით აჩუქა თავის მეგობარს ნ. ნიკოლაძეს. რაც შეეხება წარწერის შინაარსს, ეს გასაგებია ყველასთვის, ვინც იცნობს XIX ს. საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებას. იმ ყოფას, რომელშიც უწევდათ ტრიალი ერის უდიდეს მოღვაწეებს. იმათ, ვინც ერთგულად ეწეოდა ქვეყნის მძიმე უღელს და სანაცვლოდ ეკლიან გვირგვინსა და ტყვიას „იმსახურებდა“. იქნებ ქართველებს ვერასოდეს მიუგიათ სათანადო პატივი თავისი დიდი შეილებსათვის. თითქოს ვერც ცნობდნენ მესიად მოვლინებულ მამულიშვილებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ერს ინტუიცია მაინც არ დაღატობდა და ყველაზე გამორჩეული და სათაყვანო მოღვაწის საკუთარ სახელს საზოგადოდ აქცევდა ხოლმე. ნიკო ნიკოლაძეც ერთ-ერთი იმ მოღვაწეთაგანია, რომელმაც „ილიას გამოგონებულ XIX საუკუნეში“ თავისი ხნული გაავლო და ნერგი კეთილი დარგო. აკაკი განსაკუთრებით აფასებდა ამგვარ მამულიშვილებს: „დარწმუნდი, სანამ მე პირში სული მიდგას, ჩემს გულში შენგვარ კაცებს წმინდა ადგილი ექნება“ (წერეთელი 1963: 63). აკაკი უდიდეს შეფასებას აძლევდა ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტურ ნიჭსა

და მოღვაწეობას: „ჭეშმარიტად მართლა გეტყვი, რომ შენ სტატიებთან ჩემი ნაჯღაბნის ამოსკუპება მრცხვენია“ (წერეთელი 1963: 65). ეს ფრაზა მხოლოდ თავმდაბლობით არაა ნათქვამი. პოეტი ბევრჯერ გამოხატავდა აღფრთოვანებას თავისი მეგობრის ბრწყინვალე პუბლიცისტური შემოქმედების გამო. საყვედურობდა, რადგან ნიკო თავის ნიჭს სხვა რამეს ახმარდა. ამიტომაც ასე დაახასიათა აკაკიმ თავიანთი ურთიერთობა: „მიუკარებელ-მოუშორებელი მეგობრობა“. ზემოთმოსხმობილი ავტოგრაფის შინაარსის გაგებაც არ გაგვიჭირდება, თუკი გავიცნობთ აკაკის ერთ კერძო წერილს ნ. ნიკოლაძესთან. „შენ ყოლიფერი ხარ მისთვის, ვინც ან მტერია და ან მოყვარე შენი“ (წერეთელი 1963: 79). ეს „მტერ-მოყვრობაც“ ალბათ, „ყოლიფრობის“ სურვილმა ათქმევინა პოეტს. თუკი მათ მიმოწერას გადავხედავთ, დავრწმუნდებით, როგორ აცნობენ ურთიერთს თავიანთ საქმიანობას. აკაკი რომ უდიდეს პატივს სცემდა ნიკოს ლიტერატურულ ნიჭსაც და მის აზრსაც ანგარიშს უწევდა, ამის დასტურად გამოდგება „პატარა კახის“ ავტოგრაფიანი ეგზემპლარი, რომელიც პოეტს დიდი გულისყურით წაუკითხავს. გაუსწორებია არა მხოლოდ შინაარსობრივად და გრამატიკულად, არამედ თვით უმცირესი კორექტურული შეცდომაც კი არ გამოჰპარვია. პოემის აღნიშნული ეგზემპლარი მეტისმეტად საინტერესოა, რადგან, როგორც ვთქვით, ჩვენ ხელთ გვაქვს „პატარა კახის“ ახალი ავტორიზებული ტექსტი, პოემის ახალი ვარიანტი. საგულისხმოა, რომ ავტორიზებულ წყაროში გაკეთებული ყველა ცვლილება, ორიოდე გამონაკლისის გარდა, შეტანილია 1897 წელს გამოცემულ „აკაკის კრებულში“ დაბეჭდილ პოემის ტექსტში. ეს ორიოდე გამონაკლისი კი იმდენად მნიშვნელოვანია პოემის შინაარსის ცალკეული პასაჟის ასახსნელად, რომ ვფიქრობთ, დასანანი იქნება, თუკი ისინი „პატარა კახის“ ძირითად ტექსტში არ მოხვდებიან.

ჩვენ საგანგებოდ შევუდარეთ ერთმანეთს „პატარა კახის“ საცენზურო ხელნაწერი, „ავტოგრაფიანი ეგზემპლარი“ და პოემის ყველა გამოცემა. გამოვყავით და შევისწავლეთ ყველა ის ცვლილება, რომლებიც პოეტს უწარ-

მოებია „პატარა კახის“ ე.წ. „ავტოგრაფიან ცალში“. აღნუსხული ცვლილებანი რამდენიმე ტიპად შეიძლება გამოიყოს. ყოველ მათგანს ქვემოთ საგანგებოდ განვიხილავთ.

პირველი ჯგუფი ნახსენები ცვლილებისა არის **შინა-არსობრივი ხასიათისა**: „პატარა კახის“ II მოქმედებაში, გამოსვლა I (გვ. 21) წერია:

„მემრე უღელი დავსდგა ჩემს სიყრმეს
და შევაკვეცო ფრთები გულისთქმასს,,

პოემის ავტოგრაფიან ეგზემპლარში პირველ სტრიქონში ავტორს გადაუხაზავს სიტყვა „მემრე“ და გვერდით, მარცხნივ მიუწერია „მძიმე“, „**მძიმე უღელი...**“ ეს სტრიქონი ამგვარად დაიბეჭდა ყველა შემდგომ გამოცემაში. საგულისხმოა, რომ აღნიშნული სტრიქონი ასევე იკითხება „პატარა კახის“ საცენზურო ხელნაწერში „მძიმე უღელი დავსდგა ჩემს კისერს“. როგორც ჩანს, გადამწერი, რომლის ვინაობაც უცნობია, სარგებლობდა პოემის ისეთი დედნიდან, რომელშიც სიტყვა უკვე შეცვლილი იყო.

ასეთივე ხასიათის ცვლილებაა შემდეგ სტრიქონშიც: (გვ. 22).

„და აქ ანათებს ნათლის კავშირით,
ჩვენს სიტბოებას და ჩვენს სიმწარეს“.

ავტორს ყავისფერი მელნით გადაუხაზავს სიტყვა „ანათებს“ და მარცხნივ მიუწერია სიტყვა „აერთებს“. ცვლილება გაზიარებულია ყველა შემდგომ გამოცემაში. მათ შორის, საცენზურო ხელნაწერშიც, (გვ.18). როგორც ვხედავთ, ავტორმა სიტყვა შეცვალა და აზრიც შეიცვალა. უფრო უკეთ გამოიკვეთა სათქმელი. იმავედროულად, ტავტოლოგიაც იქნა აცილებული.

იყო: „რა მშობელია მამა, რომელიც
ნაშობისაგან არ იდიდება“. (გვ. 30).

პოეტს შეუცვლია სიტყვით „**ითავსება**“, ამ შემთხვევაშიც უფრო ნათლად და ხატონად გამოთქვა ავტორმა სათქმელი. ცვლილება გადატანილია შემდგომ გამოცემებ-

ში. თუმცა ეს ადგილი პოემის საცენზურო ხელნაწერში ამგვარად იკითხება:

„ნაშობისაგან არ შეთვისდება“ (გვ. 30).

პოემაში გაკეთებული შემდეგი შინაარსობრივი ხასიათის ცვლილება ერთობ საგულისხმოა. ამისათვის ამ ეპიზოდის ვრცლად გადმოცემა მოგვიწევს: რევაზ ბებურიშვილი და ლევან ქვაბულიძე ურთიერთს ხვდებიან და ერთმანეთზე ხმლით იწევენ, რადგან ლევანს რევაზის ძმის სისხლი მართებს. პატარა კახის ჩარევის შემდეგ ისინი შეჩერდებიან და სიტყვიერადლა ეპაექრებიან ერთმანეთს. როგორც ირკვევა: ლევანს მოუკლავს რევაზის მოღალატე ძმა, რის გამოც იგი სასახლიდან განუდევნიათ და ახლა მწყემსობისათვის შეუფარებია თავი. რევაზი კიცხავს და ამუნათებს ლევანს და ეუბნება:

„ამდენი ხანი თურმე მწყემსებში,
სჩანს, უსირცხვილოდ იმალებოდა“

ლევანი: სცდები! „არ ეთქმის უსირცხვილობა
იმას, ვინც ჩვენში ამისთანა დროს,
ტყეში გაჭრილა ყაჩაღად მისთვის,
რომ ქვეყნის მტრებზე მან ინადიროს.
ურცხვი ის არის, ვინც **დღეობებში**
ლხინებს უნდება და აშიყობას.
გლახაკთ დავრჩე, ის მიჩვენია
თუმც კი დიდკაცობ, შენსავით ყოფას!“
(გვ. 39)

ამ სტრიქონში აკაკის გადაუხაზავს სიტყვა „**დღეობებში**“ და მარჯვნივ მიუწერია: „**სასახლეში**“. სხვათა შორის, იგივე სტრიქონი პოემის საცენზურო ხელნაწერშიც (გვ. 34). ასე იკითხება:

„ურცხვი ის არის, ვინც **სასახლეში**
ლხინებს უნდება და აშიყობას“.

დასანანია, რომ ავტორს ეს სწორება გამოჩენია შემდგომ გადმოცემაში და ამიტომ ყველგან დაბეჭდილია სიტყვა „**დღეობებში**“, რაც ერთგვარად გაუგებარს ხდის ლე-

ვანის ნათქვამის აზრს. „ლხინები და აშიყოლა“ ვეჭვობთ, რომ სათაკილო და სასირცხვილო იყოს დღეობებში, ხოლო ქვეყნისთვის უმძიმეს დროს კაცი რომ სასახლეში ღხინსა და არშიყოლას მოჰყვება, ეს კი ნამდვილად სასირცხვილოა. აკი ამას ამუნათებს ლევანი რევაზს. როგორც ჩანს, პოემის დედანში ეს სიტყვა იყო ამგვარად, „სასახლეში“, ამაზე მეტყველებს ის საცენზურო ხელნაწერიც, რომელსაც უთუოდ ავტორისეული ტექსტი (დედანი) ედო საფუძვლად. წიგნის ბეჭდვისას კი სიტყვა „სასახლეში“ როგორღაც შეიცვალა სიტყვით „დღეობებში“, რაც უმაღლ შეამჩნია პოეტმა, შინაარსობრივ უზუსტობად მიიჩნია და ავტორიზებულ ტექსტში გაასწორა კიდევ. თუმცა, სამწუხაროდ, როგორც აღვნიშნეთ, ეს სწორება „აკაკის კრებულის“ № 4-ში გამორჩა და ასევე დაიბეჭდა შემდგომაც. ეს წაკითხვა მომავალ გამოცემაში მაინც უნდა აღდგეს.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ძირითადი ტექსტის წყაროს დადგენისა და შერჩევის შესახებ – ტექსტოლოგიაში ახტა დიდი სხვადასხვაობა იყო.

ტომაშევესკი უარყოფს „ავტორის ნებას“, თუმცა დასაშვებად და ზოგჯერ აუცილებლადაც კი მიაჩნია „ტექსტის შერჩევა იმისდა მიხედვით, თუ რომელი უკეთ გამოხატავს ნაწარმოების მხატვრულ შენობას“. ვინოკური უარყოფს „ავტორის ნების“ მონურ თაყვანისცემას და მოითხოვს, ტექსტის არჩევის პრობლემა მეცნიერულად იქნეს დაყენებული და ყოველი რედაქცია კრიტიკულად შეფასებული. ეიხენბაუმი უპირატესობას ანიჭებს ავტორის სიცოცხლეში უკანასკნელად დაბეჭდილ ტექსტს იმ შემთხვევაში, თუ მასში ცვლილება ავტორს შეუტანია და გარეშე პირთა ჩარევა არ ჩანს. რეისერის აზრით, „ავტორის ნება“ ხელშეუხებელია და მას დიდი ანგარიში უნდა გაეწიოს.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში გაზიარებულია შეხედულება, რომელიც მწერლის თხზულებათა კრებულების გამოცემის დროს უტყუარ ჭეშმარიტებად არის აღიარებული. ტექსტის ყველა წყაროს შეჯერებისა და მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ძირითადი ტექს-

ტის წყაროს შერჩევა და „ავტორის ნების“ გათვალისწინება. რა თქმა უნდა, ჩვენც ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ გათვალისწინებული უნდა იყოს ავტორის საბოლოო ნება და ამიტომაც ვთვლით, რომ ზემოთ დასახელებულ სტროფში აუცილებლად უნდა შეიცვალოს სიტყვა „დღეობებში“, „სიტყვით „სასახლეში“. ეს შეცდომა, როგორც ვნახეთ, აშკარა აზრობრივ შეუსაბამობას ქმნის. შეცვლის შედეგად კი უკვე გასაგები გახდება ლევანის რიტორიკული მიმართვაც და ამდენად სტრიქონის შინაარსიც. მაგრამ თუკი ჩვენ სწორხაზოვნად მივყვებით ბოლო ნაბეჭდის უცვლელობის პრინციპს, შედეგად შეგვრჩება აზრობრივად გაუგებარი ტექსტი, რომელიც ნამდვილად არ იქნება დიდებული მგოსნის შემოქმედებათა ნების გამოვლინება.

ანალოგიური მაგალითი იყო, როცა ი.გრიშაშვილმა პოემის შემდეგ სტროფში

„დავლურში მინდა გამოვითხოვო,
ან უნდა მოგჰკვდე, ან შევაკვდები“. (გვ. 78)

ბოლო სტრიქონი აზრობრივ უზუსტობად მიიჩნია და სიტყვა „**მოგჰკვდე**“ შეცვლა სიტყვით „**მოგჰკლა**“.

როგორც ჩანს, გრიშაშვილს პოეტურმა აღდომ არ უღალატა. აღნიშნული სტრიქონი თავად აკაკისვე გაუსწორებია. „პატარა კახის“ ავტოგრაფიან ნაბეჭდ ცალში მე-8 გვერდზე პოეტს გადაუხაზავს სიტყვა „**მოგჰკვდე**“ და გვერდით, მარცხნივ მიუწერია „**მოგჰკლა**“, სამწუხაროდ, ეს სწორებაც, წინას მსგავსად, გამორჩენილა „აკაკის კრებულში“ დაბეჭდილ ტექსტში და ასე შეცდომით იბეჭდებოდა ყველა შემდგომ გამოცემაში, ვიდრე ი. გრიშაშვილმა არ გაასწორა იგი. საყურადღებოა, რომ აღნიშნული სწორება თუ დღემდე კონიექტურად ითვლებოდა, არსებული ავტორიზებული ნაბეჭდი წყაროს გამოვლენის შემდეგ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის პოეტის ნება! ამრიგად, ეს სიტყვა ისე უნდა დაიბეჭდოს ახალ აკადემიურ გამოცემაში, როგორც ავტორის ნება იყო.

პოემის ავტორიზებულ ტექსტში არსებული ყველა სწორების შესახებ ვრცლად იხ. ჩვენი ნაშრომი („მნათობი“, 2000, № 324, გვ. 150).

როგორც მიფუთითებდით, „პატარა კახის“ გამომცემლები ძირითად ტექსტად პოემის 1890 წ. განხორციელებულ გამოცემას იღებენ (რამდენიმე გამონაკლისის გარდა). თუმცა ზოგან „აკაკის კრებულისეულ“ ფორმასაც გამოურევენ ხოლმე. საინტერესოა, რომ ბევრ შემთხვევაში არ ასწორებენ ისეთ კორექტურულსა თუ ორთოგრაფიულ შეცდომებს, რომლებსაც თავად ავტორი ამჩნევს და ასწორებს. ამის კარგი მაგალითია პოემის I მოქმედებაში დედოფლის მიერ წარმოთქმული ცნობილი ფრთიანი ფრაზა:

„როგორც ქართველ ქალს, ჩემი ირაკლი
ქვეყნის **სამსხვეპლად** გამომიზრდია“ (გვ. 88).

სიტყვა გამოცემებში ეწერა ასე. პოეტს წაკითხვისთანავე შეუმჩნევია არა მხოლოდ კორექტორის შეცდომა, არამედ არასწორი გრამატიკული ფორმაც, სიტყვა გადაუხაზავს და გვერდით, მარცხნივ, მიუწერია სწორი ფორმა: „**სამსხვერპლოდ**“, ასევე გადაიტანა პოეტმა ეს სიტყვა „აკაკის კრებულში“ 1897 წ. № 4 (გვ. 87) დაბეჭდილ ტექსტში: „**სამსხვერპლოთ**!“ რაოდენ გასაკვირია, რომ „პატარა კახის“ ყველა შემდგომი გამოცემა ბეჭდავს ამ არასწორ ფორმას: „**სამსხვეპლად**“. გამომცემლებს რატომღაც მხედველობიდან გამორჩათ ის ფაქტი, რომ სიტყვა „სამსხვერპლო“ – ვითარებით ბრუნვაში იქნება „**სამსხვერპლოდ**!“ დასანანი შეცდომაა.

მაშასადამე, ჩამოთვლილი მაგალითები ნათელყოფენ ტექსტზე აკაკის მუშაობის კვალს და ვფიქრობთ, მათი უგულვებელყოფა პოეტის ნების დარღვევა იქნება.

ამრიგად, აკაკი წერეთლის პოემის „პატარა კახის“ ავტორიზებული წყაროს საფუძვლიანმა განხილვამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ იგი აშკარად გამოხატავს პოეტის შემოქმედებითი მუშაობის სურათს და ამდენად, მის ნებას. მართალია, აღნიშნულ სწორებათა უმრავლესობა გათვალისწინებულია „აკაკის კრებულში“ (1897 წ., №4)

დაბეჭდილ პოემის ტექსტში, მაგრამ, სამწუხაროდ, რამდენიმე ცვლილება (თანაც მეტად მნიშვნელოვანი) გამორჩენილია. ახლა, როდესაც მზადდება აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემა, ბუნებრივია, ტექსტოლოგები ძირითადი ტექსტის შერჩევისას ხელმძღვანელობენ თხზულების ბოლო ნაბეჭდის არჩევის პრინციპით, მაგრამ ხომ ცხადი ხდება, რომ ამ შემთხვევაში იკარგება ბევრი ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომლებიც აშკარად უზულებელყოფს პოეტის ნებასაც და ტექსტის სრულყოფასაც აკლებს ხელს. ამიტომ თუკი გესურს, მკითხველს მივაწოდოთ შემოქმედებითად გადამუშავებული და სრულფასოვანი ტექსტი, საჭიროდ მიგვაჩნია, ძირითად ტექსტში შევიდეს ყველა ავტორისეული სწორება, რომლებიც შემთხვევით გამორჩა „აკაკის კრებული“ ნაბეჭდ ტექსტში, მაგრამ, თუკი გამომცემლები ამგვარ ჩარევას მოერიდებიან, მაშინ იქნებ აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალ აკადემიურ გამოცემაში პოემის „პატარა კახის“ ძირითად წყაროდ სწორედ ქვემოთ განხილული ავტორიზებული ტექსტი აგვერჩია. კომენტარებში კი აგვეხსნა ის მიზეზები, რამაც განაპირობა ეს არჩევანი.

აუცილებლად მიგვაჩნია, საგანგებო მსჯელობის საგნად ვაქციოთ პოემა „პატარა კახის“ კომენტარებში ი. გრიშაშვილის მიერ წარმოდგენილი შენიშვნები.

წინამდებარე გამოცემაში გასწორდა სამი შეცდომა:

- | იყო | გავასწორეთ: |
|--|---|
| 1. ასე ამბობენ, იმდენი ხელი სუყველა იმას შესჩერებოდა. | 1. ასე ამბობენ იმდენი სული სუყველა იმას შესჩერებოდა. |
| 2. გივი: ვაი, თუ თვითონ ალისკანტია? | 2. ბაადურ: ვაი, თუ თვითონ ალისკანტია? |
| 3. დავლურში უნდა გამოვიწვიო | |
| ან უნდა მოგაკვდე , ან შევაკვდები. | 3. ან უნდა მოგჰკლა , ან შევაკვდები. |

პირველი სწორება ლოგიკურია. აქ მართლაც კალმის-მიერი შეცდომაა. ამ კონიექტურას თავად პოემის სა-

ცენზურო ხელნაწერის ტექსტიც უმყარებს ნიადაგს. იქაც ნაცვლად სიტყვისა „ხელი“, სწერია „სული“, რაც უკვე გასაგებს ხდის სტრიქონის შინაარსს. „საიდან გაჩნდა სახელი გივი, როცა ის მეოთხე მოქმედებაში ბრძოლაში დაიღუპა“? – კითხულობს ი. გრიშაშვილი (წერეთელი 1956ბ: 387).

ამჯერად, უკვე ვეღარ დავეთანხმებით მეცნიერს, რადგან პოემიდან ირკვევა, რომ გივი დაიღუპა მეხუთე მოქმედებაში და არა მეოთხეში. I გამოსვლაში მოქმედ პირებად დასახელებული არიან: მეფე, დედოფალი, ბაადურ, ელენე და ამაღლა. ისინი უყურებენ ბრძოლას. საუბარი მიდის მეფესა და ბაადურს შორის. მეფე დურბინდით იყურება და გადმოსცემს ბრძოლის პერიპეტეებს.

შემდეგ პოემის არსებული გამოცემების მიხედვით გივი, ხოლო ი. გრიშაშვილის სწორებით ბაადურ ამბობს:

„ვაი, თუ თვითონ აღისკანტია?
ბევრს გააფუჭებს შეჩვენებული!
მიდი და ახლა, ამის გამგონეს
ნუ მოგიკვდება, ბაადურ, გული“.

(წერეთელი 1956ბ: 161)

დიალოგი ისევ გრძელდება. მეფე ისევ აუწყებს საპყარ ბაადურს მიმდინარე მოვლენების შესახებ. გამოსვლა მეორე – იგინივე და შიკრიკი, რომელიც დაწვრილებით ჰყვება ბრძოლის ეპიზოდებს და კარგა ხნის თხრობის შემდეგ დედოფალი ეკითხება მას:

„გივი სად არის?“
შიკრიკი – „ბატონიშვილთან“?!
ორივე ერთად წინ უძღვის ჩვენებს.

(გვ. 166) (ხაზი ჩვენია, ჯ. გ.)

მაშასადამე, როგორც პოემიდან ირკვევა, V მოქმედების II გამოსვლაში გივი ისევ ცოცხალია და ბატონიშვილთან არის. მისი სიკვდილის ცნობას მხოლოდ III გამოსვლაში იუწყება მეორე შიკრიკი:

„დიდალი ჯარი ამოგვიწვიტეს,

გივი მოგვიკლეს და ჯანდიერი“.

(გვ. 167. ხაზი ჩვენია, ჯ. გ.).

პოემის შინაარსიდან გამომდინარე, ჩვენ სწორად მიგვაჩნია ეს კონიექტურა, მაგრამ არგუმენტებად უფრო სხვა დამაჯერებელ ფაქტებს დავიმოწმებთ. როდესაც საუბარი მიდის მეფესა და ბაადურს შორის, გივი ამ დროს ბრძოლის ველზეა, ბატონიშვილთან. მანძილი მათ შორის იმდენად დიდია, რომ გივის, სურვილიც რომ ჰქონოდა, ვერ გამოეპასუხებოდა მეფეს, ამას ემატება ისიც, რომ, III გამოსვლაში უკვე მეორე შიკრიკს მოაქვს გივის დადუპვის ცნობა. ამდენად, ვეთანხმებით ამ კონიექტურას და ვთვლით, რომ ამ შემთხვევაში სახელი „გივი“– უნდა შეიცვალოს სახელით „ბაადურ“. ჩვენს მიერ მოტანილ მტკიცებათა საფუძველზე. ხოლო არგუმენტი, თითქოს გივი I მოქმედებაში მოკლეს, ვიმეორებთ, შინაარსობრივი უზუსტობაა.

ამრიგად, ჩვენი მიზანი იყო აკაკი წერეთლის პოემის „პატარა კახის“ უცნობი ავტორიზებული ნაბეჭდი წყაროს შესწავლა. აღნიშნული ცალი წიგნისა, უაღრესად საინტერესოა აკაკი წერეთლის შემოქმედების მკვლევართათვის, რადგან იგი შეიცავს პოეტის მიერ ჩასწორებულ გვერდებს. სწორება ბევრ შემთხვევაში **შინაარსობრივი ხასიათისაა**, ზოგჯერ ავტორი ცვლის სიტყვას, რათა უფრო კეთილხმოვანი გახადოს სტრიქონი, ან რითმა. მკაცრადაა ნასწორები ტექსტის **ორთოგრაფია და პუნქტუაციაც**. უფრო მეტიც, პოეტის მახვილ თვალს არ გამორჩენია უმნიშვნელო **კორექტურული** დაფსუსებიც კი. საგულისხმოა, რომ ყოველ შეცვლილ სასვენ ნიშანს საგანგებო პოეტური დატვირთვა აქვს.

ამდენად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ აკაკი წერეთელმა თავის პოემაზე შემოქმედებითად იმუშავა, რის შედეგადაც მივიღეთ პოემის ახალი, ავტორიზებული წყარო. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ თითქმის ყველა სწორება პოეტმა გაითვალისწინა და შემდგომში პოემის შემოქმედებითად გადაამუშავებული ვარიანტი დაბეჭდა თავის „კრებულში“.




ესა და ნაშრომში წარმოდგენილი ბევრი სხვა მტკიცებანი კიდევ ერთხელ წარმოაჩენს პოემა „პატარა კახის“ მიკვლეული ავტორიზებული ტექსტის მნიშვნელობას. მით უფრო, რომ აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით დაიბეჭდა პოემის ტექსტი ავტორის სიცოცხლის ბოლოდროინდელ გამოცემაში, „აკაკის კრებულში“. ეს გამოცემა კი აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის შესაბამის ტომში პოემის ძირითად ნაბეჭდ წყაროდ იქნა აღიარებული.

მიუხედავად არსებული ტექსტოლოგიური პრინციპებისა, ძირითადი ტექსტის შერჩევისა და დადგენის შესახებ, ჩვენ ვთვლით, რომ „აკაკის კრებულში“ გამოქვეყნებულ პოემის ტექსტში გამოტოვებულია რამდენიმე ისეთი სწორება, რომლებიც ერთობ მნიშვნელოვანია პოემის შინაარსის სრულყოფისათვის. ამიტომ საჭიროდ ვთვლით, შევნიშნოთ, რომ მომავალ აკადემიურ გამოცემაში ძირითად ტექსტში უნდა გადავიდეს ყველა ის სწორება, რომლებიც პოეტს გაუკეთებია ზემოთდასახელებულ ავტორიზებულ ტექსტში. კერძოდ: უნდა შეიცვალოს სიტყვები: **დღეობებში – სასახლეში; ვითომ რომ თამარ მეფემ – ვითომ დიდ თამარ მეფემ; ჩამოსხდებიან – ჩამორჩებიან, მოსძახოდნენ – მისძახოდნენ; სამსხვეპლად – სამსხვერპლოდ.**

პოემის ავტორიზებული ტექსტის გამოვლენამ და შესწავლამ უფრო მეტი საფუძველი შესძინა ივარიშაშავილის მიერ პოემის ტექსტში გატარებულ სწორებას (**მოკვლა**), დღემდე თუ იგი კონიექტურად ითვლებოდა, ახლა თამამად შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ ეს არის ავტორის ნება!

ჩვენ ვიზიარებთ პოეტ-აკადემიკოსის მეორე კონიექტურას: სახელი გივის შეცვლას სახელით ბაადურ, თუმცა, როგორც ნაშრომში მივუთითებდით, არ ვეთანხმებით მეცნიერის გამოთქმულ არგუმენტებს და სანაცვლოდ წარმოდგენთ ჩვენს მიერ მოკვლეულ მტკიცებებს.

ამრიგად, აკაკი წერეთლის პოემის „პატარა კახის“ ახალი, უცნობი ავტორიზებული წყარო, პოემის ახალი ვარიანტი, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემისათვის.



§ 2 აკაკი წერეთლის ლექსების კრებულ „სალამურის“ გამოცემის ისტორია და ტექსტოლოგიური ანალიზი

ჩვენი კვლევის საგანია აკაკი წერეთლის თხზულებათა ის გამოცემები, რომლებიც განხორციელდა 1892-93 წ.წ. ქუთაისში. ესენია: „ხოლერა“ – მესტვირული შაირები აკაკისა (1892 წ.) და ლექსების კრებული „სალამური“ – სასიმღერო ლექსები აკაკის“ (1893 წ.). წიგნის გამომცემელი იყო კირილე ლორთქიფანიძე. მასში 26 ლექსია გაერთიანებული. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში კ. ლორთქიფანიძის არქივში ინახება ამ წიგნის ორი ხელნაწერი კრებული: ავტოგრაფი (Q 974) და ასლი (Q 975). ასლი გადაწერილია კირილე ლორთქიფანიძის მიერ. ორიოდ გამოონაკლისის გარდა, იგი მოლიანად მისდევს ავტოგრაფს. აკაკის ლექსების კრებული „სალამური“ დღეს ბიბლიოგრაფიულ იმვიათობადაა ქცეული. იგი წლების მანძილზე დაკარგული იყო. 1989 წელს მას მივაკვლიეთ ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში. წიგნს გარეკანზე ახლავს ი. გრიშაშვილის წარწერა: „ვიყიდე ბაზარზე 1922 წელს. 10.04. სახლში არ გაიცემა. წიგნი ვათხოვე პ. ინგოროყვას, თბილისში ვერ ვიშოვეთ“.

ერთობ უჩვეულო მოვლენაა, რადგან დღეისათვის ცნობილი ამ წიგნის ერთადერთი ცალი, საქართველოში* ეკუთვნის ი. გრიშაშვილს, რომელიც აკაკი წერეთლის თხზულებათა თხუთმეტტომეულის ერთ-ერთი რედაქტორი იყო. მიუხედავად ამისა, თხუთმეტტომეულის არც ერთ ტომში ნაბეჭდ წყაროდ კრებული „სალამური“ მითითებული არ არის. I ტომის შენიშვნებში ნათქვამია: „ნაბეჭდი „სალამური“ ჩვენ ხელთ არ გვქონია (ბიბლიოთეკაში არ აღმოჩნდა). ცნობები ნაბეჭდი „სალამურის“ შესახებ ყველგან ამოღებული გვაქვს პ. ინგოროყვას შენიშვნებიდან“ (იგულისხმება პ. ინგოროყვას შვიდტომეული. ჯგ.). (წერეთელი 1950ა: 457). როგორც ჩანს, წიგნი გვიან დაუბრუნდა

* „სალამურის“ მეორე ცალი ინახება წიგნის პალატაში.

პატრონს. უფრო მეტიც, ზოგი სპეციალისტისათვის ამ წიგნის არსებობაც კი არ იყო ცნობილი. მაგ. ი. ლორთქიფანიძე როდესაც განიხილავს კირილე ლორთქიფანიძის მოღვაწეობას, აღწერს მის მიერ გადაწერილი „სალამურის“ Q 975 ხელნაწერს და შენიშნავს, რომ კირილე განაწყენდა იმის გამო, რომ აკაკიმ ეს ლექსები ცალ-ცალკე დაბეჭდა და „სალამურის“ „გამოცემაზე ხელი აუღიაო“ (ტექსტოლოგიის... 1974: 124).

აღნიშნული წიგნი შევუდარეთ ავტოგრაფსა და ასლს და ჩვენი დაკვირვებანი შესაბამისი მსჯელობითა და დასკვნებით წარმოვადგინეთ მოხსენების სახით სამეცნიერო კონფერენციაზე 1990 წლის აპრილში. შემდეგ კი ვრცელი გამოკვლევა დავბეჭდეთ (გაბოძე 2000ა: 128). მოკვლეული მასალა, ვფიქრობთ, დაეხმარება აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის შემდგენლებს. აკაკის თხზულებათა თვრამეტტომეულის პირველ ტომში მითითებულია კრებულ „სალამურის“ ზემოთ აღნიშნული ნაბეჭდი წყარო, გათვალისწინებულია თითქმის ყველა ის ცვლილება, რომლებიც მოგვცა კრებულ „სალამურის“ ავტოგრაფის, ასლისა და ნაბეჭდი წყაროს ურთიერთშედარებამ. მაგრამ სამწუხაროა, რომ პირველი ტომის არც სარედაქციო წერილში, არც შენიშვნებში არაა მითითებული ჩვენი ეს მოკვლევა და არც ის, რომ აკაკი წერეთლის ახალი აკადემიური გამოცემა ადრინდელთან შედარებით კიდევ ერთი ახალი ნაბეჭდი წყაროთი გამდიდრდა (წერეთელი 1991).* „სალამურის“ ავტოგრაფული ხელნაწერი Q 974 (დაცულია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. კ. ლორთქიფანიძის არქივში) გადაწერილია აკაკის ხელით და მოიცავს 25 ლექსს. ხელნაწერ კრებულს აქვს თავფურცელი, რომელზედაც აწერია: „სალამური“, – მეორე ხაზზე მიწერილია: „ნაღუდი“, შემდეგ ეს სიტყვა წაუშლია პოეტს. ქვემოთ კი დაუწერია: „სასიმღერო-მესტვირული ლექსები აკაკისა“. აქვე სიტყვა „მესტვირული“ ფანქრით გადახაზულია, ამის შემდეგ მოცემულია კრებულის შინაარსი, სადაც 27 ლექსია

* ახალი გამოცემა შეივსება ამ წყაროთიც.

ჩამოთვლილი შემდეგი თანამიმდევრობით: 1. გულისპასუხი; 2. საიდუმლო ბარათი; 3. სალამური; 4. ძველ სამეფოს; 5. შიქასტა; 6. უდარდო კაცი; 7. მუსამბაზი; 8. ავადმყოფი; 9. ამირანი; 10. სიმღერა ძველთა, 11. ოცნება თარზე; 12. ახლანდელ ქალებზე (მუსამბაზი), 13. კინტოური; 14. სატრფოს; 15. ხალხური; 16. აღმართ-აღმართ; 17. სურვილი; 18. მთვარე; 19. ჩემო თავო; 20. იავ-ნანა; 21. ადვოკატებს; 22. იდეალი; 23. მეჩონგურე ქალი; 24. ჯარისკაცი; 25. სვანური სიმღერა; 26. ხალხური; 27. განთიადი. ამთავითვე უნდა მივუთითოთ, რომ ეს რიგი და ხელახალი გადანომვრა ავტორისეულია. რაც კირილე ლორთქიფანიძეს გაუთვალისწინებია ასლში. როგორც აღვნიშნეთ, ავტოგრაფული ხელნაწერის სარჩევში 27 ლექსია მითითებული, მაგრამ თავად კრებულში წარმოდგენილია – 25. ავტოგრაფულ ხელნაწერში მისი შინაარსისაგან განსხვავებით არ არის შეტანილი ლექსი „მეჩონგურე ქალი“. იგი ასლშია გადაწერილი ამგვარი სათაურით: „ჩანგური“ („ვარდის ხმაზედ“); ასევე არაა შეტანილი არც ავტოგრაფში და არც ასლში ლექსი „იავ-ნანა“. იგი მხოლოდ კრებულის ნაბეჭდ ცალში გვხვდება. სარჩევში ნახვენებ რიცხვს 27-ს აკლდება 2 ლექსი. ამდენად, დარჩა 25 ლექსი. საგულისხმოა, რომ ავტოგრაფული ხელნაწერის შინაარსში წარმოდგენილი რიგი სრულად არ ემთხვევა თავად ავტოგრაფში მოცემული ლექსების თანამიმდევრობას. ეს კრებული აკაკიმ კირილეს თხოვნით შეადგინა და სათანადო სარჩევიც დაურთო. ვფიქრობთ, სარჩევში ავტორმა ლექსები ქრონოლოგიური თანამიმდევრობით დაალაგა, მაგრამ შემდეგ ხელნაწერში ეს პრინციპი ვეღარ განახორციელა, ან შესაძლოა ისიც, რომ აკაკიმ ჯერ ხელნაწერი კრებული შეადგინა და რადგან არ მოეწონა მასში ლექსების განლაგება, შემდეგ დაურთო სარჩევი, რომელშიც ეს რიგი შეცვლილია. ეს რომ ასეა, იმითაც დასტურდება, რომ „სალამურის“ ნაბეჭდი წყარო ავტოგრაფის სარჩევს მისდევს. როგორც აღვნიშნეთ, „სალამურს“ მოეპოვება ასლიც, რომელიც გადაწერილია კირილე ლორთქიფანიძის მიერ. ხელნაწერი ინახება მის არქივში Q 975 – ნომრით. კრებული შედგება 42 გვერდისაგან. ეს

ის ცალია, რომელიც კირილეს ჯერ საცენზურო კომიტეტისთვის წარუდგენია, შემდეგ კი ქართველთა წიგნის გამომცემელი ამხანაგობის თავმჯდომარე ალ. ჯაბადარისათვის უჩვენებია. ხელნაწერს თავფურცელზე ახლავს ცენზურის ნებართვა: „Дозволено цензурою на пятидесяти восьми страницах с исключением на страницах“ 7,8,9,13,15,18,45, и 53“.

„12 декабря 1892 года. Тифлисы КН. Р. Эристави“. იქვე გარეკანზე ხელნაწერს აქვს შემდეგი წარწერა: „ამ რვეულში მოთავსებული ოცდაექვსი ლექსის (გარდა ლექსისა „ხოლერა“) დაბეჭდვის ნებას აძლევს წიგნის გამომცემელი ქართველთა ამხანაგობა. ამხანაგობის გამგე ალ. ჯაბადარი. 13 დეკემბერი 1892 წ. ქ. თბილისი“.

ჩვენ დაგვაინტერესა ამ წარწერამ. „სალამურის“ ხელნაწერი კრებული შედგება 42 გვერდისაგან, ნაბეჭდი წიგნი მოიცავს 48 გვერდს. ნებართვა გაცემულია 58 გვერდზე. რას ნიშნავს ეს? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა „ხოლერას“ ის ეგზემპლარი, რომელიც ინახება კ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. იგი 16 გვერდიანია, მაგრამ ამ წიგნზე იმავე ხელით, რომლითაც გადაწერილია და გადაწომილია კრებულ „სალამურის“ ასლი, გაკეთებულია ახალი პავინაცია, რომლის საერთო ნუმერაცია საბოლოოდ აღწევს 58-მდე. „ხოლერას“ ეს ცალი, როგორც ჩანს, ცენზორთან ყოფილა წარდგენილი. მასში იმავე ხელით აღდგენილია ცალკეული სტრიქონები, ზოგი წაშლილია წითელი მეღნით, ზოგი კი გადარჩენია ცენზურას. ამ წიგნის ბოლოშიც არის ასეთი წარწერა: „Цензурою на пятидесяти восьми страницах. 12 Декабря 1892 года“ ამრიგად, კრებული „სალამურიცა“ და „ხოლერაც“ 12 დეკემბერსაა ცენზორისაგან ნებადართული.

მაშასადამე, აქედან გამომდინარე, „სალამურის“ გამომცემის ისტორია ასე წარმოგვიდგება: როგორც ჩანს, ავტორს გადაუცია კ. ლორთქიფანიძისთვის თავისი ხელით გადაწერილი 25 ლექსი (თუმცა სარჩევში 27 არის ჩამოთვლილი). კირილე ლორთქიფანიძეს გადაუწერია ეს ლექსები და, რადგან „ხოლერა“ იმ წელს გამომცემელი იყო დიდი დამახინჯებით, განუზრახავს, ისიც მოექცია იმავე

კრებულში, ამიტომ აღარ გადაუწერია „ხოლერა“ და უსარგებლია მისი ნაბეჭდი ცალით, რომელშიც აღუდგენია ცენზორის მიერ ამოღებული ადგილები, შემდეგ ორივე ერთად გადაუნომრავს („ხოლერას“ ნაბეჭდი ცალი 16 გვერდს მოიცავს) $16+42=58$ და ასეთი ფორმით წარუდგენია ცენზორისათვის. ცენზორმა კვლავ ამოშალა მთელი რიგი ადგილები „ხოლერადან“, მთლიანად ამოიღო ლექსი „ავადმყოფი“ და მხოლოდ ამგვარი სახით მისცა მისი დაბეჭდვის ნება. შემდეგ (13 დეკემბერს) აღნიშნული კრებული კირილე ლორთქიფანიძეს უჩვენებია აღ. ჯაბადარისთვის.

როგორც ცნობილია, როცა ქართველთა წიგნის გამომცემელმა ამხანაგობამ განიზრახა აკაკის ნაწერების გამოცემა, მათ აკაკის დაუდეს ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ამხანაგობის ნებადაურთველად აკაკი წერეთლის ნაწერების გამოცემა ეკრძალებოდა ყველას. აღნიშნულ ხელშეკრულებას იცნობდა კ. ლორთქიფანიძეც და თავს ვალდებულად თვლიდა, ეცნობებინა გამომცემლობის გამგისათვის თავისი განზრახვა აკაკის ლექსების გამოცემის შესახებ. აღ. ჯაბადარს გაუცია ლექსების დაბეჭდვის ნება, გარდა ლექსისა, „ხოლერა“. როგორც ჩანს, აღ. ჯაბადარმა მიზანშეწონილად არ მიიჩნია, რომ ეს ლექსი კვლავ ასე დაჩეხილი გამოეცათ. ამიტომაც ურჩია კრებულიდან მისი ამოღება გამომცემელს, რომელსაც გაუთვალისწინებია კიდევ ეს რჩევა.

ამრიგად, „სალამური“ – სასიმღერო ლექსები აკაკისა 1893 წ. ამგვარი სახით დაიბეჭდა ქუთაისში. მასში 26 ლექსია მოთავსებული. წიგნი, გარდა იმისა, რომ იშვიათი ეგზემპლარია, იმითაცაა საინტერესო, რომ შეიცავს პ. ინგოროყვას მიერ აღდგენილ ადგილებს იმ ლექსებისას, რომლებიც ცენზურას წაუშლია. აღდგენისას პ. ინგოროყვას უსარგებლია კ. ლორთქიფანიძის არქივში ნაპოვნი ხელნაწერი კრებულებით, რომლებიც წიგნის ხელნაწერი წყაროებია. პ. ინგოროყვა (წერეთელი 1941: 23) მიუთითებს მათ შესახებ. კრებულ „სალამურის“ ხელნაწერი ასლის თავფურცელზე წერია: „სალამური – სასიმღერო და მესტირული ლექსები აკაკის“. შემდეგ ერთვის შინაარსი, რო-

მელიც როგორც აღვნიშნეთ, ზუსტად მისდევს ავტოგრაფის სარჩევის თანამიმდევრობას.

ჩვენ საგანგებოდ შევეუდარეთ ერთმანეთს აკაკი წერეთლის ლექსთა კრებულის „სალამურის“ ავტოგრაფი, ასლი და ნაბეჭდი ტექსტი. ასევე შევაჯერეთ ისინი შემდგომდროინდელ გამოცემებთან, სახელდობრ: აკაკი წერეთლის „თხზულებანი“ 1893 წ. I-II ტომი; აკაკის „ჩემი ნაწერები“ I-II ტ. 1912-1913 წ.წ. პ. ინგოროყვას მიერ გამოცემული აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებული შვიდ ტომად. I-II ტ., აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტი ტომად, I-II ტ. და აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებული 18 ტომად.* ტ. 1 (1991 წ.). საგანგებოდ აღვნიშნეთ ყველა ცვლილება და განსაკუთრებით ის შემთხვევები, თუ როგორ დაიბეჭდა შემდგომდროინდელ გამოცემებში კრებულ „სალამურის“ ნაბეჭდ წყაროში შესწორებული ესა თუ ის ლექსი. ამ დაკვირვებამ საშუალება მოგვცა, დაგვედგინა აკაკის კრებულ „სალამურის“ ნაბეჭდი ტექსტის მეცნიერული ღირებულება. ისიც, თუ რამდენად სანდო წყაროა იგი აკაკი წერეთლის შემოქმედებისა და ტექსტის მკვლევართათვის. რამდენად შესაძლებელია, საბოლოო ტექსტის დადგენისას, მეცნიერები დაეყრდნონ ამ გამოცემას. ზოგადი დასკვნა ასეთია: აკაკი წერეთლის ლექსების კრებული „სალამური“ უადრესად მნიშვნელოვანი გამოცემაა და მას სათანადო აღგილი უნდა მიეკუთვნოს აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური ტექსტის დადგენის დროს.

აკაკი წერეთლის ლექსთა კრებულ „სალამურში“ კარგად ჩანს ავტორისა და გამომცემლის მუშაობის კვალი. საყოველთაოდ ცნობილია, როგორ მუშაობდა აკაკი ლექსზე. იგი რამდენჯერმე გადაწერდა, ცვლიდა მას. ზოგჯერ პროზად წერდა, შემდეგ გალექსავდა და სხვა. აი,

* აკაკი წერეთლის თხზულებათა 18 ტომეულის I ტომი გამოვიდა 1991 წელს. ამჯერად ხელახლა მზადდება აკაკის თხზულებათა აკადემიური ოცტომეული, რომლის პირველი ათი ტომის გამოსაცემად მომზადება 2009 წელს რუსთაველის ფონდმა დააფინანსა.

რას სწერს პოეტი თავის მეგობარს კირილე ლორთქიფანიძეს: „რამდენიმე, ასე ოცდაათამდე ჩემი ლექსები და „თამარ ცბიერი“ გადავთარგმნე პროზათ, მერე ველინკომ გადაიღო ლექსებათ და ისეთი ამბავი მოახდინა, რომ გასაკვირველი“ (წერეთელი 1963: 52).

კრებულ „სალამურის“ ავტოგრაფი ერთხელ კიდევ გვარწმუნებს ზემოთქმულის ჭეშმარიტებაში. მასში კარგად ჩანს პოეტის შემოქმედებითი მუშაობის კვალი. მგოსანი ერთხელ დაწერილ ფრაზას იქვე ცვლის, ზემოდან აწერს, შლის. შემდეგ კი გამოცემაში შესწორებული სახით გადააქვს. ისეთი შემთხვევაც ხშირია, როცა შესწორებული ლექსი, რომელიც დაიბეჭდა „სალამურში“, თითქოს არ აკმაყოფილებს პოეტს და შემდგომ გამოცემებში ისევ ცვლის.

ქვემოთ წარმოვადგენთ მაგალითებს, რომლებიც ნათლად ასახავენ პოეტის **შემოქმედებითი მუშაობის სურათს.**

საინტერესოა ის ცვლილება, რომელიც აკაკის შეუტანია ლექსში „**მუხანბაზი**“. ლექსს აქვს ავტოგრაფი Q 974, ასლი Q 975, ნაბეჭდი „სალამური“ (გვ.1 5) (აკადემიური გამოცემის (ტ. I) შენიშვნებში ეთ. შარაშენიძე წერს: „თხუთმეტტომეულის I ტომის გამომცემლები მიუთითებენ, რომ ამ ლექსის ძირითად წყაროდ ავტოგრაფი აიღეს, თუმცა ირკვევა, ტექსტი მათ შეავსეს პირველნაბეჭდისა და 1882 წ. ჯიბის კალენდრის მიხედვით“ (წერეთელი 1991: 339). აკადემიური თვრამეტტომეულის I ტომში ლექსი იბეჭდება ავტოგრაფის მიხედვით (წერეთელი 1991: 17). მე-15 სტრიქონი თავდაპირველად ასე ყოფილა: „მაგრამ მაინც ვიცინი **სხვანაირად**“, შემდეგ ავტორს გადაუხაზავს სიტყვა „სხვა“ და თავზე დაუწერია „სამ“. „**სამნაირად**“ წაკითხვას იძლევა პ. ინგოროყვას მიერ შემოთავაზებული ტექსტიც (წერეთელი 1940ა: 138). საყურადღებოა ერთი რამ: სტრიქონის ამგვარი წყობა არ არის გაზიარებული არც კრებულის ასლში Q 975 და არც მის ნაბეჭდში (იხ. გვ. 15). მასში დატოვებულია პირვანდელი ფორმა: „მაგრამ მაინც ვიცინი სხვანაირად“; თუმცა ყველა სხვა გამოცემაში იკითხება სიტყვა „სამნაირად“ აკაკის თხზულებათა I ტომის შენიშვნები (წერეთელი 1991: 339).

თელი 1991: 340) წერია, რომ: ვინაიდან ავტორის ბოლო ნების გათვალისწინებით ლექსს შემოკლებული ვარიანტით ვბეჭდავთ, გამართლებულად მიგვაჩნია ი. გრიშაშვილის მოსაზრება, რომ სიტყვა „სამნაირად“ უნდა შეიცვალოს სიტყვით „სხვანაირად“ (წერეთელი 1991: 374-378). ესა და ბევრი სხვა მაგალითი ნათელყოფს აკაკი წერეთლის შემოქმედებით მუშაობას ლექსზე.

როგორც მიუთითეთ, კრებულ „სალამურის“ ასლი რედაქტირებულია კირილე ლორთქიფანიძის მიერ. იგი ცვლიდა ლექსში ცალკეულ სიტყვას, ფრაზას, ზოგიერთი ცვლილება შინაარსობრივი ხასიათისაა. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ პოეტი ხშირად ითვალისწინებდა რედაქტორის ამ ჩარევას ტექსტში, თუმცა ისეთი შემთხვევაცაა, როცა აკაკი არ იზიარებდა კ. ლორთქიფანიძის ზოგ შენიშვნას. ქვემოთ წარმოვადგენთ იმ ცვლილებებს, რომლებიც განიცადა აკაკის ლექსმა კირილე ლორთქიფანიძის რედაქტირების შედეგად. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ზოგიერთი ცვლილება კირილეს კრებულ „სალამურის“ ასლში შესაბამისი ლექსის ადრინდელ ვარიანტებზე დაყრდნობით უწარმოებია.

ახლა იმ მაგალითებს წარმოვადგენთ, როცა ესა თუ ის ცვლილება ლექსის შინაარსზე ახდენს გავლენას. ლექსი „**ოცნება თარზე**“ აქვს ავტოგრაფი Q 974 ასლი Q 975. ნაბეჭდი „სალამური“, პირველწყაროდ გამოყენებულია ნაბეჭდი ტექსტი გაზ. „შრომადან“ 1881 წ. 1 15. VII₃ ავტოგრაფში იყო ასე: „**ოცნებაშიც დავარდა მისი ძალა**“. კირილეს, როგორც ჩანს, არ მოეწონა ლექსის ამგვარი გადაკეთება და კრებულის ასლში ეს სტრიქონი ამავე ლექსის ადრინდელი, კერძოდ, 1881 წ. გამოცემის მიხედვით შეცვალა შემდეგნაირად: „**ოცნებაამაც დაჰკარგა მისი ძალა**“. ასეთივე სახით დაიბეჭდა სტრიქონი კრებულ „სალამურში“, აკაკი თხზულებათა 1893 წ. II ტ. (გვ. 105) და პ. ინგოროყვას შვიდტომეულის 1 ტ. (გვ. 291). როგორც ვხედავთ, ეს სწორება შინაარსობრივი ხასიათისაა. საგულისხმოა, რომ აკაკი წერეთლის თხუთმეტტომეულის II ტომის შენიშვნებში (გვ. 457) ეს ვარიანტული წაკითხვა აღნიშნული არ არის. ტომის შემდგენელი მიუთითებს

მხოლოდ იმას, რომ: „...ნაბეჭდი საღამური“ ჩვენ ხელთ არ გვქონია (ბიბლიოთეკებში არ აღმოჩნდა), ცნობები ნაბეჭდი „საღამურის“ შესახებ ყველგან ამოღებული გვაქვს პ. ინგოროყვას შენიშვნებიდან“. წინა გამომცემლებისაგან განსხვავებით ამჯერად ახალი აკადემიური ოცტომეულის მომზადებლებს საშუალება მიეცათ, ისარგებლონ კრებულ „საღამურის“ ნაბეჭდი წყაროთი.

ამ წყაროების შედარებამ მოგვცა საშუალება, ვაღიაროთ, რომ კირილე ცვლიდა ამა თუ იმ სიტყვას, აკაკი ეცნობოდა ამ შენიშვნებს, ზოგჯერ იწონებდა მათ, ხანაც კვლავ თავისებურად წერდა. ამის კარგი ნიმუშია ლექსი „აღმართ-აღმართ“; „მაგ შარბათში საწამლავს სვამ, იცოდე“ ასეა საღამურის ავტოგრაფულ ხელნაწერში Q 974. კირილეს ასლში Q 975 და ნაბეჭდში სიტყვა შეუცვლია ასე „სამსალას“, ეს შენიშვნა არ მიიღო პოეტმა და შემდეგშიც პირვანდელი ფორმით: „საწამლავს“ წერდა.

წარმოდგენილი მაგალითები ცხადად მეტყველებენ აკაკი წერეთლის ლექსთა კრებულ „საღამურის“ მეცნიერულ ღირებულებაზე. აშკარად ჩანს, ავტოგრაფულ კრებულზე ავტორის შემოქმედებითი მუშაობის კვალი. დასტურდება კირილე ლორთქიფანიძის რედაქტორული მოღვაწეობაც. აღნიშნული შრომა ვრცლად გამოქვეყნებულია (გაბობე 2000: 12).

ამრიგად, ჩვენი ნაშრომის მიზანი იყო, შეგვესწავლა აკაკი წერეთლის ლექსების კრებული „საღამურის“ გამოცემის ისტორია. შეგვეჯერებინა არსებული ხელნაწერები და ნაბეჭდი ტექსტი ერთმანეთთან, აგრეთვე, შემდგომი დროის უმნიშვნელოვანეს გამოცემებთან და ამის საფუძველზე გაგვეკეთებინა აღნიშნული ლექსების ტექსტოლოგიური ანალიზი.

საყურადღებოა კრებულ „საღამურის“ ასლიც. იგი რედაქტირებულია გამომცემლის, აკაკის მეგობრის კირილე ლორთქიფანიძის მიერ. ის დიდი სიფრთხილით ეკიდება ყოველივე სიტყვას, ასოს. ცვლის მას, უმეტეს შემთხვევაში, ლექსის ადრინდელი ვარიანტის მიხედვით. ზოგჯერ თავად არჩევს უკეთეს სიტყვას და სთავაზობს პოეტს. ბევრი ასეთი სწორება სტროფის შინაარსზედაც

ახდენს სასიკეთო გავლენას, ჩვენ აქ არ ჩამოვთვალეთ ის მრავალი გრამატიკული და ორთოგრაფიული სწორება, რომლებსაც კირილე ლორთქიფანიძე სთავაზობს ავტორს. საგულისხმოა სწორედ ის, რომ აკაკი წერეთელი ხშირად იწონებს გამომცემლის შენიშვნებს და შეცვლილი სახით ბეჭდავს ლექსს შემდგომშიც. თუმცა იმის მაგალითებიც წარმოვადგინეთ, როცა პოეტი არ იზიარებს მეგობრის სწორებებს და ლექსის თავისეულს ვარიანტს ირჩევს. „სალამურის“ ხელნაწერ კრებულებზე დაკვირვება აშკარას ხდის აკაკის თანამშრომლობას თავისი ნაწერების გამომცემლებთან. ეს კარგად ჩანს პოეტის პირადი მიმოწერიდანაც. კირილე ლორთქიფანიძემ დიდი რუდუნებით, სიყვარულითა და ჩვეული გულმოდგინებით შეადგინა აკაკის ლექსთა კრებული „სალამური“. ამ წიგნის სახით დღეს გვაქვს ავტორის მიერ ნასწორები და ხშირ შემთხვევაში მისი საბოლოო ნების გამომხატველი ტექსტი ლექსებისა. ამ მონაცემების მიხედვით უფრო მეტად იზრდება „სალამურის“ მნიშვნელობა და ისიც, თუ რაოდენ ღირებული შენაძენია იგი აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემისათვის და აკაკი წერეთლის შემოქმედების მკვლევართათვის.

**„განთიადის“ პირველი პუბლიკაცია კრებულ
„სალამურში“ და ლექსის დათარიღების
საკითხი**

აკაკის ლექსთა კრებულ „სალამურის“ მნიშვნელობა ერთი-ორად იზრდება იმითაც, რომ მასში პირველად დაიბეჭდა აკაკის „განთიადი“, რომელსაც უზის თარიღი 1892 წლის 12 დეკემბერი, რაც სწორედ ამ კრებულის დაბეჭდვისათვის გაცემული ნებართვა გახლავთ. ამ ლექსის შექმნის თარიღი და მისი ადრესატის ვინაობა დღემდე სადავოდ რჩება მეცნიერთათვის. ერთნი ლექსის დაწერის დროდ დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვის დღეს, 1887 წლის ნოემბერს, ასახელებენ (ბოცვაძე 1956, მთვარელიძე 1988: 14) და თვლიან, რომ აკაკიმ იგი დიმიტრი ყიფიანის ხსოვნას მიუძღვნა. მეცნიერთა მეორე ნაწილი ლექსს 1892 წლის 12 დეკემბრით (ცენზურის ნებართვა) ათარიღებს გ. აბზიანიძე, (წერეთელი 1950ბ: 511) ე. თაყაიშვილი, თ. ჯოლოგუა (ჯოლოგუა 1999). მესამე მოსაზრებით აკაკის „განთიადი“ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებასთან დაკავშირებით შეუქმნია და სიტყვაში „მოგსანი“ სწორედ ის იგულისხმება (ი. ბოცვაძე, ვლ. მახარაძე (მახარაძე 1973).

ჩვენ ვიზიარებთ მეცნიერებაში დღემდე არსებულ მოსაზრებებს „განთიადის“ შექმნის შესახებ და ამასთანავე, გვსურს, წარმოვადგინოთ სამი განსხვავებული დოკუმენტიც, რომლებიც, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს საკითხის საბოლოოდ გარკვევას.

I. „განთიადის“ დღემდე ასლად მიჩნეული ხელნაწერი Q-953 (ინახება ქუთაისში) და არის ლექსის **ავტორიზებული ხელნაწერი**. აკაკი წერეთლის თხოულობათა თხოთმეტტომეულის I ტომის შენიშვნებში გ. აბზიანიძე მიუთითებდა: `D ხელნაწერი (იგულისხმება Q-953 ჯ. გ.) გადაწერილია და ნასწორებია კირილე ლორთქიფანიძის მიერ“. ხელნაწერზე დაკვირვების შედეგად ჩნდება აზრი, რომ იგი გადაწერილი კი არ არის, არამედ ჩაწერილია და ნასწორებია აკაკის კარნახის მიხედვით. Q-953 კი

არის „განთიადის“ ერთ-ერთი პირველი შავი ავტორიზებული ხელნაწერი. ჩვენი მოსაზრება ეყრდნობა რამდენიმე არგუმენტს: ხელნაწერში არსებული სწორებათა **შინაარსი** და **სიმრავლე**. მართალია, კირილე აკაკის უახლოესი მეგობარი იყო, როგორც მივუთითებდით, ხშირად ასწორებდა მის ნაწერებს და თავად აკაკიც დიდად აფასებდა მის ლიტერატურულ გემოვნებას, მაგრამ როგორც საკითხის კვლევით დავრწმუნდით, კირილე ამგვარი სწორებისას ძირითადად ეყრდნობოდა პოეტის ნაწერების ადრეულ გამოცემებს. კირილე ლორთქიფანიძეს უსწორებია პოემა „ნათელას“ ნაბეჭდი ცალიც, მაგრამ ის ცვლილებანი სრულიად სხვაგვარია. საკმარისია, გავეცნოთ ამ ხელნაწერის აღწერილობას, რომ მაშინვე ჩნდება კითხვები: როგორ, რა უფლებით შეიტანდა კირილე ამგვარი შინაარსისა და სახის სწორებებს აკაკის ლექსში? თანაც გადაწერისას! Q-953, ხელნაწერის საფუძვლიანმა შესწავლამ (კვლევას ვაწარმოებდით სპეციალისტებისა და ექსპერტების დახმარებით) დაგვარწმუნა, რომ აღნიშნული ლექსი აკაკის კარნახითა და მისივე შესწორებებით ჩაუწერია კირილე ლორთქიფანიძეს. ანუ დაკვირვებით აშკარა ხდება, რომ Q-953 ხელნაწერი აკაკისა და კირილეს ერთად მუშაობის პროცესს გამოხატავს. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის „განთიადის“ ერთ-ერთი პირველი შავი ავტორიზებული წყარო. მაინც რა გვაძლევს ამ მტკიცების საფუძველს?

ა) პირველი არგუმენტი გახლავთ ტექსტში შეტანილი სწორების **შინაარსი** და **ფორმა**. თვალის ერთი გადავლებაც კი საკმარისია, რომ ვადიაროთ: ხელნაწერი აშკარად ასახავს შემოქმედებით პროცესს. ზოგი სტრიქონი წაშლილია და მაშინვე შეცვლილია ახლით: (იყო: „**საფლავსა დიმიტრისასა**“ იქვე შეცვლილია ასე: „**თავდადებულის საფლავსა**“. აკაკიმ გამოთქმას „**როგორც დიდ მოძღვარს**“ ამჯობინა „**გრძნობამორევით**“, ან „**საადსარებოდ გულს უხსნის**“ შეცვალა ასე: „**და გულის პასუხს ნარნარად,**“ დიმილმა – სიამემ; **შეჰყურებს – თვალს ავლებს** და მრ. სხვა). უფრო მეტიც: აკაკის, როგორც ჩანს, კირილესათვის მთელი სტროფიც კი

უკარნახია, რომელიც პირველ გვერდზე მარჯვნივ, შექცე-
ვითაა მიწერილი. შემდეგ ეს სტროფი წაშლილია
ავტორისავე სურვილით. ისევე როგორც ბევრი სხვა
სიტყვა და სტრიქონი. ტექსტში რამდენიმეგან
გადანომრილია სიტყვები. ამდენად, შეუძლებელია,
ამგვარი სწორებანი სხვა ვინმეს ეკუთვოდეს, თვინიერ
ავტორისა. სხვათა შორის, კირილეს ამგვარ ჩარევას
აღრევე დაუეჭვებია თ. დოიაშვილი, რომელიც წერს: „ბო-
ლო სტრიქონი კი კირილეს ნამოქმედრად ვერ ჩაითვლე-
ბა, რადგან სიტყვა „დიმიტრისასა“ მშვენივრად უთანხმ-
დება წინამავალ სართომო სიტყვას „მტკრისასა“. თუ მა-
ინც და მაინც ჩავთვლით, რომ „საფლავსა დიმიტრისასა“
კირილე ლორთქიფანიძეს ეკუთვნის, ჩანს, მას ჰქონია
საამისო საბუთი, რომ ასეთი გასწორება მოეხდინა. ჩვენ
ვფიქრობთ, რომ აკაკის თავდაპირველად უნდა ჰქონოდა
„საფლავსა დიმიტრისასა“, მაგრამ მხატვრული მოსაზრე-
ბით (კონკრეტული სახე „დიმიტრი“ იძენს განზოგადებას-
„რაინდსა ურჩსა მტრისასა“) შეუცვლია იგი „საფლავსა
დიმიტრისასა“ (დოიაშვილი 1974: 76) ამ მოსაზრებასთან
ერთად გასათვალისწინებელია აკაკის მეგობრის ივ. ელი-
აშვილის გადმოცემაც: „სამწუხაროდ, ბევრმა არ იცის,
რომ ლექსში „მდინარე ნანას უმღერის რაინდსა ურჩსა
მტრისასა“, მტრის ურჩი რაინდი არის დიმიტრი ყიფიანი...
რატომ პირდაპირ არ დაასახელა აკაკიმ დიმიტრი ყიფი-
ანი, იმიტომ, რომ იმისი ხსენება აკრძალული იყო, რო-
გორც პოლიტიკური დამნაშავისა“ (ელიაშვილი 1990: 149).

ბ) ჩვენს მტკიცებას ადასტურებს გადამწერის **ხელწე-
რაც**, საყოველთაოდ ცნობილია, რომ გადამწერის ხელწე-
რაც ხელწერა ჩვეულებრივ დინჯი და სუფთაა. ამის მაგალი-
თად თვით კირილეს მიერვე გადაწერილი „თორნიკე
ერისთავის“ ტექსტის ხილვაც კმარა (კეკელიძე 1961: 487).
ამ ხელნაწერ ნუსხაში ვერ ნახავთ ვერც ერთ სწორებას,
წაშლილ ფრაზებს. რასაც ვერ ვიტყვით „განთიადის“
ხელნაწერზე. როგორც ჩანს, კირილე ჩქარობდა და ცდი-
ლობდა, რომ მოესწრო აკაკის ნაკარნახევი სიტყვების ჩა-
წერა, ალბათ, ამიტომაც ზოგან კალამი წასცდენია და
მეორე სტრიქონზე გადასატანი სიტყვა იქვე დაუწვია. ასე-

ვე საგულისხმოა, სიტყვათა გადანომრება, ჯერ გადახაზული და შემდეგ აღდგენილი ფრაზები ლექსისა. კირილეს რომ მხოლოდ გადამწესხველის ფუნქცია ჰქონოდა, ბუნებრივია, იგი ასლში აღარ გადაიტანდა ამდენ გადახაზულსა და შესწორებულ სიტყვას. დამატებით მტკიცებას ის პალეოგრაფიული ნიშნებიც მოგვცემენ, რომელთა ახსნასაც საბოლოოდ ხელნაწერის დედნის შესწავლით შეეძლება.

ბ) საგანგებოდ გვსურს ვისაუბროთ ერთ სტრუქტურულ სწორებაზე, რომელიც შეტანილია ტექსტში. „განთიადი“ 10 სტროფისაგან შედგება, როგორც აკაკი გაწერელია წერს, ლექსი დაწერილია კატრენით, რვამარცვლიანი რთული რითმით (ქორეა და დაქტილი abxb გაწერელია 1985: 281), ჩვენ მიერ წარმოდგენილ ხელნაწერში ლექსის პირველი ხუთი სტროფი ოთხტაეპიანია, შემდეგ ხუთს კი ახლავს ორტაეპიანი რეფრენი:

„ცა-ფირუზ ხმელეთ – ზურმუხტო
სწორუპოვარო მხარეო“,

რეფრენის ბოლო სტრიქონი ხან ასე იცვლება: „მიმომხიბლავო მხარეო“, ხანაც ასე: „ჩემო ნანატრო მხარეო“. ხელნაწერში ეს სამი რეფრენი წაშლილია ჯერ იმავე მეტრით, რომლითაც ჩაწერილია „განთიადი“, შემდეგ კი ჯვარედინად გადახაზულია იმ ფანქრით, რომლითაც ჩასწორებულია ტექსტი. როგორც ჩანს, თავდაპირველად აკაკიმ უკარნახა ეს ტაეპები კირილეს. შემდეგ კი თავად წაიკითხა, ან კირილეს წააკითხა ლექსი და სხვებთან ერთად ეს სამი რეფრენიც წააშლევინა, რის შედეგადაც დანარჩენი ხუთი სტროფიც ოთხსტრიქონიანად გადააკეთა და ლექსი მთლიანად რვამარცვლიანი კატრენით გააწყო. კომენტარი ზედმეტია! ლექსის სტრუქტურული ცვლილება ვის შეეძლო გაეკეთებინა, თუ არა ავტორს?!

სხვათა შორის, ამ ორმოციოდე წლის წინ ენათმეცნიერების ინსტიტუტის ფონეტიკის ლაბორატორიაში ჩაუტარებიათ „განთიადის“ რიტმულ-მელოდიური ანალიზი. აკაკის მიერ წარმოთქმული „განთიადის“ ფონოგრამაზე დაკ-

ვირვება უწარმოებია ლიტერატურის ინსტიტუტის 10 მეცნიერ-თანამშრომელს. შედეგი მეტად საგულისხმოა: „აკაკის წარმოთქმის როგორც მელოდიურ, ისე ინტონაციურ მხარეზე დაკვირვება ადასტურებს, რომ პოეტი მხედველობიდან არ უშვებს თავისი ლექსის არც ერთ, ცოტად თუ ბევრად, მნიშვნელოვან მომენტს, როგორც შინაარსისა და იდეის, ისე ფორმის სფეროდან. აქედან გამომდინარე, ადვილი წარმოსადგენია აზრობრივ-ემოციური დატვირთულობა იმ შემოქმედებითი პროცესისა, რომლის დროსაც „განითადი“ იქმნებოდა“, – წერდა აკაკი ხინთიბიძე ჯერ კიდევ 1972 წელს (ხინთიბიძე 1972: 260). დაგვეთანხმებით, რომ ჩვენ მიერ აღწერილი ხელნაწერი ზუსტად გამოხატავს იმ „აზრობრივ-ემოციურ დატვირთულობას“, რაც მარტო ლექსის შინაარსობრივ-ლექსიკური სწორებით როდი გამოვლინდა, ამ შემოქმედებით პროცესზე შესანიშნავად მეტყველებს ის მოცახცახე და აჩქარებული ხელიც კირილე ლორთქიფანიძისა, რომელიც მშვენივრად გრძნობდა, რომ დიდებული მგოსნის სიტყვებს კი არ იწერდა მხოლოდ, იმავდროულად ამ შედეგის დაბადების ბედნიერი მოთანაგეც ხდებოდა. „განითადის“ ეს ხელნაწერი ჭეშმარიტი მოწმეა აკაკის გენიოსური კალმის მოსმისა, ღვთიური სიტყვის დაბადებისა, მისი ყოველი სტრიქონი სუნთქავს და ჩურჩულებს ავტორთან ერთად: „დედაშვილობამ ბევრს არ გთხოვ“....

ამრიგად, წარმოდგენილი არგუმენტები ვფიქრობთ, საკმარისია იმისათვის, რომ ვადიაროთ, Q-953 არის „განითადის“ პირველი შავი ავტორიზებული ხელნაწერი. იგი აკაკის კარნახით და მისივე შესწორებით ჩაწერილია კირილე ლორთქიფანიძის მიერ. მსგავსი მაგალითები აკაკის შემოქმედებაში არცთუ იშვიათია. ცნობილია დომენტი თომაშვილის მოგონებები, რომლითაც ვიგებთ, რომ აკაკის კარნახით მას რამდენიმე ნაწარმოები ჩაუწერია და უსწორებია პოეტის ნებისამებრ (ბარამიძე... 1990: 217). ასევე საგულისხმო ცნობას გვაწვდის პოეტის თანასოფელელი სპირიდონ ზაბახიძეც, რომელსაც გადაუწერია აკაკის უკანასკნელი პოემა „ომი“ და უსწორებია პოეტის კარნახის მიხედვით (გაბოძე 2000გ). ხოლო ის ფაქტი,

რომ აკაკი და კირილე ერთად მუშაობდნენ, საყოველთაოდ ცნობილია. „საისტორიო მოამბის“ 1991 წლის №61-62-ში მოცემულია ასეთი ცნობაც: „1895 წელს კრწანისის ბრძოლის 100 წლისთავზე აკაკი იმყოფებოდა სოფ. ბრილში, ნიკო დიასამიძის ოჯახში, ერთ დილას ადგა, მოუხმო ნიკო დიასამიძის შვილს მიხეილს და უთხრა: „აბა, მოამზადე ქაღალდი, მელანი, აილე კალაში და, რაც გითხრა, ჩაიწერეო. იმ დილას დაიწერა სწორედ ლექსი „11 ენკენისთვე“ კრწანისის ბრძოლის შესახებ. აკაკი უკარნახებდა, მიხეილი წერდა“ (გვ. 60).

II. ავტოგრაფი „განთიადისა“ არის Q-974, ჩვენს მიერ ზემოთ განხილული აკაკის ლექსთა კრებულ „სალამურის“ ხელნაწერი, როგორც კვლევით დადგინდა, ავტორმა „განთიადი“ პირველად ლექსთა ამ კრებულში შეიტანა. აქვე მას ოთხი სხვა ახლად დაწერილი ლექსიც მოუთავსებია. ესენია: „გულის პასუხი“, „სატფროს“, „ხალხური“ („მინდვრად ეგდო“), „ხალხური“ („ალვის ხე“). ყველა ეს ლექსი. 1892 წლითაა დათარიღებული. ამათგან „გულის პასუხი“ „სალამურის“ ავტოგრაფის სარჩევშიც და ნაბეჭდ წყაროშიც პირველ ადგილასაა მოთავსებული, „განთიადი“ კი ორივეგან ბოლოში მოუქცევია. როგორც ვწერდით, კრებულ „სალამურის“ დაბეჭდვის ნებართვა 1892 წლის 12 დეკემბერს გაიცა. მაშასადამე, მეცნიერთა მიერ მითითებული ეს თარიღი აღნიშნულ კრებულს ეკუთვნის და იმავე დროს ამ ლექსის პირველ პუბლიკაციაზეც მიუთითებს. მართალია, იმავე წლის 18 დეკემბერს ცენზორმა დაბეჭდვის ნებართვა გასცა აკაკის „თხზულებანის“ ტომებზეც, თუმცა მათში „განთიადი“ შეტანილი არაა. როგორც ცნობილია, ეს გამოცემაც „სალამურის“ თანადროულად მზადდებოდა, მაგრამ აკაკის ამ ლექსის პირველი პუბლიკაციის პატივი მაინც თავისი მეგობრის კირილე ლორთქიფანიძისათვის მიუცია, რადგან შემდგომ „სალამურის“ გამოცემა დაგვიანდა, პოეტმა 1893 წლის ჟურნალ „კვალის“ პირველ ნომერში სხვა ლექსებთან ერთად „განთიადიც“ გამოაქვეყნა (გვ. 11) ასე მოხდა ლექსის პირველი პუბლიკაცია 1893 წლის 3 იანვარს, თუმცა, როგორც მივუთითეთ, იგი 1892 წლის 12 დეკემბერს უკვე მზად იყო

დასაბუქდად. როგორც ჩანს, არც კირილეს გაპკვირვებია ეს ამბავი, რადგან დრო გადიოდა, „სალამურის“ გამოცემა კვლევაც გვიანდებოდა და თებერვლის მეორე ნახევარში „თხზულებანის“ II ტომიც გამოვიდა. 1893 წლის 7 მარტის ჟურნალ „კვალის“ ნომერში კი აკაკიმ „სალამურიდან“ კიდევ დაბეჭდა ერთი ახალი ლექსი „ხალხური“ „ალვის ხე“. ამან გაანაწყენა კირილე და 8 მარტს ასეთი წერილი მისწერა პოეტს: „დღეს დილას მივიღე „ჯეჯილის“ და „კვალის“ ნომრები, რომელთაგან ერთმა გამამწარა და სიმწრის დაფარვა არ შემიძლია. მესიამოვნა შენი ლექსი „გაზაფხული“ „ჯეჯილში“ რომ არის. სამწუხარო შეიქმნა ჩემთვის „კვალის“ ნომერი, რომელშიც კიდევ არის შენი ახალი ლექსი. ამან გამაგებინა, რომ „სალამურისა“ და „აკლდამების“ წიგნები მე მომივა ერთიორი კვირის განმავლობაში, რადგანაც მაშინ შენი დაუბეჭდავი ლექსების „კვალში“ ბეჭდვა გათავდება და მერე მიეცემა „სალამურს“ დინება სოფლის სინათლეში გამოსვლის... თუ ის გინდოდა, რომ ყველა „სალამურში“ მოძღვანებული დაუბეჭდავი ლექსები ჯერ „კვალში“ ყოფილიყო დაბეჭდილი, გეთქვა, წინდაწინ და მაშინ სულ სხვა ანგარიშს დავიჭერდი და იმ ფასს დაენიშნავდი „სალამურისთვის“, რომ მალე გასაღებელიყო და ხარჯი ნისიობით აღებული მალე დამეფარა. ახლა, როდესაც შენი თხზულებების პირველი ტომი ასე მრავლად იყიდება, რომელშიაც „სალამურის“ ნახევარი არის და მეორე ნახევარსაც „სალამურისას“ მეორე ტომში მოვლიან და წინასწარ „ჯეჯილში“ და „კვალში“ კითხულობენ, მე არა მგონია, ასე მალე გაიყიდოს „სალამური“ (აბრამიშვილი 1981: 109).*

* წიგნის შემდგენელი ელ.აბრამიშვილი აღნიშნული წერილის 258-ე კომენტარში (გვ. 237) მიუთითებს, რომ იგულისხმება აკაკის ლექსი „სანამ ვიყავ ახალგაზრდა“ („კვალი“, 1893, №3, გვ.7). რეალურად საუბარია ლექსზე „ხალხური“ (გვ.7), ასევე დასაზუსტებელია 259-ე კომენტარი: „სალამური“ ანუ ლექსთა კრება ქართველ მწერალთა, გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ, ტფ. ი. ხელაძის სტ. 1877 (გვ. 237). სინამდვილეში ეს არის აკაკის ლექსთა კრებული „სალამური“ 1893 წ. ქუთაისში გამოცემული კ. ლორთქიფანიძის მიერ. ასევე არასწორია 261-ე კომენტარიც (გვ. 237)

მარტის შუა რიცხვებში აკაკიმ საპასუხო წერილი გაუგზავნა კირილეს ქუთაისში: „...მე დიდად მსურდა, რომ „სალამური“ ყველაზედ ადრე ყოფილიყო გამოცემული, მაგრამ არ მოხერხდა, არა და რა ჩემი ბრალია... კომიტეტში ორჯერ ვიყავი, რაფაილთან (რ. ერისთავი, ჯ.გ.) სამჯერ და მითხრეს გავგზავნეთო, როდის? რა ნომრით? რა დღეს? რომ მივაყარე ეგ სულ ერთად, დაგვიჯერე, გაგზავნილიაო. რაღა მექნა, ჩხუბს ხომ ვერ დავიწყებდი?... განა მე ჩემი თავის მტერი ვარ?...რაც შეეხება ლექსის გარდაბეჭდვას, ეგ ჩემის აზრით არას უშლის და მაინც გაიყიდება... (წერეთელი 1963: 50)

ბოლოს და ბოლოს, აკაკის ლექსთა კრებული „სალამური“ დაგვიანებით გამოვიდა, 1893 წლის ივლისში ქუთაისში. როგორც ჩანს, აკაკიმ დიდი მონდომებით შეადგინა ეს წიგნი, მასში გამოუქვეყნებელი ლექსებიც შეიტანა, მაგრამ რადგან წიგნის გამოცემა ძალიან იგვიანებდა, პოეტმა გადაწყვიტა, ცალ-ცალკე მაინც გამოექვეყნებინა ისინი და ასე გაეცნო მკითხველისათვის. მათ შორის იყო მისი შემოქმედების შედეგური „განთიადიც“, რომელიც, როგორც ქვემოთ წარმოდგენილი მოგონებით დავრწმუნდებით, კარგა ხნის დაწერილი ჰქონია!

ეს **მოგონება** ეკუთვნის ცნობილ ოფთალმოლოგს, აკაკის თანამედროვეს, პროფესორ ალექსანდრე შატილოვს (1868-1949), მოგონება 1991 წლის № 60-61 „საისტორიო მოამბეში“ (გვ.62-63) გამოაქვეყნა შოთა ბარამიძემ. იგი საკვლევი საკითხისათვის მეტად საგულისხმო ცნობებს შეიცავს, ამიტომ მცირედი შემოკლებით გადმოვცემთ: „ეს იყო გასული საუკუნის **ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისი** მე და ჩემმა სიყრმის მეგობარმა ზუბიკო აბდუშელიშვილმა განვიზრახეთ სწავლის გაგრძელება **დორპტის** უნივერსიტეტში და სათანადო საბუთებსაც მოვუყარეთ თავი. გადაწყდა, **ნამარილობევს** გავდგომოდით გზას შორეული დორპტისაკენ. **სამარილობდ** კი ზუბიკომ თავის მშობლიურ სოფელში მიმიპატიუა. რა თქმა უნდა, მიწვევა დიდი სიამოვნებით მივიღე და როდესც ორთვალამ აბდუშელიშვილების სახლთან მიმიყვანა, იქ **სამარი-**

ობო სუფრა უკვე გაქმალათ და ღხინიც შედიოდა ემსში.
(ხაზი ყველგან ჩვენია, ჯ.გ.)

შემდეგ ალ.შატბლოვი იგონებს, როგორ წარადგინეს ზუბიკოს მამასთან – გიორგი აბღუშელიშვილთან, როგორ მიიწვიეს სუფრასთან, სადაც ბრწყინვალე საზოგადოება იჯდა: თამადის გვერდით მისი მხარ-ბეჭბრტყელი შავწვერიანი და საოცრად სანდომიანი ძმა ვანო აბღუშელიშვილი იჯდა, იქვე ისხდნენ ზურაბის ბიძა კოტე ბაქრაძე და მისი განუყრელი მეგობრები გიორგი ზდანოვიჩი და კიტა აბაშიძე, რომლებიც ქუთაისიდან სწვეოდნენ ეკატერინე და გიორგი აბღუშელიშვილებს. საჩხერიდან ფრიდონ და აკაკი წერეთელები ამოსულიყვნენ. ცალკე გიორგი წერეთელი და მისი მეუღლე ანასტასია თუმანიშვილი ისხდნენ... (ხაზი ყველგან ჩვენია, ჯ.გ.). შემდეგ ალ.შატბლოვი იგონებს, როგორ წამოდგა თამადა ფეხზე და „ვერცხლის აზარფეშით განსვენებული დიმიტრი ყიფიანის შესანდობარი შესვა. ორიოდე სიტყვა თქვა, მაგრამ ისეთი, რომ მხიარულ სუფრას უცებ სევდის, სინანულისა და უთქმელი დარდის ლანდი დაეცა. ყველა ფეხზე წამოდგა, ყველამ წაუქცია ღვინის წვეთი წასულის ხსოვნას, ყველამ თქვა თავისი სათქმელი სიტყვა, გარდა აკაკისა, რომელიც დაღვრემილი იჯდა და თვალს არ ამორებდა კედელზე დაკიდულ სურათს სცენისას „სამშობლოდან“. ბოლოს ისიც წამოდგა, მიუახლოვდა სურათს და ისე, რომ არ მოუშორებია თვალი მისთვის, ჩუმად, თითქოს თავისთავს ესაუბრებო, დაიწყო:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დაებრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო!

წუთით დუმილი ჩამოვარდა. მერე სუფრის თავში ვანოს დაბალი, გულიდან ამოხეთქილი, მაგრამ მოგუდული დვრინი გაისმა. ვანოს სხვებიც მიჰყვნენ და დარბაზი აივსო საოცარი, განუმეორებელი და გულისშემძვრელი ხმებით: ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო...რეკა ვერცხლის ზარივით წკრიალა ხმა და მთელი სუფრა დედო ზარივით

სევდიანი, მღორე და მოგუგუნე დვრინით ეუბნებოდა ბანს მის გულისტკივილს.

„დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ,
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო
ჩემო სამშობლო მხარეო“.

ჩამორეკა დიდი პოეტის უკანასკნელმა სიტყვებმა და დარბაზში კი კიდევ დიდხანს ისმოდა დვრინის დუდუნი, როგორც გამოძახილი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულისა, შებღალული ღირსებისა და მოუშუშებელი გულისტკივილისა.

**აკაკის „განთიადი“ მხოლოდ შემდეგი წლის 3 იანვარს გამოქვეყნდა გიორგი წერეთლის „კვალში“. იმ დღეს კი საჯაროდ პირველად მოსწყდა ის აკაკის ბაგეს და ყველა იქ მყოფის გულიც შესძრა“ (გვ. 62-63) (ხაზი ჩვე-
ნია, ჯ.გ.)**

ვფიქრობთ, მეტად საგულისხმო და მნიშვნელოვანი მოგონებაა: ჩვენ, რა თქმა უნდა, შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ „განთიადის“ დათარიღებისათვის აღნიშნული მოგონება ერთად-ერთ წყაროდ მივიჩნიოთ, მაგრამ ფაქტია, რომ მასში მითითებული რამდენიმე კონკრეტული თარიღი ამ მხრივ მსჯელობის მეტ საშუალებას გვაძლევს. სახელდობრ: ალ. შატილოვი იხსენებს, რომ „გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისი იყო“, „მარიამობის დღესასწაული“, რომ „განთიადი მხოლოდ შემდეგი წლის 3 იანვარს გამოქვეყნდაო“. დასახელებული კონკრეტული თარიღები, ვფიქრობთ, მეტად საგულისხმოა, რომ აღარაფერი ვთქვათ, მოგონებაში ჩამოთვლილ იმ ცნობილ საზოგადო მოღვაწეებზე, რომელნიც მოწმენი იყვნენ ამ დიდებული ლექსის დაბადებისა.

აქვე გვსურს, ერთი თარიღის დაკონკრეტებაც. ალ. შატილოვი ახსენებს, რომ ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისი იყო და იგი დორპტის უნივერსიტეტში გასამგზავრებლად ემზადებოდა. ამავე მოგონებას ახლავს კომენტარები, რომელშიც ვკითხულობთ: „დერპტი, დორპტი – ქალაქი ესტონეთის რესპუბლიკაში, მდინარე ემაიგის ორი-

ვე ნაპირზე. ტარტუს რაიონის ცენტრი. სამდინარო ნავსადგური. მე-11 საუკუნეში ქალაქს იურიევი ეწოდა. 1824 წელს – დერპტი, ხოლო 1893 წლიდან – ისევ იურიევი...“ (გვ. 64).

როგორც ჩანს, აღნიშნული მოგონება 1893 წლამდე მომხდარ მოვლენებს გადმოსცემს, მაშინ როცა ქალაქს ისევ დერპტი ერქვა. იბადება მეორე კითხვაც, რატომ მაინც და მაინც 1892 წელი? 90-იანი წლების დასაწყისში შეიძლება იგულისხმებოდეს 1890 წელი და 1891 წელიც! ამ კითხვაზე პასუხობს თავად მოგონების ავტორი, როცა ამბობს, რომ „აკაკის „განთიადი“ მხოლოდ **შემდეგი წლის 3** იანვარს გამოქვეყნდა გიორგი წერეთლის „კვალში“. ეს შემდეგი წელი კი 1893 წელია. იქ, იმ დღეს კი საჯაროდ პირველად მოსწყდა ის აკაკის ბაგეს...“ ასე, რომ აღ. შატილოვის მოგონების მიხედვით აკაკის „განთიადი“ პირველად საჯაროდ 1892 წლის მარიაშობის დღესასწაულზე წაუკითხავს. დიმიტრი ყიფიანის საფლავთან კი პოეტს წარმოუთქვამს ლექსი „ქართველი უცხოეთში“ მოუესმინოთ დავით დავითაშვილს, რომელიც დაწვრილებით აღწერს ყიფიანის დაკრძალვის პროცესს: „...ხალხი მოელოდა, რომ მიცვალებულს ჩაასვენებდნენ შეუჩერებლივ, ... გამოვიდა აკაკი სიტყვით, პროზით დაიწყო და ლექსით დაათავა. ლექსის იმ ადგილას, სადაც იყო ნათქვამი:

„ქვა დაჰკრეს
თავი გაუპეს და სპეტაკ წვერზე წვეთ-წვეთად
სისხლსა აფრქვევდა მღულარეს“,

– ხალხმა ისე ამოიხვნეშა, რომ გულ-გვაში თან ამოაყოლა (ჯოლოღუა 2007: 176).

აღბათ, ამ ლექსს გულისხმობდა დიმიტრი ყიფიანის დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარე ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც იგონებს: „საფლავზე პირველი სიტყვა წარმოთქვა აკაკი წერეთელმა, რომელმაც დიმიტრი ყიფიანი გამოაცხადა საქართველოდ მეორე დიმიტრი თავდადებულად და, რა თქმა უნდა, დიდი შთაბეჭდილება მო-

ახდინა, ის მშვენიერი ლექსი რომა აქვს“ ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო“ მაშინ არ უთქვამს, მერე დაწერა დიმიტრი ყიფიანს კი გულისხმობდა შიგ“ (თაყაიშვილი 1962: 242-243).

ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილს აკაკი პირველად 1893 წლის 25 აპრილს უნახავს (ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენების დღეს): რა მშვენიერი დილაა უთხრა მამაჩემმა ბებიას და წამოიძახა სიხარულით: „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო“... სულ რამდენიმე თვე იყო, რაც აღტაცებულმა გიორგი წერეთელმა პირველად მოუტანა მამას აკაკის ეს ახალი ლექსი დაწერილი „კვალის“ საადღუმო ნომრისთვის (და დიმიტრი ყიფიანის საფლავისთვის)... აქამდე მახსოვს, რა აღტაცებაში მოიყვანა ამ ლექსმა მთელი ჩვენი ოჯახი, აგრეთვე ყველა ჩვენი სტუმარიც. სათაური „განთიადი“ სპეციალური მნიშვნელობით იყო შერჩეული და ლექსი ალივით მოედო იმდროინდელ ქართველ საზოგადოებას“ (ბარამიძე... 1990: 341)

ამრიგად, ზემოთ მოხმობილი ყველა დოკუმენტური წყაროსა და ამავე დროს, აღ. შატილოვის მოგონების გათვალისწინებით „განთიადის“ შემოქმედებითი ისტორია მოკლედ ასე წარმოგვიდგება. აკაკი დიდხანს ატარებდა გულში დიმიტრი ყიფიანის ვერაგული მკვლელობით გამოწვეულ ტკივილს. მან განსვენებულის ცხედართან შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა და 1888 წელს ლექსიც მიუძღვნა მის ხსოვნას, სათაურით: „ქართველი უცხოეთში“. მაგრამ, როგორც ჩანს, პოეტმა ბოლომდე მაინც ვერ ამოთქვა გულისწუხილი, რაც კვლავაც არ ასვენებდა მის გონებას. 1892 წელს კი მარიამობის იმ დღეს, აბდუშელიშვილებთან ლხინზე შექმნილმა საერთო განწყობამ ბიძგი მისცა, პოეტის წყლულმაც პირი გაიხსნა და ამდენი ხნის ნაღული ტკივილი დიდებულ ლექსად გადმოიდგარა. ამასთან დაკავშირებით გვახსენდება ერთი პატარა მოგონება აკაკის თანამედროვის, საჩხერელი პოეტის გუცა ფარქოსაძისა, როცა პოეტისათვის უკითხავთ: „ასე უცბათ, ბატონო აკაკი როგორ დაწერეთ ამხელა და ასე მშვენიერი პოემა? (იგულისხმება „რაჭა-ლენხუმი“) – ყმაწვილო, ენადარბაისლობს მგოსანი, დედა თავის ნაყოფს

ცხრა თვეს ატარებს მუცლით, მაგრამ შობით მას ზოგჯერ რამდენიმე საათში შობს. ასეა ამ პოემის და სხვა ჩემი პოემების საქმეც. ზოგ მათგანს კარგა ხანს ვატარებ თავში, ხოლო რომ მომწიფდება, მერე უცბად გადამაქვს ქალაღზე“ (ბარამიძე... 1990).

არა მგონია ამაზე უფრო შთამბეჭდავად და დამაჯერებლად ვინმემ ახსნას „განთიადის“ შექმნის პროცესი. დავამატებთ მხოლოდ იმას, რომ, როგორც ჩანს, 1892 წლის მარიაშობის დღეს ექსპრომტად ნათქვამი ლექსი პოეტმა კვლავ გადაამუშავა, დახვეწა და უკარნახა კირილეს, რომელმაც ჩაიწერა ლექსი და ასწორა პოეტის ნების გათვალისწინებით. ამაზე მეტყველებს Q-953 ხელნაწერი და შემდეგ სუფთად გადაწერილი ლექსი კრებულ „სალამურისათვის“ გადასცა კირილე ლორთქიფანიძეს, რომელმაც მხოლოდ ორგან ჩაასწორა ზმნის ფორმა (ასლში, რა თქმა უნდა!): მომეგებენ|მომეგებნენ და მოგჰკვდები|მოგკვდები. შემდეგ, კი როგორც ვწერდით, რადგან „სალამურის“ გამოსვლა ძალიან დაგვიანდა, აკაკიმ 1893 წლის ახალი წლის დღეებში ჟურნ.“კვალის“ № 1-ში გამოაქვეყნა „განთიადი“.

ამრიგად, ჩვენ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტური მასალის: „განთიადის“ Q-953 ავტორიზებული ხელნაწერის, აკაკის ლექსთა კრებულ „სალამურის“ გამოცემის ისტორიისა და აღ. შატილოვის, ექვთიმე თაყაიშვილის, დავით დავითაშვილის, რუსუდან ნიკოლაძის მოგონებათა მიხედვით, აგრეთვე, დღემდე გამოვლენილი ყველა სხვა მოსაზრების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აკაკის „განთიადი“ დაწერილია 1892 წლის შემოდგომაზე აგვისტო-დეკემბერში, ხოლო კითხვა: თუ ვის მიუძღვნა პოეტმა ეს შედევრი, ვფიქრობთ, ამ მოგონებების გაცნობის შემდეგ აღარ უნდა დაიბადოს!

§ 3 ქართველთა წიგნის გამომცემელი ამხანაგობა და აკაკის „თხზულებანი“ გამომცემის ისტორია

XIX ს. ბოლოს გაიზარდა ინტერესი და ყურადღება ქართველ მწერალთა თხზულებების კრებულებად გამოცემისადმი. მრავალ სხვა წამოწყებასთან ერთად ეს საშვილიშვილო საქმეც იტვირთა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებამ. მან საგანგებო დებულება მიიღო ქართული ლიტერატურის ძეგლების გამომცემის შესახებ. ცალკეულ ავტორებს ხელშეკრულებაც დაუდო და ზოგი ნაწარმოები კიდევ გამოაქვეყნა. იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად იბეჭდებოდა სია იმ წიგნებისა, რომელთაც გამოსცემდა საზოგადოება. ბუნებრივია, წიგნის გამომცემა მეტად რთული და საპასუხისმგებლო საქმე იყო და ამიტომაც მისი მოგვარება რომელიმე კონკრეტულ ორგანიზაციას უნდა დაკისრებოდა. იმდროინდელი საზოგადო მოღვაწე და გამომცემელი ალ. ჯაბადარი არსებულ ვითარებას ასე აღწერს თავის მოგონებებში: „იმ ხანებში წიგნების გამომცემლობას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და ეს საქმე ვიწროთ და უსისტემოდ მიჰყავდათ. უმთავრესი გამომცემელი წიგნისა ზაქარია ჭიჭინაძე იყო, რომელიც ხშირად აგროვებდა ფულს, რომ სტამბიდან ორსამ შაურიანი წიგნაკი დაეხსნა. წიგნის ვაჭრობაც ვაივაგლახით მიდიოდა. ოთხმოციან წლებში ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ქართული წიგნების პატარა მაღაზია გაიხსნა გიგო ჩარკვიანისა, რომელსაც ოქრომჭედლების ქუჩაზე პატარა მაღაზია ჰქონდა“ (ჯაბადარი 1934: 265).

ასეთ რთულ პირობებში მიმდინარეობდა ქართული წიგნების ბეჭდვა და გასაღება, როცა 1890 წელს 17 მარტს თბილისში დაარსდა „წიგნის გამომცემელი ქართველთა ამხანაგობა“.

„წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობას“ ბევრი მიმღევაარი გამოუჩნდა. ერთ-ერთი ასეთი იყო 1892 წელს ქუთაისში დაარსებული „ქართული წიგნის გამომცემელი ამხანაგობა“. ქუთაისის ამხანაგობამ 1892-1914 წ.წ. მან-

ძილზე 23 სახელწოდების ქართული წიგნი გამოსცა და გაავრცელა“.

თბილისის წიგნის გამომცემელი ამხანაგობის საქმიანობა საკმაოდ ნაყოფიერი იყო. ამხანაგობამ ჯერ პატარა კრებულების გამოცემა დაიწყო. შემდეგ კი კლასიკოს მწერალთა თხზულებების ბეჭდვასაც შეუდგა. მათ ხელშეკრულება დაუდეს ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს და ივალდებულეს მათი ნაწერების სრულად გამოცემა. აი, რას წერს გაზ. „ივერია“ 1892 წლის 17 ოქტომბერს: „ფრიად სასიამოვნო ამბავი უნდა ვაუწყოთ ჩვენს მეგობრებს: გუშინ, 16 ოქტომბერს, ქართველთა წიგნების გამომცემელი ამხანაგობა შეეკრა პირობით ბ-ნ. აკაკის მისი ნაწერების გამოცემის შესახებ. ამხანაგობას განზრახვა აქვს ნაწერები აკაკისა **ათ წიგნად** დაბეჭდოს“ (ხაზი ჩვენია. ჯ.გ.).

როგორც ვხედავთ, საზოგადოებას მეტად დიდი მისია უკისრია. მას უნდა გამოეცა აკაკის ყველა თხზულება, მათ შორის პუბლიცისტური ნაწერებიც. ალბათ, ამას გულისხმობდა ტომთა ასეთი სოლიდური რაოდენობაც. იმავე წლის 20 ოქტომბერს გაზ. „ივერია“ აცნობებს მკითხველს: „ქართველთა წიგნის გამომცემელი ამხანაგობა უკვე შესდგომია აკაკის წერილების დაბეჭდვის თადარიგს. ამხანაგობას იმედი აქვს პირველი ტომი საახალწლოდ დაბეჭდოს“ („ივერია“ 1892ა: 1). წიგნების გამომცემელი ქართველთა ამხანაგობა შეუდგა საქმის თადარიგს და თხოვნით მიმართა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებას, დაეთმო მათთვის პერიოდული გამოცემანი: „27 დვინობისთვე 1892 წ. **საგანი განხილვისა**: წიგნების გამომცემელი ქართველთა ამხანაგობა სთხოვს საზოგადოების გამგეობას, რომ ათხოვოს წარსულის წლების დროგამოშვებითი გამოცემანი **თ. აკაკი წერეთლის ნაწერების ამოსაწერად და გადაწერილის შესადარებლად**“ (ცენტრალური... 481/6/120). ამხანაგობა სწრაფად და მონდომებით შეუდგა საქმეს და 11 დეკემბერს მათ უკვე ხელთ ჰქონდათ გამოსაცემად გამზადებული ხელნაწერი კრებული, რომელიც ავტორისათვის გადაუციათ.

„ახალი ამბავი“: როგორც გვატყობინებენ, – წერდა „ივერია“, წიგნების მბეჭდავ ქართულ ამხანაგობას უკვე შეუკრებია ყველა ლექსები და პოემები ჩვენის სახელგანთავის პოეტის თავ. აკაკი წერეთლისა და გარდაუცია ავტორისათვის გადასათვალთვალად. ამხანაგობას იმედი აქვს, რომ 15 დეკემბრამდე უკანვე მიიღებს გადათვალთვალთვალულს თხზულებებს აკაკისას და მაშინადვე შეუდგება ბეჭდვას პირველი ტომისას. ვისურვებთ, რომ ეს საქმე მალე დაგვირგვინებულიყოს და ჩვენს საზოგადოებას მალე მიეცეს საკითხად მთელი თხზულება სანაქებო პოეტისა“ („ივერია“ 1892: 1).

მრავალმხრივ საინტერესოა ალ. ჯაბადარის მოგონება, რაც საშუალებას გვაძლევს, დავაკვირდეთ აკაკის მონაწილეობას თავისი ნაწარმოებების გამოცემის საქმეში. ამ დროისათვის გამგეობას უკვე ჰქონდა ავტორებთან თანამშრომლობის გამოცდილება და ისიც ისეთ ავტორებთან, როგორც იყო ილია ჭავჭავაძე, რომელიც დიდი პასუხისმგებლობითა და სიზუსტით ასწორებდა თავის ნაწერებს. აი, რას იგონებს ალ. ჯაბადარი: „ამხანაგობამ წარუდგინა აკაკის გადაწერილი მისი ლექსების კრებული, საიდანაც 18 ლექსი აკაკიმ ამოშალა, როგორც უმნიშვნელო და ამით გათავდა მისი მონაწილეობა გამოცემის ტექნიკაში“ (ჯაბადარი 1934: 198). ავტორის ეს ჩარევა გამოცემაში, რომელიც ალ. ჯაბადარს უმნიშვნელოდ მიაჩნია, ჩვენთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია. ისმის მთელი რიგი კითხვებისა. საინტერესოა, რომელი ლექსები ამოიღო პოეტმა გამოცემიდან და როდის და სად დაბეჭდა ისინი შემდეგ? გარდა ამისა, გამოსაცემად მომზადებული ნაწერების შემოწმება ავტორის მიერ გამოსატყულებაა მისი ნებისა. ამგვარი ტექსტები ავტორიზებულ წყაროებს მიეკუთვნება, რაც თხზულებათა ტექსტოლოგიური ანალიზისათვის ფრიად საინტერესო მასალაა და ამგვარი წყარო განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თხზულებათა აკადემიური გამოცემის დროს. რადგან 1893 წლის გამოცემა გამოსატყულებაა ავტორის ნებისა, ანუ ავტორიზებულია, ამიტომ იგი ერთ-ერთ ძირითად წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს ტექსტის დადგენისას. საინტერესოა ისიც, თუ

როგორ შეცვალა აკაკიმ თავისი ნაწერები შემდგომ გამოცემებში. ეს ყველაფერი გვაძლევს საშუალებას, შევისწავლოთ პოეტის თხზულებათა შემოქმედებითი ისტორია (ამ მიზნით ჩვენი შრომის საგანგებო ნაწილი დაეთმობა ტექსტების შედარებას).

ქართველთა წიგნის გამომცემელმა ამხანაგობამ 1893 წლის თებერვალში უკვე გამოსცა აკაკის ნაწერების I ტომი. ხოლო 1893 წლის 9 აპრილს გაზ. „ივერია“ იუწყებოდა: „ჩვენ მივიღეთ ბ. აკაკის თხზულებათა მეორე ტომი. ამ ტომშიაც, როგორც პირველში, წვრილი ლექსებია მოთავსებული. სულ 316 გვერდია. ქართველთა წიგნების გამომცემელი ამხანაგობა აცხადებს, რომ ამ ტომისათვის პარიჟში შეკვეთილი სურათი აკაკი წერეთლისა დროზედ ვერ მოგვესწრო და იმედია, მესამე ტომისათვის მზად იქნებაო“. ასე გამოვიდა ორი ტომი, მაგრამ საქმე ამის იქით არ წასულა. თუმცა ფაქტია, რომ „ამხანაგობას“ შემდეგი ტომების გამოცემაც განზრახული ჰქონდა.

ა) აკაკი წერეთლის „თხზულებანი“ I-II ტომი.

1893 წელს ქართველთა წიგნის გამომცემელმა ამხანაგობამ გამოსცა აკაკი წერეთლის „თხზულებანი“ ორ ტომად. პირველი ტომი შეიცავდა 131 ლექსს. ტომის დასაწყისში, მე-4 გვერდზე ჩართული იყო აკაკის ავტოგრაფი ლექსისა „გულის პასუხი“. მეორე ტომი 110 ლექსისაგან შედგებოდა. ორივე ტომი საკმაოდ კარგ პოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული. როგორც მივუთითებდით, „ამხანაგობამ“ „თხზულებანიში“ დაბეჭდილი ლექსები იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრიბა და გადაწერა. შემდეგ კი წარუდგინა პოეტს შესასწორებლად. აღ. ჯაბადარის თქმით, „აკაკიმ იქიდან 18 ლექსი ამოიღო, როგორც უმნიშვნელო და ამით გათავდა მისი მონაწილეობა გამომცემის ტექნიკაში“ (ჯაბადარი 1934: 198). თუ გულდასმით გავვეცნობით აკაკი წერეთლის „თხზულებანის“ ტომებს, შევამჩნევთ, რომ აკაკის დიდი ყურადღებით გადაუკითხავს ლექსები და საკმაოდ ცვლილებანიც შეუტანია. საყურადღებოა, რომ იმავე დროს, 1892 წელს, აკაკიმ კირილე ლორთქიფანიძესაც გადასცა გამოსაცემად თავისი ლექსების კრებულის „სალამურის“ ხელნაწერი. ორივე გამომცემა (კრებ. „სალამური“ და „თხზულებანი“) 1893 წელს განხორციელდა. მაგრამ, რაოდენ საინტერესო და მნიშვნელოვანია, როცა ერთი და იგივე ლექსი ამ გამომცემებში სხვადასხვაგვარად დაიბეჭდა (დაწვრილებით ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ).

„თხზულებანის“ ორი ტომის გამომცემის ისტორიის შესწავლამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული ტომების გამომცემაში ავტორი აქტიურად მონაწილეობდა. მწერლის მემკვიდრეობის გამომცემელთათვის კი ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი, რომ საშუალება გვუძლევს, დავაკვირდეთ იმ შემოქმედებით პროცესს, რომელსაც პოეტი ეწეოდა და მეორეც, საბოლოო ტექსტის დადგენისას, ჩვენ ვეყრდნობით აღნიშნულ გამომცემებს, რომლებიც ავტორის ნების გამოვლინებაა. ავტორის ნება კი ხელშეუხებელია.

ჩვენ სანიმუშოდ განვიხილავთ რამოდენიმე ლექსს დასახელებული ტომებიდან დასტურად იმისა, როგორი შემოქმედებითი გარდაქმნა განიცადეს მათ წინა გამოცემებთან შედარებით. მაგ.: ლექსი „ავადმყოფი“ გაზ. „დროებაში“ დაიბეჭდა 1880 წლის № 86-ში სათაურით: „ავადმყოფი“. ამ ლექსის პირველი სტროფიდან:

„არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს!
**ვინც შენატრის იმის სიკვდილს
უმაღ მასვე დაამიწებს“**

ბოლო ორი სტრიქონი ამოუღია ცენზურას და ლექსი ასე კუბიურებითაა დაბეჭდილი „თხზულებანის“ 1893 წ. II ტომში (გვ. 58). უფრო მეტიც, იგივე ლექსი ცენზურამ საერთოდ არ გაუშვა კრებულ „სალამურში“.

საგანგებოდ გვინდა ვიმსჯელოთ ლექსზე „მუხამბაზი“ – ეს ლექსი აკაკიმ პირველად დაბეჭდა 1876 წელს გაზეთ „დროებაში“ გ. ქართველიშვილის ხელმოწერით. შემდეგ იგი პოეტმა შეიტანა კრებ. „სალამურში“ 1893 წელს სათაურით „კინტოური“ და იმავე 1893 წელს გამოაქვეყნა „თხზულებანის“ I ტომში (გვ.278).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ორი-სამი თვის განმავლობაში („თხზულებანი“ 1892 წ. II დეკემბერს გადასცეს აკაკის გასასწორებლად, კრებ. „სალამური“ კი 1892 წ. 12 დეკემბერსაა ნებადართული ცენზორისაგან) აკაკიმ ერთი და იგივე ლექსი რამდენჯერმე შეცვალა. ორივე გამოცემაში ამ ლექსის განსხვავებული წაკითხვა პოეტის შემოქმედებითი მუშაობის პროცესზე მეტყველებს. ახლა ვნახოთ ეს ვარიანტული სხვაობანი; წყაროებს იმ ლიტერით აღვნიშნავთ, რომელიც მითითებულია აკაკის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის I ტომის შენიშვნებში (წერეთელი 1991: 363).

„თხზულებანი“ I (1893წ);
„რომ იცოდე ჩემი გულის
დარდები
გეფიცები, ტურფავ
შეგიყვარდები“. (გვ. 278)

„სალამური“ (1893წ);
„რომ იცოდე ჩემი გულის
დარდები
გეფიცები, ქალო,
შეგიყვარდები“. (გვ. 22)

„გეფიცვები, ისევ
 შეგიყვარდები“ (გვ. 278)
 „და ყმაწვილთა მხოლოდ
 სანატრელია“. (იქვე)
„თხზულებანი“ (F) ;
 „აწ რაღა ვარ შენგან
 ტრფობას ჩვეული
 ვეხეტები გზა და კვალ
 აბნეული!
 ლხინს ვშორდები
 ჭირისაგან წვეული
**გაყრის წამი ჩვენი იყოს
 წყეული!** (გვ. 279)

„შემიბრალე, აღარ
 გამიჯავრდები“. (იქვე)
 „საქეფოდ მხოლოდ
 სანატრელია“. (გვ. 22)
„დროება“ (1876წ) -
 „მეფე ვიყავ შენგან ტრფობას
 ჩვეული
 დღეს გლახა ვარ, გზა და
 კვალ აბნეული
 ლხინს ვშორდები ჭირისაგან
 წვეული
**ეს სიცოცხლეც კრულია და
 წყეული“.** (გვ. 2)

ვეფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია. სახეზე გვაქვს ლექსის სხვადასხვა ვარიანტი. ეს კი ავტორის „უმნიშვნელო ჩარევა“ სწორედ რომ არ არის.

ლექსი „**უდარღო კაცი**“ პირველად დაიბეჭდა ჟურნ. „ცისკარში“, 1865 წ. (C), შემდეგ „დროებაში“ 1884 წელს (E). იგივე ლექსი უფრო შემოკლებული სახით პოეტს დაუბეჭდავს კრებ. „სალამურში“ (G) 1893 წელს. რაოდენ მრავლისმთქმელია, რომ იმავე წელს გამოსული „თხზულებანის“ I (H) ტომში ავტორს კვლავ შეუცვლია ლექსის ცალკეული ადგილები. სახელობრ: III სტ. მე-3 სტრ. „**თხზულებანის**“ (1893) I ტომში (H) ასე იკითხება:

„პატიოსან ოფლსა ვღვრი,
 მეც მუშაკად ვწერივარ,
 უსაქმურ კაცს ვუყვირი,
 მხედავ, ბედნიერი ვარ“. (გვ. 104)

კრებ. „სალამურში“ (G) 1893 – „უსაქმურებს ვუყვირი მხედავთ? ბედნიერი ვარ“.

როგორც ჩანს, ამ ლექსის ვრცელი ვარიანტი, რომელიც დაიბეჭდა „დროებაში“ (E) 1884წ. პოეტს აღარ მოსწონებია და გადაუმუშავებია. ჯერ ლექსთა კრებულ „სალამურისთვის“ 1893 წ., შემდეგ კი კვლავ გადაუხედავს „თხზულებანის“ I ტომში დასაბეჭდი მასალისათვის, რომე-

ლიც ბუნებრივია, ჟურნალ-გაზეთებიდან იყო გადაწერილი, და ისიც შეუცვლია.

მაშასადამე, ეს მაგალითიც იმის დასტურია, რომ აკაკიმ საგულდაგულოდ გადაათვალიერა „თხზულებანის“-თვის გადაწერილი მასალა და ცალკეული ცვლილებანი შეიტანა.

აკაკის თხზულებათა 15 ტომეულისა და აკადემიური თვრამეტტომეულის I ტომის შემდგენელიც ამ ლექსის ძირითად ტექსტად კრებულ „სალამურის“ ავტოგრაფს (Q 974) მიიხნევენ, რადგან სწორედ ის გამოხატავდა პოეტის ბოლო შემოქმედებით ნებას.

ცნობა, რომ ავტორმა გადახედა და შეამოწმა გამოსაცემად გამზადებული მასალა, უკვე იმას ნიშნავს, რომ იგი დაეთანხმა ამა თუ იმ სწორებას. ამიტომაც ითვლება, რომ „აკაკის თხზულებანის“ ორივე ტომი ავტორის ნების გამოხატულებაა და ძირითადი ტექსტის დადგენისას სწორედაც რომ უპირატესობა ენიჭება აღნიშნულ გამოცემას. საყურადღებოა ისიც, რომ აკაკიმ თავისი სიცოცხლის ბოლოდროინდელი გამოცემა „ჩემი ნაწერების“ (1912-1913 წწ.) ორივე წიგნი „თხზულებანის“ მიხედვით შეადგინა. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ პოეტიც მნიშვნელოვან გამოცემად თვლიდა მას.

აკაკი წერეთელი არა მარტო გამოცემიდან გამოცემამდე ცვლიდა ზოგ ნაწარმოებს, არამედ ხშირად ამა თუ იმ გამოცემაში საკუთარი ხელით წერდა ზოგიერთ გამოტოვებულ, ან ცენზორის მიერ ამოღებულ სტროფებს. ამის კარგი მაგალითია, ახლახან თამაზ კვაჭანტირაძის მიერ გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ (2001, 15 მარტი) გამოქვეყნებული წერილი: „ყოფილა, დღეს ვეღარ არის“, მაგრამ იქნება ცხადია!“ როგორც ირკვევა, მკვლევარს ხელთ ჩაუვარდა „თხზულებანის“ I-II ტომის ის ეგზემპლარი, რომელიც მარიამ აბაშიძის კუთვნილებაა და რომელშიც აკაკის თავის ხელით ჩაუწერია შვიდი სტროფი **ლექსში „პროზიდან ბოღა“**. როგორც ჩამატებული სტროფების გაცნობით ვრწმუნდებით, ისინი ორგანულად ერწყმიან ლექსის შინაარსობრივ სიუჟეტს. მკვლევარის მოსაზრებით, ეს სტროფები ცენზორს ლექსის პირველი

პუბლიკაციის დროსვე (გაზ. „ივერია“, 1889 წ., №№ 230, 247 და 252); ამოუღია და შემდეგშიც ვერ მოხერხდა (კერძოდ, „თხზულებანის“ 1893 წ., II ტ.) მათი აღდგენა. „ამხანაგობამ“ ლექსი უკვე შეცვლილი სახით გადმოწერა გაზეთ „ივერიდან“, აკაკიმ გადაათვალიერა დასაბეჭდად გამზადებული მასალა, მაგრამ, რადგან იმედი არ ჰქონდა, რომ ცენზურა გაუშვებდა მას, ამიტომაც „ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა“ და სტროფები არ აღადგინა, მაგრამ საბედნიეროდ, მოგვიანებით პოეტმა „თხზულებანის“ აღნიშნულ ცალში მაინც ჩაწერა საკუთარი ხელით ეს შვიდი სტროფი და ამ სახით გადასცა შთამომავლობას. შემდეგ, აკაკის 1902 წელს გამოქვეყნებულ ამ ნაწარმოებისათვის **პოემა დაურქმევია. „ბოდვას“...** 142-სტროფიან, ოთხნაწილიან პოეტურ თხზულებას, მართლაც, ჭირს, რომ ლექსი ვუწოდოთ; სხვათა შორის – არა მხოლოდ სიდიდისა გამო: მასში „ჩამონტაჟებულია“ ერთგვარი მინი პოემა ქართველი ტყვე ქალისა და შაჰ-აბასისი შესახებ... „... წერს მკვლევარი და დასძენს, რომ „ბოდვა“, ეს თხზულება, მართლაც, დღეს გაგრცვლებული“ ლირიკული პოემის“ ჟანრს უფრო განეკუთვნება. მისი თითოეული ნაწილი, რომელთაც თავ-თავიანთი თემა აქვთ... მაინც ერთი ღერძით, ერთი ლაიტმოტივით იკვრება – რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი ვიქნებით“ (კვაჭანტირაძე 2001: 3). კვლევა ცხადყოფს, რომ ეს ასეა, აკაკის თხზულებათა მესამე ტომის შემდგენელი ქალბატონი ლამარა შავგულიძეც, (რომლის ტომშიც შედიოდა ეს ლექსი) მიიჩნევს, რომ „ბოდვა“ ლირიკული პოემაა, მით უფრო, რომ ეს აკაკის ბოლო შემოქმედებითი ნება იყო. ჩვენ ვიზიარებთ მეცნიერთა ამ მოსაზრებას და ვაღიარებთ პოეტის ბოლო ნებას, **„ბოდვა“ სრული სახით აკაკის ახალი აკადემიური ოცტომეულის პოემების (IV) ტომში იბეჭდება!**

ბ) 90- იან წლებში გამოცემული აკაკი წერეთლის ცალკეული ნაწარმოებები

(პოლემიკა აკაკისა და „ქართველთა ამხანაგობას“ შორის).

1893-1895 წლებში აკაკის ორიოდ თხზულებაა მხოლოდ გამოცემული, ეს იმის გამო, რომ ქართველთა წიგნის გამომცემელმა თბილისის ამხანაგობამ შეისყიდა აკაკი წერეთლის ნაწერების გამოცემის უფლება და საზოგადოება ამის შესახებ კიდევ გააფრთხილა, (იხ. „ივერია“ 1892 წ. 21 ოქტომბერი). მიუხედავად ამისა, გაუგებრობა მაინც მოხდა და ამის გამო 1895 წელს ქართულ პერიოდულ გამოცემებში ატყდა პოლემიკა, რომელიც ეხებოდა აკაკის ნაწერების გამოცემას. საქმის ვითარება ასეთი იყო: როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1892 წელს „ამხანაგობამ“ და აკაკიმ დადეს ხელშეკრულება, რომლის ძალითაც „ამხანაგობას“ უნდა გამოეცა აკაკის ნაწერები 10 ტომად. გამომცემლობა ავტორს უხდიდა პირველი მოგებიდან 2000 მანეთს. პოეტი კი ვალდებული იყო თავისი ძველი და ახალი ნაწერები მათთვის გადაეცა გამოსაცემად. როგორც აღ. ჯაბადარი წერს: „1895 წლის 3 მარტს მას მიუღია ასეთი წერილი: „წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობას ქტფილისში. აკაკი წერეთელს მოველაპარაკე და გავრიგდით, ყველა მისი ახალი ნაწერი მე გამომაცემინოს. გადმომცა კიდევ რამოდენიმე და ბე მიიღო. ახლა უმორჩილესად გთხოვთ, მაცნობოთ, აქვს თუ არა უფლება მას თავისი ნაწერების გაყიდვისა და ან თქვენთვის ხომ საწყენი არ იქნება. ის ამბობს, რომ ვითომც თქვენ უფლება არა გქონდეთ იმის არც ახალ ნაწერებზედ და არც ძველებზედ; რადგანაც პირობა დაგირღვევიათ და სხვ.“ (ჯაბადარი 1896: 1-2).

აღნიშნულზე აღ. ჯაბადარს პასუხიც მიუწერია ადრესატისათვის, რომლის ვინაობა ჩვენთვის, სამწუხაროდ, უცნობია. ვიცით, მხოლოდ, რომ იგი ქუთაისელია, ან იქ მოღვაწეობდა. წერილი ასე იწყება: „წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობას ტფილისში“ (ხაზი ჩვენია ჯ.გ.) გაზ. „ივერიაში“ ამის საპასუხოდ გამოქვეყნებულ განცხა-

დებაში ვკითხულობთ: „პასუხად ქუთაისიდან მიღებულის წერილისა და ყოველთა საცნობელად ვაცხადებთ, რომ თ. აკაკი წერეთლის უკვე დაბეჭდილისა და დაუბეჭდავი ნაწერების ცალკე გამოცემა შესყიდული აქვს ქართველთა ამხანაგობას 1892 წ. 16 ოქტომბერს ნოტარიუსის წესით. ხელშეკრულების ძალით, ვინც ამხანაგობის ნებადაურთველად გამოსცემს ზემოსხენებულის ავტორის ნაწერებს, სამოქალაქო პასუხისგებაში მიეცემა“ („ივერია“ 1895ა: 2).

როგორც განცხადებიდან ჩანს, წერილი ქუთაისიდანაა მიღებული. ამის პასუხად აკაკიმ ასეთი წერილი გაუგზავნა ჯაბადარს: „თქვენმა განცხადებამ გამაკვირვა! ესა და ეს (აქ გვარია ჩაწერილი) შუა კაცი იყო და იმან იცის, რომ მე თქვენ ის მოგყიდეთ, რაც კონტრაქტის დაწერამდე ძველი ნაწერები მქონდა და შემდეგში რასაც დაწვერდი, შეგეძლოთ თქვენ დაგებეჭდათ, თუ მოვრიგდებოდით, მხოლოდ კონტრაქტი კრიმანჭულად არის დაწერილი, მაგრამ მაინც ასე სწერია და ამას ყველა გაიგებს. მე ხომ სული არ მომიყიდა თქვენთვის, რომ სამარადისოდ შემბოჭოთ და ხელი შემიკრათ... მე ჩემი ახალი თხზულება მივეყიდე ბ №-ს (აქ გვარია) სამას მანეთად და თუ თქვენ კონტრაქტის ძალით გნებავთ დაბეჭდოთ, შეგიძლიათ, მაგრამ იმ შემთხვევაში თქვენ უნდა მიბოძოთ ის, რასაც ბ-ნი № მაძლევს, ე.ი. სამასი მანეთი. გთხოვთ, შემატყობინოთ, გნებავთ, თუ არა“ (ჯაბადარი 1896: 1-2).

პოლემიკა კარგა ხანს გაგრძელდა. არც ერთი მხარე არ ასახელებს იმ პიროვნებას, რომელსაც მიჰყიდა აკაკიმ თავისი ნაწარმოები. სხვათა შორის, არც ნაწარმოების სათაურია დასახელებული სადმე. იგი ზოგან „ახალ პოემად“ იწოდება, ხან ასეთი ზოგადი ფრაზაა ნახმარი „ახალი თხზულება“, ერთგან აკაკი „მოთხრობადაც“ მოიხსენებს მას. ჩვენ დაგვაინტერესა ამ კამათმა, რადგან იგი უშუალოდ აკაკის თხზულებათა გამოცემასთან კავშირშია და ამდენად, წარმოაჩენს არსებული ვითარების ისტორიას. დაკვირვების შედეგად გაგვიჩნდა ასეთი მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაში ლაპარაკია პოემაზე „მედი“, რომელიც აკაკიმ 1895 წელს დაწერა. მისი II და I მოქმედება (ასეთი თანამიმდევრობით) არასრულყოფილად დაბეჭდა

1895 წ. ჟურნ. „კვალში“ №23 და №25. ხოლო პოემა სრულად გამოაქვეყნა 1897 წელს ჟურნალ „აკაკის კრებულში“. სხენებული დავა „მედეას“ გამოა, რაშიც ისიც გვარწმუნებს, რომ ამ დროისათვის (1895 წლისათვის) აკაკიმ ეს ნაწარმოები დაწერა, გარდა ამისა, არის ერთი ცნობაც, კერძოდ: ალ. ჯაბადარი ზემოხსენებულ სტატიაში წერს: „1895 წლის თებერვლის შუა რიცხვები გახლდათ, ერთმა ჩვენმა საერთო ნაცნობთაგანმა მირჩია, თ. აკაკი წერეთელს პოემა აქვს და რომ შეიძინოთ თქვენი ჟურნალისთვის, კარგი იქნებოდა... მე დიდი მადლობა მოვახსენე რჩევისათვის და ვთხოვე, დაგვხმარებოდა. ჩვენ ის პოემა თვალითაც არ გვინახავს. ხოლო 6 მარტს 1895 წელს კი ჩვენმა თვალებმა იხილეს „შემდეგი წერილი“ (ჯაბადარი 1896) და მოჰყავს აკაკის ზემოხსენებული წერილი.

საინტერესოა, ალ. ჯაბადარს ვინ და რომელი პოემის შექმნა ურჩია?. ამ კითხვაზე პასუხს იძლევა აკაკის ერთი წერილი ივ. მაჩაბლისადმი: „ძმაო, ვანო... ჯაბადარის შესახებ რაც მოგეწერა, იმის შესახებ გიგოსაგანაც მივიღე წერილი და აი, ჩემი აზრი. „მედეა“ ძალიან პატარა არის, რომ იმ პირობით ოთხი თუმანიც არ მერგება, მაშინ როდესაც ოთხი წელიწადი მეტი მარტო მასალების შეკრებას და მოგროვებას მოუზნდი. ქუთაისში ლალიძემ 15 თუმანი მაძლია, ოღონდ კი ერთხელ დამაბეჭდვინეო. მაგათ ეგ არ შეეძლებათ ვიცი და თუ უნდათ ჩემი მუდმივი თანამშრომლობა, დიდი სიამოვნებით, მხოლოდ უსასყიდლოთ კი არ შემიძლია, თუ მომცემენ იმას თვიურად, რასაც ნიკოლაძეს აძლევენ, მათთან ვაღდებული ვიქნები, ყოველ ნომერში იყოს ხოლმე ჩემი ნაწერები და იქ „მედეაც“ იქნება და სხვანიც იფიქრონ თუ ჩემი თანამშრომლობა შემატებს ხელისმომწერს და ეგენიც არას წააგებენ“ (ლეონიძის... №17878-17882)*. ირკვევა რომ, აკაკის ახა-

* შენიშვნა: სხვათა შორის, აკაკის ეს წერილი არაა შეტანილი მისი თხზულებების XV ტომში, არა და მას იცნობენ გამოძეგმელები. იგი დამოწმებულია თხუთმეტომეულის VI ტომში, გვ. 391. წერილი გამოქვეყნდა 1926 წელს „ქართულ მწერლობაში“, № 2-3, გვ. 127. ამდენად, აკაკის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემა კიდევ ერთი ახალი წერილით შეივსება.

ლი პოემის „მედეას“ შესახებ ალ. ჯაბადარისათვის ურჩევიათ ივ. მაჩაბელსა და გიგოს (ფეიქრობო, გრიგოლ ჩარკვიანს). იქვე აკაკი ახსენებს პირობას. ფეიქრობო, აქ იგულისხმება ჟურნ. „მოამბის“ თანამშრომელთათვის შედგენილი პირობა, მაგრამ ცხადია, რომ „ეს პირობა“ აკაკის ხელს არ აძლევდა. თუმცა ალ.ჯაბადარი სხვაგვარად გადმოსცემს საქმის ვითარებას, „პოემა თვალითაც არ გვინახავსო“. რაზედაც აკაკი ასეთ რამეს წერს თავის პასუხში: „რატომ შენი ახალი ნაწერი არ გამოგვიგზავნო, რომ ბრძანებთ, ნუთუ დაგავიწყდათ, რომ მე მსურველი ვიყავი თქვენს ჟურნალში მემუშავა. რამოდენიმე ლექსი უსასყიდლოთაც მოგართვით, (სხვათაშორის, ჟურნ. „მოამბის“ პირველ ნომერში მართლაც არის დაბეჭდილი აკაკის რამოდენიმე ლექსი, ჯ.გ.). მაგრამ, როდესაც ახალი, ჯერ არსად დაბეჭდილი დრამატული თხზულება მოგიტანეთ, ის უკანვე თავში მახალეთ, რედაქციამ დაიწუნა და ვერ დავბეჭდავთ“ („კვალი“ 1896ბ: 164).

საქმის ვითარება ჩვენ ამგვარად წარმოგვიდგება: აკაკიმ 1895 წელს დაწერა პოემა „მედეა“, რომლის დაბეჭდვა ჟურნ. „მოამბეში“ ივ.მაჩაბელმა ურჩია ალ.ჯაბადარს. ჟურნალში იმიტომ, რომ ამხანაგობასთან დადებული პირობა ხელს აღარ აძლევდა პოეტს. ხელშეკრულებაში ეწერა: „Грузинское Изд. Товарищество приобретаая право первого издания отпечатанных за время окончания полного издания могущих быть написанными сочинений кн. Ак. Церетели, Обязуемся их томами в количестве не более четырех тысяч экземпляров каждого тома. Примечание: Вновь написанныя и нигде не отпечатания сочинения кн. Ак. Церетели могут быть печатаемы или в периодических изданиях или могут быть изданы Товариществом на условиях сего договора-не в счет томов, („ივერია“ 1896: 1-2).

ამიტომაც ედავებოდა იგი გამომცემლებს: იმის ბეჭდვის უფლება მოგივდეთ, რაც მაშინ მქონდა დაწერილიო, ახლად შექმნილ ნაწარმოებს კი ვისაც მინდა, იმას გადავცემო. აკაკი იმაზეც წუხდა, რომ 40 წლის შრომაში 2000 მანეთი ავიღე და ამასაც არ მარგებენო. ამიტომ იგი უფრო ხელსაყრელი პირობების ძებნას შეუდგა და „თავისი

ნაწერები“ სხვა გამომცემელს გადასცა, რომლის ვინაობა ჩვენთვის უცნობია.

მიუხედავად არსებული მასალებისა და ჩატარებული კვლევისა, ჩვენთვის დღესაც აუხსნელია რამდენიმე კითხვა: ვინ იღებდა მონაწილეობას აკაკისა და ალ. ჯაბაღარიის მოლაპარაკებაში ხელშეკრულების დადების დროს? შესაძლოა ივანე მაჩაბელი! ვის გადასცა აკაკიმ თავისი ნაწერების გამოცემის უფლება? ერთს კი ვფიქრობთ, რომ ეს გამომცემელი ქუთაისში მოღვაწეობდა. ჩვენი ვარაუდით, ეს პიროვნება შესაძლოა ყოფილიყო იმდროინდელი ქუთაისელი მეწარმე და მეცენატი, პოეტის შემოქმედების თავყვანისცემელი-მიტროფანე ლაღიძე, აკი თავად აკაკი ასსენებს მას „ლაღიძემ 15 თუმანი მაძლიაო“. ვფიქრობთ, ამ პოლემიკას მარტო გაუგებრობა არ ედო საფუძვლად. ერთგან ალ. ჯაბაღარი აღნიშნავს: „ჩვენ მართალია, ორი ტომი გამოვეცით და მესამის გამოცემა დავაგვიანეთ. დავაგვიანეთ იმიტომ, რომ პირველი ყველა ის, რაც იმ ტომში უნდა მოთავსებულიყო ცალ-ცალკეა დაბეჭდილი და გაუყიდავი აწყვია მაღაზიებში (გარდა) ერთი დრამატული პოემისა“ (ჯაბაღარი 1896).

ალ. ჯაბაღარის ეს განცხადება არასწორია, რადგან ხელშეკრულების დადებისას ალბათ, გათვალისწინებული იყო ისიც, რომ 10 ტომის შევსება მარტო ახალი, გამოუქვეყნებელი ნაწერით ვერ მოხერხდებოდა. ვფიქრობთ, უსახსრობა იყო ძირითადი მიზეზი, რაც აფერხებდა საქმეს.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ „ქართველთა წიგნის გამომცემელმა ამხანაგობამ“ ვერ შეძლო დაწყებული საქმის დამთავრება და აკაკის ნაწერების მხოლოდ ორი ტომი გამოსცა, ასევე მეოთხე ტომის შემდეგ შეწყდა ილიას თხზულებების გამოცემაც, მაინც „ქართველთა ამხანაგობამ“ უდავოდ ბევრი კარგი საქმე გააკეთა და საკმაოდ გაამდიდრა ქართული ლიტერატურა თავისი გამოცემებით.

§ 4 პოემა „მედიას“ გამოცემის ისტორია და ტექსტოლოგიური ანალიზი

აკაკი წერეთლის პოემა „მედეას“ შექმნის ისტორია ასეთია: როგორც ავტორის შენიშვნებიდან ირკვევა, მას განზრახული ჰქონია, პიესა ტრილოგიად დაეწერა: „მედია კოლხიდაში“, „მედია ელადაში“ და „მედია სამშობლოში დაბრუნებული“. მაგრამ განზრახვა განუხორციელებელი დარჩა. პოეტს ტრილოგიის მარტო პირველი ნაწილი დაუწერია, რომლის I და II მოქმედება ჯერ ჟურნალ „კვალში“ (1895 წ., №23 და №25) გამოაქვეყნა. ხოლო სრულად პოემა დაბეჭდა თავის „კრებულში“ 1897 წლის №2 (ოქტომბერში) და თან ვრცელი შენიშვნები დაურთო. პიესის შექმნის თარიღის შესახებ მეცნიერებში რამდენიმე განსხვავებული მოსაზრებაა გამოთქმული. მამია დუდუჩავას აზრით: „მედეა“ დაწერილი უნდა იყოს 1893 წელს. როგორც ჩანს, მეცნიერი ეყრდნობა აკაკი წერეთლის წერილს (წერეთელი 1963: 93). იგრიშაშვილი ეკამათება ოპონენტს და წერს: „არ შეიძლებოდა აკაკის 1893 წელს მთელი დრამა დამთავრებული ჰქონოდა და ან არ დაბეჭდა, ან არავისთვის წაეკითხა“, თუ აკაკის 1893 წელს მზად ჰქონდა 5 მოქმედებიანი „მედეა“, რატომ არ დაბეჭდა იმავე წელს (1893) თუ გნებავთ იმავე ადრესატის გ.წერეთლის ორგანოში „კვალში“ (თუნდ სხვა რომელიმე გამოცემაში) და მხოლოდ 1895 წ. დაბეჭდა „კვალში“, ისიც ორი ნაწილი და სულ სხვა რედაქციით? – ი. გრიშაშვილის დასკვნა ასეთია: „აკაკიმ დიდი ხნის ნანატრი თემა მხოლოდ 1893 წელს მოხაზა და 1895 წელს კი დაამთავრა ვარიანტების სახით. ხოლო 1897 წელს, როცა თავისი ორგანო „კრებული“ დაარსა, დაბეჭდა იმ სახით, რა სახითაც დღეს ყველასთვისაა ცნობილი. ასე, რომ „მედეას“ შექმნის დროდ 1893 წელი კი არ უნდა ვადიაროთ, არამედ ვინც ჩაუკვირდება აკაკის შემოქმედების ლაბორატორიას მას სამი თარიღი აეთამაშება თვალწინ: 1893, 1895-1897 წწ.“ (გრიშაშვილი 1964: 369). ვფიქრობთ, ი. გრი-

შაშვილის მოსაზრება სწორია. „მედიას“ დაწერის თარიღი მარტო ერთი წლით არ განისაზღვრება.

1893 წელი პიესის შექმნის საწყისი თარიღია. აკაკი ძალიან დიდ ხანს ფიქრობდა და მუშაობდა პიესაზე. „მე-ია“ პატარა არის, ასე, რომ იმ პირობით ოთხი თუმანიც არ მერგება მაშინ, როდესაც ოთხი წელიწადი მეტი მარტო მასალების შეკრებას და მოგროვებას მოეუნდი“, – სწერს იგი ივ. მაჩაბელს.

ფიქრობთ, აკაკის პიესის წერა 1893 წლამდეც ჰქონდა დაწყებული. ამის შესახებ საინტერესო მოგონებას გვთავაზობს შალვა დადიანი: „საყურადღებო კიდევ ის იყო, რომ პირველად პიესა მამას რომ წაუკითხა, **პროზად იყო დაწერილი** და კარგად მახსოვს, შემდეგ ეს პროზა სიტყვა-სიტყვით იყო გალექსილი. მაშასადამე, აკაკის ასეთი მანერა ჰქონდა, უთუოდ დიდი ნაწარმოების წერის დროს: ჯერ პროზად დაიწერებდა და შემდეგ გალექსავდა“ (დადიანი 1948). შ. დადიანის ეს მოგონება მრავალმხრივ საინტერესოა. პირველი: ამის შემდეგ უკვე გასაგები ხდება, რატომ იხსენიებს აკაკი ამ პიესას ზოგან „მოთხრობად“ („კვალში“ 1896ბ: 164). მეორე: ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმ ცნობილ აზრს, რომ აკაკი თავის ნაწერებს ჯერ პროზად ქმნიდა. ჩვენთვის ცნობილია ამის რამდენიმე მაგალითი (ზარდიაშვილი 2005). ბუნებრივია, ჩვენთვის საინტერესოა ყველა ის დეტალი, რომლებიც აკაკის ნაწერების გამოცემას ეხება, მაგრამ ამჯერად არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტები, რომლებიც ნაწარმოების შემოქმედებითი ისტორიის შესწავლაში გვეხმარება. ეს კი ტექსტოლოგიური დაკვირვებისა და დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევს. ამ მხრივ სწორედაც რომ საყურადღებოა აკაკი წერეთლის პოემა „მედი“, რომლის 1895 წლისა და 1897 წლის ვარიანტების შედარებამ მთელი რიგი სხვაობანი დაგვანახა. კერძოდ, უურნალ „კვალში“ 1895 წელს გამოქვეყნებული პოემის I-II მოქმედება 1897 წლის გამოცემაში უკვე დასრულებული სახითაა წარმოდგენილი. როგორც ჩანს, აკაკის მეგობრებმა იცოდნენ ამ პოემის არსებობა და ამიტომ ურჩიეს გამომცემელს (ამ შემთხვევაში ალ. ჯაბადარს) ამ ახალი

პოემის დაბეჭდვა თავის ჟურნალში. იგივე ურჩიეს თავად აკაკისაც. „აჲ. ჯაბადარის შესახებ რაც მოგეწერა, იმაზე გიგოსაგანაც მივიღე წერილი, მაგრამ „მედია“ ძალიან პატარა არის და ა.შ.“ (ლეონიძის... №17878-17882). როგორც აკაკის წერილიდან ირკვევა, პოეტს არ უღირდა არსებულ პირობით ამ პოემის ჟურნალ „მომბეში“ გამოქვეყნება: მათი პირობის თანახმად ოთხი თუმანი მერგებო. მაშინ როცა: „ღალიძემ თხუთმეტი თუმანი მაძლია, ოღონ ერთხელ დამაბეჭდვიყო. მაგათ ეგ არ შეეძლებათ და ტყუილად ხარჯი რათ შეგუყვნო (ლეონიძის... №17878-17882). მეორეს მხრივ, აკაკის რომ „ქართველთა ამხანაგობისათვის“ გადაეცა პოემა, იქიდან სულ ვერაფერს მიიღებდა, რადგან თანხა უკვე აღებული ჰქონდა და მათ კი ჯერ ის პირობაც არ ჰქონდათ შესრულებული, რომელიც პოეტს დაუდეს. (აკაკის ნაწერები ათ ტომად უნდა გამოეცათ, მათ კი მხოლოდ ორი ტომი დაბეჭდეს). ამიტომ, ბუნებრივია, პოეტმა სხვა გამომცემლის ძებნა დაიწყო და ასეთად მიტროფანე ღალიძე მიიჩნია. ამ მეცენატ კაცს აკაკის შემოქმედების დიდი სიყვარული და პატივისცემაც ჰქონდა და – ფულიც. მიტროფანე ღალიძემ თავის მხრივ, თავი ვალდებულად ჩათვალა, ეცნობებინა „ამხანაგობისათვის“ აღნიშნული სიტუაცია, რადგან იგი იცნობდა აკაკისა და „ქართველთა ამხანაგობას“ შორის დადებულ ხელშეკრულებას. მის ამ კეთილშობილურ ქმედებას საპასუხოდ ის აუიოტაუი მოჰყვა, რაზედაც ნაშრომის წინა თავში მივუთითებდით. ამის შემდეგ, ბუნებრივია, აღარც მ. ღალიძე იკადრებდა სიტუაციის გამწვავებას და „მედიაც“ აღარ დაუბეჭდავს. თუმცა 1896 წელს კი გამოსცა „აკაკის ლექსების კრებული“. აკაკი კიდევ ვერ ელეოდა წლების ნაშრომს და ამუშავებდა მას შემოქმედებითად. ამას ადასტურებს მისი ერთი წერილი ი. გოგებაშვილთან. წერილი 1896 წლის 1 იანვარს ხარკოვიდან გამოუგზავნია პოეტს: „... მეც ჩემ ძველ ნაწერებს, რომელნიც არ ყოფილან დაბეჭდილი (და ამგვარი რამ მეტად ბევრია), გასაშალაშინებლად მივყავ ხელი: ჯერჯერობით „მედია“ გავათავე. კარგი იქნება თუ არა, რა მოგახსენო, მაგრამ მე მეტად კმაყოფილი ვარ. ეგებო მიტომაც, რომ **ამდენი**

არცერთ ჩემ თხზულებაზე არ მიშრომია. ვათავებ „ბაში-აჩუკს“ და მერე შეუდგები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ შენიშვნების წერას“ (წერეთელი 1963: 114-115), (ხაზი ყველგან ჩვენია. ჯ.გ.).

ეს წერილი, ვფიქრობთ, კომენტარს აღარ საჭიროებს. 1893 წელსაც წერდა აკაკი „მედია გავათავეო“ და 1896 წლის დასაწყისშიც ამბობდა ამას, მაგრამ 1897 წლის 29 იანვარს პოემა კვლავ თავისი უახლოესი მეგობრისათვის – კირილე ლორთქიფანიძისათვის – გადაუცია წასაკითხად. ერთი წელი საკმაოდ დიდი დროა, იმისათვის, რომ აკაკის კვლავ გადაემუშავებინა პოემა და ეს რომ ასე იყო, ამაზე კირილეს წერილიც მეტყველებს. წერილი, რომელიც 1897 წლის 29 იანვარსაა დაწერილი ქუთაისში: „ძმაო აკაკი! გუშინ საღამოს ვიყავი შენ სანახავად, მაგრამ დაგძინებოდა და ვეღარ გადმოგეცი შენი „მედია“ და ვერც დავტოვე, დაკარგვის მეშინოდა და ამასთანავე ზოგიერთი წვრილმანი შენიშვნები მიწოდდა მეტქვა იმისთანა რამეებზე, რომელიცა ზოგი უნდა იყოს გადამწერის ბრალი და ზოგი შენი თვითონ. **თხზულება მომეწონა, უწინ რომ წამიკითხავს, იმაზე მეტად.** მაგრამ ჩემი აზრით, მისი წარმოდგენა სცენაზე ჩვენი მსახიობების და სცენის მოწყობილობის შემწეობით ერთობ ძნელი იქნება და თითქმის შეუძლებელი. ახლა მინდა, შენი პოემა მათხოვო წასაკითხად და რაც შეეხება იმ შენიშვნებს, კარგი იქნება თუ ხვალ ნასადილევს ვნახავთ ერთმანეთს აბაშიძის სასტუმროში და მაშინ გეტყვი“ შენი კირილე (ეკელიძის №529) (ხაზი ყველგან ჩვენია ჯ.გ.).

წერილი რომ უადრესად საინტეროსა, ამაზე მეორე აზრი არაა. მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, ვინ წერს ამას, ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს არის კირილე ლორთქიფანიძე. კაცი, რომელსაც ყველაზე მეტად ენდობოდა აკაკი. კაცი, რომელიც მთელი ცხოვრება მის გვერდით იყო და რომელიც აკაკის ლექსს ხშირად „თვითნებურად“ ასწორებდა, მაგრამ ამ სწორებათა უმრავლესობას თავად პოეტი იზიარებდა და იწონებდა. (ამის შესახებ დაწვრილებით იხილეთ ქვეთავი – კრებულ „სალამურის“ გამოცემის ისტორია. აგრეთვე, გაბობქ 2000ა: 126).

კირილე ერთ-ერთი ყველაზე პირუთვნელი შემფასებელი იყო აკაკის შემოქმედებისა. ამიტომაც განსაკუთრებულ პატივს სცემდა მის აზრს პოეტი. როგორც ირკვევა მას რამდენჯერმე წაუკითხავს პოემა და 1897 წელს უკვე სწერს, ადრინდელზე უფრო მეტად მომეწონაო, თანაც მთელი რიგი შენიშვნები აქვს. ეჭვი არ გვეპარება, აკაკი ამ შენიშვნათა დიდ ნაწილს გაითვალისწინებდა და გაიზიარებდა. ამის შემდეგ კიდევ 8 თვე გავიდა და პოეტმა მხოლოდ 1897 წლის ოქტომბერში გამოაქვეყნა პოემა დასრულებული სახით. (თუმცა მისი დაბეჭდვა არც მანამდე გაუჭირდებოდა). ბუნებრივია, მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი ვერ ელეოდა პოემას და შემოქმედებითად ამუშავებდა და ხვეწდა. სამწუხაროდ „მედეას“ ავტოგრაფები არაა შემონახული, თუმცა არსებული ნაბეჭდი მასალის შედარებაც მრავლისმთქმელია.

ამრიგად, პიესის შექმნის წლები წყვეტილი თარიღით უნდა განისაზღვროს: 1893; 1895; 1897 წლები.

ტექსტოლოგიური დაკვირვებანი პოემა „მედეას“ შესახებ

აკაკი წერეთელს რომ ბევრი უმუშავია პოემაზე, ამას თვით ნაწარმოების ორი რედაქციაც ცხადყოფს. პოემის ორი თავი (I და II) აკაკიმ პირველად ჟურნალ „კვალის“ 1895 წლის №23 და №25 –ში გამოაქვეყნა. იგი კვლავ აგრძელებს მუშაობას და ორი წლის შემდეგ „აკაკის კრებულში“ პოემის ახალი რედაქცია წარმოადგინა:

<p>ჟურნალი „კვალი“ 1895 წ.</p> <p>ბუხრიანი ძველებური ოთახი</p> <p>„გათენებამდე არა დარჩა რა, თუ ქალიშვილებს კიდევ ეძინოსთ, გამოაღვიძე ორივე ჩქარა“ (გვ.2)</p> <p>ეს სტროფი პიესის ამ ვარიანტში არ არის.</p> <p>„არ სძინებიათ? მაშ უნდა გკითხოთ: ახალგაზრდისთვის ტკბილია ძილი</p> <p>ნაშუაღამევს და რამ დაგიკრთოთ? (გვ.2)</p>	<p>„აკაკის კრებული“ 1897 წ. №2</p> <p>ბუხრიანი და სარკმლიანი ძველებური ოთახი</p> <p>„რაღა შორის არის? მამალი ყივის, ღამე მაგდენიც არა დარჩა რა, დროა, წახვიდე ქალიშვილებთან, გამოაღვიძე ორივე ჩქარა“ (გვ.20)</p> <p>„მიკვირს, ვფიქრობ და ვერ გამიგია რა უნდა იყოს, რა საგძნეულო, ჯერ არვისაგან არ გაგონილი ჩვენს ქვეყანაში ხმა უჩვეულო?“ (გვ.)</p> <p>„არ გძინებიათ? მაშ უნდა გკითხოთ: ნაშუაღამევს ტკბილია ძილი თქვენ კი ფხიზლად ხართ და რამ დაგიკრთოთ?“ (გვ.22)</p>
--	---

ამის შემდეგ ჟურნალ „კვალში“ გამოქვეყნებულ ვარიანტში არ არის პოემის 13 სტრიქონი.

„მიწა იძვროდა და მასთან
ერთად
მთლად ირყეოდა კლდე, მთა
და ბარი
უნდა ქვეყანა მტვრათ
ქცეულიყო“. (გვ.2)

„მიწა იძვროდა და მასთან
ერთად
მთლად ირყეოდა სულ მთა
და ბარი
უნდა ქვეყანა მტვრად
ქცეულიყო (გვ.23)

„ეგ აგისდება კეთილად შვილო,
მე მაგგვარ სიზმრებს
უბრალოთ ვსახავ
განხდება ვინმე აქ საჭიდაოთ“. (გვ.2)

„ეგ ხომ კეთილად ასახდენია
მე მაგგვარ სიზმრებს
უბრალოდ ვსახავ
განხდება ვინმე აქ საჭიდაოდ“ (გვ.24)

„აკაკის კრებულის“ გამოცემაში პირველ მოქმედებას ბოლოში 40 სტრიქონი ემატება. ასევე, მეორე მოქმედებაშიც შეცვლილია ცალკეული სიტყვები და დამატებულია რამდენიმე ახალი სტრიქონი.

აკაკის ლექსი საგანგებოდ შეისწავლა პროფ. აკაკი ხინთიბიძემ და გამოარკვია, რომ პოეტი ბგერათა კეთილხმოვნების მიზნით, ცვლის ამა თუ იმ სიტყვას, გრამატიკულ ნიშანს; „იგი შეგნებულად ერევა თავისი ადრინდელი ნაწერების ტექსტში. ეს ჩარევა არსებითად 80-იანი წლებიდან დაიწყო. 80-90-იან წლებში აკაკის ალიტერაციული ხელოვნება განვითარების ზენიტს აღწევს“ (ხინთიბიძე 1972: 204-205).

თუ ჟურნ.“კვალში“ გამოქვეყნებული პოემის ტექსტს ძირითადად ვითარებით ბრუნვაში „თ“-ს სიტყარბე გამოარჩევს, „აკაკის კრებულში“ დაბეჭდილ პოემის ტექსტში „დ“ ბრუნვის ნიშნის ხმარება უფრო ხშირია და პოეტი საგანგებოდ ზრუნავს ალიტერაციული რითმის შექმნზე. ვნახოთ მგალითები:

„კვალი“ 1895წ. №23

„მხოლოთ დალატიოთ
დაიმორჩილეს
და ბრუტ-საბძელას ზე
მიაჭედეს.
ვერ ვინ გაბედა მიკარებოდა,
ვერ ვინ შეახო ვაგლახათ
ხელი“. (გვ.3)

„აკაკის კრებული“ 1897წ. №2

„მხოლოდ დალატიოთ
დაიმორჩილეს
და მიაჭედეს ამირან მთა
კლდეს
მათი ბრძანების
ასასრულებლათ,
ვერ ვინ შეახო ვაგლახათ
ხელი“. (გვ.36)

დავაკვირდეთ, ამ სტროფში, გარდა იმისა, რომ ავტორი ცვლის ვითარებით ბრუნვის ნიშანს თქდ (მხოლოთ||მხოლოდ), უნდა ვაღიაროთ, რომ ეს მექანიკური ცვლილება როდია. პირველ სტრიქონში „დ“ ნიშნის შეცვლით რომ ალიტერაცია გაემკვეთებინა, პოეტმა სტრიქონიც შეცვალა და „დ“ ბგერა უფრო გაამრავლა. „და მიაჭედეს ამირან მთა-კლდეს“ კითხულობ ამ სტრიქონს და დ-ს ალიტერაცია თითქოს პალოზე უროს დარტყმით გამოწვეულ ექოს იმეორებს. სამაგიეროდ, იქვე მესამე სტრიქონში პოეტი უცვლელად ტოვებს ბრუნვის ნიშანს და „დ“-ს მჟღერ ხმებს „თ“-ს „სიყრუეს“ უპირისპირებს:

„მათი ბრძანების ასასულებლთ,
ვერ ვინ შეახო ვაგლახათ ხელი“
რომ მიეჭედა! სანამ არ გაჩნდა
ერთი გრძნეული კოჭლი მჭედელი
იმ დღიდან კლდეზე მიჯაჭვულია,
ვეღარას შევლის მისი გონება... (გვ. 36)

მთელი სტროფი ალიტერაციულია. თანხმოვანთა მთელი თაიგულია წარმოდგენილი: ჭ,მ,დ,ვ,ღ.

როგორც ვხედავთ, პოეტი ყოველნაირად ჩაღხავს ტექსტს. ცვლის და ავსებს შინაარსობრივად პოემას და იმავდროულად ლექსის კეთილხმოვნებისათვის ზრუნვაც არ ავიწყდება.

ამრიგად, ასეთია აკაკი წერეთლის პოემა „მედეას“ შექმნისა და შემოქმედებითი განვითარების ისტორია გამოცემების მიხედვით. ამ შემთხვევაშიც, პოეტს წერის ჩვეული მანერისათვის არ უღალატია. პოემა ჯერ პროზად შეუქმნია, შემდეგ კი ლექსად გადაუთქვამს და წლების განმავლობაში შინაარსობრივად, ლექსიკურად და გრამატიკულად გადაუმუშავებია იგი. საბოლოოდ დახვეწილი პოემა გამოუქვეყნებია თავის „კრებულში“. ამიტომაც სავსებით მისაღებია აზრი, რომ პოემის შექმნის თარიღად 1893, 1895 და 1897 წლები ვაღიაროთ.

§ 5 აკაკის ნაკვესები

აკაკის ნაწერების გამოცემით, ბევრი პიროვნება დაინტერესდა, მაგრამ მისი თხზულებების ბეჭდვა არც თუ ისე სახარბიელოდ მიმდინარეობდა. ზოგი გამომცემელი ცდილობდა, ისეთი რამ დაებეჭდა, რომელიც სწრაფად გაიყიდებოდა. აკაკის ენამოსწრებულობისა და იუმორის გრძნობა საყოველთაოდ იყო ცნობილი. იგი ზოგჯერ ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა თავის ნაკვესებს. ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ აკაკის სხვის ნააზრევსაც მიაწერდნენ ხოლმე, რაც პოეტის სამართლიან გულისწყრომას იწვევდა.

1895 წელს თედო სახოკიამ გამოსცა წიგნაკი სახელწოდებით: „აკაკის ნაკვესები“, წიგნი I. სხვათა შორის ამ წიგნის გამოსვლას დიდი აღშფოთებით შეხვდა საზოგადოება. გაზ. „ივერიაში“ (№ 79) დაიბეჭდა ფელეტონი, რომლის ავტორი ჩიორა (არტემ ახნაზოროვი) წერდა, რომ ნაკვესები თ. სახოკიას მიერ არის შედგენილი: მისი შინაგანი ბუნების ნაყოფია... იმისთანა ლექსიკონით არის შეზავებული, რომ იმის ბაგედან ამოშვებას კინტოც იუკადრისებს... სხვათა შორის ჩიორას ამ რეცენზიამ ორჯერ მიიყვანა ილია ჭავჭავაძე სასამართლოში. ორჯერ უჩივლა თ. სახოკიამ ილიას, როგორც „ივერიის“ რედაქტორს, მაგრამ სასამართლომ ორჯერვე გაამართლა ილია ჭავჭავაძე. ასეთივე უარყოფითი რეცენზია დაიბეჭდა წიგნის შესახებ ჟურნალ „კვალშიც“ (1895 წ., №15). წერილში გაკრიტიკებულია თ. სახოკიას მიერ გამოცემული წიგნი: „ჩვენ ჩავვივარდა ხელში ერთი პატარა წიგნაკი, რომელზედაც აკაკის სურათია აღბეჭდილი. ალბათ, ამ სურათის წყალობით გამომცემელს აბაზი დაუდევს ზედ ფასად, თორემ ამხელა წიგნაკისათვის შაურიც დიდი ფასია. საბრალო აკაკი! სხვადასხვა გამომცემლებს მისი თხზულებები კი არა, მისი მომავალი გონების ნაწარმოებიც კი დაუტყვევებიათ ჯიბის გასასქელებლად და თვითონ აკაკი მუდამ ჯიბეგახვრეტილი დაიარება. ახლა ეს ვიდაც სახოკია არის, რომ არ დაეჯერება, მისი სახელით, თავისი საკუთარი ნაკვესები შეუთხზავს“.

როგორც აღნიშნეთ, წერილი გამოქვეყნდა ჟურნალ „კვალის“ 1895 წლის №15-ში სათაურით „სახუმარო გასართობად“. წერილს დართული აქვს აკაკის ლექსი „ზამთარი რო წავიდა“ (თხზულებათა სრული კრებულის I ტომში კი სათაურით „სახუმარო გასართობი“) (გვ. 329). „აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატინეს“ შემდგენელთა აზრით, აღნიშნული წერილი აკაკის ეკუთვნის, რაც სარჩევშიც ასევეა (იგულისხმება თ.ს.კ.) მითითებული. ყოველ შემთხვევაში აკაკის თანამოხიარულთა ეჭვს არ იწვევს (წერეთელი 1950ბ: 282)

როგორც ჩანს, იმდენად უხამსი ენით იყო შედგენილი ზემოთდასახელებული „ნაკვესები“, რომ თავად აკაკიც გულისტკივილით გამოეხმაურა ამ ფაქტს: „რაც მოლანასრედინს სიკვდილის შემდეგ მოუვიდა, ის მე სიცოცხლეშივე მემართება: ისეთ რამეებს იმეორებენ ჩემ ნათქვამათ და ჩემს ნაკვესებს ეძახიან, რომელიც პირველად მესმის ხოლმე“. ამ გარემოების თავიდან ასაცილებლათ მე თვითონ ვიკისრე ახლა, რომ შევკრიბო და ცალკე წიგნათ გამოვცე ნამდვილი ჩემი ნაკვესები. მარტო მისთანები, რომელთაც მხოლოდ საზოგადო მნიშვნელობა აქვს და შეეხებიან ასე თუ ისე ჩვენი ცხოვრების საგანს. ბოლოს, რაც შეეხება სხვების ნათქვამს და დასტამბულს „ვითომც ჩემს ნათქვამათ“, ვთხოვ მკითხველს, ის ისევე მოლა მასრედინს მიაწეროს და მე თავიდან ამაშოროს“. („კვალი“ 1895ბ).

მართალია, აკაკის ჰქონდა განზრახული თავის ნაკვესები თავადვე გამოეცა, მაგრამ ამ მიზნის განხორციელება ვერ შეძლო.

წიგნის მალაზია „სოდნა“-ს გამოცემა, № 51.

5449

899.962.1-1

ნ ა თ ე ლ ა

(ბეულუჭური აზუჯი)

F137-3

ა კ ა კ ი ს ა .



თბილისი

ელექტრო-ბეგდავი ე. კერესელიძისა, გოლოვინის პროსპ.

1911

48 გ. (21x13), 20.

§ 6 აკაკის ურთიერთობა გამომცემლებთან – მიტროფანე ლალიძე

„ნათელას“ გამოცემის ისტორია

პირველ თავში საგანგებოდ ვისაუბრეთ აკაკი წერეთლის ურთიერთობაზე თავისი ნაწერების გამომცემლებთან. ასეთები კი საკმაოდ მრავლად იყვნენ. ზოგთან თუ აკაკის ოფიციალური დამოკიდებულება ჰქონდა, ბევრთან მეგობრობდა იგი. როგორც მიუვითითეთ, აკაკი და კირილე ლორთქიფანიძე სიყრმის მეგობრები იყვნენ. კირილე არა მხოლოდ გამომცემელი იყო აკაკის ნაწერებისა, იმავედროულად რედაქტორიც იყო. ის საგანგებოდ ასწორებდა აკაკის ლექსს არა მხოლოდ ორთოგრაფიულად და სტილისტურად, არამედ შინაარსობრივადაც ცვლიდა მას. ზოგჯერ ამა თუ იმ სტროფის ახლებურ ვარიანტსაც ქმნიდა. ყველაზე საგულისხმოა ის, რომ აკაკი ბევრ სწორებას ეთანხმებოდა და შემდგომ გამომცემაში იზიარებდა მას. როგორც ჩანს, იგი დიდად აფასებდა კირილე ლორთქიფანიძის ლიტერატურულ გემოვნებას და მის აზრსაც პატივს სცემდა.

აკაკი წერეთლის თხზულებების გამომცემა მეტად მომგებიანი იყო. მისი წიგნები გაუყიდავი არ რჩებოდა. ამიტომაც გასაგები ხდება გამომცემელთა ეს განსაკუთრებული ინტერესი მისი შემოქმედებისადმი, მაგრამ ამავე დროს, ბევრ გამომცემელს მოგებაზე მეტად პოეტის შემოქმედების დიდი სიყვარული ამოძრავებდა. ერთ-ერთი ასეთი თავგამოდებული თაყვანისმცემელი, აკაკის პიროვნებისა და მისი პოეზიისა, იყო იმდროინდელი მეწარმე და მეცენატი – მიტროფანე ლალიძე. მისი მოღვაწეობა საყოველთაოდ ცნობილია. მისი „ლალიძის წყლები“ – ეროვნული სიმდიდრეა.

მიტროფანე ლალიძეს გამორჩეულად უყვარდა ერის მგოსანი, საქართველოს ბუღბუღი და ეს სიყვარული მან მრავალჯერ დაადასტურა. „აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანეში“ (გურგენიძე 1989: 275) დაბეჭდილია ერთი ასეთი ინფორმაცია: „დეკემბრის 17, გა-

ზეთ „ივერიის“ № 267-ში „ახალ ამბად“ ქვეყნდება ცნობა, რომ აკაკი წერეთლის მორჩენის აღსანიშნავად აკაკის თაყვანისმცემელი მიტროფანე ლალიძე ვინმე გ.წ.-ს შეუწოდებს დანაშაულს“.

მიტროფანე ლალიძე 1896 წელს გამოსცა აკაკის ლექსების კრებული სათაურით „მოდა“. 1898 წელს მანვე გამოაქვეყნა „პოემების კრებული“- ტფ. მ. ლალიძის გამოცემა №6. „ცნობის ფურცლის სტ.“, ამ კრებულში აკაკის პოემა – „მომაკვდავის ჩვენება“ დაიბეჭდა. 1903 წელს – „თამარ მეფე“ აკაკისა მ. ლალიძის გამოცემა. იმავე წელს გამოიცა აკაკის – „ორი მოთხრობა – სიკვდილი და სიზმარი“, ქუთაისი, ვ. ბეჟანეიშვილისა და მ. ლალიძის გამოცემა. ვ. ი. ჭილაძის და ამხ. სტამბა. 1903 წ. 63 გვ. 1908 წელს აკაკი წერეთლის საიუბილეოდ დაიბეჭდა „წმინდა ნინო ანუ ქრისტიანობის შემოღება საქართველოში“.

ჩვენ საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ მიტროფანე ლალიძის მიერ განხორციელებულ ერთ გამოცემაზე, რომელიც მრავალმხრივ საინტერესო და საგულისხმოა. ეს გახლავთ აკაკის ცნობილი პოემა „ნათელა“. ლიტერატურის მუზეუმში ინახება მიტროფანე ლალიძის ერთი მოგონება: „სოსიკო მერკვილაძის ძმასთან ვიყავით შეკრებილი რამდენიმე ქალ-ვაჟი. შინაურული საღამო იყო. აკაკიმ წაგვიკითხა თავის ახლად დაწერილი პოემა „ნათელა“. ჩვენ ყველანი აღტაცებაში მოვედით. მე წინადადება მივეცი: თუ ნებას მომცემთ ამ ნაწარმოებს გამოვცემ-მეთქი, აკაკიმ გაიღიმა: რა მოგეწონა ამ პოემაში, თუ მეტყვი, ნებას დაგრთავ გამოსცეო. მე ვუთხარი: ცოტნეს თავგანწირვა, ნათელას ინიციატივა და რაც შეეხება იმ ბნელი დროის აღწერას, რომელიც მანდ გაქვთ, ეს ჩვენი დრო არის მეთქი. აკაკი წამოდგა, მოვიდა ჩემთან, ხელი ჩამომართვა, გადამკოცნა და მითხრა: თანახმა ვარ გამოსცეთ ჩემი: „ნათელა“, ოღონდ ძვირი ფასი არ დაადოო. როგორც შემდეგ გავიგე, ამ პოემას დაჰპირებია „კვალის“ რედაქტორს გიორგი წერეთელს, რომელმაც შემდეგში ისტორიული მხრივ გააკრიტიკა ეს პოემა. აკაკიმ უთხრა: „ნათელა“ ჩემი ნათელა არისო. შემდეგ გამოვეცი „თამარ მეფე“, „გამზრდელი“, გამზრდელის ამბავი აკაკის უამბო

ჯანსუღ დადემუქელიანმა. ეს ნამდვილი ამბავია. იუბილეს დღეებში გამოვეცი აკაკის წმ. ნინო და სხვა“. ამავ მოგონების ერთ-ერთ ფურცელზე არის ასეთი მინაწერი: „გამოვეცი წიგნები: 1. ნათელა, 2. მომაკვდავის ჩვენება, 3. თამარ მეფე, 4. გამზრდელი, 5. წმ. ნინო, 6. აკაკის ქნარი გ. რობაქიძისა“ (ლეონიძის... №13289/ს; აგრეთვე, ბარამიძე... 1990: 282).

ეს მოგონება მრავალმხრივ საინტერესოა. ვგებულობთ, როგორ კითხულობდა აკაკი თავის ნაწარმოებებს საზოგადოებაში და ისმენდა მათ აზრს. როგორ გამოიცა პოემა „ნათელა“. დასახელებულია ის წიგნები, რომლებიც გამოსცა მ. ლალიძემ. გადმოცემულია, თუ ვინ უამბო აკაკის „გამზრდელის“ ამბავი. ასევე მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ აკაკიმ პოემა გამოსაცემად გადასცა მიტროფანე ლალიძეს და არა გიორგი წერეთელს, რომელსაც დაჰპირებია. ასევე საინტერესოა მ. ლალიძის განცხადება: „ბ. წერეთელმა პოემა ისტორიული კუთხით გააკრიტიკაო“. ჩვენ დავძებნეთ ამგვარი კრიტიკული წერილი და მივაგენით მას 1897 წლის ჟურნალ „კვალის“ №32-ში სათაურით „სხვადასხვა ამბები“. წერილის ავტორი თავდაპირველად აქებს პოემის ენას, ცოცხალ სახეებს, მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ მასში შეიმჩნევა „ისტორიული ანაქრონიზმი, რომელიც ამტკიცებს, ავტორის მიერ სუსტ ცოდნას ქართული ისტორიისას, რაც ცუდათ მოქმედებს მკითხველზე. ყველამ იცის, რომ ცოტნე დადიანი მეცამეტე საუკუნეში იყო, ხოლო ქველი წერეთელი ცხოვრობდა მეჩვიდმეტე საუკუნეში. არ ვიცით რანაირად მოხდებოდა შეუღლება ოთხი საუკუნით ერთმანეთზე დაშორებული სასიძო-საპატარძლოსი. ამას საზღვარდაუდებელი ფანტაზია პოეტისა თუ გაამართლებს, თვარა სხვა ვერაფერი“ („კვალი“ 1897ბ; წერეთელი გ.).

რეცენზია ხელმოუწერილია. როგორც მ. ლალიძის მოგონებიდან ირკვევა, მისი ავტორია გ.წერეთელი. ეს ფაქტი საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ კიდევ ერთხელ მტკიცდება აზრი, რომ ჟურნალ „კვალის“ მოწინავეებსა და „სხვადასხვა ამბებს“ გ. წერეთელი წერდა. ამით შესაძლებელი

ხდება გიორგი წერეთლის ბიბლიოგრაფია კიდევ ერთი კრიტიკული წერილით შევაესოთ.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული კრიტიკული წერილის ავტორს ვერ ასახელებს აკაკი წერეთლის შემოქმედების მკვლევარი პროკლე კეკელიძე. იგი წერს: „**კვალის**“ **რეპორტიორმა** (ხაზი ჩვენია ჯ.გ.) აუწყა საზოგადოებას პოემის დაბეჭდვის შესახებ და უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, თითქოს თხზულებაში არსებული ისტორიული ანაქრონიზმი, რომელიც ამტკიცებს ავტორის მიერ ქართული ისტორიის სუსტ ცოდნას, ცუდად მოქმედებს მკითხველზე (კეკელიძე 1961: 0221). ამრიგად, როგორც ვხედავთ, პოემის **პირველმა რეცენზენტმა** (ხაზი ჩვენია ჯ.გ.) უსაყვედურა აკაკის თხზულებაში ისტორიული დაუდევრობა“. ამრიგად, „**კვალის**“ **რეპორტიორიცა** და პირველი **რეცენზენტიც**, როგორც გაირკვა, გიორგი წერეთელია.

ბ) „ნათელას“ დათარიღებისათვის

აკაკი წერეთლის პოემა „ნათელა“ პირველად გამოიცა 1897 წელს. ცენზორის ნებართვა გაცემულია 1897 წლის 12 თებერალს. მეცნიერებაში შეინიშნება აზრთა სხვადასხვაობა იმის შესახებ, თუ როდის დაიწერა იგი. „თარიღი არც პოემის შავ ავტოგრაფს უზის. პირდაპირი მითითება, მიწერ-მოწერა, ხელშესახები მოგონებანი ან სხვა რაიმე დოკუმენტური მასალები, რომელთა საფუძველზე შეიძლება აღნიშნული საკითხის მიკვლევა, დღემდე გარკვეული არ არის“ (კეკელიძე 1961: 0202). მეცნიერს მოჰყავს რამდენიმე არგუმენტი, რის საფუძველზეც ასკვნის, რომ პოემის დაწერის თარიღად შეიძლება მივიჩნიოთ 1895-1896 წლები (კეკელიძე 1961: 0205).

ზემოთ მოხმობილი მოგონება, მ. ლალიძისა, ვფიქრობთ, სწორედაც რომ „ხელშესახები მოგონებაა“ და იგი დაგვეხმარება პოემის შექმნის თარიღის დადგენაში. ამას თან ერთვის კირილე ლორთქიფანიძის ერთი წერილიც აკაკისთან. წერილი 1897 წლის 29 იანვართაა დათარიღებული: „...ახლა მინდა შენი პოემა მათხოვო წასაკითხად

და რაც შეეხება იმ შენიშვნებს, კარგი იქნება თუ ხვალ ნასადილევს ერთმანეთს ვნახავთ აბაშიძის სასტუმროში და მაშინ გეტყვი. შენი კირილე“ (კეკელიძის... №529).

როგორც ვთქვით, 1897 წლის 12 თებერვალს პოემა „ნათელას“ ცენზორის ნებართვა მიუღია, ხოლო იმავე წლის იანვარში კირილე სოსოვს აკაკის „შენი პოემა მათხოველ“. ე. ი. „ნათელა“ 1897 წლის დასაწყისში უკვე დაწერილი იყო. როგორც პრ. კეკელიძეც მიუთითებს, 1896 წ. 1 იანვარს იაკობ გოგებაშვილისადმი მიწერილ წერილში, სადაც აკაკი სწერს: „მედია“ და „ბაში-აჩუი“ დავამთავრეო და შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ შენიშვნების წერას შევუდგებო, ეს პოემა („ნათელა“, ჯ. გ.) არაა ნახსენები. ალბათ, აკაკი წერეთელმა პოემა მას შემდეგ, 1896 წელს, დაწერა და 1897 წლის იანვარში უკვე საზოგადოებას წაუკითხა. ვფიქრობთ, არსებულ მოსაზრებას უფრო გაამყარებს რომანოზ ფანცხავას (ხომლელის) ერთი მოგონება: „1897 წლის იანვრის სამს ქკორიდან სწერს თავის ძმას: „იაკობ ქალაქში დიასამიძესთან ვიყავი. აკაკიმ დაგეპატიჟა და წაგვიკითხა თავისი ახალი პოემისებური „ნათელა“. კაი ხანია ასეთი სიამოვნება არ მიგრძენია. მიკვირს ამ კაცის საქმე. დაბერდა და პოეტური წარმოდგენის სფეროში ნავარდობს კიდევ იმისი ნიჭი. ჭეშმარიტად შესაშურია ამ კაცის ნიჭი“ (ფანცხავა 1990: 54).

ჩვენ ვიზიარებთ პრ. კეკელიძის იმ მოსაზრებას, რომ შესაძლოა აკაკის ადრეც უფიქრია ამ პოემაზე და იქნებ იდეურ-მხატვრული მონახაზიც ჰქონდა, მაგრამ არსებული დოკუმენტური მასალების მიხედვით პოემა საბოლოოდ ჩამოყალიბებული იყო 1897 წლის დასაწყისში და აკაკიმ იგი ახლობელთა წრეში წაიკითხა. ამდენად, მისი დაწერის თარიღიც სწორედ ამის მიხედვით დგინდება-1897 წელი. პოემა „ნათელა“ მეორედ 1900 წელს დაიბეჭდა „აკაკის თვიურ კრებულში“ №1, 1911წ. გამოსცა ს. მერკვილაძემ, შემდეგ დაიბეჭდა 1926 წელს და ბოლოს იგი გამოსცა ი. გრიშაშვილმა 1956 წ.

„არსებობს პოემის შავი ავტოგრაფი. „ნათელას“ ავტოგრაფი ჩვენს მუზეუმებში არ შეგვხვედრია. არსებობს „ნათელას“ პირვანდელი ხელნაწერი, რომელიც ეკუთვნის

კერძო პირს-პოეტის მეგობარს და ყოფილ მომღერალს დათიკო ფაღავას... ეს ხელნაწერი წარმოადგენს პოეტის შავ მასალას. ხელი ძნელი გასარჩევია“, – წერს ი. გრიშაშვილი (წერეთელი 1956ა: 382).

პრ. კეკელიძემ საგანგებოდ შეისწავლა აღნიშნული პოემა ტექსტოლოგიური თვალსაზრისით (კეკელიძე 1961), მონოგრაფიაში ამომწურავადაა განხილული პოემის ისტორიული და ლიტერატურული წყაროები. მოცემულია ვრცელი ტექსტოლოგიური ანალიზი. იგი ადარებს პოემის შავ ავტოგრაფს არსებულ გამოცემებს და სკრუპულოზურად აღწესსავს მათში არსებულ ყოველ განსხვავებას. შავ ხელნაწერში პოეტი წერს:

„პირიმზისაა იმისი, ვისაც მე ვამკობ, სახელი“.

აღნიშნული ვარიანტი ავტორს გადაუშუშავენია და საბოლოოდ შემდეგი ჩამოუყალიბებია:

**„ღიას, მსურს დაგდნე და გაეჭრე,
რომ მას მოეფინო ნათელი;
ნათელა არის იმისი,
ვისაც მე ვამკობ, სახელი“.**

წინა ვარიანტში „ნათელას“ პირიმზისად მოიხსენიებამ მისცა საფუძველი ი.გრიშაშვილს გაეკეთებინა ასეთი დასკვნა: „ფაღავასეული ვარიანტიდან ირკვევა, რომ პოემას თავდაპირველად პირიმზისა (ანუ პირიმზე) ერქვა“. როგორც პრ.კეკელიძე მიუთითებს, ეს მოსაზრება არასწორია. რადგან ფაღავასეული ავტოგრაფის ტექსტი არაა დასათაურებული. როგორც ჩანს, პოეტს ჯერ კიდევ არ ჰქონია საბოლოოდ დადგენილი, თუ რა უნდა დაერქმია პოემისათვის, ვინ იცის, იქნებ „პირიმზისა“, ან „ნათელა“ ან „ცოტნე დადიანი“, მაგრამ შემოქმედებითი მუშაობის ამ საფეხურზე პოეტს ჯერ კიდევ არა აქვს დაზუსტებული თხზულების სათაური“ (კეკელიძე 1961: 0206).

პრ. კეკელიძის კვლევით დგინდება, რომ ზოგჯერ ესა თუ ის სტროფი არის 1897 წლის გამოცემაში, მაგრამ იგი ავტოგრაფში არ გვხვდება, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ

თხზულების უკანასკნელი რედაქციის დროს პოეტს კვლავ უმუშავია ტექსტზე. ამრიგად, პოემის შავი ავტორაფის შემდეგ აკაკის დაუმუშავებია 38 ახალი სტროფი (152 ტაქტი). ამით პოეტს საგრძნობლად გაუფართოებია პოემის შინაარსი. შეუვსია იგი ცალკე ეპიზოდების ამსახველი სტრიქონებით და ნაწარმოები გაუმართავს როგორც აზრობრივად, ისე მოვლენათა ლოგიკური თანმიმდევრული გაშლითა და ნათელი სიტუაციების ჩართვით“ (კეკელიძე 1961: 0212).

ბუნებრივია, ჩვენს ნაშრომში ყველა მაგალითს ვერ მოვიყვანთ. არსებული მონოგრაფია სრულყოფილად გადმოსცემს ყოველ ცვლილებას.

ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო სახელმწიფო მუზეუმის კირილე ლორთქიფანიძის არქივში დაცულია ქურნ. „აკაკის თვიური კრებულის“ რამდენიმე ცალი, მათ შორის 1900 წლის №1, რომელშიც დაიბეჭდა პოემა „ნათელა“. პროკლე კეკელიძე მიუთითებს, რომ ეს ცალი მეტად საინტერესოა, რადგან მასში კირილე ლორთქიფანიძეს ტექსტში შეუტანია შესწორებები და შენიშვნები ლურჯი ფანქრით. შენიშვნები არის როგორც ტექსტოლოგიური, ისე ენობრივ-სტილისტური და ორთოგრაფიულ-პუნქტუაციური ხასიათისა. კერძოდ, ეს შენიშვნებია: „პოემის დაბეჭდილი ტექსტი დაყოფილია ნაწილებად (ორ ნაწილად) და თავებად. კირილე ლორთქიფანიძეს მიზანშეწონილად მიუჩნევია ნაწილების ნაცვლად თხზულება დაეყო კარებად (კარი პირველი, მეორე და ა.შ.). თავებად დაყოფის ამგვარი წესი გვხვდება აკაკის სხვა პოემებშიც. ალბათ, ერთნაირი პრინციპის დაცვის მიზნით მოუხდენია რეცენზენტს აღნიშნული შესწორება. პოემის სათაურის ქვეშ ფრჩხილებში დაბეჭდილია „ძველი ამბავი“ – კირილეს პოეტის ამ მინაწერზე დაბლა მიუწერია: „ძველებური, მაგრამ ახალი“ (კეკელიძე 1961: 0219).

შემდეგ პრ.კეკელიძე ვრცლად ჩამოთვლის იმ სწორებებს, რაც კირილეს უწარმოებია. მოვიხმოთ რამოდენიმე მათგანს:

„და ამერი იმერეთმაც“ (გვ.16)

„და ტანჯვაში
გამობრძმედილს“ (გვ.17)

„მაგარი ციხის მან კარი“
(გვ.29)

„რაც ვიცი, თქვენცა
იცოდეთო“ (გვ.39)

„ამერმა და იმერეთმაც“

„ტანჯვის ბრძმედში
გამოწროთობილს“

„კარი ციხისა მაგარი“

„რას ვფიქრობ, თქვენც
იცოდეთო“

ამგვარი სწორებანი, როგორც მივუთითებდით კირილემ აკაკის ლექსების კრებულ „სალამურშიც“ შეიტანა. ეს იმით იყო განპირობებული, რომ პოეტი ენდობოდა თავისი მეგობრის ლიტერატურულ გემოვნებას. თუმცა სხვა საკითხია, რამდენად უკეთესი ვარიანტი შეიქმნა ამ ცვლილებით და იზიარებდა თუ არა თავად ავტორი მას. როგორც პრ. კეკელიძე მიუთითებს: „თავის მხრივ ცნობილი სამოციანელის აღნიშნული შენიშვნები ინტერეს-მოკლებული არ არის. ისინი გარკვეულ მასალას წარმოადგენენ კირილე ლორთქიფანიძის მხატვრული და ენობრივ-სტილისტური თავისებურების გასათვალისწინებლად (კეკელიძე 1961: 0220).

აკაკი წერეთელმა სიცოცხლის მიწურულს თავისი ნაწარმოებები კიდევ ერთხელ გადაამუშავა შემოქმედებითად და გამოსაცემად გადასცა იოსებ მერკვილაძეს. მანაც 1911 წელს ცალკე წიგნად გამოსცა პოემები: „ნათელა“ და „ბაგრატ დიდი“, 1913 წელს კი „ორი ქართველი“, „კიკოლას ნაამბობი“, „გამზრდელი“ და „ბაში-აჩუკი“. აღსანიშნავია, რომ აკაკიმ მრავალი შინაარსობრივი და გრამატიკული ხასიათის შესწორება შეიტანა ზემოთჩამოთვლილ ნაწარმოებებში. ასევე შეცვლილი სახით გამოსცა პოემა „ნათელა“. მასში სხვა სწორებათა გვერდით გათვალისწინებულია კირილე ლორთქიფანიძისეული ზოგიერთი შენიშვნაც. როგორც ჩანს, პოეტი იცნობდა მათ. ამჯერად არ შეეუდგებით ამ გამოცემათა ტექსტოლოგიურ ანალიზს, რადგან ამ კვლევას ჩვენი ნაშრომის მეხუთე თავის საგანგებო ქვეთავი („იოსებ მერკვილაძე – აკაკი წერეთლის ნაწერების გამომცემელი – (წიგნის მაღაზია „ცოდნას“ გამოცემები) ეძღვნება.

ვიტყვით მხოლოდ ერთს, ტექსტებში წარმოდგენილი ცვლილებანი საფუძველს გვაძლევს ვაღიაროთ, რომ ს. მერკვილაძის ეს გამოცემები გამოხატავენ აკაკის ბოლო შემოქმედებით ნებას და ამიტომ ისინი სათანადო ადგილს დაიკავებენ პოეტის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის შესაბამის ტომებში. არსებული ნაშრომების, მოპოვებული საარქივო მასალებისა და წინა გამომცემელთა გამოცდილების გათვალისწინება კი უფრო სრულყოფილს გახდის აკაკის თხზულებათა ოცტომეულის აკადემიურ გამოცემას, რომელიც კარგა ხანია ელოდა დღის სინათლეს. (გამოვიდა მხოლოდ აკაკის თხზულებათა პირველი ტომი 1991 წელს). სამწუხაროდ, დღევანდელი საგამომცემლო პირობების გამო შესაძლოა, ისე მოძველდეს ყველა ეს ახალი მასალა, რომ გამოაშკარავება ვერ ელირსოს. ისე დაბერდნენ ეს სიახლენი, რომ მზის შუქი ვერ იხილონ. ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ვაი, რომ დრო მიდის და ჩვენი სათაყვანებელი კლასიკოსების ნაღვაწს მტკვერი ედება გამომცემელთა კარადის თაროებზე. არა და, თითქოს დაებედა აკაკის ნაწერებს. თავად პოეტი რამდენ ხანს ელოდა თავისი ნაღვაწის სრულყოფილ გამოცემას. ისე ადესრულა, ეს ოცნება ვერ აუხდა. ახლაც თითქოს იგივე მეორდება. ამჯერად უკვე თავმოყრილი და გამოსაცემად გამზადებული ტომები იზიარებენ მგოსნის ბედს...

„დგანან და ელიან!... „

ასეთი სევდანარევი იმედით მთავრდებოდა ნაშრომის ეს თავი.

ვიმედოვნებთ ამ საქმეს გაგრძელება უწერია 2008 წელს, შოთა რუსთაველის ფონდმა დააფინანსა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის პროექტი (ხელმძღვანელი პროფ. ირმა რატიანი) – „აკაკის თხზულებათა აკადემიური ოცტომეულის (პირველი ათი ტომის) გამოცემა“, და პოეტის 170 წლის საიუბილეოდ, 2010 წელს, ხუთი ტომის გამოცემა მოესწრება, 2015 წლისათვის კი, აკაკის გარდაცვალების 100 წლის თავზე, იმედია. პოეტის მთელ შემოქმედებით მემკვიდრეობას მიიღებს ქართველი მკითხველი.

ა. კ. კ. კ. კ.

~~899~~

899.96105

თ ვ ი უ რ ი

3-82.

გ რ ე მ ე ს ლ ი

წელიწადი მეორე

№ V

შახსი, 1899



ბ. შ. თ. ა. ნ. ს. ი.

ლამბაზის სტამბა და ტიპოგრაფია განთავსებული

1899

„აკაკის თვიური კრებულის“

გამოცემის ისტორია

აკაკი წერეთელი იმ მოღვაწეთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელნიც გამოირჩეოდნენ შემოქმედებითი ნაყოფიერებით. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული გამოცემლები, თუ ამხანაგობები საკმაოდ ხშირად ბეჭდავდნენ მის ნაწარმოებებს, საუკუნის ბოლოსათვის აკაკის შემოქმედების სრულყოფილად გამოცემა მაინც ვერ მოხერხდა. ბოლოს, ისევ თავად პოეტმა იტვირთა ეს საქმე და დააარსა საკუთარი ჟურნალი „აკაკის თვიური კრებული“. მგოსანს განზრახული ჰქონდა, თავი მოეყარა საკუთარი ნაწარმოებებისათვის და თანდათანობით გამოექვეყნებინა ისინი. აღნიშნულ კრებულს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერისათვის. მით უფრო ახლა, როცა მომზადდა აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემა. კანონიკური ტექსტის დადგენისას უპირატესობა ეძლევა ავტორის ნების გამოვლინებას, რაც ყველაზე უკეთ სწორედ ამ ჟურნალში აისახა. უნდა აღვნიშნოთ, რომ აკაკი წერეთელი არ შემოიფარგლა მხოლოდ საკუთარი ნაწერების გამოცემით და იმავდროულად ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების თავმოყრა და გამოქვეყნებაც ითავა. თუ თვალს გადავავლებთ „აკაკის კრებულის“ ნომრებს, ვნახავთ, რომ პოეტს უყურადღებოდ არ დაუტოვებია იმდროინდელი საზოგადოების არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა. მიუხედავად ჟურნალის შეზღუდული პროფილისა, იგი ვრცლად განიხილავს ქართველი ერის ყოველ საჭირობოროტო საკითხს, არ ინდობს არც მტერს და არც მოყვარეს. დადგან „კრებული“ ყოველივე საპირადოზე ხელაღებულია! – ასეთი იყო ჟურნალის სამოქმედო დევიზი. აკაკიმ საცენზურო კომიტეტს ასე დაუსაბუთა კრებულის დაარსების მიზანი – საკუთარი ნაწერების გამოცემა და ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების თავმოყრა. სინამ-

დვილემი ჟურნალის რეალური მისია პოეტმა ერთ-ერთი უბრალო საუბრისას გააცხადა: „ჩვენ გადავწყვიტეთ ყოველდღიურ მოვლენას მივაქციოთ ჟურაღდება და ჩვენი ცხოვრების ავ-კარგი, გინდ წვრილმანიც იყოს, აღვნიშნოთ ხოლმე ჩვენს „კრებულში“. ეს იქნება „შიდა მარგველა“ (წერეთელი 1899: 41). ესაა შესანიშნავი დახასიათება იმისა, რასაც პოეტი სიცოცხლის ბოლომდე აკეთებდა. მას არ მიუტოვებია მარგველა ყანისა და კაფვა იმ სარეველასი, ერის სხეულს რომ მოსდებოდა და სისხლს სწოვდა. მარგვავდა იგი მახვილი და სატირული კალმით.

ვფიქრობ, საკითხის სრულყოფილად წარმოდგენისათვის აუცილებელია, შევისწავლოთ ჟურნალ „აკაკის კრებულის“ გამოცემის ისტორია. ეს ისტორია იწყება 1897 წლის 25 თებერვლიდან, როცა აკაკიმ მიმართა საცენზურო კომიტეტს და სთხოვა შეამდგომლობა ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოსთან საკუთარი ჟურნალის გამოცემისათვის ნებართვის მისაღებად:

„Желаю самому издавать все свои сочинения как старые, уже напечатанные, так и новые, не бывшие еще в печати, честь имею покорнейше просить Цензурный комитет ходатайствовать перед Главным управлением по делам печати о разрешении мне издавать мой сочинения под личной моей ответственностью в ежемесячном современном издании на грузинском языке, под названием „Кребули“ (сборник) с приложением к нему произведений народного творчества, как-то: былин, сказок, легенд и др“ (ცენტრალური... №29/6/№217)

5 მარტს კი კავკასიის საცენზურო კომიტეტი შეამდგომლობს აკაკის ჟურნალ „კრებულის“ გამოცემის ნებართვის მისაღებად: „Кн. Церетели как поэт и драматург пользуется среди грузин большим уважением и псевдоним его Акакий один из самых популярных имен в закавказье. Выступив в конце пятидесятих годов восторженным поборником освобождения крестьян и великих реформ, кн. Церетели в течение сорока лет обогатил грузинскую литературу разнообразными произведениями своего поэтического творчества и создал литературный грузинский язык“ (საისტორიო... 1953: 378-379).

აი, ასეთ მაღალ შეფასებას აძლევდა ოფიციალი – კავკასიის საცენზურო კომიტეტი – აკაკი წერეთლის შემოქმედებას.

როგორც ჩანს, „კრებულის“ გამოცემის შესახებ იმდროინდელი საზოგადოება ინფორმირებული იყო და უდავოა, რომ დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს მის გამოსვლას. ამიტომაც მარტის ბოლოს გაზეთები „ივერია“ (№61) და „ცნობის ფურცელი“ (№156) მკითხველს ახარებდნენ: „ახლა გაზ. „ცნობის ფურცელს“ ნამდვილად შეუტყვია, რომ ხსენებულს სამმართველოს უკვე შეუწყნარებია აკაკის თხოვნა. ამ კრებულში დაიბეჭდება მხოლოდ აკაკის ძველი და ახალი ნაწერები, როგორც სიტყვაკაზმული, ისე პუბლიცისტური თხზულებანი. გარდა ამისა, „კრებულში“ დაიბეჭდება ხალხური ზეპირსიტყვაობა, „კრებული“ ყოველი თვისა და თვის თავზე გამოვა“.

ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების მოგროვებისა და შეკრების შესახებ ჯერ კიდევ 1895 წელს წერდა აკაკი წერეთელი ჟურნალ „კვალში“ (წერილი განცხადებასავით). იმავე წელს „კვალის“ № 14-ში დაიბეჭდა საპროგრამო წერილი „როგორ უნდა შევეკრიბოთ ზეპირსიტყვაობა“. აკაკი ამ წერილში წერს, ასე ოცი-ოცდაათიოდე წლის წინ მეც განვიზრახე ამ ნიმუშების შეგროვებამ, ცხადია პოეტის ამგვარი მონდომება წლების ნაფიქრი და ნაოცნებარი ყოფილა, რასაც თავის ჟურნალში შეასხა ფრთები.

ზეპირსიტყვაობის ფონდის დაარსებაც აკაკის სახელს უკავშირდება. იგი თავგამოდებული შეეჭიდა ამ უმძიმეს საქმეს და არც თუ ამაოდ. მისი მეშვეობით შეგროვდა და შეიკრიბა არა მხოლოდ ქართული ფოლკლორის ნიმუშები, არამედ ის იშვიათი ნივთები და წიგნებიც, რომლებიც რის კულტურულ საგანძურს ამშვენებს. აკაკიმ იცოდა, რომ ასეთი დიდი საქმის კეთება მარტო შეუძლებელი იყო. ამიტომაც დაუკავშირდა ერის შვილებს, თავის მეგობრებს, ყველა იმას, ვისაც შეეძლო რითიმე შესწოდა, დახმარებოდა ჟურნალსაც და ამ დიდებულ ეროვნულ საქმესაც.

პოეტმა თავის „კრებულში“ სათანამშრომლოდ მოიწვია სხვადასხვა მოღვაწენი. ერთ-ერთი მათგანი იყო თედო კიკვაძე, აკაკის მეგობარი. აი. რას სწერს აკაკი თედოს: „ძმაო თედო! პირველ ენკენისთვის უნდა გამოვიდეს ჩემი „კრებული“. არა თუ ერთი თვის, ასე გასინჯე ერთი წლის მასალაც კი მაქვს მზათ. გამოგიტყდები და გეტყვი, მარტო მისთვის, რომ ჩემი ნაწერები გამომეცა, მე არ ვიტვითებდი ამ ძნელ საქმეს, მაგრამ ჩემი უმთავრესი წამახალისებელი ზეპირ-სიტყვაობაა. ამას უნდა შევწირო ჩემი უკანასკნელი ძალ-ღონე და გავუკვლიო გზა... ხელმომწერლების იმედი არა მაქვს, დიდი პროპაგანდაა ჩვენებისაგან, რომ ვერ გამოსცემსო და ათასგვარ მიზეზს ასახელებენ! მაგრამ მე ამით გული არ გამიტყდება, მით უფრო, რომ ერთი წლის სახსარი გამოსაცემათ ხელთ მაქვს და შემდეგისათვისაც იმედი მაქვს ღუკმა პური დავიკლო და გამოცემას ხელი არ შეუშალო, გინდ სულაც არ მეყოლონ ხელმომწერლები, სულ რომ არ იყოს რა, საწყალი დაბალი ხალხი ხომ წაიკითხავს და ჩემთვის ეს არის დიდი სანატრელი. მე უფრო სხვა რამ მალონებს: ერთისგან ძნელია ამ საქმის თავის გართმევა და საჭიროა ჩემთვის თანაშემწე, მასთან შეგნებული, რომ როცა აღარ ვიქნები, ან ვერ შევძლებ, ამ „ზეპირ-სიტყვაობის“ საქმეს წაუძღვეს. ამგვარ კაცად მიმაჩნისარ შენ და ამიტომაც გთხოვ: ამ დღეებში ამოხვიდე საჩქაროთ და მოვილაპარაკოთ. მატერიალურის მხრითაც უზრუნველყოფილი იქნები, რასაკვირველია, ბევრი გამოჩნდნენ მსურველები, მაგრამ ვისკენაც გული არ მიმწევს, იმათთან საერთო სასუფეველიც არ მინდა“ (წერეთელი 1963: 261).

ეს წერილი შესანიშნავი დასტურია იმისა, თუ რა დიდი მიზნები ამოძრავებდა აკაკის ჟურნალ „კრებულის“ დაარსებისას. ამგვარი უანგარობა და საქმისათვის თავდადება სწორედ რომ აკაკისთანა მამულიშვილთათვის იყო ნიშანდობლივი, სწორედ მათმა თავდადებამ გადაკვირჩინა და შემოგვინახა დღემდე ერის საგანძური.

პოეტმა იცოდა, თუ დროზე არ მიხედავდნენ ამ საქმეს, ათი წლის მერე მოხუცებული მამები საფლავში ჩაიტანდნენ ამ ძვირფას საგანძურს და მაშინ „ჩვენი დაუღვე-

რობით დააკარგავთ იმას, რისი მოპოვება მერე შეუძლებელი იქნება“ (წერეთელი 1897ა: 72). ამიტომაც ჩქარობდა მგოსანი ამ საშური საქმის დაწყებას. თუმცა ისიც მშვენივრად იცოდა, რომ ამგვარი რამ გზა და გზა ვერ გაკეთდებოდა, მას მცოდნე და მომზადებული ხალხი სჭირდებოდა. ისეთები, რომელთაც ეცოდინებოდათ, რა და როგორ ჩაეწერათ.

აკაკი წერეთელმა საგანგებოდ მოუწოდა ყველას, განსაკუთრებით კი სოფლის ახალგაზრდობას: „მივმართავ ყველას, ვისაც შეუძლია დახმარება, მხარი მოგვცენ ამ დიდათ საშურ საქმეში!“ – აკაკის ეს მიმართვა ხვეისბერის მოწოდებას ჰგავდა. ქუდზე კაცს რომ მოუხმობდა ქვეყნის დასაცავად. აკაკი ერის სულიერი კულტურის გადასარჩენად არისხებდა ზარებს! ყველანაირი მონაცემის შეგროვებას და შეკრებას ითხოვდა: სად რა გვარის კაცები ცხოვრობდნენ, რა და რა ფრინველები და ცხოველები სახლობენ, რა მცენარე და ბალახი იზრდება. რა და რამდენი ციხე-კოშკი და ნანგრევია. რა მდინარეები ჩამოდის, რა ტბები და წყაროებია. რა ჯიშის თევზი ხარობს შიგ. აღწერეთ და გამოგზავნეთო. მოუწოდებდა, შეკრიბეთ: ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები, ლექსები, ზმები. მოგვაწოდეთ, გვარში თუ რამე გუჯრებია. აგრეთვე, ყოველი სიტყვა, რომელიც გეუცხოვოთ, ფონოგრაფიულად ჩაიწერეთო. მხოლოდ ამის შედეგად შევძლებთ, შევიტყოთ ჩვენი ქვეყნის ფასი და ჩვენი თავიც გავიცნოთო. „ლექსიკონების შედგენაც ადვილი იქნება, როგორც საზოგადოისი, ისე კერძოთ, ზოოლოგიურის, ბოტანიკურის, მინერალოგიურის და სხვანი“ (წერეთელი 1897ა: 72).

აი, ამგვარი დიადი მიზნები ამოძრავებდა ჩვენ სასიქადულო პროექტს. ასეთ საშვილიშვილო საქმეს ჩაუდგა აკაკი კვალში გუთნისდედასავით და ხნულიც ბოლომდე გაიტანა. მისმა დარგულმა ნერგმა კეთილი ნაყოფი გამოიღო. დღეს თუ ქართული კულტურა ამაყობს შესანიშნავი ნიმუშებით, ეს აკაკისთანა დიდი მამულიშვილების დამსახურებაა. ჟურნალ „აკაკის კრებულისათვის“ თვალის ერთი გადავლებაც ცხადყოფს იმ შედეგს, რომელიც გამოიღო აკაკის ამ წამოწყებამ. ყოველ ნომერში იბეჭდებოდა

ხალხური თქმები, ლექსები, ანდაზები და გამოცანები. ერთ-ერთი შემკრები, როგორც ჩანს, სოსიკო მერკვილაძე იყო. ფშაურ სიტყვიერებას გრ. აფშინაშვილი აგროვებდა.

ყოველთვიურად იბეჭდებოდა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ცნობები ამა თუ იმ კუთხისა და რაიონის შესახებ: მაგალითისათვის დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: „შავშეთი“ (ეთნოგრაფიული, სტატისტიკური და ისტორიული წერილი). („აკაკის კრებული“, 1898 წ. № 2), ს. ვალე №3, ს. ჭოღლევი №4, წვეური ზეპირსიტყვაობა (1899 წ. №4); სოფელი წესი და ხალხური ზეპირსიტყვაობა („აკაკის კრებული“ 1900 წ. №2). ჟურნალში 1899 წლის №7 დაიბეჭდა საგანგებოდ აღ.ხახანაშვილის „პროგრამა ეთნოგრაფიული-იურიდიული ცნობების შესაკრებად“. მასში დაწვრილებით იყო მითითებული ყველა მონაცემი, რომელთა მოძიებაც იყო შესაძლებელი.

„აკაკის თვიური კრებული“ თითქმის ოთხი წლის განმავლობაში გამოდიოდა. 1897 წლის სექტემბრიდან 1900 წლის აპრილის ჩათვლით. სულ 28 წიგნის გამოცემა მოასწრო აკაკიმ. ყოველი წიგნი სამი განყოფილებისაგან შედგებოდა. პირველი განყოფილება ჟანრობრივად მრავალფეროვანი იყო. მასში ნახავდით ლექსებს, ესეებს, ლირიულ წერილებს, საკუთარ კრიტიკულ, პუბლიცისტურ და მეცნიერულ ნარკვევებს, ნაკვესებსა და წვრილ-წვრილ ამბებს, მეორე განყოფილებაში ძირითადად იბეჭდებოდა აკაკის პროზაული თუ ეპიკური თხზულებები, თუმცა ზოგჯერ ამ განყოფილებაში ლიტერატურული და კრიტიკული ხასიათის წერილებიც ქვეყნდებოდა. მესამე განყოფილება ძირითადად ბეჭდავდა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს: ლექსებს, ზღაპრებს, ლეგენდებს. აქვე თავსდებოდა საქართველოს ამა თუ იმ კუთხის შესახებ ყოველსმომცველი ეთნოგრაფიული აღწერილობანი.

1897 წლის 1 სექტემბერს გამოვიდა ჟურნალ „აკაკის კრებულის“ პირველი ნომერი. მის პირველ განყოფილებაში დაიბეჭდა აკაკის ლექსები „ფუტკარი“, „მაინც ჩვენია“, პუბლიცისტური წერილი „ფიქრები ბუხრის წინ“, „უბრალო საუბარი“, პოემა „ნაცარქექია“ და „წვრილ-წვრილი ამბები და ნაკვესები“. მეორე განყოფილებაში გამოქვეყნ-

და ისტორიული მოთხრობა „ბაში-აჩუკი“; მესამე განყოფილებაში, ზეპირსიტყვაობის გამო, სოფ. ხიზაბავრა (კავკასიაში): ლეგენდა დავით აღმაშენებელზე. სოფ. სხვიტორი. ბროწეულის წყარო (ზღაპარი). შელოცვები (შეკრებილი ჯანაშვილისაგან). კრებული გააფორმა პირველმა ქართველმა გრავიორმა გრიგოლ ტატიშვილმა.

საზოგადოების ინტერესი მეტად დიდი იყო აღნიშნული ჟურნალისადმი. ამაზე მეტყველებს იმდროინდელ პერიოდულ ორგანოებში გამოქვეყნებული განცხადებები და გამოსხაურება ჟურნალის გამოსვლის გამო. ჟურნალი უფრო და უფრო პოპულარული ხდებოდა. მასში ქვეყნდებოდა არა მხოლოდ ფოლკლორის ნიმუშები. როგორც ჩანს, პუბლიცისტური ნაწერების ბეჭდვის მსურველი იმდენად ბევრი იყო, რომ აკაკიმ თხოვნით მიმართა ბეჭდვითი სიტყვის მთავარ სამმართველოს თავის ჟურნალში ბიბლიოგრაფიული შენიშვნების ბეჭდვის უფლების შესახებ (ცენტრალური... №14/1409/№15). ოქტომბერში აკაკიმ მიიღო ნებართვა, თავის ჟურნალ „კრებულში“ სხვა მწერალთა ნაწარმოებებისა და კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული შენიშვნების ბეჭდვის შესახებ.

ამრიგად, „აკაკის კრებულის“ პროფილი გაფართოვდა. მასში იბეჭდებოდა უაღრესად მნიშვნელოვანი შინაარსის სხვადასხვა ავტორთა წერილები. ნიმუშისათვის დავასახელებთ რამოდენიმე მათგანს: 1. „საქართველოს დედაქალაქი ტფილისი (ჯანაშვილისა)“, „ვეროპის მეაბრეშუმეობა“ (ს. ქვარიანი), „არქეოლოგიური ფურცლები“ (ვინმე მესხი). „მასალები ქრისტიანობის დაცემის და ისლამის სარწმუნოების გავრცელების ისტორიისა დასავლეთ საქართველოში“ (ზ. ჭ.) (1899 წ. №6). „მეფე ერეკლე“ (ზ. ჭ. საისტორიო მასალა); 1899 №4. „ქართველი კათოლიკენი არტაანისა და ჩხალის ხეობაში“ (ზ. ჭ. ს.) 1899 №5. „მინუშების გამო“ (მ. ჯანაშვილისა), 1899 №1 და მრავალი სხვა. როგორც ვნახეთ, ჟურნალში წარმოდგენილი მასალის შინაარსი საკმაოდ მრავალფეროვანია, მაგრამ ჩვენთვის ამჯერად უფრო საინტერესოა თვითონ აკაკის პუბლიცისტური წერილები. უნდა ითქვას, რომ ასევე ფართოა პოეტის მიერ დასმულ საკითხთა სპექტრიც. იგი სა-

განგებოდ მსჯელობს მწერლობისა და კრიტიკის, ხელოვნების შესახებ: „ნამდვილი ხელოვნება ისეთი რამ არის, რომ თუ ან მეტი, ან ნაკლები რამ შიგ გამოურიე, მორჩა, გათავდა, მისი მთლიანობაც და ერთიანობაც ირღვევა... ჩვენმა მწერლებმა არც იციან კანონი ნაწარმოების შეფერადებისა, სწორა ლარის გაყვანის, დროზე შეჩერებისა და ადგილზე წერტილის დასმის“ (წერეთელი 1898ბ). კითხულობ აკაკის წერილებს და გაოცებას ვერ მალავ, არ არის თემა და საკითხი, რომელსაც პოეტი არ ეხებოდეს და თანაც ყოველი განხილვისას საკითხის ამომწურავ ცოდნასაც ავლენს. ამ სიტყვების დადასტურებაა „კრებულის“ 1898 №11-ში დაბეჭდილი შენიშვნები, რომელშიც პოეტი ჯერ საუბრობს საქართველოში წიგნის გამოცემის თაობაზე. შემდეგ საზოგადოდ თარგმანის შესახებ. განიხილავს ივანე „მაჭავარიანის“ მიერ თარგმნილ ნაწარმოებს. სიტყვა „ბედ-იღბალის“ შესახებ მსჯელობას პოეტი ჟურნალის თითქმის მთელ გვერდს უთმობს. ასევე დიდ ცოდნას ავლენს მგოსანი ქართული სიტყვის „ჩანჩქერის“ სინონიმების ჩამოთვლისას. იგი დასძენს, რომ ნამდვილი ქართული სიტყვები ზეპირსიტყვიერებას შემოუნახავს.

ერთ-ერთ წერილში პოეტი წუნს, რომ: „ჩვენი ქართული მწერლობის ნაკლი ის არის, საზოგადოთ, რომ კრიტიკოსები არა გვყავს და კრიტიკაც არა გვაქვს. ყველას ის მიაჩნია საყოველთაოდ კარგად, რაც თვითონ მოსწონს და იმას დებს წუნს, რაც არ ეჭაშნიკება“ (წერეთელი 1898ა).

აკაკიმ მტკიცედ გაილაშქრა საქართველოს დაქუცმაცების იდეის წინააღმდეგ. ამ იდეის გამოხატულება იყო საქართველოს დაყოფა მეგრელებად, გურულებად, სვანებად, რაჭველებად. პოეტი თვლიდა, რომ „ეს დიდი სენია და ამთავითვე უნდა წამლობა ამ საერო ფილოქსერას, ჯერ კიდევ სანამ გარედან აზის დღევანდელ ჩვენ ცხოვრებას და ფეხვებში არ გაჯდომია. დროა, „სწორ გზას დავადგეთ, შინაურობაში მივიხედ-მოვიხედოთ, ჩემიან-შენიანობაზე ხელი ავიღოთ და საიდანაც უნდა იყოს, ვინც უნდა იყოს, მოყვარეს მოყვარულად მივეგებოთ და მტერს მტრულად დავეხედეთ“ – წერდა იგი (წერეთელი 1898გ).

აკაკი აკრიტიკებდა ყოველგვარ ეროვნულ სენს. მაგრამ იმავდროულად იცავდა ქვეყნის ინტერესებს, როცა კი საჭიროდ ჩათვლიდა ამას. ასეთი გამოქომაგება დასჭირდა ქართველობას, რომელიც ხშირად ინაგრებოდა მეზობელი ერების მიერ. ამ საკითხს მიუძღვნა აკაკიმ წერილი „სიტყვის ბანზე აგდება“ („აკაკის კრებული“ 1897 №3) ეს წერილი არც ერთ სხვა გამოცემაში არ შესულა, როგორც ჩანს, წერილის თემამ, როცა ტაბუ ჰქონდა დადებული მეზობელი ეროვნების ადამიანთა მიმართ მამხილებელ სიტყვას, გამოიწვია ის, რომ ეს მშვენიერი წერილი საიმედო ჭირ-ვარამზე მოლაპარაკე, თვით აკადემიური გამოცემის გარეთაც კი აღმოჩნდა. აკაკი შეუპოვრად აკრიტიკებს თბილ ადგილებზე მოკალათების მსურველ თბილისელ მდიდარ სომხობას. თავისი პირუთვნელობის დასადასტურებლად აკაკი მკითხველს ისტორიულ ექსკურსს სთავაზობს სომეხ-ქართველთა ურთიერთობის შესახებ. ქართული სიტყვის მოჭირნახულე, ამ მნიშვნელოვანი ამბების გვერდით იკვლევს გამოთქმის – „სიტყვის ბანზე აგდება“ – ეტიმოლოგიას და მშვენიერ ეტიუდს სთავაზობს მკითხველს. ეს წერილი აკაკი წერეთლის პუბლიცისტური ოსტატობის ნიშანდობლივი ნიმუშია და ფიქტობ, კარგი შენაძენი იქნება მომავალი აკადემიური გამოცემისათვის“, – წერს ლ. გვარამაძე (გვარამაძე 1996: 32)

ასევე აკადემიური თხუთმეტტომეულის გარეთ დარჩა ცნობილი მიზეზების გამო აკაკის შესანიშნავი „წერილი პროფესორ მარრის საპასუხოდ“ („აკაკის კრებული“ 1898 №7, II განყ. გვ.1) (გვარამაძე 1996: 42).

მწვავედ აკრიტიკებს აკაკი „მოქარგულ“ არჩევნებს – წერილში „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს, – ქართველთა „უმეცრულ კუდაბზიკობას, ბავშვურ თავმოყვარეობასა და მონურ-მოახლურ ლაქლაქშიილობას“, როცა საკენკით თვალახვეული კაცუნები, მხოლოდ პირად ანგარიშისათვის მოჩხირკედელე მამულიშვილებს „ვაშა-ვაშას“ შებღავიან, როცა ეს უკუღმართი ღროც გაიძახის: ჩამოდექი ჭეშმარიტებაჲ! – ცბიერება მობრძანდებაო“, – ამისთანა ღროს – გაცლა სჯობსო“, – ამბობს პოეტი.

პოეტი თვლის, რომ ამ საერთო მატილს, ქვეყნის გულის გამფუჭებელს, ოდესმე ბოლო მოეღებოდა, მწერლობა რომ ფრთებს არ ასხამდეს“. მწერლები თავის მისიას ვერ ასრულებენ, ამიტომაც თვლის აკაკი, რომ „საცა არა სჯობს გაცლა სჯობს“ ამ და ბევრ სხვა ამგვარ წერილს, ბუნებრივია, ვერ შეეგუებოდა იმდროინდელი ცენზურა. ამიტომაც სასწრაფოდ გამოსცა გადაწყვეტილება „კრებულში“ პოლემიკური ხასიათის წერილების ბეჭდვის აკრძალვის შესახებ.

„Главным управлением по делам печати в 1897 году разрешено Вам издавать на грузинском языке сборник ваших сочинений под названием „Кребули“. Цензурный комитет приняв во внимание, что Главное управление не усмотрело в представленной Вами программе характера периодического издания, признало возможным в октябре 1898 г. Разрешить Вам печатать в издаваемом Вами сборник „Кребули“ и чужие произведения как старых, так новых писателей, а также и критико-библиографические заметки:

Не ограничиваясь, однако, таким разрешением, Вы стремитесь обратить свой чисто литературный сборник в орган полемики с вашими литературными и общественными антагонистами, придавая таким образом характер газеты.

Усматривая в этом направлении принципиальное уклонение от разрешенной вам программы. Комитет постановил: не допускать на будущее время в издаваемом вами сборник “Кребули” новых статей или заметок полемического характера, о чем Комитет имеет честь поставить вас в известность“ (საისტორიო... 1953: 391-392)

ამრიგად, წარმოდგენილი მასალა სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ საცენზურო კომიტეტს აეკრძალა ჟურნალი მასში დაბეჭდილი წერილების გამო. ამის შემდეგ მართლაც, აღარ გამოსულა „აკაკის კრებულის“ არც ერთი ნომერი. საცენზურო კომიტეტის ეს გადაწყვეტილება გახდა მიზეზი „აკაკის კრებულის“ შეჩერებისა. ჟურნალის დახურვის მიზეზს თავად აკაკი ასე ხსნის: „რომ სულაც არ მყოლოდნენ ხელისმომწერები, მაინც კიდევ არ დავანებებდი თავს „კრებულის“ გამოცემას, მაგრამ

სხვაგვარად გადაბრუნდა ჩარხი. თავდაპირველად ნება მქონდა აღებული, რომ „კრებულში“ მებეჭდა მარტო ჩემი ნაწერები. მერე ნება დამრთეს სხვების ბელეტრისტული ნაწერებიც მებეჭდა და მეც ვსარგებლობდი ამ უფლებით. როდესაც ზოგიერთებმა ჩემი სადევნელი წერილების წერა დაიწყეს „ცნობის ფურცელსა“ და „მოამბეში“, მე ჩემ ჟურნალში დავიწყე პასუხის წერა და გაიმართა პოლემიკა. მე კი უფლება არ მქონდა მებეჭდა ჩემს „კრებულში“ სხვა რამე, გარდა ლექსებისა და მოთხრობებისა. აი, რამ შეაჩერა „კრებული“ (წერეთელი 1961ბ: 69), ჟურნალის ბეჭდვის პერიოდში გამოიკვეთა, რომ აკაკის მხოლოდ თავისი ნაწერების დაბეჭდვა არ ჰქონია მიზნად. იყო ისეთი შემთხვევაც, როცა ნომერში აკაკის არც ერთი ნაწარმოები არ გამოუქვეყნებია. როგორც აღვნიშნეთ, საკუთარი ნაწერების ბეჭდვა მიზეზი იყო ცენზურის თვალის ასახვევად, მიზანი კი სხვა ჰქონდა პოეტს. მას სურდა ქართველი მკითხველისათვის ამ ჟურნალის საშუალებით ეთქვა ყველაფერი ის, რისი თქმაც მხატვრული ნაწარმოებების მეშვეობით ვერ ხერხდებოდა. ემარგლა ერის სხეულზე მოდებული სარეველა და ეწმინდა და ეწროთ ერის სული. „კრებული“ უყურადღებოდ არ ტოვებდა არც ერთ მნიშვნელოვან მოვლენას, თავისი მოსაზრება რომ არ გამოეთქვა. ამდენად, ეს გამოცემაც მიემატა იმათ რიცხვს, რომელნიც ავითარებდნენ და აღორძინებდნენ ეროვნულ-გამათავისუფლებელ იდეას საქართველოში.

„აკაკის კრებულში“ დაბეჭდილი ზოგიერთი ნაწარმოების ტექსტოლოგიური ანალიზი

ჟურნალ „აკაკის კრებულის“ გამოცემის ისტორია იმითაც საინტერესოა, რომ იგი საკმაო მასალას იძლევა, გავეცნოთ პოეტის შემოქმედებით ლაბორატორიას. მის დამსახურებას ქართული კულტურის აღორძინების საქმეში. „კრებულის“ გამოცემის ისტორიის შესწავლას ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან საშუალება გვაქვს თვალი მივადევნოთ, თუ როგორ ქმნიდა და ასწორებდა აკაკი თავის ნაწერებს. შემოქმედების ეს პროცესი კი მით უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანია ახლა, როცა მზადდება აკაკი წერეთლის თხზულებების ახალი აკადემიური გამოცემა. ტექსტის ძირითადი წყაროს დადგენისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ავტორის ნების გამოვლინებას, რაც ყველაზე კარგად სწორედ ჟურნალ „კრებულის“ ფურცლებზე აისახა.

ცნობილია, რომ პოეტმა თავის ჟურნალში, გარდა ახალი ნაწერებისა, ბევრი ძველი ნაწარმოებიც გამოაქვეყნა. საგულისხმოა, რომ თითქმის ყოველ მათგანს განუცდია რედაქტორული სწორება. ვერ ვნახავთ ისეთ ნაწარმოებს, რომელშიც სულ მცირე ორთოგრაფიული ცვლილება მაინც არ შეეტანოს პოეტს. ზოგიერთი კი საკმაოდ მნიშვნელოვან ვარიანტულ სწორებას შეიცავს. ზოგან პოემის მთელი თავია დამატებული, ან მთლიანად შეცვლილია ესა თუ ის მოქმედება. მოკლედ, ჟურნალ „აკაკის კრებულის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ ნაწარმოებებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოეტის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემისათვის, რადგან ისინი ავტორის ნებას გამოხატავენ.

შეუძლებელია, ჩვენს ნაშრომში ვაჩვენოთ ყველა ის ცვლილება, რომლებიც განიცადა პოეტის ნაწერებმა. ჩვენ შევეცდებით, წარმოვადგინოთ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი, როგორც ნიმუში.

„ბუტიანობა“ – ეს ვოდვევილი აკაკის დაუწერია 1879 წელს. იმავე წლის თებერვალში იგი წიგნადაც გამოვიდა.

იგივე ვოდვეილი აკაკიმ გამოაქვეყნა თავის „კრებულში“ 1899 წ. №1. ე. ი. 20 წლის შემდეგ. პოეტს ჩაუსწორებია და გაუჩაღხავს ეს პიესა. არის შინაარსობრივი ხასიათის სწორებანი. მაგ. :

**იყო აღრინდელ
გამოცემაში (1879 წ.)**

**გაასწორა პოეტმა
(კრებ. 1899წ.)**

„ნუ კვინტავ და აღარ
გაგეცინება“ (გვ. 3).

„ნუ კვინტავ და აღარ
შეგეხიცინება“ (გვ. 55).

ორთოგრაფიულად და სტილისტურადაც დაუხვეწავს ტექსტი ავტორს.

იყო
წამოყრილა (გვ. 5)
გიხდება (გვ. 3)
მანგრე მგონია (გვ. 15)

გაასწორა
შემოყრილა (გვ.57)
გიხთება (გვ. 55)
ეგრე მგონია (გვ.66)

პოეტი ყველგან ასწორებს ბარბარიზმებს: ბაშმაკები-ფეხსაცმელი, კუხნაში – სამზარეულოში, ზონტიკი – ქოლგა, პუბლიკისკენ-ხალხისკენ. 1879 წ. გამოქვეყნებულ ტექსტში ცნობილი ქართული ანდაზა ამ ფორმითაა ნახმარი: „ერთის ხიდან ბარიც გამო და ნიჩაფიცაო (გვ. 25); ეს ანდაზა მეორეჯერაცაა იმავე გამოცემაში მოხმობილი, ოღონდ უკვე ამ ფორმით: „ერთი ხიდან ბარიც გამოვა და ჯვარიცო“ (გვ.25). ეს უკანასკნელი ვარიანტი გადატანილია „კრებულში“ დაბეჭდილ ტექსტში (გვ. 76)

ძალიან საინტერესოა ერთი ორთოგრაფიული სახის ცვლილება, რაც, სხვათა შორის, „აკაკის კრებულის“ სხვა ტექსტებშიც გვხვდება. როგორც ცნობილია, „კრებულში“ აკაკი ვით. ბრუნვის ნიშნად უმეტესად „თ“-ს ხმარობდა ან „დ“-ს ცვლიდა „თ“-დ. აქ კი ისეთი შემთხვევები გვაქვს, როცა პირიქით მოქცეულია პოეტი. მაგ.:

იყო
ადვილათ (გვ. 15)
გულ-გრილათ (გვ. 16)
სახუმაროთ (გვ. 16)

შეცვალა
ადვილად (გვ.67)
გულ-გრილად (გვ.67)
სახუმაროდ (გვ.67) და სხვა.

ყველაზე საინტერესო ისაა, რომ პოეტს ცნობილი გამოთქმა „ყოლიფერი“ (გვ.18) ასე შეუცვლია – „ყველაფერი“. „და მართლაც არ ვარგა ერთ-გვარობა ბუნებაში! მხოლოდ სხვადასხვაფერობა, სხვა და სხვა ნაირობა არ მოეყიჭება ადამიანს, სხვა კი ყველაფერი“ (გვ.69)

სხვათა შორის იგივე სიტყვა „ყოლიფერი“ აკაკის მოგვიანებით, კერძოდ, სიცოცხლის ბოლო დროს გამოცემულ ნაწერებშიც შეცვლილი აქვს, ზოგან ლექსის კეთილხმოვანების მიზნით.

ამრიგად, აკაკის ერთობ გულდასმით გადაუხედავს ამ ვოდველისათვის და შემოქმედებითად გადამუშავებული და ნასწორები ტექსტი დაუბეჭდავს თავის კრებულში.

„ალექსი“ (ზღაპარი ყმაწილებისათვის) ტფ. 1880 წლის შემდეგ აკაკიმ 1898 წ. №10-ში თავის „კრებულში“ გამოაქვეყნა. ტექსტი ორთოგრაფიულად ჩაუსწორებია ავტორს. ვით. ბრუნვის ნიშანი „დ“ 1880 წ. გამოცემაში საკმაოდ უხვადაა ნახმარი. „აკაკის კრებულში“ ეს ნიშანი ყველგან „თ“-დ გადაუკეთებია პოეტს. ასეთი 29 შემთხვევაა, თუმცა 10 მაგალითი ისეთიც დაიძებნება, როდესაც წინა გამოცემაში ნახმარი ვითარებითი ბრუნვის ნიშანი „დ“ აკაკის „კრებულში“ უცვლელად გადაუტანია. ამავე ტექსტში შეინიშნება სხვა სახის ცვლილებანიც.

იყო:

„გვამხნევებს ჭირში, მით
გვაძლებინებს,,
და მწარ შავ დღეებს მთლად
ლაგვაიწყებს“ (გვ. 135)

შეცვლილია:

გვამხნევებს ჭირში, მით
გვაძლევინებს (გვ. 7).
(კრებული, 1898 წ., № 10)

ვფიქრობთ, ეს ცვლილება პოეტს მსგავს ბგერათა თავმოყრისა და სტროფის კეთილხმოვანებისათვის დასჭირდა. „გვამხნევებს ჭირში, მით გვაძლევინებს“. თუმცა ბგერის ალიტერაციამ სტრიქონის შინაარსიც შეცვალა. თუ პირველი წაკითხვით გამოდიოდა გვამხნევებს და ჭირში ამით გვაძლებინებსო, მეორე ვარიანტით გამოდის ეს მხნეობაა, ჭირს რომ გვაძლევინებსო. „აკაკის კრე-

ბულში“ თითქმის ყველგან ამოდებულია წინა გამოცემებისაგან განსხვავებით ობიექტური პირის ნიშანი „ს“ მაგ., სთქვა||თქვა, გამოსჩეკ||გამოვჩეკ; გავსტეხს||გავტეხ და ა.შ. ამავე პოემაში კიდევ ერთი შინაარსობრივი ცვლილება შეუტანია პოეტს.

იყო:

„ვარდი კოკობი, ბაღჩისა მკობი
ბულბულის გულსა მწველ ცეცხლს უღებდა“.
(1880 წ. გვ.134)

ეს სტრიქონი უფრო ხატოვნად შეუცვლია პოეტს „კრებულში“ დაბეჭდილ ტექსტში. **“ბულბულის გულსა ცეცხლს უკიდებდა“** (გვ.6). ახლა ის მაგალითიც ვნახოთ, როცა ვითარებითი ბრუნვის ნიშნის ცვლილებასთან ერთად ერთგვარ თანხმოვანთა თავშეყრა როგორ პოლიფონიურ უღერადობას აძლევს ამ სტროფს:

„მაგრამ ჯერე კი მე დამიჯერე
ფარსეველურათ და ფრთხილათ ვიყოთ“.
(გვ. 22)

აკაკი რომ ბრუნვის ნიშანს ლექსის კეთილხმოვანებისთვის იყენებს, ამის მაგალითების დამოწმება უხვად შეგვიძლია. აბა რით შეიძლება ავხსნათ ის ფაქტი, რომ პოეტს „დ“ ნიშანი უცვლელად დაუტოვებია შემდეგ სტროფებში; მაგ:

„და შემდეგ მარად ის უშიშარად
აბუნა სტუმრებს მარჯვედ უცდიდა“.
(გვ.12)

ამრიგად, წრმოდგენილი მაგალითები შესანიშნავად ადასტურებს იმ შემოქმედებით მუშაობას, რომელიც აკაკის ყველა ნაწარმოებს ეტყობა.

პოემა **„კიკოლას ნაამბობი“** 1889 წელს დაიბეჭდა. ივ. მარტიროსიანცის სტამბაში. იგივე პოემა აკაკის 10 წლის შემდეგ 1899 წელს გამოუქვეყნებია თავისი, „კრებულის“ №4-ში. პოეტს საკმაოდ საფუძვლიანად გადაუკეთებია იგი. შეტანილია მრავალი შინაარსობრივი ცვლილება. დამატებულია ცალკეული სტრიქონები.

პოემის 1889 წლის გამოცემაში წერია:

„რომ გაათავა სარდალმა სიტყვა,
წინ წადგენ ერთად დარბაისლები,
რომ მივეშველოთ დიდ ძალის ჯარით,
შიკრიკს გაახლებთ და თქვენც სარდალი
გამოისტუმრეთ მაშინ სიჩქარით.
დასთანხმდა მეფე და სახლთუხუცესი
მეორე დღესვე ქართლში გაგზავნა,
მაგრამ იმ დროსვე ჯარის გაწვევა
დაუყოვნებლივ სარდლებს უბრძანა“. (გვ.16-17)

„კრებულში“ (1889 №4) გვ. 76-77 კი ეს სტრიქონები ასეა:

რომ გაათავა სარდალმა სიტყვა,
წინ წადგენ ერთად დარბაისლები,
ნიშნად თანხმობის და ერთგულების
მათ მოიყარეს ერთად მუხლები.

ამის შემდეგ ტექსტს ემატება 15 სტროფი, რომელიც წინა გამოცემაში არ არის. ასევე 1889 წ. გამოცემაში იყო სტროფი:

განა ჯერ არ შეგიტყვია?
მამაშენს ჰკრეს გულში ტყვია
მის ჯავრსა და მწუხარებას
თან გადაჰყვა დელაშენი“. (გვ.44)

კუპიურებით დაბეჭდილი ეს სტროფი ასე შეიცვალა „აკაკის კრებულის“ 1889 №4-ში:

„განა ჯერ არ შეგიტყვია?
რომ სახლთუხუცესის ბრძანებითა
მამაშენს ჰკრეს გულში ტყვია“. (გვ.102)

„აკაკის კრებულში“ 104-ე გვერდზე წინა გამოცემა-საგან განსხვავებით დამატებულია კიდევ ერთი სტროფი:

„თავში იჯდა თვით ბატონი
მოკაზმული სულ სხვა ფერად
მხრებზე ედგა ჯინჯილები
მოყვითალო მჭადის კვერად“. (გვ.104)

როგორც დაერწმუნდით, „კიკოლას ნაამბობი“ პოეტს საფუძვლიანად შეუცვლია შინაარსობრივად. და ზოგიერთი სტროფის განსხვავებული ვარიანტიც შეუქმნია. პოემა ნასწორებია ორთოგრაფიულადაც: 1889 წ. გამოცემაში ნახმარი ვით. ბრ. ნიშანი“თ“ პოეტს „კრებულში“ „ღ“-დ გადაუკეთებია; მაგ. ამბათ||ამბად; გარეთ||გარედ. მაგ.:

„მაგრამ დაზოგვით კი არ დაგვზოგვენ,
თუ დაგვიხელთეს მათ სადმე გარედ“. (გვ.74)

როგორც ვხედავთ, პოეტი ამ სტროფში ბგერათა სხვადასხვა კომპლექსს: **ღ, გგ**, ანაცვლებს, და ამით სტროფში შესანიშნავ აკუსტიკას ქმნის. ამ მიზანს ემსახურება ბრუნვის ნიშნის „ღ“-ს ცვლილებაც.

შემდეგ სტრიქონში ზმნის ქცევა უსწორებია, შედეგად კი ალიტერაციული სტროფი მივიღეთ:

იყო: 1889წ.

შეცვალა:

„არ გვითხრა რისთვის
წავიდა
და ან რათ დაიგვიანა“.
(გვ.19)

„არ გვითხრა რისთვის
წავიდა
და ან რად დააგვიანდა“.
(გვ.81)

„საერთოდ, და პრეფიქსის გამოყენება ალიტერაციული ხმოვნებისათვის ერთობ ნიშადობლივია აკაკის პოეზიისათვის“ (ხინთიბიძე 1973: 180, 192).

ამრიგად, „კიკოლას ნაამბობის“ ამ ორი წყაროს ტექსტოლოგიურმა შესწავლამ დაგვანახვა, როგორ შეუცვლია იგი პოეტს. „აკაკის კრებულში“ პოემის ახალი გავრცობილი ვარიანტია წარმოდგენილი. სიცოცხლის ბოლოს აკაკის კიდევ ერთხელ გადაუმუშავებია პოემა შემოქმედებითად (იხ. ქვემოთ).

წინა თავებში საგანგებოდ განვიხილეთ პოემების: „პატარა კახი“, „თორნიკე ერისთავი“, „თამარ ცბიერი“, „ნათელა“, „მედიას“ შემოქმედებითი ისტორია და წარმოვადგინეთ მათი ტექსტოლოგიური ანალიზი. როგორც ვნახეთ,

თითოეული მათგანი გამოცემიდან გამოცემაზე შემოქმედებითად გარდაქმნა და საკმაოდ დახვეწა ავტორმა.

საინტერესო შემოქმედებითი ისტორია აქვს პოემას „მედია“, რომლის შესახებაც საგანგებოდ ვწერდით ჩვენი ნაშრომის მესამე თავში. პოეტმა თავდაპირველად ჟურნალ „კვალის“ 1895 წლის ფურცლებზე დაბეჭდა პიესის I და II მოქმედება. შემდეგ კი სრულყოფილი სახით იგი „აკაკის კრებულის“ 1897 წლის №2-ში გამოქვეყნდა. სხვა პოემებისაგან განსხვავებით, „აკაკის კრებულში“ წარმოდგენილი „მედია“ ამ პოემის ბოლო ნაბეჭდია“. ჩვენ არ მოგვეპოვება სხვა ავტოგრაფი და ნაბეჭდი წყარო. ამდენად, იგი პოემის ძირითად ტექსტს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ პოემა „მედიას“ კრებულისეული ტექსტი ნასწორებია ძირითადად შინაარსობრივად, თუმცა არის ორთოგრაფიული ხასიათის ცვლილებანიც. ჟურნ. „კვალში“ დაბეჭდილ ტექსტში ვით.ბრუნვის ნიშნად გვხვდება ასო „თ“, „აკაკის კრებულში“ იგი შეცვლილია „დ“-თი. ზოგჯერ კი ეს ნიშანი ხელუხლებლადაა დატოვებული.

„კვალი“ 1895 №23

„მხოლოდ დალატით
დაიმორჩილეს
და ბრუტ-საბძელას ზე
მიაჭედეს“. (გვ.3)

აკაკის კრებული“, 1897, №2

„მხოლოდ დალატით
დაიმორჩილეს
და მიაჭედეს ამირან მთა-
კლდეს.
მათი ბრძენების
ასასრულებლათ
ვერ ვინ შეახო ვაგლახათ
ხელი“. (გვ.36)

როგორც ვხედავთ, პირველ სტრიქონში ავტორს შეუცვლია ვითარებითი ბრუნვის ნიშანი „თ“-“დ“-დ, რითაც ავტორმა „დ“ თანხმოვნის ალიტერაცია გამოკვეთა. რაც თითქოს კლდეზე უროს დარტყმის ექოს გამოცემს. იმავე სტროფის მე-3-4 სტრიქონში ვითარებითი ბრუნვის ნიშნის შეცვლელად დატოვება კი კიდევ ერთხელ ამყარებს იმ აზრს, რომ „პოეტის ნახელავში ბგერათა თითოეულ კომპლექსს გარკვეული მხატვრული ფუნქცია აქვს. ლექსის

მუსიკალური სრულყოფის მიზნით პოეტები ხშირად არღვევენ დადგენილ ორთოგრაფიულ ნორმებს“ (ხინთიბიძე 1973: 24). მით უფრო, რომ იმ დროისათვის ორივე ფორმა თანაბარი უფლებით სარგებლობდა. ვნახოთ ერთი მაგალითიც:

„კვალი“, 1895, №23

„აკაკის კრებული“, 1897, №2

„აქვე იქნება მახლობლათ
სადმე
უყვარს ჭაღლებში ბურთის
გაგდება“. (გვ.4)

„აქვე იქნება მახლობლად
სადმე
უყვარს ჭაღლებში ბურთის
გაგდება“. (გვ.41)

აქვე აღვნიშნავთ, რომ საცენზურო კომიტეტის არქივში ინახება „აკაკის კრებულის“ 1897 წლის №2 ერთი ეგზემპლარი (ნომრით ც.ს.ი.ა.კ. 480, აღწ. I, საქმე 1461). რომელშიც „მედეას“ წამძღვარებული აქვს ცენზორის ნებართვა, გაცემული 1897 წლის 29 ოქტომბერს. აქვე არის საცენზურო კომიტეტის წარწერა. პიესის ბოლოში მოთავსებული შენიშვნების პირველი გვერდი გადახაზულია წითელი მელნით, თუმცა პიესა „კრებულში“ მაინც ამ შენიშვნებით დაიბეჭდა. ჟურნალის იმავე საცენზურო ეგზემპლარში გადახაზულია აკაკის ლექსის „მოხუცი და ახალგაზრდა“ (გვ.12-13) ბოლო შვიდი სტროფი, თუმცა ისიც სრულად დაიბეჭდა „აკაკის კრებულის“ 1897 წლის №2-ში. ლექსი ნამდვილად არ არის იმგვარი შინაარსის, რომლის გამოც შესაძლოა, ცენზორს მისი დაბეჭდვა აეკრძალა. გაუგებებარია ასევე, ცენზორის მიერ „მედეას“ შენიშვნების გადახაზვაც.

„აკაკის თვითური კრებული“ ზოგიერთ შემთხვევაში ამა თუ იმ ნაწარმოების ერთადერთი ნაბეჭდი წყაროა, რაც ერთიორად ზრდის მის მნიშვნელობას. აი, მაგალითად, როგორც ქ-ნ ლ.გვარამაძე მიუთითებს „აკაკის ნაშრომი ოცდართი თებერვალი 1898 წლისა“ („კრებული“, 1898 წ. №8. გვ.15-23) ერეკლე მეორის ასი წლისთავისადმია მიძღვნილი. „აკაკის კრებული“ მისი ერთადერთი ნაბეჭდი წყაროა; თხუთმეტომეულში იგი პუბლიცისტიკაშია მოქცეუ-

ლი. რატომ არ შეიტანეს გამომცემლებმა მხატვრული პროზის განყოფილებაში? ესაა ნამდვილი ნოველა, სადაც პირველ გვერდზე მოხსენიებული ფაქტობრივი მასალის შემდეგ იწყება დიალოგი ერეკლე მეფესა და სოლომონ ლეონიძეს შორის, სადაც აკაკი ისტორიული მოვლენების პოეტურ ინტერპრეტაციას მშვენიერ მხატვრულ ნაწარმოებად წარმოგვიდგენს“ (გვარამაძე 1996: 45).

იგივე შეიძლება ითქვას ლექსზე „ვახტანგ გორგასლან“ (ისტორიული) საგულისხმოა, რომ აკაკი წერეთლის აკადემიური გამოცემის თხუთმეტომეულში ეს ლექსი ხელნაწერიდან დაიბეჭდა (147, თ.ს.კ. 123,62) და ჩათვლიდა დაუმთავრებელ ნაწყვეტად, მაშინ, როცა აკაკი წერეთელს იგი ჟურნალის პირველ გვერდზე („აკაკის კრებული“, 1899 წ., №5) აქვს დაბეჭდილი და სავსებით დასრულებული სახით“, – წერს ღ. გვარამაძე.

საინტერესოდ მსჯელობს მკვლევარი, აკაკის შემდეგ ნოველაზე „ახლანდელი სიზმარი“. სათაური ამ პირველწყაროშივე შეცდომითაა დაბეჭდილი და ასეა ყველა სხვა გამოცემაშიც, აკაკის აკადემიური გამოცემის თხუთმეტომეულში ასევე შეცდომითაა შეტანილი (თ.ს.კ. ტ.13. გვ. 488). საქმე ისაა, რომ ნოველის სათაური „ახდენილი სიზმარი“ უნდა იყოს, რისი დადგენაც ძნელია არაა თვით ნოველის ტექსტის გაცნობით“ (გვარამაძე 1996: 45).

აკაკი წერეთელი რომ საგანგებოდ ასწორებდა და რედაქტირებას უკეთებდა „კრებულში“ დაბეჭდილ ყველა ნაწარმოებს, ამას წარმოდგენილი მაგალითებიც ნათელყოფენ. ისეთი შემთხვევები, რომ პოეტს უცვლელად გადაჰქონდეს ესა თუ ის ტექსტი, ძალიან იშვიათია. ყოველი მათგანი მცირედ მაინც სხვაობს წინა გამოცემასთან შედარებით. ამის მაგალითად აკაკის ცნობილი ლექსი „განთიადი“ გამოდგება. ეს ლექსი პოეტმა 1893 წელს გამოცემულ კრებულ „სალამურში“ გამოაქვეყნა. იქ ყველგან მეორდება ცნობილი რეფრენი – „ჩემო სამშობლო მხარეო“. „აკაკის კრებულში“ 1898 წლის №12 დაბეჭდილ ლექსში კი პოეტს რეფრენი ერთგან ასე შეუცვლია: „სულის ჩამდგმელო მხარეო“. ამგვარ წაკითხვას შეიცავს

ლექსის ავტორიზებული ხელნაწერი Q 953 და ჟურნ. „კვალის“ (1893 წ., № 1, გვ. 11) ნაბეჭდი წყაროდ.

„აკაკის კრებულის“ ტექსტოლოგიური შესწავლის შედეგად შემდეგი დასკვნის გამოტანა შეიძლება: აკაკი წერეთელს თავის „კრებულში“ ძირითადად შეუტანია ის ლექსები, რომლებიც ჟურნალ „კვალში“ და სხვადასხვა პერიოდულ ორგანოებში იყო დაბეჭდილი. საგულისხმოა, რომ მას „თხზულებანის“ 1893 წლის I და II ტომიდან თითქმის არც ერთი ლექსი არ გადაუტანია „კრებულში“. საინტერესოა რატომ? იქნებ იმიტომ, რომ აკაკის დავა ჰქონდა „ამხანაგობასთან“, ან იქნებ ის უფრო სავარაუდოა, რომ აკაკი დაკმაყოფილდა იმით, რომ იხილა ერთად თავმოყრილი თავისი შემოქმედების რაღაც ნაწილი მაინც, მით უმეტეს, როგორც მიუუთითებდით, პოეტმა ორივე ტომს რედაქტირება თავად გაუკეთა. ამჯერად კი, თავისი ახალი ნაწარმოებებისა და სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში მიმობნეული ნაწერების თავმოყრა განიზრახა. ვფიქრობთ, ეს მეორე მოსაზრება უფრო დამაჯერებელია.

როგორც ჩანს, „თხზულების“ 1893 წ. გამოცემა მისაღები იყო პოეტისათვის იმდენად, რომ 1912-13 წ. წ. გამოსაცემად მომზადებული „ჩემი ნაწერების“ ორივე წიგნი, ხშირ შემთხვევაში, ძირითად წყაროდ სწორედ „თხზულებანის“ ტომებს იყენებს.

ჩვენ წარმოვადგინეთ ჟურნ. „აკაკის კრებულის“ გამოცემის ისტორია და მასში დაბეჭდილი აკაკის ზოგიერთი ნაწარმოების ტექსტოლოგიური ანალიზი. ეს ჟურნალი მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ შინაარსობრივად და ჟანრობრივად უაღრესად მრავალფეროვანი იყო. იგი აქტიურად ეხმიანებოდა ყოველ საზოგადოებრივ მოვლენას და თავის მოსაზრებას უზიარებდა მკითხველს. ამავე დროს, ჟურნალი აკაკი წერეთლის შემოქმედებითი პროცესის შესწავლაშიც ეხმარება მკვლევარს. მასში წარმოდგენილი ტექსტები გადამუშავებული, დახვეწილი და რედაქტირებულია თავად ავტორის მიერ. ნაწარმოები ნასწორებია გულდაგულ, შინაარსობრივადაც და ორთოგრაფიულადაც. ამიტომ იგი პოეტის ნების გამოხატულებაა. ხშირ შემთხვევაში მისი საბოლოო ნებაცაა, რადგან ზოგი ნა-

წარმოები ამის შემდეგ აღარ გამოქვეყნებულა, ან შემდეგი გამოცემისას აღარ შეუცვლია ავტორს. ამდენად, აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „აკაკის კრებულში“ დაბეჭდილ ყველა ტექსტს, როგორც მის ავტორიზებულ წყაროს.

ასევე მნიშვნელოვანია „აკაკის თვითი კრებული“ პოეტის ენის შესწავლის თვალსაზრისითაც. აკაკი წერეთელი ამა თუ იმ ტექსტში ასწორებს ორთოგრაფიას, სტილს, პუნქტუაციას. „კრებულის“ ენობრივმა შესწავლამ დაგვანახა, რომ ორთოგრაფიული სწორებისას, პოეტი ერთ პრინციპს არ იცავს. მაგ: ვითარებითი ბრუნვის ნიშნად იგი ხან „დ“-ს იყენებს, ხანაც მას ყველგან „თ“-დ ცვლის. ისეთი შემთხვევებიც გვაქვს, როცა, პირიქით, „თ“ ნიშანს „დ“-დ გადააკეთებს ხოლმე.

პოეტი არ ერიდება პარალელურ ფორმათა გამოყენებას, მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ნიშნის – დენ || დნენ – ხმარებისას, რადგან პოეტი ამ ფორმათაგან არც ერთის წინააღმდეგი არ იყო.

პოეტის ენის შესწავლისას „აკაკის კრებულზე“ დაკვირვებას იმიტომაც ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომ მასში იბეჭდებოდა არა მხოლოდ მხატვრული, არამედ პუბლიცისტური ნაწარმოებებიც. დასკვნა ერთია, აკაკის ორთოგრაფიაში აშკარა სიჭრელე შეიმჩნევა. ეს კი, ვფიქრობთ, მარტო დროის შედეგი როდია, თუმცა იმდროინდელ საზოგადოებას საბოლოოდ არ ჰქონდა დადგენილი მყარი ენობრივი ნორმები. ამ საკითხის შესახებ ჯერ კიდევ XIX ს-ის 80-იან წლებში დაიწყო კამათი. თავად „ილიამ შეადგინა საგანგებო „უწყება“, რომელშიც ჩამოაყალიბა სალიტერატურო ქართულში არსებული სადავო გრამატიკული საკითხები და დაუგზავნა ქართველ საზოგადო მოღვაწეებს“ (ჭუმბურიძე 1994: 69).

საზოგადოებრივი აზრი ორად გაიყო. აკაკიც მონაწილეობდა ამ კამათში. აი, რას წერს იგი ერთ წერილში „არ ცოდნა არ ცოდვაო“ – „ბატონმა დოდაშვილმა, გიორგი წერეთელმა და მე დავასკვენით პირობა, რომ „კვალისათვის“ კიდევ ერთი განყოფილება მიგვემატებია: „სას-

წორმეტყველო“ და ჩვენს მწერლობაში როცა შევნიშნავდით ურიგო ქართულს, გვემხილება ხოლმე“ (კოტინოვი... 1992: 95).

აკაკი ძირითადად სიტყვის „აღვიარებ“ და „გაღვიარებ“ – სისწორის შესახებ მსჯელობდა. ვითარებითი ბრუნვის ნიშნის „თ“ || „დ“ – ხმარებისას კი, ვიმეორებთ, გამოკვეთილი პრინციპი არ ჰქონდა. უფრო იმიტომაც, რომ აკაკი ბრუნვის ნიშნებს სტროფში რითმის გასამართად და რიტმის კეთილხმოვნებისთვის იყენებდა, როგორც გარკვეული აქვს პროფ. აკაკი ხინთიბიძეს.

„აკაკის კრებული“ შესანიშნავ და უხვ მასალას სთავაზობს აკაკი წერეთლის შემოქმედების მკვლევარებს. საშუალება გვაქვს, შევისწავლოთ მწერლის მხატვრული ნაწარმოებები და გავეცნოთ მის პუბლიცისტურ მემკვიდრეობასაც. ამის საფუძველზე კი მოვახდინოთ პოეტის ენის საფუძვლიანი ანალიზი.

ამრიგად, „აკაკის კრებულს“ უდიდესი ლიტერატურული ღირებულება აქვს. იგი მასალის ყოვლისმომცველობით: ეპოქის პოლიტიკური, ეკონომიკური, საზოგადოებრივი და კულტურული საკითხების განხილვის თვალსაზრისით XIX საუკუნის ერთგვარ ენციკლოპედიას წარმოადგენს. ამავე დროს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ „აკაკის თვითური კრებული“ ზეპისიტყვიერების საუნჯეა.

**აკაკი წერეთლის სიცოცხლის ბოლოდროინდელი
ნაწერების გამოცემის ისტორია (1900-1915წ.წ.)**

მიიღია მშფოთვარე XIX საუკუნე და დადგა XX საუკუნე ისე, რომ აკაკის ვერც ამჯერად აუსრულდა წლობით ნანატრი ოცნება, ვერ მოხერხდა მისი ნაწერების თავმოყრა და სრულად გამოცემა. ახალმა ასწლეულმა ახალი საზრუნავი გაუჩინა კაცობრიობას. საზოგადოების ერთი ნაწილი სხვა სოციალურ ფორმაციაზე გადავიდა. ძველი ღირებულებანი გადაფასდა. ინტელიგენცია დასეზად და ფენებად დაიყო. მათი ყურადღება მომავლის მაჯისცემისკენ იყო მიპყრობილი. რევოლუციური იდეა-ფიქსით შეპყრობილთ არაფრის გაგონება არ სურდათ. ხალხის მტრად აცხადებდნენ ყველას, ვინც მათ იდეებს არ იზიარებდა. ერის დიდ შვილებს ჩირქი მოსცხეს და ლაფში ამოსვარეს მათი სახელი. ილიას თავის დაარსებულ „ივერიაში“ უბეჭდავდნენ განმაქიქებელ სტატიებს. არც აკაკის დააყენეს კარგი დღე. მასზედაც დაიწყეს მაკომპრომეტირებელი წერილების წერა და ასეთ ვითარებაში, ზოგიერთს კვლავაც შემორჩა „წარსულისადმი გრძნობა-პატივი“, დიდ მამულიშვილთა შემოქმედების პატივისცემისა და დაფასების უნარი. მათი დამსახურებაა, რომ ჩვენი კულტურის საგანძურს ბევრი მშვენიერი გამოცემა ამშვენებს. საბედნიეროდ, აკაკი წერეთელს თაყვანისმცემლები არასოდეს მოჰკლებია და მათ შორის ისეთებიც იყვნენ, რომელთაც შეძლეს პოეტის რამდენიმე ნაწარმოებისა და ლექსთა კრებულის გამოცემა.

ქვემოთ თანმიმდევრულად წარმოვადგენთ აკაკი წერეთლის **1900-1915 წლების** თხზულებათა ბიბლიოგრაფიას. გადმოვცემთ მათგან უმნიშვნელოვანეს გამოცემათა ისტორიასა და ზოგიერთი ნაწარმოების ტექსტოლოგიურ განხილვას.

ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 1900-1915 წლების აკაკის ნაწერების გამოცემებს სრულიად განსაკუთრებუ-

ლი მნიშვნელობა აქვს აკადემიური ტექსტის დადგენის თვალსაზრისით. ისინი მწერლის სიცოცხლის ბოლოდროინდელი გამოცემებია და ხშირ შემთხვევაში, ავტორის ბოლო ნებასაც გამოხატავენ.

1903 წელს მიტროფანე ლალიძემ გამოსცა ცალკე წიგნად აკაკის „**თამარ მეფე**“. იმავე წელს გამოდის აკაკის „**ორი მოთხრობა – „სიკედილი და სიზმარი**“- წიგნი გამოიცა ქუთაისში, მ. ლალიძისა და ვ. ბეჟანეიშვილის მიერ.

1903 წელსვე გრ. დიასამიძის სტამბაში აეწყო აკაკის „**ორი პუბლიცისტური სტატია**“.

899.962.1-32

ა კ ა კ ი



ჩ ე მ ი

თავ-გადასავალი-

Handwritten: 11.705 / 2



თ ბ ი ლ ი ს ი.

ელექტრონით მბეჭდავი კ. თავართქილაძისა
1993

§ 1 ავტორისეული გამოცემები

1900 წელს აკაკი წერეთელმა თავადვე გამოსცა ცალკე წიგნად შესანიშნავი ისტორიული მოთხრობა „ბაში-აჩუკი“. წიგნი აიწყო დამბაშიძის სტამბაში. აღნიშნული მოთხრობა თავდაპირველად ჟურნალ „კვალის“ 1895 წლის ცალკეულ ნომრებში იბეჭდებოდა. შემდეგ მწერალმა სრულად გამოაქვეყნა „აკაკის კრებულის“ 1897 წლის №1-ში. მისი ბოლო, ჩასწორებული გამოცემა კი სოსიკო მერკვილაძემ განახორციელა 1913 წელს. ყველა ეს გამოცემა ერთმანეთისგან განსხვავებულ ვარიანტულ წაკითხვას იძლევა. აკაკი წერეთლის თხზულებათა თხუთმეტტომეულის VII ტომში მოთხრობის ძირითად წყაროდ 1900 წლის გამოცემაა მიჩნეული. ამით უგულებელყოფილია ავტორის ბოლო ნება, რაც 1913 წლის გამოცემით გამოვლინდა. კვლევით დადგინდა, რომ 1911 და 1913 წლების იოსებ მერკვილაძისეულ გამოცემებში აკაკი აქტიურად მონაწილეობდა, ანუ ეს გამოცემები ავტორიზებულია. ამიტომ ვამბობთ, რომ აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალ აკადემიურ გამოცემაში სწორედ ისინი უნდა ვადიაროთ ძირითად ტექსტებად. გამოცემებში დარღვეულია ძირითადი ტექსტის შერჩევის ტექსტოლოგიური პრინციპი. თხზულებათა თხუთმეტტომეულის VII ტომში დარღვეულია ნაწარმოებთა განლაგების ქრონოლოგიური თანმიმდევრობაც. აღნიშნული ტომი იხსნება „ჩემი თავგადასავლით“ და „ბაში-აჩუკით“, მაშინ, როცა მათ ქრონოლოგიურად სხვა ნაწარმოებები უსწრებენ.

„ჩემი თავგადასავალი“

ეს შესანიშნავი ბიოგრაფიულ-ბელეტრისტული ნაწარმოები თავდაპირველად 1893 წელს დაიბეჭდა ცალკე წიგნად კ. თავართქილაძის სტამბაში და მოიცავდა 138 გვერდს. შემდეგ იგი „აკაკის კრებულში“ 1898 წლის №9-ში გამოქვეყნდა. 1902 წელს მწერალმა განიზრახა რამდენიმე ტომად გამოეცა „ჩემი თავგადასავალი“, რის შესახებაც საგანგებო განცხადება გააკეთა გაზ. „ივერიის“ 1902 წლის 30 ნოემბრის ფურცლებზე: „ერთადერთი ჩემი თხზულებათაგანი, რომელიც განსაკუთრებით მიყვარს და გასაოხრებლად მენანება, არის „ჩემი თავგადასავალი“. ნათქვამია: „ყვავსაც თავისი ბახალა მოსწონსო“. შეიძლება დიდი არა იყოს, რა, მაგრამ მე კი წმინდა გული და წრფელი სული მაქვს შიგ ჩადებული. ამ თხზულებაში ყოლიფერია მოხსენებული, რაც კი ნახევარ საუკუნის განმავლობაში მინახავს და სარწმუნოდ გამიგონია. საკუთრად ჩემ შესახებ საინტერესო მაინც და მაინც იმდენი არა არის რა, რამდენიც სხვებისა... ეს ნაწარმოები, რომლის ხელმძღვანელობას თვით მე ვიკისრებ, რომ ჩემდა გუნებისად გამოიცეს, მრავალტომიანი იქნება. და რადგანაც მათი გამოცემა ერთად არ მეხერხება, ჯერ უნდა გამოიცეს პირველი ტომი, რომლის ბეჭდვასაც ამ იანვრიდან შევუდგები. ფასი თვითეული ტომისა მანეთია და ვისაც ჰსურს შეძენა, რადგან ათას ორასზე მეტი არ იბეჭდება, შეუძლია ამ თავითვე დაიკვეთოს“ (წერეთელი 1961ბ: 163).

გამოცხადდა ხელმოწერა, მაგრამ როგორც ტასო მახაბლისადმი მიწერილი ერთი წერილიდან ირკვევა, დიდი გამოსმაურება ამ ხელმოწერას არ მოჰყოლია. „ამდენი ხანია, თითქმის შვიდი თვეა, და მთელ საქართველოში მხოლოდ 38 ხელისმომწერი და მსურველი გამოჩნდა, მეტი არა“. წერილი გამოქვეყნებულია აკაკი წერეთლის თხზულებათა თხუთმეტტომეულის XV ტომში (გვ.154). იგი დაუთარიღებელია. როგორც წარმოდგენილი მასალით ირკვევა, დაწერილი უნდა იყოს 1903 წლის მაის-ივნისში. საბოლოოდ ნაწარმოები გამოვიდა 1903 წლის ოქტომბერში.

აღნიშნული გამოცემა აკაკის თხზულებათა თხუთმეტ-ტომეულის VII ტომში ძირითად წყაროდაა მიჩნეული, რაც საგვებით სწორი არჩევანია, თუმცა იმავდროულად დარღვეულია ქრონოლოგიური პრინციპი, რაზედაც მიუთითებს პროფ. ზურაბ ჭუმბურიძე. „სარეცენზიო გამოცემაში (იგულისხმება VII ტ. ჯ.გ.) აკაკის პროზა „ჩემი თავგადასავლითა“ და „ბაში-აჩუკით“ იხსნება. ამით წინ არის წამოწეული დიდი ქართველი მწერლის უმნიშვნელოვანესი პროზაული თხზულებანი. თუმცა ერთგვარად დარღვეულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობის პრინციპი, რაც აკადემიურ გამოცემაში საერთოდ არაა გატარებული“ (ჭუმბურიძე 1959: 3).


1905 წელი მეტად მძიმე იყო პოეტისათვის. წინა წელს მას დამბლა დაეცა და დიდხანს იავადმყოფა. იმავე წელს გაემგზავრა იგი ევროპაში სამკურნალოდ. ეს წელი პოლიტიკურადაც დაძაბული და შფოთიანი გამოდგა. ვეყანას რევოლუციების ქარტეხილებმა გადაუარა. იქნებ ამიტომაც, ცალკე წიგნად აკაკი წერეთლის არც ერთი ნაწარმოები არ გამოქვეყნებულა. გარდა ერთი პოემისა. ეს იყო „**მოხუცის გრძნობა**“ ვ.ბეჟანეიშვილის გამოცემა, ქუთაისი, 1905 წ.

ამ პოემის შესახებ აკაკი ერთ-ერთ წერილში სწერს ტასო მაჩაბელს: „ჩემზე რა უნდა მოგწერო, ნახევარ კაცზე? ერთი გლახა პოემა დავწერე საქართველოს დღევანდელ მდგომარეობაზე და იმასაც ვერ დავწერდი, რომ ჩემი იდეალი არ დამხმარებოდა წარმოდგენით“ (წერეთელი 1963: 163)

აკაკი წერეთლის თხზულებათა თხუთმეტტომეულის V ტომის შენიშვნებში (გვ. 386) მითითებულია, რომ ამ პოემის „ავტოგრაფი არ შეგვხვედრია“. ამდენად, 1905 წლის გამოცემა მისი პირველი ნაბეჭდი წყაროა.

1905 წელს ცალკე წიგნებად გამოდის აკაკი წერეთლის შემდეგი ნაწარმოებები: 1. „**მამლის ყივილზე**“ (ზღაპარი) აკაკისა, თფილისი, ამხ. „შრომას“, სტ. 1906 წ., 16 გვ. ამ პოემის შექმნის შესახებ არსებობს აკაკის თანამედროვის გიორგი ზაბახიძის მოგონება: „ჩემთან აქვს დავწერილი „მამლის ყივილი“ (ეგ უნდა ყოფილიყო 1905 ან

1906 წ.) სხვიტორში დასწერა, თავის ოთახში, ჩემი იქ ყოფნისას. 1906-1907-ში. მე სულ მის ოთახში მეძინა. გულსუსტი კაცი იყო და არეულობა დაიწყო... ამ ლექსის წერას ბარე ოთხი დღე მოუნდა. შიგ ათას ცხრაას ხუთი წლის რევოლუციია გამოყვანილი. 1905 წლის რევოლუცია ახარებდა, მაგრამ ამბობდა: „არ უნდა ავჩქარდეთ და ძალიან წინდახედულად უნდა ვიბრძოლოთ“. „მამლის ყივილში“ თავის თავი ჰყავს გამოყვანილი აკაკის... ნაძალადევი ეთქვა ერთ ყმაწვილს მისთვის შეუფერებელი სიტყვა: „ჭკუას ნუ გვასწავლი მოხუცო“ და ეს ყმაწვილი გამოიყვანა „გადაპრეხილ“ ახალგაზრდად თავის ლექსში („წინ წამოდგა ახალგაზრდა, უღვაში გადაიპრისა“). ბევრი ლექსი გადამიწერია აკაკისათვის. ლექსებს იშვიათად გადაშლ-გადმოშლიდა“ (ზაბახიძე 1942: 1717) 2. „მესტვირული ლექსები ნესტორ ესებუაზე და კულა გლდანელზე“. თბ. სტ. „ნადეჟდა“, 1906 წ., 3. „ქართველთა გამნათლებელი მოციქულთა სწორი წმ. ნინო“ –აკაკისა 1906 წ., ტფ., „ჯვარი ვაზისას“ გამოცემა, სტ. „გუტენბერგი“. ეს ნაწარმოები საკმაოდ მნიშვნელოვანი ვარიანტული სხვაობით კვლავ დაიბეჭდა 1908 წელს მ. ლაღიძის მიერ. ამ გამოცემების შესახებ ქვემოთ საგანგებოდ ვიმსჯელებთ.



გაზეთ „ხუმარას“ გამოცემის ისტორია

ქართული კარიკატურებიანი ჟურნალის ისტორია მეოცე საუკუნის დასაწყისიდან იწყება. საქართველოში იუმორისა და სატირის განვითარებას კი უფრო მეტი ხნის ტრადიცია აქვს. ეს სატირა მიმართული იყო საზოგადოების მანკიერი მხარეების სამხილებლად, მის გამოსასწორებლად. საყოველთაოდ ცნობილია აკაკის იუმორი და სატირა, რაც ასე გამოიკვეთა მის შემოქმედებაში. პოეტი მას იარაღად იყენებდა მავნე ჩვეულებათა წინააღმდეგ, რომელიც ამახინჯებდა საზოგადოებას. იგი თავის მოსწრებული და გამანადგურებელი სატირით ამთარახებდა ერის მახინჯ თვისებებს, იმდროინდელი მთავრობისა და მისი მოხელეების აღვირახსნილობას, უსამართლობას. სწორედ ამ მიზნით აკაკიმ განიზრახა, უფრო თვალსაჩინო იარაღისათვის მოეკიდა ხელი და ასეთად იუმორისტული გაზეთი „ხუმარა“ აირჩია, რომლის გამოცემის ნებართვა მან ჯერ კიდევ 1905 წლის 17 მაისს ითხოვა (საისტორიო... 1953: 393-394).

1905 წლი 25 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიამ ნება დართო აკაკის, გამოეცა იუმორისტული გაზეთი „ხუმარა“. „თავ. აკაკი წერეთელს ნება დაერთო გამოსცეს ქართული ყოველკვირეული იუმორისტული გაზეთი „ხუმარა“. გაზეთი გამოვა მომდევნო წლის პირველი იანვრიდან“. – იუწყებოდა „ცნობის ფურცელი“ 1905 წლის 12 ოქტომბერს. თუმცა გაზეთის გამოცემის ოფიციალური ნებართვა აკაკის მხოლოდ 1906 წლის 29 ნოემბერს მიუღია.

საბოლოოდ, 1907 წლის 11 თებერვალს გამოვიდა გაზეთის პირველი და უკანასკნელი ნომერი, რომელსაც წამძღვარებული აქვს ასეთი წინასიტყვაობა: „ხუმარა“ ერთი რომელიმე პარტიის ორგანო არაა. ისაა კარლია გაზეთი. აზრთა შეფასება, აი, რაა ჭეშმარიტების გამოძკვესელი. დეე დაეჯახონ სხვადასხვა მიმართულების შეხედულებანი ერთმანეთს, ეს საჭიროა და კარგია. „მოყვარეს პირში უძრახე“, თუ ზნეობრივი სიბრძნეა, „მტერს რომ

პირში უძრახო“, ეს კიდევ მეტი ხარისხის ზნეობრივი სიბრძნე იქნება“.

ამ გაზეთში დაიბეჭდა კარიკატურა მაშინდელ გუბერნატორზე რაუშ ფონ ტრაუნბენბერგზე. იქვე გამოქვეყნდა აკაკის სატირული ლექსიც. ეს გახდა მიზეზი გაზეთის დახურვისა. გაზეთის მხატვარი იყო გიგო ზაზიაშვილი. გაზეთის მე-4 გვერდზე ხელმოუწერლად დაბეჭდილია აკაკის „ბენია და ბემტია“ და „ბემტია და ბენია“. ამის შესახებ აი, რას წერს ი. გრიშაშვილი: „აკაკიმ თავის „ხუმარაში“ პირველად გააცოცხლა ორი ქართველი ხუმარა – ბენია და ბემტია. მსგავსად „კვალში“ დახატული ივანიკასა და გოჯასპირისა. აკაკიმ ბენიას და ბემტიას მონოლოგებში გადაიტანა მაშინდელი ყოველ-დღიური მტკივნეული საკითხები... ბენია და ბემტია აცხადებენ, რომ ჩვენ ხალხის ხინჯსა და ნაკლზე ვილაპარაკებთ, არავის მოვერიდებით და ყველა უღირს ადამიანს უღვაშს ავუწევთ“ (გრიშაშვილი 1964: 347)

12 თებერვალს გაზეთი დახურეს და მისი რედაქტორი დააპატიმრეს. თუმცა ამან ისეთი ამბოხი გამოიწვია პატიმართა შორის, რომ მთავრობა იძულებული გახდა, ერთ საათშივე გაეცა პოეტის გათავისუფლების ბრძანება. იგი მაშინვე, გაათავისუფლეს. ქალაქი დაბინდებისას მივიდა ციხეში. აკაკიმ არ მოისურვა ღამით გამოსვლა ციხიდან და მხოლოდ დღით ზარ-ზეიმით გამოვიდა იქიდან. ეს საკმაოდ ცნობილი ისტორიაა და ჩვენ მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ გაზეთმა ხალხში გააღვიძა ინტერესი და მოთხოვნილება იუმორისტული ჟურნალისადმი. შემდგომ ეს წამოწყება უფრო გავრცელდა და გაჩნდნენ ახალი იუმორისტული მწერლები, გაჩნდა ახალი გაზეთები: „მასხარა“, „ეკალი“, „ტარტაროზი“, „ჯოჯოხეთი“, „ოხუნჯი“, „ბზიკი“, „ჭინკა“, „მთრახი“, „ნიანგი“ და მრავალი სხვა.

„ხუმარას“ გამოცემისა და დახურვის ისტორიას ი. გრიშაშვილმა მიუძღვნა საგანგებო წერილი სათაურით: „პირველი იუმორისტული ჟურნალი „ხუმარა“ (გრიშაშვილი 1964: 345) საინტერესოა ერთი დეტალი: ი. გრიშაშვილი მითითებულ წერილში აღნიშნავს, რომ აკაკი დააპა-

ტიმრეს 1907 წლის 16 თებერვალს. ი. გორგაძისა და ნ. გურგენიძის წიგნში „აკაკი წერეთლი ცხოვრებისა და შემოქმედების მატინე“ (გურგენიძე 1989: 415). აკაკის დაპატიმრების თარიღად 1907 წლის 12 თებერვალია მითითებული.

ჩვენი შრომა დაწერილი იყო, როდესაც გამოქვეყნდა მანანა კვატაიას წერილი „აკაკის ერთი უცნობი სტატიის გამო“. მკვლევარი განიხილავს „ხუმარას“ გამოცემისა და დახურვის ისტორიას და საუბრობს აკაკის უცნობ წერილზე (კვატაია 1999: 368).

**§ 2 1908 წელი – აკაკი წერეთლის შემოქმედებითი
მოღვაწეობის 50 წლის იუბილე და ნაწერების
ცალკეული გამოცემანი**

ქართველებს უკიდურესობა გვჩვენია ყველაფერში. ყურადღებაც და უყურადღებობაც უსაშველო ვიციტ. ერთს რომ აღვაზევებთ და ცამდე ავიყვანთ, მეორეს ჯვარს ვაცვამთ. ახლაც ასე მოხდა, ერთი წლის წინ ერმა მოღალატის ხელით შუბლგახვრეტილი ილია დაიტირა. მთაწმინდის მიწას მიაბარა ერის მამა, რომელმაც სიცოცხლეშივე შეუნდო უძლებ შვილთ და სთხოვა უფალს:

„რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი
მკრან,
გთხოვდე, „შეუნდე-არ იციან, ღმერთო, რას იქმან“.

საქართველოს მესიად მოვლენილმა ილიამ თავისი სიკვდილით თვალი აუხილა თანამოძმეთ, რომელთაც მხოლოდ ამის შემდეგ გაიაზრეს საკუთარი შეცოდება. შეიგნეს თავისი დანაშაული და აკაკის იუბილეთი მოინანიეს ცოდვები. იქ, იმ ზეიმზე აკაკის მიმართ გამოავლინეს ქართველებმა ის სიყვარული და პატივისცემა, რომელიც თავის დროზე ილიას ვერ მიაგეს.

აკაკი წერეთელი ამგვარ სიყვარულსა და თავყვანისცემას სწორედაც რომ იმსახურებდა. მაგრამ, როგორც თანამედროვენი გადმოსცემენ, აკაკის იუბილეს ახლდა რაღაც უჩვეულო აღტყინება. იგი თითქოს მონანიებისა და შენდობის, ერის სულიერი აღდგომის ზეიმად გადაიქცა. ამიტომაც ვერ ჩაეტია დროისა და სივრცის განსაზღვრულ ფარგლებში. ან კი ვინ დაუდებდა ზღვარს იმ საერთო აღტაცებას, ერს რომ გადაუარა. ჯერ მთელი საქართველო დაიპყრო, მერე კი რუსეთი, ახერბაიჯანი, იტალია, საფრანგეთი და თურქეთი შემოიარა.

აი, როგორ აღწერს ამ საზეიმო განწყობას თავად აკაკი: „დაიწყო ჩემი იუბილე! 7 დეკემბერს გაიმართა თბილისში, 14 დეკემბერს, ქუთაისში, ამას მოჰყვება სხვა ქალაქებიც. მე ტყვე ვარ. ღმერთმა ქნას, რომ გაავუძლო!

ხდება რაღაც არაჩვეულებრივი, რისი აღწერაც არ შემიძლია“ (ჯღენტი 1966: 143-144).

აკაკი წერეთლის საიუბილეო კომიტეტმა, რომელიც იმ დროისათვის შეიქმნა, განიხილა სამოქმედო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა აკაკის თხზულებათა გამოცემას.


აკაკის საიუბილეო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება: რადგან 30 ნოემბერს უნდა შემდგარიყო ახალი ქართული თეატრის გახსნა და კურთხევა, პოეტის იუბილე გადაეტანა 7 დეკემბრისათვის.

ეს დღე – 7 დეკემბერი – მართლაც ეროვნულ დღესასწაულად გადაიქცა. ხალხი დიდიდანვე გამოვიდა ქუჩებში, საზეიმო მსვლელობა დაიწყო, აკაკი ლანდოში ზის. მას პარაკლისს უხდიან სიონის ტაძარში. აკაკის გამოჩენას ყველგან „ვაშას“ შეძახილით ხვდებიან: „რადაც გამგმირავი და ღვთიური განცდის მომგვრელი იყო ეს ვაშა“. ტფილისის ქუჩებს სიონიდან სახაზინო თეატრამდე სადღესასწაულო ელფერი ეღო. სუყველგან „ვაშათი“ და ქუდმოხდილი უხვდებოდნენ საქართველოს უგვირგვინო მეფეს“ („ალი“ 1908: 1-2). 12 საათზე სახაზინო თეატრში გაგრძელდა ზეიმი. მომღერალთა გუნდმა შეასრულა ამ დღისთვის საგანგებოდ დაწერილი ზ.ფალიაშვილის „მრავალჟამიერი“. შესავალი სიტყვა წარმოთქვა იაკობ გოგებაშვილმა. მისალოცად ჩამოვიდა მთიდან ვაჟა ფშაველა, რომელმაც ექსპრომტად დაწერილი ლექსი უძღვნა პოეტს. დაიწყო მილოცვები. სავანელმა გლეხებმა პოეტს საჩუქრად მიართვეს ის აკვანი, რომელშიც გაიზარდა ყრმა აკაკი. მილოცვებს ბოლო არ უჩანდა. აკაკიმ სამადლობელო სიტყვა წარმოთქვა: „ მე ჩემი თავი ყოველთვის მიმანინდა და მიმანინა პატარა დღიურ მუშათ, ძალიან მცირედ, ასე, რომ თუ ჩემ შრომას ვინმე ყურადღებას მიაქცევდა, არ მეგონა, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ შემცდარი ვყოფილვარ და დღეს ჩემი შრომა ერთი-ათასად ფასდება და რას უნდა მივაწეროთ ეს? იმას, რომ ხალხში აღძრულია ეროვნული გრძნობა, რომ მას ყავდეს ნამდვილი მოღვაწე და გმირი“ (წერეთელი 1961ბ: 340).

„აკაკის იუბილე დიდ ეროვნულ დღესასწაულად გადაიქცა. ეს დღესასწაული, როგორც ერთგვარი საშუალება

ხალხის მიერ თავისი გრძნობებისა და სოციალურ-ეროვნული იდეალების გამოქვეყნებისა, განმეორებულ იქნა საქართველოს მთელ რიგ ქალაქებში და აგრეთვე საქართველოს გარეთაც“, – წერდა ლევან ასათიანი (ასათიანი 1953: 446).

2000 წელს გამოვიდა გურამ შარაძის შესანიშნავი ნაშრომი: წიგნი-ალბომი „აკაკის იუბილეები“. წიგნში დაწვრილებითაა წარმოდგენილი უხვი ფოტო და დოკუმენტური მასალა იუბილეების შესახებ.



1908 წლის – საიუბილეო კომიტეტის გამოცემები

1908 წელს საიუბილეო კომიტეტმა აკაკის ლექსთა კრებულები და რამდენიმე ცალკე ნაწარმოები გამოსცა. სახელდობრ: აკაკის **რჩეული ლექსები** (ს. მგალობლიშვილის მიერ შედგენილი პოეტის მოკლე ბიოგრაფიით). გამოცემა საიუბილეო კომიტეტისა, თბ.1908 წ.

გამოცემა შეიცავს 34 ლექსს. პ. ინგოროყვა წერს: „ლექსების ტექსტი, როგორც ირკვევა, არ არის გადახედული თვით პოეტის მიერ და გადმოუტყდილია აღრინდელი პუბლიკაციებიდან. (ამით აიხსნება, რომ შერჩენილია ზოგიერთი, ცენზურის მიერ დაზიანებული ადგილები. შემდეგ აღდგენილი პოეტის მიერ“ (ინგოროყვა 1941: 624)

აკაკის რჩეული ლექსები (ს. მერკვილაძის მიერ შედგენილი პოეტის მოკლე ბიოგრაფიით. ტფილისის წვრილვაჭართა საზოგადოების გამოცემა. ხალხში უფასოდ დასარიგებლად). თბილისი. 1908წ. გამოცემა შეიცავს 17 ლექსს, ნაწილობრივ ნაწყვეტების სახით. ტექსტის შესამოწმებლად ეს გამოცემა ახალს არას იძლევა. იგი იმეორებს წინა გამოცემების ტექსტებს“ (ინგოროყვა 1941: 624).

1908 წელს საიუბილეო კომიტეტმა გამოსცა პოემა **„ნაცარქექია“**, ეს იყო ამ პოემის მეორე პუბლიკაცია. პირველად იგი დაიბეჭდა „აკაკის კრებულში“ 1897 წლის №1. როგორც ჩანს, ეს პოემაც უცვლელად გადაიბეჭდა, რადგან ამ ორ წყაროს შორისაც არ შეინიშნება ვარიანტული სხვაობანი.

ასევე უცვლელად გადმოუბეჭდავთ **„ქუთათელის სიზმარი“** (ისტორიული ოცნება) –აკაკისა... გამოცემა აკაკის საიუბილეო კომიტეტისა 1908 წ.

ამ ნაწარმოების ბიბლიოგრაფია ასე წარმოგვიდგება: ნაბეჭდი: „კვალი“ 1894, № 39, 40 (B); „აკაკის კრებული“ 1897 წ. № 2 (A); „ორი მოთხრობა“ 1903 წ. (ჩ); „ქუთათელის სიზმარი“ 1908 წ. (D); წარმოდგენილ წყაროებს შორის არის ვარიანტული ნაირწაკითხვები. აკაკი წერეთლის თხზულებათა თხზომეტრომეულის VII ტომის შემდგენ-

ლებს ძირითად წყაროდ „აკაკის კრებულისეული“ ტექსტი მიუჩნევიათ. მართალია, 1908 წლის საიუბილეო გამოცემა ამ ნაწარმოების ბოლო პუბლიკაციაა, მაგრამ დადგენილი არაა ავტორის მონაწილეობა მის გამოცემაში. იგი თითქმის ზუსტად იმეორებს ჟურნალ „კვალის“ 1894 წლის (B) ვარიანტს.

ამრიგად, დასკვნა ერთია, აკაკის საიუბილეო კომიტეტმა განახორციელა პოეტის ნაწერების გამოცემა, მაგრამ ტექსტის დადგენის თვალსაზრისით ამ გამოცემებს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ისინი არაა გადახედული ავტორის მიერ და წინა პუბლიკაციებიდანაა გადმობეჭდილი.

„გოგია მეჩონგურე“ – ლეგენდა აკაკისა, მ. დ. კიკნაძის სტ. თბ., 1908 წ. კუპიურებითაა წარმოდგენილი. როგორც პინგოროყვა მიუთითებს, მასში „მთლად გამოტოვებულია გოგიას სიმღერა და აგრეთვე დედის სიმღერიდან ამოღებულია ცალკეული სტროფები.

ერთობ საინტერესო გამოცემა განახორციელა ჟურნ. „საქართველოს“ რედაქციამ. 1908 წლის ნოემბრის პირველ ნახევარში გამოსცა და ხელისმომწერებს დაურთო აკაკის პოემა „საქართველოს დღევანდელი სახე“. ეს არის ამ ნაწარმოების პირველი სრული პუბლიკაცია, თუმცა ლექსი სათაურით „ვის იგლოვ იერემია“ ჩართული იყო გაზ. „ივერიის“ 1902 წლის № 235-ში დაბეჭდილ წერილში „ცხელ-ცხელი სიმართლე“. ეს პოემა პოეტის სიცოცხლეში კიდევ ერთხელ გამოქვეყნდა 1913 „ჩემი ნაწერების“ II წიგნში (გვ. 3).

როგორც აღვნიშნეთ, საიუბილეო წელს აკაკი წერეთლის რამდენიმე ნაწარმოები და ლექსთა კრებული გამოიცა ცალკე წიგნად. ქართული (და არა მხოლოდ ქართული) ჟურნალ-გაზეთები სავსე იყო პოეტის მხატვრული თუ პუბლიცისტური ნაწერებით.

პოეტმა 1908 წლის 22 მაისს ამგვარი შინაარსის წერილი გაუგზავნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას: „თანახმა ვარ გადავცე საზოგადოებას ჩემი პოემა „თორნიკე ერისთავი“

იმ პირობით, რა პირობითაც აქვს გადაცემული ჩემგან ნათარგმნი კრილოვის იგაფ-არაკები აკაკი წერეთელი. (ცენტრალური... 11929(158)/220/2087/37).

აღნიშნული პოემა 1908 წელს კიდევ გამოსცა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებამ. ეს არის პოემის სიცოცხლეში განხორციელებული ბოლო გამოცემა პოემისა. საგულისხმოა, რომ იგი ჩაუსწორებია და ვარიანტულად შეცვლილი სახით გადაუცია ავტორს გამომცემლისათვის. ამიტომაც აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის IV ტომის შემდგენელი პროფ. ლევან ჭრელაშვილი ამ გამოცემას მიიხნევს პოემის ძირითად ნაბეჭდ წყაროდ, განსხვავებით თხუთმეტომეულის V ტომის შემდგენლისაგან, რომელმაც ძირითად ტექსტად საცენზურო კომიტეტში წარდგენილი ხელნაწერი აიღო. რაც სწორი არაა, მით უფრო მაშინ, როცა არსებობს პოემის ბოლო ნაბეჭდი, ავტორიზებული წყარო.

როგორც აღვნიშნეთ, 1906 წელს ცალკე წიგნად დაიბეჭდა „ქართველთა გამანათლებელი მოციქულთა სწორი წმინდა ნინო“ პოემა აკაკისა, „ჯვარი ვაზისას“ გამოცემა. იგივე პოემა შეცვლილი სათაურითა და აშკარა ვარიანტული სხვაობებით გამოსცა აკაკის შემოქმედების დიდმა თაყვანისმცელმა მიტროფანე ლალიძემ **1908 წელს. „წმინდა ნინო ანუ ქრისტიანობის შემოდება საქართველოში“** - წიგნს ახლავს ასეთი წარწერა: „საიუბილეო გამოცემა“. მთელი ამ გამოცემის ღირებულებას ნიშნად ღრმა პატივისცემისა ვუძღვნი დიდებულ იუბილარს აკაკის 50 წლის მოღვაწეობის სახსოვრად. მიტროფანე ლალიძე“. ამ გამოცემის შესახებ აკაკი კმაყოფილებით სწერს ვალერიან გუნიას: „მიტროფანე ლალიძემ განიზრახა, რომ ჩემი უკანასკნელი ისტორიული პოემა „საქართველოს გაქრისტიანება ანუ წმინდა ნინო“ დაბეჭდოს თავის ხარჯით ხუთი ათასი ეგზემპლარი და მომიძღვნას მე ნიშნად თანაგრძობისა, როგორც იუბილარს“ (წერეთელი 1963: 291)

ამ ტექსტების შედარებამ ასეთი არსებითი ვარიანტული განსხვავება აჩვენა:

1906 წ. იყო:

1908 წ. არის:

„დამტკიცება ქრისტეს მცნების“.
(გვ.9)

„გამტკიცება ქრისტეს მცნების“.
(გვ.9)

„ბევრმა იმ დროს საიდუმლოდ“.
(გვ.9)

„ზოგმა იმ დროს საიდუმლოდ“.
(გვ.9)

„რომ წავიდა სხვა ქვეყნად“.
(გვ.10)

„წაცავიდა სხვა ქვეყნად“ (გვ.10)

„თმა მოიჭრა აქვე შეჰკრა.
გადიწერა მან პირჯვარი“ (გვ.12)

„თმა მოიჭრა იქვე შეჰკრა
გადიწერა რა პირჯვარი“ (გვ.12)

„ჯვართი ხელში, რწმენით
გულში“ (გვ.12)

„და ჯვართი ხელში, რწმენით
გულში“ (გვ.12)

„წამოვიდა არ დარიდა
თავი უცხომ გასაჭირსა“ (გვ.12)

„წამოვიდა არ დარიდა
თავი უცხო გასაჭირსა“ (გვ.12)

„ცოტა ხნობით შინ ურბნისში“
(გვ.12)

„ცოტა ხნობით ქალაქ
ურბნისს“ (გვ.12)

როგორც ვხედავთ, წარმოდგენილი ვარიანტული სხვაობა სხვადასხვა ხასიათისაა. იგი ზოგ შემთხვევაში თუ შინაარსობლივია, ზოგჯერ სტილისტურ სწორებას ითვალისწინებს. ასეა, თუ ისე ეს ცვლილებანი ტექსტის დახვეწასა და მის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. საგულისხმოა, რომ ეს პოემა არ შესულა აკაკი წერეთლის თხზულებათა თხუთმეტომეულის გამოცემაში. იგი დაიბეჭდა აკაკი წერეთლის თხზულებათა შვიდტომეულში. თბ., 1940 წ. ტ. III. შენიშვნებში (გვ.700) ტომის შემდგენელი წერს: „წმინდა ნინო“ მეორედ დაიბეჭდა 1908 წელს ქუთაისში. ივ. კილაძის სტ. აქ გამოტოვებულია, ალბათ, ცენზორის მიერ ერთი კუპლეტი:

**„ეროვნული ლიტანიით
მიდის ყველა ზადენ-გორას
იქ დადგამენ სისულელის
და ოცნების ხორა-ხორას!“**

საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში აკაკის ავტოგრაფებს შორის არსებობს „წმინდა ნინოს“ ავტოგრაფი, რომელიც პოემის შავს წარმოადგენს (იხ. H 1480).*

ფიქრობთ, აღნიშნული ხელნაწერი (H 1480), შეიძლება 1906 წლის გამოცემისა იყოს. ხოლო 1908 წლის გამოცემისათვის შესაძლოა, ავტორმა ამ პოემის ნაბეჭდი ცალი გამოიყენა. ყოველ შემთხვევაში არსებული ცვლილებანი რომ ავტორისეულია, აქ სხვა აზრის არსებობა გამორიცხებულია. ამრიგად, 1908 წლის გამოცემა ავტორისეულია და იგი პოემის ბოლო ნაბეჭდი წყაროა. რაც იძლევა საფუძველს, რომ ძირითად ტექსტად დაიბეჭდოს აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალ აკადემიურ გამოცემაში.

აკაკის იუბილეს ექო 1909 წელსაც გადაეცა. ამ წელს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში გამოქვეყნდა პოეტის მიერ საიუბილეო დღეებში წარმოთქმული სიტყვები, იუბილარისადმი მიძღვნილი წერილები, მისალმებანი და ლექსები.

თავად აკაკი ასეთ წერილს უგზავნის ცოლ-შვილს ნიცაში: „ახლახან დავბრუნდი ბაქოდან, სადაც ჩემი იუბილე გადაიხადეს“ შემდგომი (საიუბილეო) გამგზავრება მასრებში უკვე გადავდე. უნდა გითხრათ, რომ ეს არ არის უბრალო იუბილე, რომელიც ერთ დღეს თავდება, ეს არის ხანგრძლივი სახალხო დღესასწაული. მოსკოვიდან და პეტერბურგიდან 500-ზე მეტი ღეპემა მივიღე“ (ქლენტი 1966: 145).

* სხვათა შორის ავტოგრაფის არსებობას მიუთითებს აკაკი წერეთლის „რჩეული ნაწერების“ მეორე ტომის შემდგენელიც ს. გორგაძე. „წმინდა ნინოს“ (იხტ. პოემა. ცალკე გამოცემა, „ჯვარი ვაზის“ რედაქციისა, ტფილისი, 1906 წ.) ამ პოემის ავტოგრაფიც მოიპოვება“ (წერეთელი 1926: 345). თუმცა 1908 წლის გამოცემა ამ ბიბლიოგრაფიაში დასახელებული არ არის. იგი არც აკაკის თხზულებათა თხუთმეტტომეულშია შეტანილი.

§ 3 1909-1911 წლებში გამოცემული აკაკის ნაწერების შესახებ

იანვრის შუა რიცხვებში „აკაკის იუბილეს მთავარმა კომიტეტმა“ დაამთავრა მუშაობა და თავი გამოაცხადა გაუქმებულად. ყველა საბუთი და საქმე გადასცა ქ.მ.წ.კ. საზოგადოების გამგეობას. იმავე წელს აკაკიმ თხოვნით მიმართა ამ გამგეობას, რათა შეეძინათ მისგან იუბილეს დროს მიძღვნილი ნივთები. ავადმყოფ მგოსანს სამკურნალოდ საზღვარგარეთ გამგზავრებისათვის ესაჭიროებოდა ფული. სამწუხაროდ, უსახსრობის გამო გამგეობამ ვერც ნივთები შეიძინა და ვერც ფინანსური დახმარება აღმოუჩინა პოეტს.

1909 წელს აკაკი გაემგზავრა საფრანგეთში. გზად მან ტრაპიზონში შეიარა, სადაც მოინახულა საქართველოს უკანასკნელი მეფის სოლომონ მეორის საფლავი. მიიღო მილოცვები იქ მყოფი ქართველებისაგან. ამ წელს დაწერა მან რამდენიმე ნაწარმოები, რის შესახებაც აცნობებს სერგო ბახტაძეს: „გინდ ოთხ-ხუთ წელიწადსაც ვერ დავწერდი იმდენს, რაც აქ ამ ერთ თვეში დავწერე. 1) პოემა „გორონცოვი“, 2) სტატიები: „ჩვენ და სომხები“, „როგორ დაარსდნენ ჩვენში ბანკები და უკანასკნელი კრებანი“, „ტრაპიზონი“ და ერთიც მოთხრობა „ნამდვილი ამბავი ახალ მოძრაობიდან“ (ცხოვრება 1917: 7)

აღნიშნული წერილი მრავალმხრივ საინტერესოა. უპირველეს ყოვლისა, იგი არაა შეტანილი აკაკი წერეთლის თხზულებათა ეპისტოლარული მემკვიდრეობის ტომში და ამ მხრივ ახალი აკადემიური გამოცემის სიახლეს წარმოადგენს. გარდა ამისა, იგი საშუალებას გვაძლევს, დავაზუსტოთ ზემოთ ჩამოთვლილი ნაწერების შექმნის თარიღები, რაც უმეტეს შემთხვევაში, არასწორადაა მითითებული აკაკის თხზულებათა თხუთმეტტომეულის შესაბამის ტომებში. სახელდობრ, მოთხრობა ასეთი სათაურით: „ნამდვილი ამბავი“ აკაკის პირველად გამოუქვეყნებია 1912 წელს „ჩემი ნაწერების“, I წიგნში (გვ. 26) „ახალი ნაწერების“ განყოფილებაში რუბრიკით „წერილები“. პოეტის

თხზულებათა თხუთმეტომეულში იგივე ნაწარმოები შეტანილია მოთხრობების VIII ტომში (229-236) და სავსებით სამართლიანად, რადგან ის არის მოთხრობა, რასაც თავადვე აღნიშნავს ავტორი სერგო ბახტაძისადმი მიწერილ წერილში. სხვათა შორის, დასახელებულ VIII ტომში დაბეჭდილია ორი „ნამდვილი ამბავი“ (I და II) ერთნაირი სათაურით. აკაკის ზემოთმოთხმობილ წერილში დასახელებული მოთხრობის ვრცელი სათაური „ნამდვილი ამბავი ახალ მოძრაობიდან“ საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ეს არის თხუთმეტომეულის VIII ტომში დაბეჭდილი „ნამდვილი ამბავი“ II – მას გააჩნია ავტოგრაფი H-1483, **(B)** და როგორც მიეუთითეთ, ნაბეჭდი წყაროც „ჩემი ნაწერები“ I (1912, გვ. 26) (A). ტომის შემდგენლებს მოთხრობა სწორედ ამ წყაროს მიხედვით დაუთარიდებიან, ე.ი. 1912 წლით. (იხ. შენიშვნები. გვ. 369-370). სინამდვილეში კი როგორც აკაკის პირადი წერილიდან ირკვევა, აღნიშნული მოთხრობა მას პარიზში ყოფნის დროს, კერძოდ, 1909 წლის აგვისტო – ნოემბერში დაუწერია. იგივე ითქმის აკაკის პირად წერილში დასახელებული სტატიების შესახებაც. კერძოდ: **„როგორ დაარსდნენ ჩვენში ბანკები და უკანასკნელი კრებანი“** მწერალს ასეთი სათაურით **„როგორ დაარსდა ჩვენში საადგილმამულო ბანკი“** – დაუბეჭდავს 1912 წ. „ჩემი ნაწერების“ I ტომში. (გვ. 37), „ახალი ნაწერების“ განყოფილებაში, რუბრიკით „წერილები“. ეს სტატია შეტანილია აკაკი წერეთლის თხზულებათა თხუთმეტომეულის XIV ტომში, (გვ. 504). შენიშვნებში მითითებულია, რომ არსებობს ერთი ნაბეჭდი წყარო („ჩემი ნაწერები“ I, 1912). ბუნებრივია, სტატიის დაწერის თარიღიც ამ წყაროს მიხედვით განისაზღვრა – 1912 წელი სინამდვილეში, აკაკის ზემოთხსენებული წერილი, სერგი ბახტაძისადმი, საშუალებას გვაძლევს დავახსენოთ, რომ აკაკის აღნიშნული სტატია დაუწერია 1909 წელს.

წერილი **„ტრაპიზონი“** (მგზავრის შენიშვნები) – ასეთი სათაურით გამოუქვეყნებია აკაკის „განათლების“ 1910 წლის ენკენისთვის № 7 ფურცლებზე ხელმოუწერლად. შეტანილია აკაკის თხზულებათა თხუთმეტომეულის,

XIV ტომში (გვ. 363) (შენიშვნები გვ. 634). ცნობილია, რომ პარიზში მიმავალმა მგოსანმა გზად ტრაპიზონში შეიარა, სადაც ინახულა სოლომონ იმერთა მეფის საფლავი, რომელსაც ასეთი წარწერა ახლავს ქართულად: „განმეშორა მე პირველქმნილი სიკეთე, მშვენიერება და მღებარე ვარ მიშველი დაგდებული საფლავს ამას შინა. ტომისაგან დავითისა, სრულიად იმერთა მეფე სოლომონ, რომლისთვისაცა ვითხოვ ყოველთა მიერ შენდობასა. თებერვლისა 8-სა, ქ. აქეთ, ჩყიე“. აკაკის ზემოთდასახელებული წერილი „ტრაპიზონი“ სწორედ ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებებს ეხება. პოეტი ვარაუდობს, რომ შესაძლოა, საფლავის ქვის წარწერა ეკუთვნოდეს სოლომონის მოძღვარს წმინდა მამა ყანჩაველს, რომელიც ათონის მონასტერში შედგა ბერად. მაშასადამე, დგინდება, რომ ეს წერილიც 1909 წელს დაუწერია აკაკის და მოგვიანებით, 1910 წელს, გამოუქვეყნებია.

1909 წელსვე, ზაფხულში, დაასრულა აკაკიმ თავისი პოემა „ვორონცოვი“, რომლის შესახებ სწერდა იაკობ გოგებაშვილს: „გუშინ გავათავე პოემა „ვარანცოვი“ და შევატყვე თავს, რომ ძალიან შორს ჩავგორებულვარ თავდაღმართში“ (წერეთელი 1963: 122). ეს პოემა აკაკიმ პირველად 1910 წლის 2 ივნისს ქართულ საზაფხულო თეატრში წაუკითხა საზოგადოებას, რომელმაც დიდი აღტაცებით მოისმინა იგი“ პოეტმა შემდეგ რამდენჯერმე განიზრახა მისი გამოქვეყნება, საბოლოოდ კი იგი „ჩემი ნაწერების“ 1913წ. II წიგნში მოათავსა, მაგრამ როგორც ცნობილია, ცენზურამ სწორედ ამ პოემის გამო კარგა ხანს დააკავა წიგნი და მანამ არ მისცა გამოცემის ნება, სანამ არ ამოიღეს იქიდან პოემა „ვორონცოვი“. (პოემა „ვორონცოვის“ გამოცემის შესახებ საგანგებოდ ქვემოთ ვისაუბრებთ).

1910 წელს აკაკი უკვე საქართველოში იყო. მას განუზრახავს საზღვარგარეთ მოგზაურობის შთაბეჭდილებების დაწერა და გამოქვეყნება „მგზავრის წერილების“ – სათაურით. ამ ცნობას გაზეთი „დროება“ (1910წ. № 22) ატყობინებდა თავის მკითხველს. როგორც ჩანს, აკაკი პარიზში დაწერილი ყველა ზემოთხამოთვლილი თხზულების ერთად გამოქვეყნებას ფიქრობდა, მაგრამ ეს

სურვილი ვერ განახორციელდა. და ის ნაწერები ცალ-ცალკე, სხვადასხვა დროს დაბეჭდა. მათ შორის ერთ მათგანს, „ტრაპიზონს“, მეორე სათაურად მისცა **„მგზავრის შენიშვნები“**. სამწუხაროდ, ჩვენთვის ჯერჯერობით არაა ცნობილი, რა სათაურით და რომელ პერიოდულ ორგანოში მოათავსა აკაკიმ წერილი **„ჩვენ და სომხები“**. ასეთი წერილი ვერც პოეტის თხზულებათა თხუთმეტტომეულის პუბლიცისტიკის ტომებში ვნახეთ. შესაძლოა, კონიუნქტურის გამო იგი დაუბეჭდავი დარჩა. არა და, ცნობა ასეთი წერილის არსებობის შესახებ (და თანაც აკაკის ცნობა) მოსვენებას არ გვაძლევს. რატომ უნდა დაეკარგოს შთამომავლობას თავისი გენიოსის ერთი ფრაზაც კი, არა თუ მთელი წერილი და ისიც ასე საჭირობოროტო საკითხზე. ვიმედოვნებთ, მომავალი კვლევა მასაც გამოავლენს. მკვლევარმა ელისაბედ ზარდიაშვილმა 2005 წელს გამოაქვეყნა წიგნი – „აკაკის უცნობი ნაწერები“ – ხელნაწერთა ინსტიტუტში, აკაკი წერეთლის ფონდში დაცულ აკაკის ერთ-ერთ გამოუქვეყნებელი პუბლიცისტური წერილის ავტოგრაფს (№281) მკვლევარი ათარიღებს 1911-1915 წლებით და მიიჩნევს, რომ „იგი განეკუთვნება პოეტის შემოქმედების ძალიან საინტერესო თემატურ ჯგუფს: ეს არის წერილების ციკლი სომეხ-ქართველთა ურთიერთობაზე“ (ზარდიაშვილი 2005: 92) შესაძლოა, ეს ხელნაწერი სწორედ იმ წერილთაგანია, რომელიც აკაკის პარიზში დაუწერია 1909 წელს და რომლის შესახებაც სწერდა სერგო ბახტაძეს. შინაარსის გამო მათი გამოქვეყნება არა, თუ მაშინ, დღემდე ვერ მოხერხდა, არადა, აკაკი სწორედ შოვინიზმისა და ერების გაუტანლობაზე საუბრობს და პრინციპულად ამბობს; „ათასჯერაც რომ სომხიყლაპია დამიძახონ, მე მაინც მივუთითებ იმ უსამართლობისაკენ, რომელიც მავნებლად მიმაჩნია და არა იმიტომ, რომ მე სომხები მძულს და მათი „ყლაპია“ ვარ, არა! იმიტომ რომ მე ისინი მიყვარს და მსურს, რომ ჩვენ შორის ისეთივე განწყობილება იყოს, როგორიც ჩვენ წინაპრებს ჰქონდათ. მინდა, რომ მათთანაც ძმურად ხელიხელჩაკიდებული ერთი სწორი გზით მივიღოდეთ მომავლისაკენ, თორემ ცბიერება და

ერთმანეთის გადაკიდება შორს ვერც ერთს ვერ წაგვიყვანს. ჩვენ ქართველები ამოვფარდებით და ამით არც იმათ, სომხებს შეემატებათ რა! ... ორივეს ის მოგვივა, რასაც „ქილილა და დამანა“ თავის ზღაპარში გვეუბნება: „ორი შევარდენი ერთ მტრედზე ჩხუბობდნენ და მტრედი ორივეს ქორმა გამოსტაცა“

როგორი საგულისხმო და სადღეისო წერილია, რომლის მორალის გათვალისწინება დღესაც არ აწყენთ ქართველებსა და მის მეზობელ ერებს!

1911 წელიც ნაყოფიერი იყო მწერლის შემოქმედებისათვის. იგი უხვად აქვეყნებდა როგორც მხატვრულ, ასევე პუბლიცისტურ ნაწერებსაც. ამ წელს აკაკიმ თანამშრომლობა აღუთქვა გაზ. „თემის“ რედაქციას (რედაქტორი გრიგოლ დიასამიძე, ცნობილი მოღვაწის ნიკო დიასამიძის შვილი), რომელიც გახარებული აღნიშნავდა ამ ფაქტს და მკითხველს ატყობინებდა: „ამ ნომრიდან დავიწყეთ დასტამბვა ჩვენი დიდებული მგოსნის აკაკის ნაწერებისა. აკაკის იმდენი დამსახურება მიუძღვის ჩვენი ერის წინაშე, რომ ერთხელვე და სამუდამოდ ვაცხადებთ: **აკაკის ნაწერები ისტამბება სრულებით და შეუცვლელად. თუნდ რომ რედაქცია მისგან გამოთქმულ აზრს არ ეთანხმებოდეს. ჩვენმა აკაკიმ მოიპოვა ეს უფლება თავისი ერთგული სამსახურით** ჩვენ მხოლოდ მადლობას ვუძღვნით საყვარელ მგოსანს, რომ მოისურვა ჩვენი გაზეთის ფურცლები დაემშვენებინა თავისი უკვდავი ნაწერებით“ („თემი“ 1916: 6).

საგულისხმო ცნობაა და აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის შემდგენლებს ერთობ დაეხმარება ნაწარმოების ძირითადი წყაროს დადგენისას.

სურათი „ოცნება“

1911 წლის ივლისის თვეში აკაკიმ კახეთში იმოგზაურა. 20 ივლისს დაესწრო ილიას სალამოს ყვარელში, სოფელ ქისტაურში მოინახულა რაფიელ ერისთავის საფლავი. შეხვდა ბევრ საზოგადო მოღვაწეს. იყო წინანდალში, ვაჩნაძიანში, დაათვალიერა კახეთის ისტორიული ძეგლები და ნანახით ერთობ გულნატკეპნი დაბრუნდა თბილისში. სწორედ ამ მოგზაურობის შემდეგ დაუწერია აკაკის საკმაოდ ვრცელი ლექსი „ოცნება“ (კახეთი შემოვიარე, აღაზნის პირი სრულადო) ეს ლექსი იმავე წელს ცალკე წიგნად გამოუცია რაჟდენ დათეშიძეს ქუთაისში, (დაბეჭდილია ი.კილაძის სტამბაში). ახლავს აკაკის სურათი და მოიცავს 13 გვერდს. ლექსი შედგება 33 სტროფისაგან. აღნიშნული წიგნი აკაკის 1912 წლის 25 აპრილს უწუქებია თავისი მეგობრის ივანე ელიაშვილისათვის წარწერით: „ჩემს საყვარელ თანამოკალმეს და მეგობარს, ვანო ელიაშვილს, სახსოვრად, აკაკი, 25.IV-12“


ჯუმბერ ქორჩილაგას ცნობით: „ეს ეგზემპლარი იმითაცაა ჩვენთვის მნიშვნელოვანი, რომ მის მეექვსე გვერდზე ერთ-ერთ სტროფში სტამბაში გაპარული შეცდომა შეუნიშნავს მგოსანს, საკუთარი ხელით ჩაუსწორებია და ასე ჩასწორებული უსახსოვრებია ადრესატისათვის“. (აღნიშნული ეგზემპლარი ინახებოდა აკად. აღ. ბარამიძის ოჯახში, მისი მეუღლე ნინო ივანე ელიაშვილის ქალიშვილი იყო), „ამჟამად წიგნი დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში. ეს ავტოგრაფი, ვფიქრობთ სპეციალისტ მკვლევართათვისაც უცნობი უნდა იყოს“ (ქორჩილაგა 1992: 3).

ამჟამად წიგნი მოძიებულია და შეტანილია სათანადო შენიშვნებით აკაკის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის III ტომში.

ლექსი მეტად საინტერესოა თავისი შინაარსით. იგი დაუბეჭდავს ავტორს „ჩემი ნაწერების“ 1913 წ. II წიგნში (გვ. 236). ამ ორ ტექსტს შორის არის შემდეგი განსხვავება:

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ამ ლექსის ბოლო ნაბეჭდი წყარო 1913 წლით თარიღდება, აკაკი წერეთლის ახალ აკადემიურ გამოცემაში ძირითად ტექსტად მაინც 1911 წლის რ. დათეშიძისეული გამოცემის ზემოხსენებული ავტორგრაფიანი ეგზემპლარი უნდა ავიღოთ, რადგან იგი ავტორიზებული წყაროა.

ლექსი „ოცნება“ მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ იგი არ დაბეჭდილა აკაკი წერეთლის თხზულებათა არც ერთ კრებულში. დასახელებულია მხოლოდ ს. გორგაძისა და ალ. აბაშელის მიერ გამოცემული აკაკის რჩეული ნაწერების IV ტომზე დართული ლექსების ბიბლიოგრაფიაში (გვ.323) 554-ე ნომრით. როგორც ჩანს, ლექსი ცნობილი იყო ყველა გამომცემლისათვის, მაგრამ კონიუნქტურული მოსახრების გამო დარჩა იგი ყველა ტომის გარეთ.



§ 4 აკაკის უცნობი პოემა „ასი წლის ამბავი“

პოემა „ასი წლის ამბავი“ სრული სახით პოეტის თხზულებათა არც ერთ გამოცემაში (არც სიცოცხლეში და არც შემდეგ) არ გამოქვეყნებულა. იოსებ გრიშაშვილმა აკაკის თხზულებათა შვიდტომეულის III ტომში დაბეჭდა პოემის I თავი – სათაურით „ასი წლის ამბავი – ტერმშოვანთ კეკელა“. გვ. 271). შენიშვნებში წერია: იბეჭდება ავტოგრაფის მიხედვით (იხ. საქართველოს მუზ. პალ. განყ. ხელთ. H № 1488). ამ პოემიდან ერთი ნაწყვეტი დაბეჭდილი იყო ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“: 1916, № 24 (ვარდენ ყიფიანის პუბლიკაციით). „ტერმშოვანთ კეკელა“ მთლიანად პირველად ქვეყნდება (წერეთელი 1940ბ: 700). შემდეგ იოსებ გრიშაშვილს ეს პოემა (მისი არც ერთი თავი) აღარ გამოუქვეყნებია აკაკის თხზულებათა თხუთმეტტომეულის არც ერთ ტომში. მიზეზი ამისა, ალბათ, იყო რუსიფიკატორული რეჟიმის ის მწვავე კრიტიკა, რომლითაც განმსჭვალულია პოემა.

პოემა „ასი წლის ამბავი“ სრულად 2001 წელს პირველად გამოაქვეყნა მკვლევარმა ნანა ფრუიძემ წიგნში „უცნობი აკაკი“ (ევგენიძე 2001: 64). პოემის ხელნაწერი ინახება საქართველოს გიორგი ლეონიძის ქართული ლიტერატურის მუზეუმში. აკაკის ფონდი, 12 171–ხ, რვეული №1, №2, №3. აღნიშნული ხელნაწერი არის კალიგრაფიული ხელით გადაწერლი **ასლი პოემისა**, და როგორც მუზეუმის საინვენტარო წიგნშია მითითებული, შექმნილია ეკ. ქავთარაძისგან 1941 წელს. (ამ დროს აკაკის თხზულებათა შვიდტომეულის III ტომი გამოსულია, მაგრამ თხუთმეტტომეულის V ტომი ჯერ არაა გამოცემული.) ჩვენთვის უცნობია, იცოდა, თუ არა იოსებ გრიშაშვილმა ამ ხელნაწერის შესახებ, ალბათ, არ იცოდა, თორემ შენიშვნებში ხომ მაინც ახსენებდა მას, თუმცა, ვინ იცის? იმდროინდელი კომუნისტურ-რუსიფიკატორული რეჟიმის გამო, შესაძლოა, ვერც ეს შეძლო. კონიუნქტურული მოსაზრებით-

ვე (რელიგიური შინაარსის გამო) ვერ დაიბეჭდა თხუთმეტობეულში აკაკის ორი პოემა: „ანდრია პირველწოდებული“ და „წმინდა ნინო“. თუმცა ისინი თხზულებათა შვიდტომეულში გამოქვეყნდა.

პოემაში გადმოცემულია საქართველოს ისტორია დასაწყისიდან და გრძელდება მისი სახელმწიფოებრიობის გაუქმების ჩათვლით. აღწერილია ის მძიმე შედეგები, რომლებიც რუსიფიკატორულმა რეჟიმმა დაამკვიდრა ქვეყანაში: ენის დაკარგვა, სარწმუნოებრივი დისკრიმინაცია, მიუხედავად ერთმორწმუნეობისა, გასლავიანების პოლიტიკა, ნახსენებია ყველა ის გამოსვლა და აჯანყება, რომლებიც მოეწყო საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ.

პოემაში გამოყვანილი ისტორიული პირები და დასახელებული ისტორიული მოვლენები ნაწარმოების დათარიღებისათვის მეტად კარგი წყაროა.

კვლევიტ დგინდება, რომ აკაკიმ ამ შინაარსის ნაწარმოების გამოქვეყნება ვერ შეძლო, არადა, სათქმელი მეტად მნიშვნელოვანი იყო, ტკივილი – გაუსაძლისი და მოუშუშებელი, პოეტი არა მხოლოდ მშრალ ფაქტებს გადმოსცემს, არამედ იქვე გარკვეულ მორალსაც სთავაზობს ქართველობას. სამომავლო რჩევებსაც აძლევს. როგორც ჩანს, იმდენად საჭიროდ მიიჩნევდა მის გამოქვეყნებას, რომ არც პოემის გადაკეთებას მოერიდა და ცენზურის თვალის ასახვევად „რუსი“ ყველგან „თათრით“ შეცვალა და პოემის ეს „გადაკეთებული“ ნაწილი რაჭა-ლეჩხუმის ბუნებისა და იქაური ხალხის ქებადიდებას მიაბა. შემდეგ ერთობ უწყინარი სათაურითაც შეამკო, რაჭაში მოგზაურობას დაუკავშირა, პოემა „რაჭა-ლეჩხუმში“ რიონი ჰყვება საქართველოს წარსულის შესახებ, ცხადია, ავტორმა ამგვარ ხერხს ძირითადი სათქმელის შესანიღბად მიმართა, მაგრამ ვერც ამ პოემის გამოცემას ეღირსა.

1912 წლის ივლისში რაჭა-ლეჩხუმში აკაკი მოგზაურობის შემდეგ ქართული გაზეთები სიხარულით იუწყებოდნენ, რომ აკაკის დაუწერია შესანიშნავი პოემა „რაჭა-ლეჩხუმში“. გუცა ფარქოსაძის შეკითხვაზე: ასე მალე როგორ დაწერეთ პოემაო, აკაკის მიუგია: „დედა რამდენიმე საათ-

ში შობს თავის პირშობს, მუცლით კი ცხრა თვე ატარებს. ასეა ჩემი ნაწერების ბედიც. მე მათ წლობით ვატარებ, წერით კი ერთ საათში ვწერო“. ეს ნათქვამი კარგად მიანიშნებს პოეტის შემოქმედებითი მუშაობის პრინციპზე. იგი თვეობით, ზოგჯერ წლობითაც კი ატარებდა ამა თუ იმ იდეას და შემდეგ წერდა. ამის კარგი ნიმუშია აკაკის პოეზიის შედეგური „განთიადი“.

პოემის დაწერის შემოქმედებითი პროცესი ასე წარმოგვიდგება: აკაკიმ საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის ასი წლის თავზე, 1901 წელს, დაწერა მეტად მწვავე ხასიათის პუბლიცისტური წერილი „სიმართლე“ (ზარდიაშვილი 2005: 65), თუმცა ვერ გამოაქვეყნა.

1909 წელს აკაკი პარიზში გაემგზავრა სამკურნალოდ. იქიდან გამოგზავნილ წერილში სერგო ბახტაძეს სწერს: „წერას ვაყოლებ გულს.... ამ ოთხ-ხუთ წელიწადსაც ვერ დავწერდი იმდენს, რაც აქ ამ ერთ თვეში აქ დავწერე პოემა „ვორონცოვი“ სტატია „ჩვენ და სომხები“ და სხვ.“ ამასვე სწერდა იაკობ გოგებაშვილსაც: „გუშინ გავათავე პოემა „ვორონცოვი“ და შევატყვე თავს, რომ ძალიან შორს ჩავგორებულვარ თავდადმართში“. როგორც აკაკის თხზულებათა V-VI ტომების რედაქტორი და შემდგენელი იოსებ გრიშაშვილი ვარაუდობს, აკაკის ამ პოემის შესახებ უფრო ადრე უფიქრია, არა უადრეს, 1905 წლისა. აკაკის 1909 წელს მიუმართავს იონა მეუნარგიასთვის ფოთში; „მე უფრო შენი ნახვა მინდა, რომ ცოტა რამ მასალა გამოგტყუო ჩემი ახალი თხზულებისათვის „ვორონცოვი“. როგორც ცნობილია, აკაკი ეს პოემა იბეჭდებოდა „ჩემი ნაწერების“ II წიგნში, რომელიც იაკობ მანსვეტაშვილის საფასით უნდა გამოცემულიყო. პირველი წიგნი გამოვიდა 1912 წელს, მეორეც მზად იყო, მაგრამ ცენზურამ დააკავა და მხოლოდ მას შემდეგ გამოიცა, რაც იქიდან ამოჭრეს პოემა „ვორონცოვი“. პოემა კარგა ხანს დაკარგული იყო. იოსებ გრიშაშვილმა საკმაოდ გვიან მიაკვლია მას. პოემა „ვორონცოვი“, სტატია „სიმართლე“, პოემა „ასი წლის ამბავი“ და პოემა „რაჭა-ლენხუმი“ ერთსა და იმავე პრობლემას – საქართველოში რუსიფიკატორული რეჟიმის გავრცელებასა და მის მიძიმე შე-

დეგებს ეხება. „ვორონცოვში“ ეს ამბავი დიალოგის ფორმითაა გადმოცემული: დიმიტრი ყიფიანი მოუთხრობს მიხეილ ვორონცოვს რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის შესახებ. როგორც აღვნიშნეთ, ნაწარმოები არ დაბეჭდეს, როგორც ჩანს, ამის შემდეგ აკაკიმ ეს დრამატული პოემა გადააკეთა და „ასი წლის ამბავი“ დაარქვა, მასში აქცენტი გადატანილია 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტზე, რომლითაც გაფორმდა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება.

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი დაგვიანებით, 1802 წლის 12 აპრილს, გამოცხადდა სიონის ტაძარში, სადაც მიწვეული იყვნენ ქართველი წარჩინებულები. როგორც ცნობილია, სიონი გარშემორტყმული იყო რუსის ჯარით. სწორედ ამ მოვლენის აღწერით იწყება პოემა „ასი წლის ამბავი“:

„თორმეტი ენკენის თვე
შემოდგომის პირია,

.....

ღორმუცვლა გიორგი
ცხენზე შეგოდრებულა;
თითქო ლოქო ეჭამოს,
გამხიარულებულა!

წინ მოუძღვის ამაყად
რუსების ურდო ჯარებს,
სურს საფიცრად მიადგეს
წმინდა სიონის კარებს“.

ავტორი ამჯერადაც, ისტორიული ანაქრონიზმის ჩვეულ ხერხს მიმართავს. ამ დროს, რასაკვირველია, გიორგი XII უკვე გარდაცვლილია, მაგრამ რუსეთთან გარიგება მისი მეფობის დროს მოხდა. ამ ამბავს შორიდან უყურებენ სოლომონ ლეონიძე და ჭაბუა ორბელიანი, რომლებიც სინანულით ჰყვებიან საქართველოს დიდებული წარსულის შესახებ. შემდეგ ლეონიძე სოლომონ იმერეთა მეფესა და დასავლეთ საქართველოს თავადებს მიმართავს დახმარებისათვის, ჭაბუა კი აღმოსავლეთ საქართ-

ველოს ფეხდაფეხ მოვლას განიზრახავს აჯანყებისათვის,
მაგრამ ამოდ:

„წავიდენ, მაგრამ მათმა ცდამ
ვერ მოიტანა ნაყოფი!..
რუსის ზარბაზანს ვერ შესწვდა
ქართული ხმალი და თოფი.
უბრალო სისხლით მოირწყა
ქართლიც და იმერეთიც“.

„მაშინ დაემხო ქვეყანა,
გაქარწყელდა ბაგრატიონი.
სოლომონ მოკვდა ტრაპიზონს,
ჭაბუხას კრძალავს სიონი“.

ამის შემდეგ მოთხრობილია იმ ძაღმომრეობის შესახებ, რომელსაც რუსეთი ატარებდა საქართველოში. მოხსენიებულია რუსეთ-იაპონიის ომი, 1905 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, სახელმწიფო სათათბირო და სოციალ-ფედერალისტთა პარტიები, რომლებიც საქართველოშიც მომძლავრდნენ. აკაკი არიგებს ქართველებს, ამ არეულობაში მაინც უშველონ თავს,

„ჩვენც, დრო მოგვეცა, ქართველებს
დაჩაგრულს დედინაცვლობით,
დაგებრუნებოდა სუყველა,
რაც ჩამოგვართვეს ას წლობით.

საჭირო იყო მხოლოდ-და
ერთმანეთისა თანხმობა
და ისე გასვლა საბრძოლოდ
თუ არ გვინდოდა დამხობა.

კაცი როცა ზის ციხეში,
ფეხში ბორკილი უყრია,
მომცდარა, სხვაზე თუ ფიქრობს,
ტყულა ცრემლები უდვრია.

ის უნდა იყოს იმისი

გაუსხლეტელი სურვილი:
ციხე როგორმე გასტეხოს
და აიყაროს ბორკილი.

დღეს ჩვენ რაღა ვართ, თუ არა
მონა ციხეში მჯდომარე?
არ მრწამს ქართველად ქართველი
მტრის მომხრე და მტრის მოყვარე“!

მაგრამ, როგორც ირკვევა, ბოლშევიკური მოძრაობა
უკვე გაშლილია და საქართველოშიც ძალიან გავრცელებული.
ქართველი ბოლშევიკები არწმუნებენ ყველას, რომ

„რუსები ჩვენთვის კარგია:
თუ გაიმარჯვებს მათაო,
აღვიარებენ ქართველებს
საქვეყნოდ თანსწორ ძმათაო“...

პოემა ერთგვარ პესიმისტურ ნოტაზე მთავრდება:

„ოჰ, რა კარგი ხარ, ოცნებავ!
და თეორიით მტკიცეცა,
მაგას ამბობდენ მოძღვრები
და ქადაგებდა ქრისტეცა.

გულს ვერ გამიტეხს დღეის დღე,
მაგვარ დროს მეცა მოველი,
მაგრამ დრო უნდა ყოლიფერს,
დროზე ჰკიდია ყოველი“.

თუმცა აკაკის მაინც არ სჯერა:

„ვერ დავიჯერებ, შორს არის,
რუსმა რომ მითხრას: „ძამია“!
და „აჩქარებით სოფელი
არა ვის მოუჭამია!“

ცხადია, აკაკის ასეთ მწვავე, პოლიტიკური ხასიათის
ნაწარმოებს არ დაუბეჭდავდნენ. თუმცა ამ ახალი პოემის
შესახებ საზოგადოებაში უკვე არსებობდა ინფორმაცია.

გაზ, „თემი“ იუწყებოდა: „1912 წ. 1 ივლისს აკაკიმ სხვიტორში უმასპინძლა ქუთაისის გიმნაზიის მოწაფეებს, რომლებსაც წაუკითხა ერთი ახალი პოემა“ ამასვე იხსენებს მწერალი სერგო კლდიაშვილი, რომელიც იმ მოწაფეებს შორის ყოფილა, რომლებსაც წაუკითხა აკაკიმ ახალი პოემა: „...შემდეგ თავისი პატარა საწოლიდან გამოიტანა დიდ ფურცლებზე დაწერილი საკუთარი პოემა და კითხვა დაიწყო. პოემა საკმაოდ გრძელი და მოსაწყენი გვეჩვენა, მაგრამ ვინ იტყოდა უარს დიდხანს ესმინა აკაკისათვის? მახსოვს ამ პოემაში დიდი სიძულვილით მიმართავდა პოეტი მეფის რუსეთის მესვეურთ. – „ახლა ამ პოემას არ დაბეჭდავენ“ – თქვა ბოლოს აკაკიმ, – შთამომავლობას დარჩეს...“ (ბარამიძე... 1990: 270), როგორც მოგონების ავტორი იხსენებს, ისინი 1912 წლის ივლისში სწვევიან აკაკის.

მაღევე, 12 ივლისს აკაკიმ რაჭა-ლეჩხუმში იმოგზაურა, იქიდან დიდი შთაბეჭდილებებით დაბრუნებული პოეტი წერს ახალ პოემას. ქართული გაზეთები სიხარულით იუწყებოდნენ, რომ აკაკის დაუწერია შესანიშნავი პოემა „რაჭა-ლეჩხუმი“. პირველი თავი რაჭა-ლეჩხუმის ბუნებისა და იქაური ხალხის ქება-დიდებას ეძღვნება. მესამე თავიდან კი რიონი პყვება საქართველოს წარსულის შესახებ. ცხადია, ძირითადი სათქმელის შესანიშნავად მიმართა ავტორმა ამგვარ ხერხს. შემდეგ ერთობ უწყინარი სათაურითაც შეამკო, რაჭაში მოგზაურობას დაუკავშირა, თუმცა ვერც ამ პოემის გამოცემას ეღიროსა.

ამრიგად, პოემა „ასი წლის ამბავი“-ს შემოქმედებითი ისტორია ასე წარმოგვიდგება: 1901 წელს აკაკიმ დაწერა პუბლიცისტიური წერილი „სიმართლე“, რომელშიც საუბრობს საქართველოს გარუსების მძიმე შედეგებზე. წერილი, ცხადია, არ დაუბეჭდეს; პოეტს არ ასვენებს პრობლემა და 1909 წელს საფრანგეთში ყოფნისას ამავე თემაზე წერს პოემას „გორონცოვი“ (მუშაობის ამგვარი სტილი აკაკისთვის უცხო არაა. ზოგჯერ იგი ნაწარმოებს ჯერ პროზად წერდა და მერე გადააკეთებდა ხოლმე ლექსად, ამის მაგალითად პოემა „მედეას“ დასახელებაც საკმარისია). „გორონცოვის“ დაბეჭდვას კინაღამ „ჩემი ნაწე-

რების“ II წიგნი შეეწირა, ამის შემდეგ პოეტმა კვლავ გადააკეთა სიუჟეტი, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ კრიტიკა შეამცირა, პირიქით, და დაწერა პოემა „ასი წლის ამბავი“. როცა მიხვდა, რომ არც ამ პოემას ეღიროსებოდა დღის სინათლე, კვლავ გადააკეთა იგი და „რაჭა-ლეჩხუმის“ სახელს „ამოაფარა“: რუსი – თათრით შეცვალა, მაგრამ ვერც ამ ხერხმა გაჭრა, გამოქვეყნდა მხოლოდ პოემის „უწყინარი“ ნაწილი: I და II თავი, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, გაზ. „თემის“ რედაქტორი მზად იყო გამოექვეყნებინა პოემა, გამოაცხადა კიდევ ამის შესახებ, მაგრამ, როგორც ჩანს, ველარ შეძლო მისი დაბეჭდვა, რის გამოც ძალიან წუხდა კიდევ.

1914 წელს, როგორც ცნობილია, აკაკიმ დაწერა უკანასკნელი პოემა „ომი“. წერდა უმძიმეს პირობებში, ნახევრად მშვიერი, გაყინულ სასტუმროში, შეუსვენებლად, რადგან ერთი მხრივ, ავადმყოფობა და სიბერე – და მეორე მხრივ, შვილის ვალები უტევდნენ. მან ამჯერად თითქოს დათმო თავისი პრინციპული პოზიცია და რუსეთი ქართველთა მხსნელადაც კი მოიხსენია, მაგრამ თავად ყველაზე უკეთ იცოდა, რომ ეს იყო ერთგვარი ხარკი, რათა როგორმე გამოექვეყნებინა ნაწარმოები და შვილისათვის, რომელიც თავის მოკვლით იმუქრებოდა, ვალები გაესტუმრებინა.

ლოგინად ჩავარდნილს ანეტა იურკევიჩისათვის უთხოვია, პოემა „ომი“ წამიკითხეო, დასასრულს, მაინც უთქვამს სიმართლე; „ძალიან ბევრს ვეფერები, მაგრამ ვაითუ ამ მოფერებიდანაც არა გამოვიდეს რაო“ (ბარამიძე... 1990: 248)

ამრიგად, პოემაში მოხსენიებული ისტორიული რეაღიები: რუსეთ-იაპონიის ომი, სოციალ-დემოკრატთა მოძრაობები, ეროვნული სათათბირო, პოლიტიკური ავტონომიის საკითხი. საგაზეთო ინფორმაცია აკაკის ახალი პოემის შესახებ, სერგო კლდიაშვილის მოგონება, აგრეთვე, გამოუქვეყნებელი პუბლიცისტური წერილი „სიმართლე“ საშუალებას გვაძლევს პოემა „ასი წლის ამბავი“ დავათარილოთ ფართო თარიღით: 1901-1912 წლებით.

הנה - מכתב

הנה - מכתב
הנה - מכתב
הנה - מכתב
הנה - מכתב


הנה - מכתב
הנה - מכתב
הנה - מכתב
הנה - מכתב

הנה - מכתב
הנה - מכתב
הנה - מכתב
הנה - מכתב

הנה - מכתב
הנה - מכתב
הנה - מכתב
הנה - מכתב

הנה - מכתב
הנה - מכתב
הנה - מכתב
הנה - מכתב

הנה - מכתב
הנה - מכתב
הנה - מכתב
הנה - מכתב



הנה - מכתב

הנה - מכתב
הנה - מכתב
הנה - מכתב
הנה - מכתב

הנה - מכתב
הנה - מכתב
הנה - מכתב
הנה - מכתב

הנה - מכתב
הנה - מכתב
הנה - מכתב
הנה - מכתב

הנה - מכתב
הנה - מכתב
הנה - מכתב
הנה - מכתב

§ 5 პოემა „ომის“ ხელნაწერი და მისი ავტორიზებული ასლი

პოემა „ომი“, როგორც მივეუთუბდით, აკაკი წერეთელმა სიცოცხლის მიწურულს 1914 წლის ბოლოს, დეკემბერში დაწერა. მასზე მუშაობისას პოეტს დამბლა დაეცა და მალე გარდაიცვალა 1915 წლის 25 იანვარს. ეს პოემა მისი „გედის სიმღერა“ იყო ნაწარმოების გამოქვეყნება სურდათ ქუთაისში, 1915 წელს. ამის შესახებ არსებობს ასეთი ცნობა: „ქუთაისში იბეჭდება ორ გამოცემად აკაკის უკანასკნელი პოემა „ომი“. ერთი სახალხოდ – აბაზიან წიგნად, მეორე – ძვირფას ქაღალდზე, მანეთად ღირებული. შემოსავალი მგოსნის სახელობის ფონდისათვის გადაიდება („თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ., № 5). მაგრამ ეს წიგნი არ გამოსულა. იგი პირველად დაიბეჭდა აკაკი წერეთლის თხზულებათა შვიდტომეულის მე-3 ტომში, 1940 (გვ. 341) ი. გრიშაშვილის რედაქტორობით.

შემდეგ, აკაკი წერეთლის თხზულებათა თხუთმეტტომეულში 1956 წ., V ტ. (გვ. 302) ასევე ი. გრიშაშვილის რედაქტორობით. ტომის შენიშვნებში მითითებულია: „პოემა იბეჭდება აკაკის ავტოგრაფის მიხედვით (ხელთ. №1470–H). აკაკის ხელწერა ძნელი გასარჩევია. ორიოდე სიტყვა, რომელიც ზუსტად ვერ ამოვიკითხეთ, სწორ ფრჩხილებში გვაქვს ჩასმული. არსებობს ამ პოემის პირი, რომელიც უცნობის ხელით არის გადაწერილი (ხელთ. 1507-).

სპირიდონ ზაბახიძე, თავის მოგონებაში აკაკის შესახებ, სხვათა შორის, წერს: „აკაკის ლექსები ბევრი გადამიწერია, პოემა „ომი“ მთლიანად მე გადავწერე“ (იხ. ლიტერატურული მატრიანე, 1942 წ. № 3-4, გვ. 12). ვინ იცის იქნება ეს ის ვგზემპლარია, რომელიც ჩვენს მუზეუმშია დაცული აკაკის ხელნაწერთა ფონდში? „ – კითხულობს ი. გრიშაშვილი (წერეთელი 1956ა: 389).

როგორც ქვემოთმოყვანილი წერილიდან ირკვევა, ეს ხელნაწერი მართლაც სპირიდონ ზაბახიძისაა და მეტად ფასეულიც, რადგან იგი ავტორიზებულია. თუმცა გავეცნოთ ჯერ ამ წერილს, გაზ. „თემში“ 1915 წლის 19 იან-


ვარს №203 გამოქვეყნებულია გაზეთის რედაქტორისა და ცნობილი საზოგადო მოღვაწის გრიგოლ დიასამიძის წერილი სათაურით: „დიდებულ ავადმყოფთან“. ავტორს მონახულებია მძიმე ავადმყოფი აკაკი და დაწვრილებით გადმოსცემს მის იმჟამინდელ მდგომარეობას, რომ მას ხშირად აკითხავენ ექიმები, რომლებიც თვლიან, რომ პოეტის ადგილიდან დაძვრა არ შეიძლება. გრიგოლ დიასამიძე იმასაც წერს, რომ მგოსანს ეკონომიური შემწეობა ესაჭიროება, რის შესახებაც მას უსაუბრია კიდევ კოტე აფხაზთან. აკაკის გვერდიდან არ შორდებიან ახლობლები. შვილი, ალექსი, რომელიც პეტერბურგიდან საგანგებოდეპეშით გამოუძახებიათ. მისი მოურავი კოტე აბდუშელი-შვილი და აგრეთვე „ემსახურება მას სპირიდონ ივანეს ძე ზაბახიძე*, რომელიც დიდის სიყვარულით უგლის საყვარელ მწერალს. ახალგაზრდა **ზაბახიძემ იმდენად კარგად იცის ქართული, რომ მხოლოდ მან გააჩნია აკაკის ხელი და გადასწერა მისი ახალი პოემა. შემდეგ წაუკითხა აკაკის და ასწორებდა მგოსნის კარნახის თანახმად.** (ხაზი ჩვენია, ჯ. გ.)

როგორც ვხედავთ, ცნობა მეტად სანდო და საგულისხმოა. ამით დასტურდება ი.გრიშაშვილის ვარაუდიც, „ვინ იცის, იქნებ ეს ის ეგზემპლარია, რომელიც ჩვენს მუზეუმშია დაცული აკაკის ხელთნაწერთა ფონდში,-ო.

მაშასადამე, აღნიშნული პირი (ასლი) პოემისა გადაწერილია სპირიდონ ზაბახიძის მიერ და ნასწორებია ავტორის ნების მიხედვით. ამდენად, უკვე თამამად შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ ეს ხელნაწერი იმავე დროს, ამ პოემის ავტორიზებული წყაროა, რომელიც უნდა გამოიყენონ აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის შემდგენლებმა.

პოემის შესახებ ვრცელი გამოკვლევა დაწერა პროფ. მამია დულუჩავამ და ამიტომ ჩვენ მეტს აღარაფერს დავამატებთ.

* და არა **ზაბახიძე**, როგორც წერს **ი. გრიშაშვილი**.



§ 6 აკაკის „ჩემი ნაწერების“ გამოცემის ისტორია

„ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ორი პატარა ტომის მეტი არ გამოსულა მაშინ, როცა რამდენიმე ათეული მაინც უნდა გამოცემულიყო“, – წერდა გულნაკლული პოეტი. როგორც ჩანს, სიცოცხლის მიწურულსაც ვერ აიხდინა სანუკვარი ოცნება: ერთად შეეკრიბა და გამოექვეყნებინა თავისი ნაწერების მრავალტომეული. იქნებ ამიტომაც, განიზრახა მგოსანმა თავდაპირველად „კრებულის“ გამოცემა. აი. რას აუწყებს მკითხველს გაზეთი „ახალი სხივი“: „როგორც გადმოგვცეს, პოეტი აკაკი ამ მოკლე ხანში გამოსცემს ჟურნალ „კრებულს“. კრებულში დაიბეჭდება აკაკის ახალი პოემები: „გორგასლანი“, „ვორონცოვი“, კომედია – „რეაქცია“. ლექსები და იგავ-არაკები. კრებულში მონაწილეობას მიიღებენ სხვა ჩვენი ცნობილი მწერლებიც“ („ახალი სხივი“ 1910: 3).

შემდეგ კი უკვე თვითონ აქვეყნებს განცხადებას ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ „მე თვითონ განვიზრახე სრული ჩემი ნაწერების გამოცემა ამგვარად, გამოვა კრებული ყოველ თვიურად, წელიწადში თორმეტი წიგნი, ორას ფურცლიანი. პირველ ას ფურცელზე იქნება დაბეჭდილი ჩემი ახალი ნაწერები ჯერ სრულიად არსად დაბეჭდილი და მეორე ასზე კი ძველი, უკვე სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი აქა-იქ, მაგრამ გასწორებული და შენიშვნებით, თუ რა დრომ და ვითარებამ გამოიწვია ეს ანუ ის თხზულება (მასალები მთელი წლის, ე. ი. 12 წიგნი მზადაა) („თეატრი და ცხოვრება“ 1910: 2).

როგორც ჩანს, აკაკის თავდაპირველად „კრებულის“ გამოცემა ჰქონდა განზრახული, რასაც ატყობინებდა კიდევ თავის მეგობრებს, რომელთაგანაც ზოგი ფინანსურ შემწევობას აღუთქვამდა პოეტს და ზოგიც, მორალურად ესმარებოდა. აი, რას სწერს ივ. ელიაშვილი აკაკის: „თუ ჩემს ნაწერებზე ვბედავ შენთან ბაასს, იცოდე, რომ ეს შენი ბრალია, თორემ რა დროს ესაა, როცა შენი ნაწერები დაუსტამბავია ჯერ-ჯერობით და არ ვიცი, რას აპი-

რებ. გთხოვ, აუცილებლად მაცნობო, რას უპირობ „გორ-გასლანს“ და სხვა შენს ახალ თხზულებებს. მანსვეტოვი უკვე დაბრუნდა და მზად არის, საჭირო თანხა გამოიღოს, თუ ცალკე გამოცემას დააპირებ, თუ არა და როგორ აპირებ, მაცნობე“ (კეკელიძის... №471-379).

აკაკიც ხშირად ახსენებს იაკობ მანსვეტაშვილს და მოკითხვას უთვლის ივანეს პირით: „თუ მანსვეტოვი მანდ იყოს, მომიკითხე“; „...იაკობი თუ მანდ არ იყო, მაინც უნდა შეგეტყობინებინა“ (წერეთელი 1963: 206-207).

ამის შემდეგ ივანე ელიაშვილი ვრცელ წერილს უგზავნის აკაკის და ატყობინებს იაკობ მანსვეტაშვილის პირობას აკაკის ნაწერების გამოცემის თაობაზე. წერილს ვრცლად დავიმოწმებთ: „შენი წერილი მივიღე – აგერ რამოდენიმე დღეა და დღემდე პასუხი ვერ გაგეცი, რადგან მანსვეტოვი ვერ ვნახე. ის ბალახანში ცხოვრობს. დღეს ვიყავი მასთან, მოველაპარაკე. აი, რა პასუხი მომცა. კრებულის გამოცემას მე ვერ ვითავებო და რაც შეეხება ჩემს დაპირებას ახალი ნაწარმოების გამოცემას, 300 მანეთამდე ხარჯს გამოვიღებო. მხოლოდ გამოცემიდან შემოსული ფული აკაკის საკუთრებად იყოსო. კრებულში იქნება მოთავსებული ახალი ნაწარმოები, თუ ცალკე გამოცემაში, ჩემთვის სულ ერთიაო. მხოლოდ ამაზე მეტს ხარჯს ვერ ვივალებო, რაოდენადაც მე შენი წერილიდან გავიგე, შენ ამ თავათ დაგჭირდება არა მეტი იმ თანხისა, რასაც მანსვეტოვი გპირდება, რასაკვირველია, თუ ხელისმომწერა რიგიანად გაიმართება და ამ შემთხვევაში, თუ გინდა შენ მისწერე მანსვეტოვს, თუ არა და, მომწერე და გადავსცემ. მართალი გითხრა, მე მეტის მოლოდინში ვიყავი, მაგრამ ეს პასუხი მივიღე. შენ რომ მისწერდე ორიოდ სიტყვას პირადად იმას, კარგი იქნება. ჩემის აზრით ჯერ-ჯერობით ხელისმომწერა უნდა გაიმართოს და საჭირო თანხა შეიკრიბოს. საჭიროა საიმედო აგენტების გაჩენა. ბაქო-ბალახანის რაიონში აგენტობას მე ვივალე და იმედიცა მაქვს, რომ კარგ ხელისმომწერს ვიშოვი. როგორც შენ ჰფიქრობ, სააღდგომოდ პირველი წიგნის გამოცემას, ეს მოუხერხებლად მიმაჩნია, რადგან ზაფხულში მუშაობას შენ ვერ შესძლებ და ისევ აჯობებს, შე-

მოდგომაზე შეუდგე საქმეს. მანამდე ხელისმოწერაც რიგანი გაიმართება. ამ ზაფხულში მე ორის თვით გავთავისუფლდები და მაშინ პირადად მოგვლაპარკები. შემეძლება კორექტურაშიც დაგეხმარო პირველის ნოემბრისათვის“ (კეკელიძის... №475-379).

აღნიშნული წერილი რამდენიმე საინტერესო ცნობას შეიცავს. როგორც ჩანს, აკაკის თავდაპირველად განზრახული ჰქონდა, თავისი ნაწერები „კრებულში“ გამოექვეყნებინა, საამისოდ მასალაც მზად ჰქონდა და იაკობ მანსვეტაშვილისგანაც ელოდა ფინანსურ დახმარებას. ამიტომაც აცნობებს ივ.ელიაშვილს ერთ წერილში „ჩემი კრებული მზად არის და 1 მარტს გამოვაო (წერეთელი 1963: 205). აღნიშნული წერილი დათარიღებული არაა, მხოლოდ მითითებულია, რომ საუბარია „აკაკის კრებულის“ შესახებ. ამ ვარაუდს თუ გავიზიარებთ, მაშინ გამოდის, რომ წერილი გაცილებით ადრე, კერძოდ, 1898 წლის თებერვალშია დაწერილი, რადგან „აკაკის კრებულის“ ერთ-ერთი ნომერი სწორედ 1898 წლის მარტში გამოვიდა (ვახოძე 1988: 50).

მაგრამ არსებობს მეორე მოსაზრებაც, რომელსაც გამოთქვამს ჯ.ქორჩილავა: „1910 წელს ავადმყოფი ივანე მოსკოვს გაემგზავრა სამკურნალოდ. სწორედ მისი კარგად დაბრუნებით გამოწვეულ სიხარულს გამოხატავს პოეტი ამ წერილში“ (ქორჩილავა 1992: 1, 3). ჩვენი აზრით, უფრო სარწმუნოა, რომ „პოეტის კრებულში“ იგულისხმება იაკობ მანსვეტაშვილისეული „ჩემი ნაწერები“, რომლის გამოსვლამ 1912 წლამდე (II წიგნი) დაიგვიანა“. ამდენად, წერილიც 1910 წლით შეიძლება დათარიღდეს.

ივ. ელიაშვილის წერილიდანვე ვიგებთ, რომ მანსვეტაშვილს უარი შემოუთვლია აკაკისათვის „კრებულის“ გამოცემაში დახმარებაზე. როგორც ჩანს, მის გამოცემას გაცილებით მეტი ხარჯი ესაჭიროებოდა, რაც იაკობ მანსვეტაშვილს არ გააჩნდა. მან განსაზღვრული თანხა, 300 მანეთი, გაიღო აკაკის ნაწერების გამოსაცემად, ისიც იმ პირობით, რომ მოგება ავტორის ყოფილიყო. ალბათ, ამიტომაც შეცვალა პოეტმა თავისი პირვანდელი განზრახვა და „კრებულის“ ნაცვლად თავისი ნაწერების ტომებად

გამოცემა გადაწყვიტა. სხვათა შორის, 1910 წელს აკაკიმ მიმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა ერთი საუენი ადგილის გამოყოფა გოლოვინის (რუსთაველის) პროსპექტზე კიოსკისათვის, რომელშიც მხოლოდ მისი ნაწერები გაიყიდებოდა.

როგორც ვხედავთ, სურვილი საკუთარი ნაწერების მრავალ ტომად გამოცემის შესახებ იმდენად დიდი იყო, რომ აკაკის მისი განხორციელება გადაუდებლად მიაჩნდა და უკვე წიგნების გასაღებაზეც ფიქრობდა. საბოლოოდ, აკაკიმ გადაწყვიტა თავისი ნაწარმოებები გამოეცა ტომებად სათაურით „ჩემი ნაწერები“. აი, რას სწერს ამის შესახებ ცნობილი ექიმი და მოღვაწე ვახტანგ ღამბაშიძე დიდებულ მგოსანს 1912 წლის 30 აპრილს: „ძვირფასო აკაკი, ველოდებოდი მოუთმენლად თქვენს განკარგულებას. მანსვეტოვმა მოგცათ პასუხი თუ არა? როგორ დაგებუქლოთ შემომითვალეთ? დაგაბუქლოთ წიგნს მისი გამოცემა თუ არა? თუ დაგაბუქლოთ, ვაი, თუ სიტყვა შეგიშალოსთ და თუ არ დაგაბუქლოთ – ვაი, თუ მერე სთქვას: მოგცემდით, რომ დაგებუქლათო“ ერთის სიტყვით, რაც შეიძლება საჩქაროდ გვაცნობეთ თქვენი საბოლოო გადაწყვეტილება. ყველაფერი მზად არის, მარტო ამას ვუცდით, თორემ ისედაც დააგვიანდა წიგნს. გარდა ამისა, ვერსად – ვერც ერთ ჟურნალში – ვერა ვნახეთ თქვენი წინასიტყვაობა განცხადებასავით რომ დაჰბუქდეთ. ხომ არ გახსოვთ, სად იყო დაბუქდილი? ან ეგებ მოიგონოთ და იმის მაგიერ დასწეროთ – დიდად დაგვავალებთ თუ ამ წერილის პასუხთან ამასაც მოგვაწვდით“ (კეკელიძის №657).

როგორც ჩანს, აკაკის ნაწერების გამოცემას იაკობ მანსვეტაშვილი აფინანსებდა. აი, რას სწერს აკაკი იველიაშვილს: „სად შემეძლიან ჩამოსვლა, როცა ამდენი საქმე მაწევს კისერზე? მანსვეტოვისაგან არაფერი არ მიმიღია, თორემ აქამდე გამოვიდოდა პირველი ტომი. ახლაკი ლიტოგრაფიაში მიყრია... ვეღარ შევქელი“ (წერეთელი 1963: 208)

წერილი თხუთმეტტომეულის XV ტომში (გვ. 208) დათარიღებულია მიახლოებით ასე: „1910 წ. 11 ოქტომბერი“,

რაც სწორი არ უნდა იყოს, იგი უფრო მოგვიანებით, 1911-1912 წწ. უნდა იყოს დაწერილი. როგორც ჩანს, აკაკიმ დახმარება მაღე მიიღო და ასეთ წერილს უგზავნის იველიაშვილს: „ძმაო ვანიჩკა! ამ წიგნის სარჩევი და ბოლო თექვსმეტი გვერდი ლექსად მანქანაზე არის და ორშაბათს გადმომცემენ, როცა რაც აკლიათ – მიიღებენ ჩემგან. ამ წიგნს კიდევ ორი სურათი ექნება – ჩემი და ვორდროპის და გარედან ორ-ფერადად დაბეჭდილი ლამაზი კანი, და ამას მერე სხვა წიგნებიც მოჰყვება: ყველა მანსვეტოვის გამოცემა“ (წერეთელი 1963: 209).

ეს წერილი 1912 წლის 30 აპრილის შემდეგაა დაწერილი. იგი მოსდევს ვ. ღამბაშიძის წერილს. ალბათ, იმის შემდეგ, როცა აკაკიმ უკვე მიიღო იაკობ მანსვეტაშვილისაგან დახმარება და წიგნის ბეჭდვაც დაიწყო. „ჩემი ნაწერების“ პირველი წიგნი 1912 წლის სექტემბერში გამოვიდა.

1912 წელს გაზ. „თემი“ № 57-ში მკითხველს აუწყებდა: „იბეჭდება და მაღე გამოვა აკაკის თხზულებათა პირველი წიგნი, რომელშიც მოთავსებული იქნება ახალი ნაწარმოებები ჯერ დაუბეჭდავი და აგრეთვე, ძველიც, ზოგიერთის შენიშვნებით და განმარტებით“.

პირველი წიგნი მოიცავდა 242 გვერდს. წიგნს ახლდა აკაკი წერეთლისა და მარჯორი უორდროპის სურათი. წინასიტყვაობაში აკაკი წერდა: „ქართული მწერლობა საზოგადოდ ვერა სდგას კარგ ნიადაგზე, მაგრამ ყველაზე უფრო მეტი უბედურობა კი ჩემ ნაწერებს ეწვია: ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში ორი პატარა ტომის მეტი არ გამოსულა, მაშინ, როდესაც რამდენიმე ათეული მაინც უნდა გამოცემულიყო. ამის მიზეზი ხელმოკლეობა და დაუღვერობა იყო. რადგანაც ეს ორივე მიზეზი დღეს თავიდან აცილებულია, მე თვითონ განვიზრახე სრული ჩემი ნაწერების გამოცემა ამგვარად. გამოვა თვითეული წიგნი ორ ნაწილად. პირველ ნაწილში დაბეჭდილი იქნება ჩემი ახალი ნაწერები, ჯერ სრულად არსად დაბეჭდილი და მეორე ნაწილში კი ძველი, უკვე სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი აქა-იქ, მაგრამ გასწორებული და შენიშვნებით, თუ რა დრომ და ვითარებამ გამოიწვია ეს ანუ ის თხზულება“.

1912 წლის 9 აგვისტოს გამომცემელი იაკობ მანსვეტა-შვილი „სახალხო გაზეთში“ (№ 670) ხელისმომწერთა საყურადღებოდ ბეჭდავს განცხადებას: „აკაკის თხზულებების პირველი წიგნის პირველ 96 გვერდში (რომელიც სპირიდონ ლოსაბერიძის სტამბაში დაიბეჭდა) პირველი 32 გვერდი შეუფერებელი გამოდგა, ამისათვის იძულებული გავხდით ეს გვერდები ხელმეორედ დაგვებეჭდა, რამაც ზოგიერთ ხელისმომწერთ წიგნის მიღება დაუგვიანა“.

„ჩემი ნაწერების“ მეორე ტომის შესახებ გაზ. „თემი“ 1912 წლის (№ 95) მკითხველს აცნობებს: „ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთი“ ქუთაისში ამით აცხადებს, ქართველ მკითხველთა საყურადღებოდ, რომ იგი შეუდგა გამოცემას ბ. იაკობ მანსვეტაშვილის საფასით მგოსან აკაკის ნაწერების მეორე წიგნისას. ძველი და ახალი ლექსები და პოემები ავტორისავე დროის შესაფერ განმარტებებით. სხვათა შორის, ამ წიგნში დაისტამბება აკაკის ახალი ისტორიული პოემა „ვორონცოვი და მისი დრო“.

სწორედ ეს პოემა გახდა წიგნის აკრძალვის მიზეზი. „ჩემი ნაწერების II წიგნი 1912 წლის 28 დეკემბერს უკვე აწყობილი იყო და მესტამბე ივანე კილაძეს გამოცემისათვის ნებართვის ასაღებად, საცენზურო კანონის თანახმად, გაუგზავნია საცენზურო კომიტეტისათვის 15 ცალი ამ წიგნისა. მეორე დღეს ქუთაისის პოლიციას მოსვლია განკარგულება წიგნის დაჭერის შესახებ. ამ დღესვე, საღამოს 6 საათზე პოლიციის ბოქაულმა მოითხოვა კილაძის სტამბაში წიგნები“ („მერცხალი“ 1913: 2).

მანამდე კი ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთის“ უფროსი, მწიგნობარი ისიდორე კვიციანიძე 1912 წლის 30 დეკემბერს გაზეთ „მერცხალში“ ბეჭდავს წერილების სერიას სათაურით: „მწიგნობრის შენიშვნები: „აკაკის ნაწერების გამოცემის გამო“, „...მოხუც აკაკის ნაწერებსაც გაუღიმა ბედმა. მის ნაწერებსაც აღმოუჩნდა გუღმოდგინე და გუღწრფელი გამომცემელი. ეს გახლავთ ჩვენი უხვი ქველმოქმედი ბ. იაკობ მანსვეტაშვილი, რომელმაც იკისრა აკაკის ნაწერების გამოცემის ნივთიერი მხარის უზრუნველყოფა. ახლა კი აკაკი თვითონ აგროვებს თავის ნაწერებს, უკეთებს დროის შესაფერის შენიშვნებს, ხოლო გა-

მოცემისა და მისი გავრცელების ხელმძღვანელობა მომანდო მე მეორე წიგნიდან. გადმოძცა თუ არა აკაკიმ მეორე წიგნის მასალა, მე შევუდექი მაშინვე წიგნის ბეჭდვას“ („მერცხალი“ 1913: 2).

1913 წლის 9 იანვარს ქუთაისის პოლიცემისტერი ანტონოვი ბეჭდვით საქმეთა კომიტეტს უპატაკებს აკაკის მეორე ტომის 2800 ცალის დაკავების შესახებ (საისტორიო... 1953: 428).

იმავე წლის 15 მარტს გაზ. „დილა“ (№ 10) მკითხველს აუწყებს, რომ აკაკი ქუთაისიდან ტფილისს დაბრუნდა. იქ უნდა ინახულოს მეფის მოადგილე, საცენზურო კომიტეტის მიერ თავისი ნაწერების მეორე წიგნის შეჩერების გამო.

შეწუხებული აკაკი 1913 წლის აპრილში წერილს უგზავნის ივ. ელიაშვილს: „ჩემი მეორე ტომი ჯერაც დატერილია, მაგრამ იმედი მაქვს მალე ახსნიან აკრძალვას“ (წერეთელი 1963: 210).

9 მაისს ბეჭდვითი საქმის თბილისის კომიტეტი ქუთაისის პოლიცემისტერს ატყობინებს დადგენილებას აკაკის ნაწერების მეორე წიგნიდან პოემის – „ვორონცოვი და მისი დრო“ 3-58 გვერდების ამოჭრას 2800 ეგზემპლარიდან და მის განადგურებას აქტის შედგენით“ (საისტორიო მოამბე 1953: 425).

მაისის თვეშივე ისიღორე კვიცარიძე ახარებს მკითხველს, რომ ამ მოკლე ხანში დაურიგებს ხელის მომწერლებს აკაკის თხზულებების მეორე ტომს, რომელშიც პოემის „ვორონცოვი და მისი დრო“ მაგიერ ჩართული იქნება აკაკის სხვა ნაწარმოებები“ („თემი“ 1913ბ: 2).

საბოლოოდ, როგორც იქნა ელირსა აკაკის „ჩემი ნაწერების“ მეორე წიგნს გამოსვლა. „დღეს როგორც იქნა ამ გაცოდვილებულ გამოცემას ელირსა მზის სინათლე და იგი ცენზურაში მესამე დღეა გავეზავნე. ხვალ ეს წიგნი გასაყიდად გამოვა...“ („თემი“, 1913ა: 2).

სამწუხაროდ, ისევ მეორე ტომზე შეწყდა აკაკის ნაწერების გამოცემა. როგორც ჩანს, აკაკის სანუკვარ ოცნებას ახდენა არ ეწერა: „უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო“ – ნათქვამია: მანსვეტოვის წასვლამ წელი მომწყ-

ვიტა! პეტერბურგიდან მაცნობეს, რომ აქ არ არის“ (წერეთელი 1963: 209) იაკობ მანსვეტაშვილმა ვედარ შეძლო ამ გამოცემის ხელშეწყობა და ისიც შეჩერდა.

ამგვარად, 1913 წლის მეორე ნახევარში გამოვიდა აკაკის „ჩემი ნაწერების“ მეორე და უკანასკნელი ტომი. ამ გამოცემებს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს აკაკი წერეთლის შემოქმედების შესწავლისას. ჯერ ერთი, რომ ის არის პოეტის სიცოცხლეში განხორციელებული ბოლო გამოცემა. გარდა ამისა, ეს ტომები შედგენილი და ნასწორებია ავტორის მიერ. ანუ ავტორიზებული წყაროებია, რომელსაც მწერლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მომზადებისას საგანგებო ყურადღება ეთმობა. ამიტომაც აკაკი წერეთლის თხზულებათა თხუთმეტტომულშიც და პოეტის თხზულებათა ახალ აკადემიურ გამოცემაშიც ისინი ძირითად წყაროდაა მიჩნეული. თუმცა, ზოგჯერ „ჩემი ნაწერების“ წიგნები ზუსტად იმეორებენ ამა თუ იმ ნაწარმოების ადრინდელ პუბლიკაციებს, უფრო მეტიც, კონიუნქტურის ან ცენზურის გამო, ზოგიერთი ნაწარმოები ამ გამოცემაში კუპიურებითაა წარმოდგენილი. ასეთ შემთხვევაში გამომცემელი ვალდებულია, ნაწარმოების სხვა, უფრო სრულყოფილი და ავტორიზებული ტექსტი შესთავაზოს მკითხველს.

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით, წარმოვადგინოთ აკაკი წერეთლის „ჩემი ნაწერების“ I და II წიგნის ტექსტოლოგიური ანალიზი, რაც საშუალებას მოგვცემს, კიდევ ერთხელ განვსაზღვროთ ამ გამოცემის მნიშვნელობა.

„ჩემი ნაწერები“ – ტექსტოლოგიური შენიშვნები

„ჩემი ნაწერები“ (I და II წიგნი) – აკაკი წერეთლის შემოქმედების ნიმუშთა თავმოყრის ერთ-ერთი უკანასკნელი მცდელობა იყო. ეს გამოცემა უაღრესად მნიშვნელოვანია აკაკის თხზულებათა აკადემიური გამოცემის ძირითადი ტექსტის დასადგენად. იგი, უმეტეს შემთხვევაში, გამოხატავს პოეტის ბოლო ნებას, შეიცავს ავტორისეულ კომენტარებსა და შენიშვნებს, ამა თუ იმ ნაწარმოების შექმნის ისტორიას. ამის შესახებ თავად პოეტი წერდა გამოცემის წინასიტყვაობაში. ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს, აკაკის „ჩემი ნაწერების“ ორივე წიგნი პოეტის ახალ აკადემიურ გამოცემაში ძირითად წყაროდ ვაღიაროთ.

სხვათა შორის, იმავეს აღნიშნავდნენ აკაკი წერეთლის თხზულებათა თხუთმეტტომეულის გამომცემლებიც 1950 წელს: „ძირითადი ტექსტის დადგენისას ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ აკაკის ავტოგრაფს და პოეტის სიცოცხლეში დაბეჭდილი **თხზულებების უკანასკნელ რედაქციას**“ (წერეთელი 1950ა: 399) (ხაზი ჩვენია, ჯ.გ.).

ეს პრინციპი ძირითადად დაცულია, მაგრამ ზემოთ დასახელებული გამოცემის ტომებში საკმაოდ მოიპოვება ისეთი ლექსები, რომელთა უკანასკნელი ნაბეჭდი წყარო „ჩემი ნაწერებია“, თუმცა გამომცემლები ძირითად რედაქციად რატომღაც „თხზულებანის“ 1893 წ. გამოცემას მიიჩნევენ. ამით, რასაკვირველია, უზულებელყოფილია ავტორის ბოლო ნება და დარღვეულია ტექსტის ძირითადი წყაროს შერჩევის ტექსტოლოგიური პრინციპი. წარმოვადგენთ რამდენიმე ნიმუშს ამის დასტურად: ლექსი „**ნადირობა**“ – დაიბეჭდა ჯერ „კრებულში“, 1871 წ., № 5, წგ. V; შემდეგ „თხზულებანის“ I, 1893 (გვ. 96) და ბოლოს „ჩემი ნაწერების“ I, 1912 წ. (გვ. 145). ეს ბოლო რედაქცია ზუსტად იმეორებს წინა (თხზულებანის I, 1893) გამოცემის ტექსტს, ლექსის ბოლო ნაბეჭდი წყარო („ჩემი ნაწერების“ I, 1912 წ.) შეიცავს აკაკის მოგონებასა და ვრცელ კომენტარს, საიდანაც ვიგებთ, როგორ და რა მიზნით დაიწერა ეს ლექსი: „აღარავის ვზოგავდი, ვისაც კი შევნიშნავდი საზოგადო

უკუღმართობას და არაეის ვეპუებოდი; სხვათა შორის მაშინ დაიწერა ეს ლექსი: „ნადირობა“ (გვ. 153). მიუხედავად ამისა, აკაკი წერეთლის თხზულებათა თხუთმეტომეულის I ტომში ამ ლექსის ძირითად წყაროდ მაინც „თხზულებანის“ (I, 1893) გამოცემაა მიჩნეული (იხ. I ტომის შენიშვნები, გვ. 432). ეს დარღვეული ტექსტოლოგიური პრინციპი გასწორებულია აკაკის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის I ტომში (წერეთელი 1991: 301).

„დიდი პოეტების მიბაძვა“ – ლექსი პირველად გამოქვეყნდა ჟურნ. „ცისკრის“ 1868 წ. № 2-ში სათაურით „ახალი პოეტების მიბაძვა“. შემდეგ ავტორს სათაური შეუცვლია და ისე დაუბეჭდავს ლექსი ჯერ „თხზულებანის“, I, 1893 (გვ. 114), ბოლოს კი, „ჩემი ნაწერების“ I, 1912 წ. (გვ. 174). აკაკის თხზულებათა თხუთმეტომეულის I ტომში ამ ლექსის ძირითად წყაროდ მაინც „თხზულებანის“ (I, 1893) რედაქციაა მიჩნეული, თუმცა კი სათაური „ცისკრისეული“ ვარიანტის მიხედვით მიუციათ. ამ შემთხვევაშიც დარღვეულია ტექსტის ძირითადი წყაროს შერჩევის პრინციპი, რაც სამართლიანად შეასწორა აკაკის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის I ტომის შემდგენელმა და ტომში ძირითად ტექსტად ლექსის ბოლო ნაბეჭდი წყარო აირჩია (იხ. დას. გამოცემის ტ. I, გვ. 95).

„პასუხი მაცდურს“ – ეს ლექსიც აკაკის თხზულებათა თხუთმეტომეულის I ტ. (გვ. 176) წამოღგენილია „თხზულებანის“ I (1893) გამოცემის მიხედვით მაშინ, როცა არსებობს მისი ბოლო ნაბეჭდი წყაროც („ჩემი ნაწერების“ I, 1912 წ., გვ. 185). რომელიც ზუსტად იმეორებს წინა გამოცემის ტექსტს. ანუ იგულისხმება, რომ ავტორი იწონებს ამ ტექსტს და ბოლო გამოცემაშიც აღიარებს მას. აკაკის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემა პოეტის ბოლო ნებას იზიარებს. (წერეთელი 1991: 101).

ჩვენ აღარ შეუდგებით ყველა ლექსის შესახებ მსჯელობას, ვიტყვით მხოლოდ, რომ იგივე შეიძლება ითქვას ლექსებზე: **„რჩევა ახალგაზრდა მწერლებს“** (თ. ს. კ. ტ. I, გვ. 445) – ძირითადი ტექსტია „თხზულებანის“ I, 1893 წ., **„ზოგიერთების ღოცვა“** (თ. ს.კ. ტ. I, გვ. 180), ახალ აკად. გამოცემაში (გვ. 140), **„ყვენობა“**, ლექსი **„ჩონგური“** თ.ს.კ.

ტ. I (გვ. 208) წარმოდგენილია „თხზულებანის“ I, 1893 წ. გამოცემის მიხედვით. 1991 წლის გამოცემა კი ბეჭდავს „ჩემი ნაწერების“ (I, 1912 წ.) ტექსტს და სათაურსაც შესაბამისად ამ ვარიანტის მიხედვით აძლევს ასე: **„ვარდის ხმაზედ“** (გვ. 216). ანალოგიური ვითარებაა აკაკი წერეთლის თხზულებათა თხუთმეტტომეულის II ტომში. სახელდობრ: ლექსს **„ღამურა“** – რამდენიმე ნაბეჭდი წყარო აქვს. „თხზულებანის“, 1893, I ტომში მოთავსებულია ნაწყვეტი ამ ლექსიდან **„კრული იყოს მისი სახელი“**, იმავე გამოცემის II ტომში (გვ.72-76) დაბეჭდილია ამ ლექსის ვრცელი ვარიანტი, რომელიც აღიარებულია ძირითად (A) წყაროდ. მაშინ როცა „ჩემი ნაწერების“ II, 1913 წ. (გვ.243-246) გამოცემა (K) ვარიანტადაა მიჩნეული. პოეტმა უცვლელად გადაიტანა ეს ლექსი ბოლო ნაბეჭდში და ამით თავისი ნებაც გამოხატა, რისი უფლებებელოფის უფლება გამომცემელს ნამდვილად არა აქვს.

ლექსს **„ავადმყოფი“** – გააჩნია ავტოგრაფი Q-974 (B); ასლი Q 975 (C), ნაბეჭდი „სალამური“ 1893 წ. რაც თხუთმეტტომეულის არც ერთ ტომში, გასაგები მიზეზების გამო, მითითებული არ არის. ეს ნაწარმოები შემდეგაც რამდენჯერმე დაიბეჭდა, მათ შორის „თხზულებანი“, II ტ. 1893 წ. (გვ. 58-59), „რჩეული ლექსები“ 1908 წ. (გვ. 21-22). აი, სწორედ ეს უკანასკნელი გამოცემაა თხუთმეტტომეულის II ტომში ძირითად წყაროდ მიჩნეული მაშინ, როცა არსებობს ამ ლექსის ბოლო ნაბეჭდი წყაროც: „ჩემი ნაწერები“ 1912 წ., ტ. II. (გვ. 181-182). 1893 წლისა და 1913 წლის გამოცემებში ამ ლექსიდან ცენზორს ამოუღია პირველი სტროფის 3-4 ტაქი:

„ვინც შენატრის იმის სიკვდილს,
უმალ მასვე დაამიწებს“.

როგორც ჩანს, ამ კუბიურების გამო აღნიშნული ბოლო 1913 წ. გამოცემა არ იქნა მიჩნეული ძირითად წყაროდ. თუმცა მსგავს შემთხვევაში ახალი აკადემიური გამოცემის (წერეთელი 1991) I ტომის შემდგენელი ეთერ შარაშენიძე ასეთ გზას ირჩევს: ლექსი „მუშურის“ შესახებ იგი წერს: „ძირითადი ტექსტის წყაროდ ავიღეთ ავტორის სიცოცხლეში ბოლო ნაბეჭდი ტექსტი („ჩემი ნაწერები, I,

1912 წ., გვ. 65-66), მაგრამ ვინაიდან ხსენებულ გამოცემაში ლექსის გარკვეული ნაწილი (38. 17-28 „მდივანბეგის | ბოქაულებს ...ჩვენი სახელი და გვარი) არ დაბეჭდილა (აღლათ საცენზურო პირობების გამო), იგი შევავსეთ (C) წყაროს მიხედვით (წერეთელი 1991: 282).

მწერლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის დროს გამომცემელი ვალდებულია ძირითადი ტექსტის წყაროს შერჩევას უპირატესობა მიანიჭოს ავტორის ბოლო ნებას.. ამ თვალსაზრისით, „ჩემი ნაწერების“ I და II წიგნი სწორედ რომ ანგარიშგასაწევი გამოცემაა. თუმცა აქვე შევნიშნავთ, რომ ამ პრინციპის თვითმიზნად გამოცხადებაც არ ივარგებს, რადგან შესაძლოა, იმავე დროს არსებობდეს სხვა გამოცემებიც, რომლებიც ასევე ავტორის ნებას გამოხატავდეს. ასეთ შემთხვევაში უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია ის, თუ რომელია პოეტის ბოლო შემოქმედებითი ნამუშევარი. ამის ნიმუშად დავასახელებთ აკაკი წერეთლის იმ ნაწარმოებებს, რომლებიც იოსებ მერკვილაძემ გამოსცა პოეტის სიცოცხლის ბოლო წლებში. საგანგებო კვლევას ამ საკითხის შესახებ ჩვენი ნაშრომის შემდეგ ქვეთავში წარმოვადგენთ.

დასკვნისათვის აღვნიშნავთ, რომ აკაკი წერეთლის „ჩემი ნაწერები“ უადრესად მნიშვნელოვანი გამოცემაა. იგი შეიცავს ავტორისეულ შენიშვნებსა და კომენტარებს. რაც ხშირ შემთხვევაში ათარიღებს კიდევ ამა თუ იმ ნაწარმოებს. ამიტომ აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალ აკადემიურ გამოცემაში მას ერთ-ერთი უპირველესი ადგილი უკავია. მით უფრო, მწერლის თხზულებათა თხუთმეტტომეულის გამოცემიდან 50 წელი გავიდა, გამოვლინდა პოეტის ბევრი ახალი ნაწერი, შესაძლებელი გახდა უარი ვთქვათ კონიუნქტურაზეც. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ვიმედოვნებთ, რომ აკაკი წერეთლის ახალი აკადემიური გამოცემა შეავსებს იმ ხარვეზებს, რაც წინა გამოცემებს გააჩნდათ.*

* ამჟამად მიმდინარეობს აკაკის თხზულებათა აკადემიური ოცტომეულის მომზადება, რომელშიც თავიდან მომზადდა პირველი ტომი და საკმაო ცვლილებაც განიცადა (ს.გ.).

**§ 7 იოსებ მერკვილაძე – აკაკი წერეთლის
თხზულებების გამომცემელი
(წიგნის მაღაზია „ცოდნას“ გამოცემები)**

მწერლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მოსამზადებლად, ძირითადი ტექსტის შერჩევისას, უპირატესობა ენიჭება ავტოგრაფებსა და ავტორის სიცოცხლისდროინდელ ბოლო ნაბეჭდ წყაროებს, რომლებიც ავტორიზებულია. ამიტომაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დადგინდეს, რომელი გამოცემა გამოხატავდა მწერლის ბოლო ნებას. აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის შემდგენელთა წინაშე დადგა პრობლემა: პოემების ტომის მომზადებისას, რომელი გამოცემა მიჩნეულიყო ძირითად წყაროდ? საკითხის გადაწყვეტას ართულებდა ისიც, რომ დღემდე არსებული გამოცემები, აკაკის პოემებისა, არ შეიცავენ ვარიანტულ წაკითხვებს. ჩვენი შრომის ეს ნაწილი სწორედ ამ პრობლემის შესწავლას მიექდუნა და ვფიქრობთ, მკითხველი მიიღებს თხზულებათა შევსებულ და მეცნიერულად დამუშავებულ აკადემიური გამოცემის ოც ტომს.

ქვემოთ განვიხილავთ იოსებ მერკვილაძის მიერ აკაკის ნაწერების გამოცემების ისტორიას და წარმოვადგენთ მათ ტექსტოლოგიურ ანალიზს. როგორც ცნობილია, იოსებ მერკვილაძე აკაკის ერთ-ერთი უახლოესი ადამიანი იყო, მის სახელთან ბევრი მნიშვნელოვანი ეროვნული საქმეა დაკავშირებული. რად ღირს მარტო მისი წიგნის მაღაზია „ცოდნას“ გამოცემები, რომელთაც ასე გაამდიდრეს ქართული წიგნის გამოცემების ისტორია. წლების მანძილზე ეს ფუნქციონირებდა მშრომელი კაცი ქართულ წიგნებს ბეჭდავდა და თავს დასტრიალებდა ეროვნულ ლიტერატურულ საგანძურს. მის სახელს უკავშირდება ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეკრებაც. როგორც ცნობილია, „აკაკის თვიური კრებულის“ ფურცლებზე უხვად ქვეყნდებოდა მის მიერ მოძიებული ქართული ფოლკლორის ნიმუშები. იოსებ მერკვილაძეს, რომელსაც შინაურულად სოსიკოს ეძახდნენ, ყოველთვის განსაკუთრებული

სიახლოვე ჰქონდა პოეტთან. აკაკი თითქმის ყოველგვარ საკითხზე ეთათბირებოდა მას. როგორც ცნობილია, იგი თავისი ქონების აპეკუნდაც დანიშნა. საგულისხმოა აკაკის ერთი წერილი: „ახლა შენ იცი: „ძმა ძმისთვისაო და შავი დღისთვისა. თუ სხვა არაფერი გექნეს დასაგირავებელი, თავი დაიგირავე და, რამდენიც შეიძლო, მომაწოდე“ (წერეთელი 1963: 287). ასე მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანს შეიძლება მიმართო. თავისი ცხოვრების მანძილზე აკაკი წერეთელს ბევრ მოღვაწესთან ჰქონდა ურთიერთობა. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებთანაც პოეტს მთელი სიცოცხლის განმავლობაში არ გაუწყვეტია კავშირი. იმათ შორის, ვინც აკაკის ერთგულნი დარჩნენ სიცოცხლის ბოლომდე, ერთ-ერთი იყო სოსიკო მერკვილაძე. მათი ურთიერთობა ჯერ კიდევ ადრე დაიწყო. ნიშანდობლივია, რომ დიდმა აკაკიმ სწორედ სოსიკო მერკვილაძეს გადასცა სამუდამო უფლება თავისი საუკეთესო თხზულებების გამოცემა-გაყიდვისა. ეს არჩევანი მსცოვანმა პოეტმა სიცოცხლის მიწურულს – 1913 წელს გააკეთა. 9 აპრილს დადებულ ხელშეკრულებაში ეწერა:

„Из нас я Князь Церетели, продал в полную и исключительную собственность Иосифу Мерквиладзе право издания и продажи следующих моих сочинений на грузинском языке: 1. Исторический роман „Баши-Ачуки“. 2. Исторические поэмы: „Натела“. 3. „Киколас наамбоби“. 4. „Баграт Диди“...“

К нему Иосифу Мерквиладзе и приемникам его переходит право издания и продажи сказанных произведений навсегда“ (ცენტრალური... 481/211).

დასახელებულ თხზულებათაგან 1911 წელს სოსიკო მერკვილაძემ გამოსცა: „ბაგრატ დიდი და სხვა ლექსები აკაკისა“ (წერეთელი 1911ა), „ნათელა“ – პოემა აკაკისა“ (წერეთელი 1911ბ) და აგრეთვე „ორი ქართველი-ოთია მესხი და ადამ ბებურიშვილი“ (წერეთელი 1911გ). 1913 წელს კი განახორციელა შემდეგი გამოცემები: 1) „ბაში-აჩუკი“ – ისტორიული მოთხრობა (წერეთელი 1913ბ); 2) „კიკოლას ნაამბობი“ (წერეთელი 1913დ) და „გამზრდელი“ (წერეთელი 1913გ). როგორც ვხედავთ, აკაკიმ ხელ-

შეკრულებით 1913 წელს სოსიკო მერკვილაძეს ხელახლა დასაბუქდად ის პოემებიც გადასცა, რომლებიც ორი წლის წინ უკვე გამოცემული იყო! რით შეიძლება აიხსნას ეს? უპირველეს ყოვლისა, ალბათ, იმით, რომ აკაკის სურდა, გამოეთქვა თავისი ბოლო ნება და ისეთ გამომცემელს მიმართა, რომელსაც ყველაზე მეტად ენდობოდა. ამდენად, თითქოს სადღო აღარაფერია, მაგრამ საკითხს ართულებს ის გარემოება, რომ 1912 და 1913 წლებში გამოიცა აკაკის „ჩემი ნაწერების“ პირველი და მეორე წიგნი, რომლებშიც ზემოთდასახელებული ნაწერები („ორი ქართველი – „ოთია მესხი და ადამ ბებური“ შვილი; „ბაგრატ დიდი“; „გამზრდელი“) – დაიბუქდა. თუ ვაღიარებთ იმ ძირითად ტექსტოლოგიურ პრინციპს, რომ უპირატესობა ძირითადი ტექსტის წყაროს დადგენისას, ენიჭება ავტორის ბოლო გამოცემებს, მაშინ აკაკის აღნიშნული სამი პოემის ძირითად ნაბეჭდ წყაროდ „ჩემი ნაწერების“ 1913 წლის II წიგნი უნდა მივიჩნიოთ. მით უფრო, რომ ს. მერკვილაძის მიერ გამოცემული აკაკის ყველა ნაწარმოები შეიცავს უამრავ ტექსტობრივსა და გრამატიკულ სხვაობას სხვა გამოცემებთან (და მათ შორის „ჩემი ნაწერების“ მეორე წიგნთან) შედარებით.

ამიტომ გაჩნდა აუცილებლობა, შეგვესწავლა ტექსტოლოგიურად სოსიკო მერკვილაძის აღნიშნული გამოცემები და დაგვედგინა, რომ სწორედ ისინი ასახავენ მწერლის შემოქმედებითი მუშაობის საბოლოო სურათს და ამდენად, გამოხატავენ მის ბოლო ნებას.

აკაკის პოემების სოსიკო მერკვილაძისეული გამოცემები იმდენად შეუსწავლელია, რომ პროკლე კეკელიძეს პოემა „ნათელას“ ვარიანტებს შორის ეს წყარო დასახელებული არაა (კეკელიძე 1961: 234-257).

იმისათვის, რომ დაგვედგინა, არის თუ არა აკაკის ნაწერების ს. მერკვილაძისეული გამოცემები ავტორიზებული წყაროები, დაგვჭირდა რამდენიმე მყარი არგუმენტის მოხმობა. სახელდობრ:


1. იოსებ მერკვილაძისეული აკაკის ნაწერების გამოცემანი განხორციელდა თვით პოეტის ნებით, მისსავე სიცოცხლეში! აკაკის გადაწყვეტილება – მიემართა ერთი

და იმავე პირისათვის და ეთხოვა თავისი ნაწერების ხელმეორედ გამოცემა – მიუთითებს იმას, რომ იგი ენდობოდა ამ გამომცემელს და კმაყოფილი იყო მისით.

2. ნაწარმოებთა ტექსტებში შეტანილი ცვლილებანი იმგვარი ხასიათისაა (შინაარსობრივი, გრამატიკული, ლექსიკური), რომ შეუძლებელია იგი ავტორის გარდა, სხვა ვინმეს ეკუთვნოდეს.

3. პავლე ინგოროყვას განცხადება ს. მერკვილაძის რამდენიმე გამოცემის შესახებ; რომ „ისინი გადახედულია და შესწორებულია თავად ავტორის მიერ“ (ინგოროყვა... 1941: 623).

4. სოსიკო მერკვილაძის მიერ განხორციელებული გამოცემები უფრო გვიანდელი რედაქციებია ამ ნაწარმოებებისა, ვიდრე 1913 წელს გამოსული აკაკის „ჩემი ნაწერების“ მეორე წიგნში შეტანილი მასალა.



აკაკის პოემების სოსიკო მერკვილაძისეული გამოცემები

ვიდრე უშუალოდ ამ პოემების გამოცემების განხილვას შევუდგებოდეთ, ამთავითვე აღვნიშნავთ, რომ ისინი იმის შემდეგ გადაუშუშავებია პოეტს შემოქმედებითად, როცა „ჩემი ნაწერების“ ორივე წიგნის მასალა უკვე მზად ჰქონდა. ცნობილია, რომ აკაკიმ აღნიშნული გამოცემისათვის (უფრო სწორად, თავდაპირველად „კრებულის“ გამოცემისათვის) ზრუნვა ძალიან ადრე დაიწყო.

ფიქრობთ, აკაკი, იმის შემდეგ, რაც გაამზადა და გამოსაცემად გადასცა თავისი ნაწერები, კვლავ მიუბრუნდა ზოგიერთ ნაწარმოებს და შემოქმედებითად გადაამუშავა ისინი. ამ ნათქვამის ჭეშმარიტებას ისიც ადასტურებს, რომ სოსიკო მერკვილაძისათვის გადაცემული აკაკის ნაწერები (პოემები და მოთხრობა „ბაში-აჩუკი“) აშკარა ვარიანტულ ნაირწაკითხვებს შეიცავს ამავე ტექსტების სხვა გამოცემებთან შედარებით.

ახლა სათითაოდ განვიხილავთ აღნიშნულ ნაწარმოებებს და წარმოვადგენთ სწორებათაგან იმ უმთავრეს მაგალითებს, რომლებიც კიდევ ერთხელ ცხადყოფენ დიდებული მგოსნის შემოქმედებითი მუშაობის სურათს.

პოეტის მიერ ტექსტებში შეტანილია შემდეგი სახის სწორებანი: **შინაარსობრივი, გრამატიკული** (სინტაქსური, ორთოგრაფიული, პუნქტუაციური) და **ლექსიკური**. აკაკი საგანგებო ყურადღებას აქცევს ლექსის ეფუონიას. აქვე შევნიშნავთ, რომ ხშირ შემთხვევაში სწორებათა უმრავლესობა სტროფის კეთილხმოვანებისთვისაა გამიზნული. ერთ-ერთ წერილში პოეტი გულდაწყვეტილი წერდა: „სახუროთმოძღვროდ არ მომიცლია, თორემ ჩემ ნაწერებს ხელათ კი არ გამოვხანხლამდი, უფრო მეტ დროს მოვახმარებდი, გავაშალაშინებდი, თითო წამის მაგიერათ წელიწადებს მოვანდომებდი“ (წერეთელი 1961ა: 235)

ახლა ვნახოთ როგორ „გაუშალაშინებია“ პოეტს თავისი ნაწერები:

„ორი ქართველი ოთია მესხი და ადამ ბებურიშვილი და სხვა ლექსები აკაკისა“ 1911 წლის „ცოდნას“ გამოცემა შეუუდარეთ იმავე ტექსტს, რომელიც ჯერ აკაკის „თხზულებანი“ 1893 წ. II ტ. (გვ.5) გამოქვეყნდა, შემდეგ კი „ჩემი ნაწერების“ 1913 წ. მეორე წიგნში გადაიბეჭდა. დიახ, გადაიბეჭდა, რადგან ეს ორი ტექსტი აბსოლუტურად იდენტურია. ს. მერკვილაძისეული გამოცემა კი შემდეგ შინაარსობრივად განსხვავებულ ვარიანტულ წაკითხვას იძლევა:

„თხზულებანი“ 1893 წ. „ჩემი ნაწერები“ 1913 წ.
 „ამ სიტყვამ გამოაფხიზლა ადამი დაღონებული და ჯორისაკენ გაიქცა სიამით აღელვებული“.
 (გვ.18; 227)

ს.მერკვილაძის 1911 წ. გამოცემა
 „ამ სიტყვამ გამოაფხიზლა ადამი დაღონებული და ჯოროსნისკენ გაიქცა სიამით აღელვებული“.
 (გვ.13)

როგორც ვხედავთ, მესამე სტრიქონში სიტყვის შეცვლამ არა მხოლოდ ადრესატი შეცვალა. არამედ პოეტმა ხაზი გაუსვა, რომ ადამმა იცნო ოთია და გახარებული გაიქცა მისკენ – მხედრისკენ (ჯოროსნისკენ) და არა ჯორისკენ, როგორც ეს წინა გამოცემებში იყო.

შემდეგი სწორებანი **გრამატიკული** სახისაა.

„თხზულებანი“ 1893 წ. „ჩემი ნაწერები“ 1913 წ.
 „ვინ გაასწორა, ბატონო ნეტავი მთა და ბარიო, მესხი ვარ აზნაუშვილი, თქვენ დიდ-თავადის გვარიო“.
 (გვ. 229)

ს. მერკვილაძის 1911 წ. გამოცემა
 „ვინ გაასწორა, ბატონო ნეტავი მთა და ბარიო, მესხი ვარ აზნაურ-შვილი, თქვენ დიდ-თავადის გვარიო“.
 (გვ.15)

აღნიშნული სწორებით აკაკიმ „რ“ ბგერის ალიტერაცია უფრო გააძლიერა და სტროფიც კეთილხმოვანი გახდა.

ამავე მიზნით შეცვალა აკაკიმ შემდეგი სტროფიც:

იყო 1893 წ. და 1913 წ.

გამოცემებში

„მის ჭიხვინზედ მარცხნივ
ტყეში
სხვა ცხენმაცა იხვისხინა“.
(გვ.11,221)

გაუსწორებია 1911 წ.

„მის ჭიხვინზედ მარცხნივ
ტყეში
სხვა ცხენმაცა იჭიხვინა“.
(გვ.8)

ასევე ევფონიას ქმნის სტროფში „გა“ ზმნისწინის „და“-
თი შეცვალა:

„ახსენებს წმინდა გიორგის
უშიშვლებს ქართულ ხმალსაო,
და დაჰკვეთს ბერი მახვილით
ერთად რბილსა და ძვალსაო“.
(გვ.5)

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით, აკაკის ლექსის მკვლევარ-
რის პროფ. აკაკი ხინთიბიძის განცხადებას, რომ „მსგავს
თანხმოვანთა მონაცვლეობა ასონანსში აკაკის შეგნებუ-
ლი პოეტური ხერხია“ (ხინთიბიძე 1965: 206).

ამრიგად, როგორც წარმოდგენილი მაგალითები ცხად-
ყოფენ, ტექსტი შემოქმედებითად გადაუმუშავებია აკაკის
და ისე გადაუცია ს.მერკვილაძისათვის გამოსაცემად. ამი-
ტომ, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ამავე პოემის
სხვა უფრო გვიანდელი ნაბეჭდი წყარო, პოეტის თხზუ-
ლებათა ახალ აკადემიურ გამოცემაში 1911 წლის გამო-
ცემას უნდა მიენიჭოს უპირატესობა.

1911 წელს გამოუცია სოსიკო მერკვილაძეს აკაკის
შემდეგი წიგნიც: „ბაგრატ დიდი და სხვა ლექსები
აკაკისა“. პოემა პირველად 1875 წელს გამოქვეყნდა, შემ-
დეგ აკაკის „თხზულებანის“ 1893 წ. II ტ. (134;234) დაიბეჭ-
და, ბოლოს კი 1913 წ. აკაკის „ჩემი ნაწერების“ 1913 წ.
მეორე წიგნში (136;193) შევიდა. ამ გამოცემაშიც პოემის
ტექსტი ზუსტად იმეორებს „თხზულებანის“ 1893წ. ვარი-
ანტს. ჩვენ ერთმანეთს შევუდარეთ პოემის დასახელებუ-
ლი გამოცემები და ერთობ შთამბეჭდავი სურათი მივი-
დეთ: 1911 წელს ს.მერკვილაძის მიერ გამოცემული ტექს-
ტი პოემისა, შეიცავს უამრავ ვარიანტულ განსხვავებას.
ჯერ შინაარსობრივი ხასიათის ცვლილებებს განვიხილავთ.

პოეტს ეთნოგრაფიული ცნება „**ქართლი**“ შეუცვლია ეთნიკური ტომის აღმნიშვნელი სახელით: „**ქართველის**“, რითაც პასაჟის შინაარსიც შეიცვალა:

იყო:	გაასწორა:
„რომელი ერთი უნდა მოვსთვალო უთვალავია დღეს ქართლის ტანჯვა, გადმოიხილე ზეცით უფალო“.	„რომელი ერთი უნდა მოვსთვალო უთვალავია დღეს ქართველის ტანჯვა, გადმოიხედე ზეცით უფალო“.
(გვ. 247,206)	(გვ.15)

როგორც ვხედავთ, ასო „ვ“-ს ჩამატებით ავტორმა ის აზრიც განავრცო, რომ ტანჯვას სრულიად საქართველოს ყველა შვილი იზიარებდა და არა მარტო „ქართლი“. იმავედროულად „თვ“ ბგერათა კომპლექსით შესანიშნავი ალიტერაციული სტროფიც ჩამოაყალიბა.

პოეტს წინა გამოცემებში ნახმარი სიტყვა „**გამძვინგებულსა**“ შეუცვლია ასე: „**გამძვინგარებულს**“, რაც ამ სიტყვის სალიტერატურო ფორმაცაა და იმავე დროს, „რ“ ბგერის ალიტერაციასაც ქმნის სტროფში:

„უფრო და უფრო გამძვინგარებულს
გული უძგერდა თემურის რისხვით
და რაკი სიმხნით ვერ გააწყო რა -
მან მოინდომა, რომ სძლიოს რიცხვით“ (გვ. 5)

როგორც ვხედავთ, აქ სწორედ ის შემთხვევაა, როცა: „აკაკის არ ეუცხოება ევფონიით გამოხატოს თავისი დამოკიდებულება საგნებისა და მოვლენებისადმი, „აზრის მსვლელობაში მას გარკვეული ფუნქცია დააკისროს“ (ხინთიბიძე 1972: 206).

აკაკის სურს, აქცენტით გადაიტანოს სიტყვებზე: „რისხვა“ და „რიცხვი“, ანუ თქვას, რომ მტერმა სიმხნით რომ ვერ სძლია ქართველობას, გადაწყვიტა, რისხვა რიცხვითი სიმრავლით დაატეხოს თავს.

გრამატიკულ სწორებათაგან უმნიშვნელოვანესად მიგვაჩნია ის შემთხვევა, როცა ავტორი სახელის ნართანიან

ფორმას ზმნის III მრავლობითი რიცხვის „დნენ“ და „ნენ“-
დაბოლოებას უთანხმებს, მაშინ, როცა სხვა შემთხვევაში
„დენ“ და „ენ“ ფორმა დომინირებს ყველგან. ვნახოთ
მაგალითი:

ხომ გახსოვს, ოდეს ქართველთ ჭაბუკნი
ხელ-ფეხ შეკრულნი, დატიტვლებულნი
ველზე ეყარნენ და ზედ მონგოლნი
დაჯირითობდნენ გამძვინვებულნი. (გვ. 17)

ადრე გამოცემებში იყო „დაჯირითობდენ“.
იქვე:

„მუხლ-მოყრით მაღლა ხელ-აპყრობილნი
უსიმო უსიტყვოდ ცას შეჰყურებდნენ
და საქართველოს ჭირისგან დახსნას,
უკანასკნელად მას ავედრებდნენ“. (გვ. 247,206)

ამ შემთხვევაში სახეზეა ალიტერაცია-ასონანსის მშვე-
ნიერი ნიმუში და სახელის „ნარ-თანიანი“ ბრუნვით წარ-
მოდგენა რაღაცნაირ ამღლებულსა და ღვთისადმი მავედ-
რებელ ჰანგს მოგვაგონებს. ანუ შეიძლება ითქვას, რომ
„აკაკის ლექსსა და პოემებში შეინიშნება ევფონიის მი-
ზანდასახულებრივი გამოყენების შემთხვევები“
(ხინთიბიძე 1972: 206).

მაგალითების მოტანა კიდევ მრავლად შეიძლება, მაგ-
რამ ვფიქრობთ, დასახელებულიც კმარა იმისთვის, რომ
დავრწმუნდეთ, როგორ გადაუშუშავებია აკაკის თავისი
პოემა შემოქმედებითად და მხოლოდ ამის შემდეგ გადაუ-
ცია იგი გამომცემლისათვის.

სხვათა შორის, ამ გამოცემის შესახებ პ. ინგოროყვაც
მიუთითებს, რომ იგი „გადახედულია თვით ავტორის მი-
ერ“ (ინგოროყვა... 1941: 623). ამრიგად, „ბაგრატ ღიდი“ 1911
წლის ს. მერკვილაძისეული გამოცემა ამ პოემის კანონი-
კური ნაბეჭდი წყაროა!

წიგნის მალაზია „სოდნა“-ს გამოცემა, № 51.

5449

899.962.1-1

ნ ა თ ე ლ ა

(ბეულუჭური აზუჯი)

1127
3

ა კ ა კ ი ს ა .



ბზილისი

ელექტრო-ბეგდავი ე. კერესელიძისა, გოლოვინის პროსპ.

1911

1911 წელს სოსიკო მერკვილაძის წიგნის მადლობა „ცოდნამ“ გამოსცა „ნათელა“ პოემა აკაკისა. იგივე ნაწარმოები პოეტმა ხელახლა გამოსაქვეყნებლად დაუთმო ისევ სოსიკო მერკვილაძეს 1913 წელს. თუმცა ეს გამოცემა რატომღაც აღარ განხორციელებულა; ამ პოემის პირველი პუბლიკაციისა (1897) და მისი გამომცემლის მ. ლაღიძის შესახებ ჩვენ საგანგებოდ ვწერდით ნაშრომის შესამე თავში. აქ მხოლოდ მოკლედ გავიმეორებთ, რომ არსებობს მისი ერთი ნაბეჭდი წყაროც, კერძოდ: „აკაკის კრებული“ 1900 წლის №1. პროკლე კეკელიძე დასახელებულ მონოგრაფიაში საგანგებოდ ეხება პოემის გამოცემებს და წერს: „პოემა „ნათელას“ გამოცემები ძირითადად დამაკმაყოფილებლადაა შესრულებული. განსაკუთრებით სრული და კარგი გამოცემაა ი.გრიშაშვილის რედაქტორობით დაბეჭდილი ტექსტი (აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებული ტ.V, 1956 წ.). გამოცემათა საერთო ნაკლი ის არის, მასში მეტ-ნაკლები სახით, პოემის ტექსტი ნასწორებია თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით. ტექსტს არა აქვს დართული ვარიანტები და არ არის მითითებული ისე, როგორც აკადემიურ გამოცემას შეეფერება. ენობრივ-გრამატიკული, ორთოგრაფიული და სხვა სახის სხვაობანი“ (კეკელიძე 1961: 028).

მკვლევარის ამ შენიშვნას სავსებით ვეთანხმებით. ამასთანავე, დავძენთ, რომ იგივე შენიშვნა ეხება აკაკი წერეთლის თხზულებათა VI ტომსაც (დრამატული ნაწარმოები). არც მას ერთვის კომენტარები და ვარიანტები. თუმცა, ჩვენი მხრივ, შევნიშნავთ, რომ ისეთ ვრცელ მონოგრაფიაში, როგორც „ნათელას“ შესახებ არსებობს, პოემის ავტოგრაფისა და ნაბეჭდი წყაროების გვერდით რატომ არაა დასახელებული ავტორის სიცოცხლისდროინდელი პოემის 1911 წლის გამოცემა? არა, და, იგი ისეთი ხასიათის ცვლილებებს შეიცავს, რომ დაუჯერებელია, ისინი ავტორის გარდა, სხვა ვინმეს შეეტანოს. ნათქვამი რომ უფრო დამაჯერებელი გახდეს და აღნიშნული გამოცემის მეტად დიდი მნიშვნელობაც ვაღიაროთ, წარმოვადგენთ იმ სწორებათა მხოლოდ ნაწილს, რომელიც ტექსტმა განიცადა.

დავიწყეთ **შინაარსობრივი** ხასიათის სწორებებით:
 1897 წლის გამოცემაში ნათელა კითხულობს ცოტნეს შესახებ:

**„ჰსთქვა: ვინ იყო და რა გვარი
 საიდან იყო მოსული?“ (გვ.19)**

1900 წლის და 1911 წ. გამოცემებში პოეტს „არ“ ნაწილაკი დაუმატებია და გამოვიდა: „არ ჰსთქვა: ვინ იყო, რა გვარი? (გვ. 24).

1897 წლის გამოცემაში

„უბრძანა კადნიერება
 ეგ შენი მეუცხოება,
 მაგრამ შლეგი ხარ,
 უზრდელი
 ბევრი რამ მოგეთხოვება?!“
 (გვ.23)

1900 წ. „კრებული“ №1

„უბრძანა კადნიერება
 ეგ შენი მეუცხოება,
 მაგრამ შლეგი ხარ,
 უზრდელი
 ბევრი რა მოგეთხოვება?!“
 (გვ.28)

როგორც ვხედავთ, I გამოცემაში მეოთხე სტრიქონი კორექტურულ შეცდომას შეიცავდა, რაც პოეტმა მეორე გამოცემისას უმაღლესად გაასწორა **„რად მოგეთხოვება?!“** მაგრამ იგი არ დაკმაყოფილდა ამით და პოემის ბოლო ნაბეჭდში კვლავ შეიტანა ცვლილება: **„არ მოგეთხოვება“.**

სამივე გამოცემა პოემის შემდეგი სტრიქონის აზრობრივად განსხვავებულ წაკითხვას გვთავაზობს:

1897 წ.

„თუ ტვირთი მძიმე
 მონების
 ძალით დაგვადგით
 ჩაგრულსა“ (გვ. 66)

თუ ტვირთი მძიმე
 მონების
 ძალით დაგვიდგა
 ჩაგრულსა (გვ. 58)

1911წ.

თუ ტვირთი მძიმე
 მონების
 ძალით დაგვადგი
 ჩაგრულსა (გვ.43)

როგორც ვხედავთ, პირველი ვარიანტის მიხედვით ცოტნე ამ უღლის დადგმაში ყველას ადანაშაულებს, მეორე ვარიანტში კორექტურული შეცდომაა. 1911 წ. გამოცემის მიხედვით კი ცოტნე უშუალოდ ნოინს ამუნათებს.

აქ გვსურს ერთი სტრიქონის შესახებაც ვიმსჯელოთ, რომელიც ასევე სადავოდ იქცა მკვლევარისათვის. პროკლე კეკელიძე თავის ნაშრომში (56,0219) ჩამოთვლის იმ სიტყვებსა და ფრაზებს, რომლებიც კირილე ლორთქიფა-

ნიძეს თავისი შეხედულებისამებრ უსწორებია „აკაკის კრებულის“ 1900 წლის იმ ეგზემპლარში, რომელსაც მის არქივში მიაკვლია მეცნიერმა. სახელდობრ:

ტექსტში იყო
„და ვით ამირანს გულ-მკერდი
წყლული-წყლულ
უმთელდებოდა“. (გვ.44)

კირილეს შეუცვლია:
„და ვით ამირანს გულ-მკერდი
წყლული მსწრაფლ
უმთელდებოდა“.

პრ. კეკელიძე მიუთითებს, რომ ეს ცვლილება განმეორებულია 1956 წლის გამოცემაში. აქ შეცვლილია ერთი ფრაზა: დაბეჭდილია: „წყლული კვლავ“ (კეკელიძე 1961: 16), ხოლო ავტოგრაფსა და ადრინდელ გამოცემებშია „წყლული-წყლულ“. პოემის მომავალ გამოცემაში აუცილებელია დაშვებული შეცდომებისა და რედაქტორის მიერ შეცვლილი ადგილების შემდგომი დაზუსტება და გასწორება (კეკელიძე 1961: 0220).

პატივცემულ მეცნიერს რომ 1911 წლის „ნათელას“ გამოცემა პოემის ერთ-ერთ ვარიანტად მიეჩნია, ნახავდა, რომ ი. გრიშაშვილის სწორება შეცდომა, ან რედაქტორის თვითნებობა კი არ არის, არამედ იგი ამ გამოცემას ეყრდნობა:

„და ვით ამირანს გულ-მკერდი
წყლული კვლავ უმრთელდებოდა“. (1911 წ., გვ. 29)

შესაძლოა, დაისვას კითხვა, თუკი ჩვენ ამდენი ხნის შემდეგ მოვიძიეთ პოემა „ნათელას“ ავტოგრაფი, რატომ არ შეიძლებოდა, გამომცემელს, სოსიკო მერკვილაძესაც, ჰქონოდა იგი ხელთ და ამის მიხედვით ესწორებინა ტექსტი?! იქნებ ასეც იყო, ამაში გასაკვირი არაფერია (თუმცა, ეს ფაქტიც კიდევ ერთხელ ამყარებს იმ აზრს, რომ 1911 წლის გამოცემა მეტად მნიშვნელოვანია), მაგრამ რითი ავხსნათ ის ცვლილება, რომელიც განიცადა ნათელას თვლების ეპითეტმა ს. მერკვილაძისეული გამოცემის ტექსტში?!

როგორც ცნობილია, აკაკიმ ნათელას გარეგნობას, მისი მშვენიერების გადმოსაცემად ბევრი ვარიანტი მოსინ-

ჯა. პროკლე კეკელიძისავე თქმით: „დაუინებით უძებნია ნათელას სახისთვის შესაფერისი თვალების ეპითეტები; ჯერ დაუწერია: „მისი დიდი“, შემდეგ „ცისფერი“, „უუუუნა“ და ბოლოს შეურჩევია:

„ცისფერი მისი თვალები
სამოთხის ჩამსახველია
კოჭებამდე სცემს ხუჭუჭი
შავი, უკუნი, ბნელია“.

(კეკელიძე 1961: 0208)

რაოდენ საგულისხმოა, რომ ამდენი ხნის ნაძებნი თვალების ეპითეტი აკაკიმ პოემის ბოლო 1911 წლის გამოცემაში ამგვარად შეცვალა:

„გიშერი შავი თვალები
სამოთხის ჩამსახველია
კოჭებამდე სცემს ხუჭუჭი
შავი უკუნი ბნელია!“

ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია. ამგვარ სწორებას ვერც ერთი გამომცემელი ვერ გაუბედავდა ცოცხალ ავტორს და მით უფრო ისეთ მგოსანს, როგორც აკაკი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავად პოეტიც აღარ მიმართავდა ამგვარ „თავნება“ გამომცემელს და ორი წლის შემდეგ სამუდამო საკუთრებაში არ გადასცემდა თავისი შემოქმედების უშესანიშნავეს ქმნილებებს და მათ შორის, პოემა „ნათელასაც“! ცხადზე უცხადესია, რომ აღნიშნული სწორება, ისევე, როგორც ყველა სხვა, ავტორისეულია. რა მოსაზრებით შეცვალა თვალის ფერი პოეტმა? ისევე და ისევე ლექსის ბგერწერის, მისი კეთილხმოვნების მიზნით. „შ“ ბგერის განმეორებით შესანიშნავი ალიტერაცია მიიღო და იმავე დროს ხაზი გაუსვა, რომ გიშერივით „შავი“ თვალების პატრონს კუნაპეტივით შავი თმა ჰქონდაო.

ამ პოემაში აკაკი ცვლის ორთოგრაფიულ ნიშნებსაც; მრავალთავან დავიმოწმებთ ერთს:

„ეს უნდოდათ მონგოლებსაც!
გაიხარეს გულით დიდათ

შუა ჩადგენ და ძმებ-შუა
შური გასდგეს გზად და ხიდად“. (გვ. 5)

ადრეულ 1897 წ. გამოცემაში იყო „გზად და ხიდათ“
(გვ. 6).

მე-2 სტრიქონში იგი მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ნიშნის „თ“ დაბოლოებას, წინა სიტყვებს, „უნ-დოდათ“ და „გულით“, უთანხმებს, ხოლო მეოთხე სტრიქონში კი ვით. ბრ. ნიშანს ცვლის და „დ“-ს აძლიერებს და ბგერათა ამგვარი მონაცვლეობით შესანიშნავ აკუსტიკურ ეფექტს ქმნის. მსგავსი მაგალითების შესახებ წერდა, აკაკი ხინთიბიძე: „ჭეშმარიტი პოეტის ნახელავში ბგერათა თვითეულ კომპლექსს გარკვეული მხატვრული ფუნქცია აქვს. ლექსის მუსიკალური სრულყოფის მიზნით, პოეტები ხშირად არღვევენ დადგენილ ორთოგრაფიულ ნორმებს, რამდენადმე უხვევენ მისგან და ეს გადახვევანი, როგორც შეგნებული პოეტური აქტი, ხელშეუხებლად უნდა იქნეს დატოვებული, ეს მით უფრო, შეეხება აკაკის ორთოგრაფიის პარალელურ ფორმებს: დ||თ; დნენ||დენ, რომლებიც იმ დროს დაახლოებით თანაბარი უფლებებით სარგებლობდა და პოეტს მხატვრული მიზანდასახულების შესაბამისად, შეეძლო ხან ერთისათვის მიემართა და ხან მეორისათვის“ (ხინთიბიძე 1972: 24).

ჩვენ ვაღიარებთ აკადემიურ გამოცემაში ავტოგრაფის უპირატესობას, მაგრამ ვითვალისწინებთ იმ შემთხვევასაც, როცა შესაძლებელია, ნაწარმოების ავტოგრაფსა და ბოლო ნაბეჭდ წყაროს შორის არსებობდეს ისეთი სხვაობა, რომელიც ამ ნაწარმოების მხატვრულ ღირებულებას გაზრდის. ასეთ დროს, თუ ცნობილია ავტორის მონაწილეობა ბოლო გამოცემაში, ანუ ნაბეჭდი წყარო ავტორიზებულია, მაშინ ძირითად ტექსტად სწორედ ეს ბოლო გამოცემა უნდა მივიჩნიოთ. მოცემულ შემთხვევაში, ვფიქრობთ, პოემა „ნათელას“ 1911 წლის ს. მერკვილაძისეულ გამოცემის ტექსტი უნდა ვაღიაროთ პოეტის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის კანონიკურ ტექსტად.

821.353.1-1

Б-395

„ცოდნა“-ს საკუთრება № 65

კიკოლაძის წაამბოვები

ს კ ა კ ი ს ა

შანი მართი აბაზი.



ბ ფ ი ლ ი ს ი
ელექტრო-მბეჭ. ა. ქერესელიძისა, გაბაშვილის შესახ. № 1
1913

საინტერესო ვარიანტული სხვაობები აჩვენა პოემა „**კიკოლას ნაამბობის**“ გამოცემების შედარებამ. პოემა პირველად 1889 წელს გამოვიდა ცალკე წიგნად (წერეთელი 1889) მისი შემდეგი ნაბეჭდი წყაროა „აკაკის კრებული“ 1899 წ., №4 და ბოლოს იგი გამოსცა 1913 წელს სოსიკო მერკვილაძემ (წერეთელი 1913დ) 1889 წლის გამოცემაში პოემა „კიკოლას ნაამბობი“ წარმოდგენილია კუპიურებით. 1899 წლის „აკაკის კრებულისეულ“ ვარიანტში ჩამატებულია მთელი რიგი სტროფებისა, ანუ შეიძლება ითქვას, რომ ეს არის პოემის ახალი, გავრცობილი რედაქცია. „კრებულის“ რედაქცია შემდეგ გამეორებულია 1913 წლის გამოცემაში და ამავე დროს, მასში შეტანილია მრავალი სახის ცვლილება. სახელდობრ:

შინარსობრივი ხასიათის სწორებანი:

წინა, 1889 წ. და 1899 წლის გამოცემაში დასახელებული რიცხვი „ორასი“, „ათას ორასი“ 1913 წლის გამოცემაში შეცვლილია ასე: „ხუთასი“, „ათას ხუთასი“! (გვ. 19).

გამოცემაში (1889 წ.) იყო:

უცხო ქვეყნიდან

სახლთუხუცესს (გვ. 90)

1913 წ. გამოცემაში:

რუსეთიდანა სახლთუხუცესს

(გვ. 31)

როგორც ჩანს, ეს კონიუნქტურული ცვლილებაა, რაც შემდგომ გაასწორა ავტორმა, რადგან ამ წლებში ცენზურა ისეთი მკაცრი აღარ იყო.

1899 წ. „აკაკის კრებული“

„თავში იჯდა თვით ბატონი
მოკაზმული სულ სხვა ფერად
მხრებზე ედგა ჯინჯილები
მოყვითელო მჭადის **კვერად**“
(გვ.104)

1913 წ. ს. მერკვილაძისეული ტექსტი

„თავში იჯდა თვით ბატონი
მოკაზმული სულ სხვა ფერად
მხრებზე ედგა ჯინჯილები
მოყვითელო მჭადის **ფერად**“.
(გვ.45)

ეს სტროფი პოემის პირველ, 1889 წლის, გამოცემაში საერთოდ არაა შეტანილი, ხოლო ბოლო გამოცემაში შესანიშნავი მხატვრული სახის – „**მჭადის კვერად**“ – შეცვლა „**მჭადის ფერად**“ – ვფიქრობთ, უფრო კორექტურული ლაფსუსია, რადგან ნაკლებ მოსალოდნელია ლექსის დი-

დოსტატს ასეთი მხატვრული შედარება უარყოფს და რით-
მა გაემეორებინა.

საინტერესოა, როგორ შეცვალა ბოლო გამოცემებში
ავტორმა ქართული ანდაზის პერიფრაზა:

იყო!

„უნდა გაჰშორდე იმერეთს, –
სოფელი **განიერია**,
კაცი ყოველგან დარჩება
თუ თვითონ გონიერია!“

(გვ. 42)

გასწორდა:

„უნდა გაჰშორდე იმერეთს, –
სოფელი **ღონიერია**,
კაცი ყოველგან დარჩება,
თუ თვითონ გონიერია“.

(გვ. 100)

როგორც ვხედავთ, ავტორმა ამ ანდაზის სწორი ფორ-
მა აღადგინა: „სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერია“
და იმავე დროს რითმაც გამართა: ღონიერია||გონიერია.

აკაკი წერეთელი იმდენად დიდ ყურადღებას აქცევს
ლექსის კეთილხმოვანებას, რომ ხშირად მისი ენისთვის
ერთობ დამახასიათებელ სიტყვებსაც კი ცვლის:

1899 წ. გამოცემაში იყო

„ადგილობრივე ვნახავ
ყოლიფერს“ (გვ.79)

შეცვალა 1913 წ. გამოცემაში

„ადგილობრი-ვე ვნახავ
ყველაფერს
და გამო-ვიკვლევ იქაურ
ამბებს“ (გვ. 18)

როგორც ვხედავთ, ამ ცვლილებით პოეტმა „ვ“ ბგერის
ალიტერაცია გამოკვეთა.

„მაგრამ სამშობლო ქვეყანა,
სუყოლიფერზე ტკბილია“.
(გვ.96)

„მაგრამ სამშობლო ქვეყანა
სუყველაფერზე ტკბილია“.
(გვ.37)

მაშასადამე, იმდენად დიდია პოეტის სწრაფვა სტრო-
ფის გაკეთილხმოვანებისაკენ, რომ იგი თავისი სტილი-
სათვის ჩვეულ სიტყვასაც („ყოველიფერი“) კი, ადვილად
ელეოდა.

მაგალითების დასახელება კვლავაც შეიძლება, მაგრამ
ფიქრობთ, ესეც საკმარისია იმისთვის, რომ დავრწმუნ-

დეთ, „კიკოლას ნაამბობის“ 1913 წელს გამოცემული ტექსტი ავტორის მიერ საგულდაგულოდ ნასწორებია და მისი ბოლო ნების გამოვლინებაა.

ამრიგად, დამოწმებული მაგალითები სრულიად ნათელს ხდიან ერთ ჭეშმარიტებას, 1913 წლის ს. მერკვილადის მიერ გამოცემული ტექსტი პოემისა „კიკოლას ნაამბობი“ ავტორის მიერ შემოქმედებითად გადამუშავებულია და აკაკის თხზულებათა ახალ აკადემიურ გამოცემაში ძირითად ნაბეჭდ წყაროდ უნდა ვადიაროთ.

„ბაში-აჩუიცი“ გადასცა აკაკიმ გამოსაცემად სოსიკო მერკვილაძეს. თავდაპირველად მისი ბეჭდვა მწერალმა ქურნ. „კვალის“ 1895-96 (D)* წლის ნომრებში დაიწყო. შემდეგ „აკაკის კრებულის“ 1897 წლის (B) პირველსავე ნომერში გამოაქვეყნა. მერე კი თავად იკისრა მისი გამოცემა 1900 წელს (A) (წერეთელი 1903, „ბაში-აჩუიცი“, ავტორის გამოცემა).

როგორც ჩანს, ცამეტი წლის შემდეგ მან კვლავაც მოისურვა ამ ნაწარმოების გამოცემა (C) და არც თუ ტყუილად. ყოველი დასახელებული ნაბეჭდი წყარო ერთმანეთისაგან განსხვავებულ ვარიანტულ წაკითხვას იძლევა. ეს სხვაობანი დაწერილებითაა აღნუსხული შენიშვნებში (წერეთელი 1958: 368).

„ბაში-აჩუიცი“ დასახელებული გამოცემები ერთმანეთისაგან განსხვავებულ ვარიანტულ წაკითხვას შეიცავენ. მისი ბოლო ნაბეჭდი (1913 წ.) წყარო კი, ავტორს საფუძვლიანად გადაუმუშავებია. შეუტანია მასში შინაარსობრივი და გრამატიკული სახის ცვლილებანი, რითაც დაუხვეწია და გაუმართავს ტექსტი. ქვემოთ წარმოვადგენთ ამ სწორებათა რამოდენიმე მაგალითს დასტურად იმისა, როგორ იცვლებოდა რომანის ტექსტი გამოცემიდან გამოცემამდე.**

შინაარსობრივი ხასიათის ცვლილებანი:

(A) ვარიანტში იყო: „შავი ოსშივარი კომლივით ამოუშვა და თან საზარელი **სუნი** ამოატანა“ (წერეთელი 1903: 18).

(C) ვარიანტში შეცვლილია: „სიმყრალის **სული** ამოატანა“ (წერეთელი 1913ბ: 27). სიტყვის სუნი||სული შეცვლით აზრიც შეასწორა ავტორმა.

იყო (A) 1900 ავტორის გამოცემაში: „ცოტა ხნის შემდეგ ამოჰყო ცხენმა თავი და იწყო ცურვა გვერდულად; მხედარი ზურგზე **ეკრა** და თავს უჭერდა“ (წერეთელი 1900: 19)

* ლათინური ასოებით მითითებულია ვარიანტების ლიტერები. – **გ.პ.**

** იმის გამო, რომ ხშირად მოგვიწევს დამოწმება, მივუთითებ მხოლოდ ვარიანტს და გვერდს.

შეცვალა (C) ვარიანტში ავტორმა: „მხედარი ზერგზე ეკერა“ (წერეთელი 1913გ: 3).

როგორც ვხედავთ, ამ ცვლილებამ მშვენიერი მხატვრული შედარება მოგვცა. შემდეგმა გრამატიკულმა ცვლილებამ (ზმნის დროის შეცვლამ) აფორიზმის შინაარსზე დაც იქონია გავლენა.

იყო 1900 წ. (A) გამოცემაში: „გაზაფხულს კი ერთიც მოჰყავს და ათასიც“.

„გაზაფხული კი ერთსაც მოიყვანს და ათასსაც“, – წერია (C, გვ. 26) ვარიანტში.

აკაკის რომანის ბოლო ნაბეჭდში (წერეთელი 1913) ის შეუსაბამობაც გაუსწორებია, რომელსაც ძირითად ტექსტში (A) ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეუთანხმებლობა იწვევდა: „მღვიმის მონასტერში **ორი დები იზრდებიან**, ტყუპის ცალები, **ერთი მეორისაგან** არ გაირჩევა და არც მათი მსგავსი ნახულა ჩვენში“ (წერეთელი 1913გ: 31). **ორნი დანი იზრდებიან**, ერთი **მეორისაგან** მზგავსი (C, გვ.12). სიტყვათა გადანაცვლებით აკაკის მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა ჩამოუყალიბებია.

იყო: (A,4) წყაროში – „მერე და ობლები არიან? პატრონო?“. შეცვლილია (C) წყაროში „მერე და **უპატრონო ობლები** არიან?“.

გრამატიკული სწორებაა შემდეგ პასაჟში:

იყო: „დიდხანს **შეტყუებულსავით იყვენ** თავდავიწყებული“ (A, წერეთელი 1900: 13).

შეცვალა: „დიდხანს **შეტყუებულსავით იყვენ** თავდავიწყებულები“ (C, წერეთელი 1913ბ: 2).

ტექსტში შეტანილია **სინტაქსური** სწორებაც: სახელდობრ: იყო: A (158,9) ვარიანტში „თარეშობის **დრომ ხელი მოუმართა** მის მოუსვენარს სურვილს“ (გვ.9). შეცვლილია C ვარიანტში „თარეშობის **დროს ხელი მოემართა** მის მოუსვენარს სურვილს“ (გვ.1).

საწყისი შეცვლილია აბსტრაქტული არსებითი სახელით.

იყო A (გვ.21) ვარიანტში „**დამბლას** ორივე ხელ-ფეხი წაურთმევიანო“. შეცვლილია C (გვ.18) ვარიანტში: „**სიღამბლავეს**“.

სიტყვათა გადანაცვლებასაც ხშირად მიმართავდა ავტორი და ამით აზრს უფრო ამკვეთრებდა. A ვარიანტში ეწერა: „ეს პატარა კახეთიც ხომ ნაწილია იმ დიდი საქართველოსი, რომელიც წილად ხვდა ღვთისმშობელს და დედაღვთისა განა ხელს აიღებს თავის საუფლისწულოზე?“ (გვ.18).

C (გვ.12) ვარიანტში (1913) ასე შეუცვლია წყობა მწერალს: „და განა დედაღვთისა ხელს აიღებს...“.

შემდეგი აფორიზმი: „სიბრთხილე სიბრთხილის განაყოფიან“ 1913 წ. გამოცემაში ასე გასწორდა: „სიბრთხალე სიბრთხლის განაყოფიან“ (C, გვ.21). როგორც ვხედავთ, ადრეულ გამოცემებში კორექტურული შეცდომა აზრს ცვლიდა და ამახინჯებდა, ბოლო გამოცემაში კი ეს შეცდომა გასწორებულია და მშვენიერი აფორიზმია გამოკვეთილი.

მეტად უჩვეულოა, მაგრამ ფაქტია, რომ აკაკი წერეთლის 1913 წელს დაბეჭდილ „ბაში-აჩუკის“ ტექსტში ისეთი სიტყვაც კი შეუცვლია, რომელსაც იგი ადრე სწორ გრამატიკულ ნორმად მიიჩნევდა და პრინციპულად იცავდა, სახელდობრ: „აღვიარებ|ვაღვიარებ“.*

იყო A ვარიანტში: „მწამს და აღვიარებ, რომ მომავალი ქრისტიანობისა“ (A, გვ.18).

შეცვლილია: „მწამს და ვაღვიარებ“ (C, გვ.25).

აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის VII ტომის შენიშვნებში (წერეთელი 1958: 368) ტომის შემდგენელი მიუთითებს, რომ „ბაში-აჩუკის“ ხელნაწერები ჯერჯერობით ნაპოვნი არ არის. ვარიანტები ემყარება ავტორის სიცოცხლეში გამოქვეყნებულ ნაბეჭდ ტექსტებს, ამ გამოცემაში მოთხრობის ძირითად წყაროდ 1900 წლის ავტორის გამოცემაა აღიარებული.

* შენიშვნა: ამ სიტყვის „აღვიარებ, ვაღვიარებ“ მართლწერის შესახებ აკაკის თავისი მოსაზრება ჰქონდა. იგი აქტიურად ჩაერთო XIX ს. 80-იან წლებში გამართულ გრამატიკულ პაექრობაში და პრინციპულად იცავდა „აღვიარებ“ ფორმას. როგორც ჩანს, სიცოცხლის ბოლოს მან აზრი შეიცვალა და ამ სიტყვის მეორე ფორმა „ვაღვიარებ“ (ასეთი სახით, **ჯ.გ.**) აირჩია. ესეც ერთი დასტურია იმისა, რომ მწერალი მონაწილეობდა ტექსტის გამოცემაში, რადგან **აკაკის** უნებურად, აღნიშნული სიტყვის შეცვლას ვერც ერთი გამომცემელი ვერ გაბედავდა!

ჩვენი აზრით, „ბაში-აჩუკის“ ყველა გამოცემა მეცნიერულად უნდა შევისწავლოთ. ვნახოთ, რა და რა ცვლილებანი განიცადა ტექსტმა გამოცემიდან გამოცემამდე (ვარიანტული სხვაობანი დაწვრილებითაა გადმოცემული აკაკის თხუთმეტომეულის VII ტომის შენიშვნებში. 127). ამჟამად, ჩვენს ხელთ არსებული მასალები სრულ საფუძველს გვაძლევენ ვალიართ, რომ 1913 წლის „ბაში-აჩუკის“ გამოცემას რედაქტირება გაუკეთა თავად ავტორმა. „გააშალაშინა“ და მხოლოდ ამის შემდეგ გადასცა იგი სოსიკო მერკვილაძეს გამოსაცემად **სამუდამო საკუთრების უფლებით!** ისიც მრავლისმეტყველი ფაქტია, რომ ნაწარმოები მწერლის სიცოცხლეში დაიბეჭდა, თანაც იმ გამომცემლის მიერ, რომელსაც ამგვარი ნდობა გამოუცხადა მწერალმა. ყოველივე ეს გვაძლევს საფუძველს, დავასკვნათ, რომ 1913 წელს „ბაში-აჩუკის“ გამოცემა აკაკის საბოლოო ნების გამოვლინებაა და ამიტომ მან მთავარი ადგილი უნდა დაიკავოს თხზულებათა ახალ აკადემიურ გამოცემაში.

ვფიქრობთ, განხილული მაგალითები სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ მკითხველმა თვალნათლივ წარმოიდგინოს სურათი იმ შემოქმედებითი მუშაობისა, რომელსაც აკაკი წერეთელი ეწეოდა არა მხოლოდ ნაწარმოების შექმნისას, არამედ ამ ქმნილებათა გამოცემისას. თითქმის ყოველი ნაწარმოები იცვლებოდა და იხვეწებოდა შემოქმედებითად გამოცემიდან გამოცემამდე. მართალია, თავად პოეტი გულდაწყვეტილი ამბობდა: „სახურთმოდვროდ არ მომიცლიაო“, მაგრამ ეს განცხადება, თავმდაბლობასთან ერთად, იმ უკმარისობის გრძნობის გამოსატულებაც იყო, რომელიც მუდამ თან სდევს ჭეშმარიტ შემოქმედს. აკაკი ხომ იმ ხურთმოდვართაგანი იყო, ჩუქურთმასავეთ ნაკვეთ ლექსში ერთ მრუდე ხაზსაც რომ ვერ აიტანდა, იმ მგოსანთაგანი იყო, ერთ ყალბ ნოტსაც რომ ვერ იგუებდა და ამიტომაც უბრუნდებოდა მრავალგზის თავის ნაწერებს და აშალაშინებდა, აჩუქურთმებდა ყოველ სტროფსა და სტრიქონს. სიტყვასა და ასოს. ეს ჩალხვა და სიტყვის „ხურთმოდვრება“ სიცოცხლის ბოლომდე არ მიუტოვებია პოეტს. ამის მშვენიერი დასტურია მისი

დიდებული პოემების, და მოთხრობის სოსიკო მერკვილაძისეული გამოცემები, რომლებიც შემოქმედებითად გადაამუშავა მსცოვანმა პოეტმა. აკაკიმ თავისი ჯადოსნური კაღლაში რჩეულ პოემას „გამზრდელსაც“ შეახო, რის შედეგადაც დახვეწილი, ჩამოქნილი და მუსიკალურად ამიტყველებული ნაწარმოები დაუტოვა შთამომავლობას.

ამრიგად, წარმოდგენილი მაგალითები, ვფიქრობთ, საკმარისად დამაჯერებელია იმისათვის, რომ ვალიართ აკაკის ნაწერების ს. მერკვილაძისეული გამოცემები არის ავტორიზებული წყაროები და ამავე დროს, ამ ნაწარმოებთა ბოლო ნაბეჭდი რედაქციები. ამდენად, ისინი გამოხატავენ პოეტის საბოლოო შემოქმედებით ნებას და აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალ აკადემიურ გამოცემაში ძირითად (კანონიკურ) ტექსტებად უნდა იქნეს მიჩნეული.

წიგნის შიგნითა „ცოდნა“-ს საკუთრება. № 71

ბაშვი-არშვი

(ისტორიული შოთხრობა)

თ. რ. ა. რ. ს. ა.

შანი იმისი შაშვი.



ბაშვი

ელექტრო-ბეჭ. სტამბა პ. ქარსელისძისა. ვაშაყვის შესაბ. № 1

1913

**§ 8 აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ აკადემიური
ტექსტის დადგენისათვის
(ლიტერატურულ-ტექსტოლოგიური ანალიზი)**

1913 წელს იოსებ მერკვილაძემ თბილისში გამოსცა აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელი“. ეს პატარა წიგნი მოიცავს 31 გვერდს. თან ერთვის აკაკის სურათი და ბიოგრაფია, სათაურით: „აკაკის ცხოვრება“. ბოლოში ასეთი განცხადებაა: „ჩვენ შევიძინეთ სამუდამო საკუთრებად ჩვენი მგოსნის აკაკი წერეთლისაგან მისი შემდეგი თხზულებანი: ისტორიული მოთხრობა „ბაში-აჩუკი“ და ისტორიული პოემები „ნათელა“, „კიკოლას ნაამბობი“ და „ბაგრატ დიდი“. ამისათვის საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ ზემოხსენებული წიგნები ჩვენ მიერ წერილობით ნებადართოვლად აღარავინ დაბეჭდოს, არც მთლიანად და არც მათი ნაწილი, თორემ იძულებული ვიქნებით, ჩვენი კანონიერი უფლება სრულად დავიცვათ, წიგნები ავკრძალოთ და ზარალი ვაზღვევინოთ: პატივისცემით წიგნის მაღაზია „ცოდნას“ მეპატრონე სოსიკო მერკვილაძე“.

პოემა „გამზრდელი“ აკაკის სიცოცხლეში ოთხჯერ გამოიცა: 1898 წელს ჯერ დაიბეჭდა „აკაკის კრებულის“ №10-ში, შემდეგ, იმავე წელს, გამოაქვეყნა მიტროფანე ლალიძემ (წერეთელი 1898). 1913 წელს პოემა კვლავ ორჯერ დაიბეჭდა: აკაკის „ჩემი ნაწერების“ მეორე წიგნში (წერეთელი 1913ა) და, როგორც აღვნიშნეთ, ცალკე წიგნად გამოსცა სოსიკო მერკვილაძემ (წერეთელი 1913გ).

სამწუხაროდ, პოემის ეს ბოლო, მერკვილაძისეული გამოცემა და საერთოდ, მის მიერ გამოცემული დასახელებული ნაწარმოებები მწერლის თხზულებათა თხუთმეტ-ტომეულის მიღმა დარჩა. შევეცდებით, დავასაბუთოთ, რომ „გამზრდელის“ აღნიშნული გამოცემა ამ პოემის ავტორიზებული ბოლო ნაბეჭდი წყაროა.

კვლევამ გვიჩვენა, რომ „ჩემი ნაწერების“ I (წერეთელი 1912) და II წიგნები (წერეთელი 1913ა) მართალია, 1912-13 წლებში გამოვიდა, მაგრამ ავტორს მასალები გაცილებით

ადრე ჰქონია მომზადებული და გადაცემულიც. კერძოდ, პოეტი ჯერ კიდევ 1910 წ. 2 მაისს წერდა ამის შესახებ პურნ. „თეატრსა და ცხოვრებაში“, რომ მზად ჰქონდა „კრებულისთვის“ მთელი წლის მასალა. როგორც ცნობილია, ეს გეგმა აკაკიმ შემდეგ შეცვალა და „კრებულის“ ნაცვლად „ჩემი ნაწერების“ გამოცემა გადაწყვიტა.

„გამზრდელი“ „ჩემი ნაწერების“ მეორე წიგნში ნაუცბათევად დაიბეჭდა. აღნიშნული წიგნი 1912 წელს უნდა გამოსულიყო, მაგრამ როგორც წინა თავში ვწერდით, ცენზურამ დააკავა იგი, ამოიღო იქიდან პოემა „ვორონცოვი“ და ნაკლული გვერდები პოეტის სხვა ნაწარმოებებით შეავსო, მათ შორის იყო „გამზრდელიც“. როგორც ჩანს, აკაკიმ ვერ მოასწრო, პოემის გადამუშავებული ტექსტი დაებეჭდა აღნიშნულ გამოცემაში (თუმცა მცირეოდენი გრამატიკული სწორებანი მაინც შეუტანია).

„ჩემი ნაწერების“ მეორე წიგნი 1913 წელს გამოვიდა. პოეტი, ალბათ, არ დააკმაყოფილა „გამზრდელის“ ამგვარი სახით დაბეჭდვამ და იმავე წელს შემოქმედებითად გადამუშავებული ტექსტი კვლავ გამოსაცემად გადასცა თავის მეგობარს სოსიკო მერკვილაძეს, რომელმაც მაშინვე შეასრულა დიდი მგოსნის სურვილი.

„სახუროთმოძღვროთ არ მომიცლია, თვარა ჩემ ნაწერებს ხელათ კი არ გამოვხანხლამდი, უფრო მეტ დროს მოვანხარებდი, გავაშალაშინებდი, თითო წამის მაგიერ წელიწადებს მოვანდომებდი და მაშინ სახელიც მეტი მექნებოდაო“ (წერეთელი 1961ა: 235) – წერდა ერთგან გულის-ტკივილით აკაკი. „აკაკი, როგორც ბგერათა კეთილხმოვნების ოსტატი შეგნებულად ერეოდა თავისი ადრინდელი ნაწერების ტექსტში. ეს ჩარევა არსებითად 80-იანი წლებიდან დაიწყო. 80-90-იან წლებში აკაკის ალიტერაციული ხელოვნება განვითარების ზენიტს აღწევს“ (ხინთიბიძე 1972: 204).

აკაკი კვლავ მიუბრუნდა თავის რჩეულ პოემა „გამზრდელსაც“ და შედეგად მუსიკალურად დახვეწილი ნაწარმოები დაუტოვა შთამომავლობას.

თანმიმდევრობით ენახოთ ყველა ის ცვლილება, რომლებმაც პოემის იდეურსა და პოეტურ სრულყოფას შეუწყო ხელი.

წინა გამოცემებში იყო:
„მაშინ ფაცხა უბრალობით
მომხიბლავათ ლამაზია“

**1913 წ.ს.მერკვილაძის
გამოცემაშია:**
„მაშინ ფაცხა სიმარტივით
მომხიბლავად ლამაზია“. (გვ.10)

როგორც ვხედავთ, „უბრალოება“ – „სიმარტივით“ არის შეცვლილი. ეს ცვლილება სტროფის კეთილხმოვნებისთვის დასჭირდა ავტორს. ამ ეფეონიას კი სტროფში „მ“ ბგერის ალიტერაცია ქმნის.

იმავე დროს, ამ ცვლილებით „სიმარტივე“, ანუ „მარტივი ცხოვრება“ – „რთულ ცხოვრებას“ დაუპირისპირა პოეტმა.

ამ სიმარტივეში, „მთის მწვერვალზე, ცის მახლობლად“, მერცხლის ბუდესავით მიწნულ ფაცხას:

„გზა მოუძღვის საცალფეხო
მიხვეული, მოხვეული,
მასზე გამფლელს უნდა ქონდეს,
მარჯვე თვალი, მტკიცე გული“.

(იყო წინა გამოცემებში).

სიტყვაში „მოუძღვის“ აქეთა მიმართულების ზმნისწინის შეცვლამ იქეთა მიმართულების „მი“ ზმნისწინით, აზრიც გამართა: „გზა მიუძღვის“ და თანაც სტროფში „მ“ ბგერის ალიტერაციასთან ერთად, ანაფორული რითმაც გამოაჩინა.

ერთი შეხედვით, თითქოს ალოგიკური ნათქვამია: კაცი, რომელიც ასეთ პირობებში ცხოვრობს, ვეჭვობთ, „რთული ცხოვრების“ უარმყოფელი იყოს. ბათუ იმ ცხოვრების უარმყოფელია, „სოფლის ამოებას“ რომ უწოდებენ წმინდა მამები, მათ სძაგდათ არა თვით სოფელი, ღვთის მიერ კეთილად ქმნილი, არამედ ამოებანი ამა სოფლისანი. აი ამას განერიდა ბათუ, ანუ შედგა სიწ-

მინდის გზაზე, პირველხატთან მიახლოების გზაზე, რომელიც მას სრულყოფდა“ (მეტრეველი 1994: 77).

ამგვარი ცხოვრების სანაცვლოდ ბათუ ბედმა „განასხვავა ვით რჩეული!“ და „სიყვარულსა მის მონაშუქს მოაშუქა სიყვარული“ (იყო წინა გამოცემებში).

ავტორმა აქაც შეცვალა ზმნისწინი „მო“-„მი“-დ და აზრი გამართა:

„სიყვარულსა მის მინაშუქს
მოაშუქა სიყვარული“. (გვ.11)

თავსხმა წვიმაში გამოჩნდება უცნობი, რომელიც მას-პინძელს ეძახის:

„გამომხედეთ!...ვინ ხართ შინა?
სტუმარი ღვთის, კარზე ვდგევარ“. (გვ.14)

პოემის წინა გამოცემებში ამ სტრიქონში სასვენი ნიშანი არ იყო, ბოლო გამოცემაში კი ამ ნიშნით პოეტმა ცალკე გამოყო მსაზღვრელ-საზღვრული და ხაზი გაუსვა, რომ „სტუმარი ღვთისაა“, დგას მასპინძლის კარზე და მას სათანადო დახვედრა უნდა; ამიტომ ბათუმაც:

„შეუკიდა ცეცხლს და უცბად (იყო – უცბათ)
გამოაღო ფაცხის კარი“. (გვ. 14)

ვითარებით ბრუნვის ნიშნის შეცვლით ავტორმა ბგერათა განმეორებით სტრიქონი კეთილხმოვანი გახადა. ასეა ამ სტრიქონშიც:

„გავიდა და შემოუძღვა
ფეხებამდე დასველებულს
მიიყვანა ცეცხლის პირად“ (იყო პირათ).
უდგამს სამ-ფეხ სკამს დაღალულს“. (გვ.14)

ახლა ვნახოთ, როგორ გამოამღავენებს თავის ვინაობას იმ დელგემაში მოსული სტუმარი:

„ხმას არ იღებს ჯერ სტუმარი,
ნაბღის თასშებს ნელა იხსნის,
თავ-პირი აქვს **შებუნული**
ყაბალახით და იცინის“ (ასეა წინა გამოცემებში).

იოსებ მერკვილაძისეულ 1913 წლის გამოცემაში პოემის ტექსტში ეს სტროფი ამგვარად იკითხება:

„თავ-პირი აქვს **შებურვილი**
ჩაბალახით და იცინის“. (გვ.14)

როგორც ვხედავთ, პოეტს ჯერ დაუწერია „შებუნული“, რაც გმირის გარეგნულ იერ-სახეს ახასიათებს და თანაც მთელ სტროფში „ნ“ ბგერის ალიტერაციასაც ქმნის. პოემის ბოლო ვარიანტში აკაკის „შებუნული“ შეგნებულად შეუცვლია სიტყვით – „**შებურვილი**“.

„**შებუნული**“ – უწესრიგოდ შეხვეულს ნიშნავს. **შებურვილი** – დაფარულს, ანუ იმას, რაც ბურუსითაა მოცული. გარდა იმისა, რომ აკაკის დიალექტიზმი სალიტერატურო ფორმით შეუცვლია, ალბათ, ამავე დროს, სურს, მიგვანიშნოს, რომ საფარ-ბეგის პიროვნება შეფარულია, ბურუსითაა მოცული, რაც მალევე გამოვლინდება. იგი ძმად მივიდა ძმასთან, მაგრამ... ვფიქრობთ, კონკრეტულ შემთხვევაში სიტყვის ცვლილებას გარკვეული აზრობრივ-ფსიქოლოგიური დატვირთვა აქვს:

აკაკის შემდეგი სტრიქონები

ასე გადაუკეთებია:

„და **ბაშლიყი** რომ გადიდრო
მოტრიალდა უკან ჩქარა“.

„**ჩაბალახი** რომ გადიდრო
მოტრიალდა უკან ჩქარა“.

(გვ.14)

ადრეულ გამოცემებში ნახმარი დიალექტიზმი „ბაშლიყი“, პოეტს შეუცვლია „ჩაბალახით“, რომელიც დღეს ასევე დიალექტიზმია. მისი ლიტერატურული ფორმა კი არის „ყაბალახი“. იმ დროისთვის ამ სიტყვის ნორმა ჯერ კიდევ არ იყო დადგენილი, თუმცა ამ ფორმასაც, „ყაბალახი“, ხმარობს იგი ერთგან. ბოლო ცვლილებამ კი სტრიქონში „ჩ“ თანხმოვნის ალიტერაციას შეუწყო ხელი.

საფარ-ბეგი – ბათუს ძიძიშვილი, „სავაჟკაცოდ გამო-
სული“, იმ მხარეში ქებული კაცის ჰაჯი-უსუბის გაზრ-
დილი, უკვე ცოდვის გზაზე შემდგარი მიდის „მცირედი-
თაც კმაყოფილ“ ძიძიშვილთან და მასაც თავისი ბნელი
განზრახვის, ცოდვის თანაზიარად აქცევს.

„აღმასხიბს ხომ კარგად იცნობ,
თავმომწონე ინალიფას
იმის ცხენს და მის იარაღს
ვერვინ დასდებს ღირებულ ფასს“. (გვ. 16)

სიტყვა „ღირებულ“ რამდენჯერმე შეცვალა პოეტმა.
ჯერ დაუწერია „**ღიდებულ ფასს**“, „კრებულში“ გადაა-
კეთა ასე „**ღირებულ**“- ხოლო „ჩემი ნაწერების“ 1913 წ.
გამოცემაში ისევ პირვანდელი ვარიანტი „ღიდებულ“ აღუ-
დგენია. ალბათ, „ღ“ – ბგერის ალიტერაციას ვერ ელეო-
და პოეტი. ბოლო გამოცემაში კი ავტორმა საბოლოოდ
გაასწორა ის აზრობრივი შეუსაბამობა, რომელსაც სიტყ-
ვის არასწორი ხმარება იწვევდა და იგი ასე შეცვალა:
„**ვერ ვინ დასდებს ღირებულ ფასს**“ – ამით აზრიც გაი-
მართა და ისიც გამოჩნდა, როგორ დიდ შეფასებას აძ-
ლევს საფარ-ბეგი მეტოქის ვაჟკაცობის საზომს-ცხენსა
და იარაღს. აღნიშნული სტრიქონი სრულიად სხვაგვარად
იკითხება აკ. წერეთლის თხზულებათა თხუთმეტტომეუ-
ლის V ტომში:

„ვერვინ დასდებს **ღირსეულ** ფასს“. (გვ. 238)

როგორც ჩანს, ტომის რედაქტორს საჭიროდ მიუჩნევია
ამ შეცდომის გასწორება, მაგრამ მხედველობიდან გამორ-
ჩენია პოემის ის ორი გამოცემა („კრებულში“, 1898, №10 და
ს. მერკვილაძისეული 1913 წლის), რომლებშიც თავად ავ-
ტორს შეუცვლია დასახელებული სიტყვა.

აი, ასეთი ვაკაცის დაჯახბნა დაუვალებია მიჯნურს
საფარ-ბეგისათვის, რომელიც ეუბნება ბათუს:

„მე მინდა, რომ აღმასხიბის
ლურჯა-ლაფშა მოვიპარო“. (გვ. 18)

ეს სტრიქონი სხვა გამოცემების მიხედვით ასე იკითხება: „**ლურჯი ლაფშა** მოვიპარო“ ლურჯი – ზედსართავი სახელია და ამ შემთხვევაში ცხენის ფერს უჩვენებს. „ლურჯა“ – წარმოქმნილი, „ა“ მაწარმოებლიანი ყოლა – ქონების ზედსართავი სახელია. „ლურჯას“ ეძახიან ლურჯ ცხენს, პირველი ვარიანტით გამოდიოდა, მინდა ლურჯი ცხენი მოვიპარო, რაც მხოლოდ ფერს აღნიშნავდა, ბოლო ვარიანტის მიხედვით, „ლურჯა“ მერანის მნიშვნელობით ლაფშას ეპითეტია და აზრს უფრო აძლიერებს. ამავე დროს, „ა“ ბგერის შეცვლით პოეტმა სტროფში ასონანსიც შემოიტანა.

როგორ ხვდება ბათუ ძიძიშვილის ასეთ განზრახვას?

„მოუსმინა ძიძიშვილმა
 ყველა კარგად გაიგონა,
 მაგრამ საქმემ უაუღმართმა
 შეაწუხა, დააღონა.
 უთხრა ვწუხვარ, რომ ეგ საქმე
 უკადრისი გიკისრია,
 მაგრამ, რადგან სიყვარულის
 ტკბილი სენი შენც შეგყრია“. (გვ. 18)

ბათუ შეწუხებულია ძმადნაფიცის ამ უზნეო გადაწყვეტილებით, თუმცა თავად საფარ-ბეგეც მშვენივრად გრძნობს ამ განზრახვის უკეთურობას და დარცხვენილი ამბობს:

იყო:

„სხვა გზა არ მაქვს, მოპარვაა
 მხოლოდ ერთად ერთი ღონე მხოლოთ – ერთათ ერთი
 თუმც კი სხვა დროს არ
 იკადრებს
 ამას კაცი თავ-მომწონე“.
 (გვ. 18)

აქაც „დ“-ს ალიტერაციაა.

და ბათუ საფარბეგის ცოდვის თანაზიარი ხდება:

„ეს შენც იცი, არ ხარ ქვეყნის
უცადი და უმეცარი,
სავაჟაკოთ გამოსული
უღრეკი და უშიშარი“.
(„ჩემი ნაწერები“, 1913, გვ. 24)

აკაკის ეს სტროფი 1913 წლის ს. მერკვილაძისეულ გამოცემაში ასე შეუცვლია:

„ეს შენც იცი, არ ხარ ქვეყნის
უცადი და უმეცარი,
სავაჟაკოდ გამოსულხარ
უღრეკი და უშიშარი“ (გვ. 19)

ვნახოთ, ამ ცვლილებით რამდენი რამ შეათანხმა პოეტმა:

1. „ხარ II, 0-პირის ზმნას შეუფარდა შედგენილი შემასმენლის „გამოსულხარ“ ფორმა.

2. სიტყვაში „სავაჟაკოდ“ – შეცვალა ბგერა **ჟ** – **შ** და ვით. ბრ. ნიშანი **თ** – **დ**. ამ ბგერათა ცვლილებით საოცარი ალიტერაცია მიიღო.

ეს ის შემთხვევაა, როცა: „ალიტერირებულ სტროფებში განსაკუთრებით საინტერესოა ტაქტთა ურთიერთგანსხვავებული ჟღერადობა, რაც ეგფონიას პოლიფონიურ იერს აძლევს. ნაცვლად ერთისა, სტროფში ორი ან რამდენიმე თანხმოვანი მოძრაობს: ერთი ერთ ტაქტში ქმნის ალიტერაციას, მეორე-მეორეში. ტაქტები მოსაზღვრეა და ხმოვნების ერთ სახეს მეორე ცვლის“ (ხინთიბიძე 1972: 188). ვიზუალურადაც ბგერათა თაიგულს მოგვაგონებს ეს სტროფი.

საფარ-ბეგმა უფრო დიდ ცოდვაში ჩადგა ფეხი. გატეხა ის, „რაც ქვეყნას მიაჩნია რჯულზე უფრო უმტკიცესად“, – ღირსება, ძმობის სიწმინდე და ოჯახი გაუბახა ბათუს, რომელსაც:

„ზარმა დაპკრა, ელდა ეცა!..
და რომ კრინტიც არ დაუძრავს,
იქვე უხმოდ ჩაიკეცა“ (გვ.22) – იყო „უხმოთ“.

ადრინდელ გამოცემებში ვითარებით ბრუნვის ნიშანი „თ“ აშკარად არღვევდა ალიტერაციას. პოეტმაც უმაღ იგრძნო ეს დისონანსი და ბოლო გამოცემაში უკვე შეცვალა ეს ნიშანი.

ბათუ კარგა ხანს იყო გაოგნებული, ბოლოს, გონს მოეგო, გააცნობიერა მომხდარი და მიხვდა, რომ თავს დატეხილი უბედურება „ღვთის რისხვა“ იყო, რომელიც ჩადენილი ცოდვის საზღაურად მიეგო. ამიტომაც ასე ანუგეშა მეუღლე:

„ყოველგვარი მოსავალი
კაცის თავზე უნებური,
ღვთის რისხვაა, ტყუილად ბედს
რას უჩივი, რას ემღერი?“

ბათუმ გაიაზრა, რომ ღვთის რისხვა დაატყდა თავს. რისხვას კი ღმერთი ცოდვილთ მოუვლენს ხოლმე. მაინც რა შესცოდა ბათუმ?

როგორც პოეტი გადმოგვცემს, თავდაპირველად ბათუმ უარყო „რთული ცხოვრება“, „ამაოებანი ამა სოფლისანი“ და დაკმაყოფილდა აუცილებლით, ანუ „მცირედითაც კმაყოფილი“ იყო. სანაცვლოდ ბუნებამაც „განასხვავა ვით რჩეული“ და „ღვთის წყალობა“ არ მოაკლო. ამქვეყნიური ნეტარება – ჭეშმარიტი სიყვარულით დაუგვირგვინა. ამდენად, ბათუმ უკვე გამოსცადა „ღვთის წყალობა“, მაგრამ რაღაც მომენტში, მან საფარბეგს დაუთმო და დანაშაულიც მოხდა! სანაცვლოდ კი „ღვთის რისხვა“ დაატყდა თავზე. საკუთარმა ძიძისშვილმა სიწმინდე შეუბღალა, ოჯახი და ღირსება გაუბახა. მანამდე ბათუ საფარ-ბეგს არწმუნებდა: „სხვადასხვაა ღვთის წყალობა და ღვთის რისხვაო“, ახლა საკუთარ თავზე გამოსცადა ორივე. მიტომაც ამბობს: „ღვთის რისხვაა და ტყუილად ბედს სამდურავს ნუ ეუბნებო“.

ბათუმ გააცნობიერა თავსდატეხილი უბედურების მიზეზი და მიხვდა, რომ ღვთის რისხვას მრისხანებასა და შურისძიებას ვერ დაუპირისპირებდა, დაკარგული „ღვთის წყალობა“ მხოლოდ მიტევებითა და შენდობით შეიძლება

მოიპოვოს და ამიტომაც, ჯერ ამ ცოდვათა უდანაშაულო მსხვერპლს – ნაზიბროლას – ანუგეშებს: რაც გინახავს, დაივიწყე, სიზმარია, მე და შენი სიყვარული ისე წმინდა არის, ვით ლამპარიო, მერე იმასაც მიუტყეებს, ვინც გატეხა ის, „რაც ქვეყანას მიაჩნია რჯულზე უფრო უმტკიცესად“ და ეუბნება:

„წადი ჩემგან შენდობილი
მავრამ შორს კი... და მშვიდობით!“.

ამ მიტევებით ბათუმ უდიდესი შენდობის აქტი აღასრულა და ახალი ცოდვაც აირიდა თავიდან.

საინტერესოა ის ცვლილება, რომელიც განიცადა შემდეგმა სიტყვამ:

იყო:	შეცვალა:
„ღვთის რისხვაა და ტყვილათ ბედს რას უჩივი, რას ემდურის“	„ღვთის რისხვაა, ტყვილად ბედს რას უჩივი, რას ემდურის?“

ამ ცვლილებით აკაკიმ სტროფში „უ“ ხმოვანი გააძლიერა და ასონანსური რითმა შექმნა. იმავე დროს, ვით.ბრ. ნიშანი „თ“¹“დ“ შეცვლით „დ“ თანხმოვნის ალიტერაციაც გამოიკვეთა; სტროფის კეთილხმოვანებისათვის აკაკი საკუთარი სტილისთვის ერთობ ნიშანდობლივი სიტყვების („ტყვილა“, „თვარა“) შეცვლასაც არ ერიდებოდა. აი, კიდევ ერთი მაგალითი:

იყო:	შეცვალა:
„გაიფიქრა: მადლობა ღმერთს! არაფერი შეუტყვია, თვარა გულ-მკერდს გამიხვრეტდა ხანჯლის წვერი და ან ტყვია!“	„გაიფიქრა: მადლობა ღმერთს! არაფერი შეუტყვია, თორემ გულ-მკერდს გამიხვრეტდა ხანჯლის წვერი და ან ტყვია!“

აქაც „მ“ და „ტ.ვ“ თანხმოვნები მონაცვლეობენ სტრიქონებში და ბგერათა მუსიკალურ ხმოვანებას ქმნიან!

ბათუს ამგვარი გადაწყვეტილება – შენდობა და არა შურისძიება – მის სარწმუნოებრივ მრწამსზედაც მიუთითებს. იგი შეუნიდობს, ოღონდ აგზავნის იმ მოძღვართან, „ვინც შვილივით გამოზარდა“ და პასუხს მისგან მოეღის:

„მაგრამ ერთს კი დაგაფალებ,
ამისრულე უეჭველად:
რომ მიხვიდე ყაბარდოში,
იცოდე, რომ სულ პირველად“. (გვ.27)

ეს სტროფი გამორჩენილია 1913 წლის „ჩემი ნაწერების“ მეორე წიგნში. აკაკიმ სხვა ცვლილებასთან ერთად ეს ხარვეზიც გაასწორა „გამზრდელის“ ს. მერკვილაძისეულ გამოცემაში.

ჭაჭი-უსუბი პოემის ადრინდელ გამოცემებში ასეა დახასიათებული:

„ჯერ ისევე ჭანმაკია,
თუმც არ არის კი მცირე ხნის“.

პოემის ბოლო გამოცემაში სიტყვა „ჭანმაკი“ შეცვლილა მისი სწორი სალიტერატურო ფორმით – „ჭარმაგი“, რაც ხანშიშესულ, ვაჟკაცური იერის მქონე მამაკაცს ნიშნავს. ამავე დროს ეს ცვლილება სტროფში „რ“ ბგერის ალიტერაციასაც ქმნის:

„ჯერ ისევე ჭარმაგია,
თუმც არ არის კი მცირე ხნის“. (გვ. 29)

აი, ამ უსუბთან მიდის საფარ-ბეგი:

„მორდუობის“ გამტეხი და
ჩვეულების **გადამდები**“. (გვ. 30)

ამ ორ სტრიქონში ორი ცვლილება შეუტანია პოეტს. სიტყვა „მორდუობის“ ჩაუსვამს ბრჭყალებში, რითაც მიანიშნა, რომ ეს არის კონკრეტული ადათის აღმნიშვნელი სახელი. ამაზე აკაკი საგანგებოდ მსჯელობს „ჩემ თავგადასავალში“. ბოლო სტრიქონში კი სიტყვა „გადამდები“

შეცვალა ასე: „გადამგდები“, რაც რისამე უარყოფას გულისხმობს. ამ ცვლილებით თითქოს კიდევ უფრო დაამძიმა საფარ-ბეგის დანაშაული, რის გამოც ამდენ ადამიანს დაატყდა ღვთის რისხვა თავზე.

ასეთია, ძირითადად, ის ცვლილებანი, რომლებიც აკაკის შეუტანია პოემის ბოლო ნაბეჭდ ტექსტში. თუმცა ამის გვერდით არის ძალიან ბევრი მაგალითი ვითარებითი ბრუნვის ნიშნის „თ“ „დ“ გადაკეთებისა, რაც სტროფში ალიტერაციისთვისაა გამიზნული. ასეთი შემთხვევა იმდენად ხშირია, რომ ჩნდება ეჭვი, აკაკიმ ამ ნიშნის უნიფიცირება ხომ არ დაიწყო, ეს ერთი შეხედვით. მაგრამ საკმარისია, დავაკვირდეთ, თითოეულ შემთხვევას, რომ დავრწმუნდეთ, ბეგის შეცვლა სტროფში რითმის დასამაგრებლად ან ალიტერაცია-ასონანსის გასაძლიერებლად ესაჭიროება ავტორს.

ეს რომ ასეა, ორიოდ მაგალითს მოვიხმობთ მხოლოდ:

„მაგრამ დახეთ, ვიღაც მგზავრი
სტუმრად მოდგა აფხაზის კარს“.
(გვ.13)

იყო: სტუმრათ“

„მოიყვანა, დააბა და
შინ შევიდა წყნარად ფრთხილად
გრძელ ნაბადში გამოხვეულს
სტუმარს სძინავს იქვე თბილად“.
(გვ.21)

იყო: წყნარათ,
ფრთხილათ, თბილათ

საპირისპირო ნიმუშსაც დავიმოწმებთ, როცა აკაკი უცვლელად ტოვებს ვითარებითი ბრუნვის ნიშანს და ამით არ არღვევს სტროფში არსებულ ალიტერაციას:

„ელფერობით ვარდი არის,
სინაზით კი მორცხვი ია...
ტრფობისათვის ჯერ პირველათ“.
(გვ.12)

ბუნებრივია, პოეტს ვით. ბრუნვის ნიშანი „თ“, სიტყვაში „პირველათ“, საგანგებოდ დაუტოვებია უცვლელად.

აკაკი ალიტერაციის მიზნით ასევე წარმატებით მოიხმარს მიც.ბრუნვის ნიშანსაც: მსაზღვრელ საზღვრულში; მაგ.:

„ლურჯს ბედაურს მოაგეღვებს
მეგობრისთვის მეგობარი“. (გვ.21)

სტროფში კეთილხმოვანებას „ს“ თანხმოვნის განმეორება ქმნის, რაც ადრეულ გამოცემაში არ იყო.

პოემის ერთ სტროფში აკაკის ადგილის ზმნიზედა შეუცვლია ქვემდებარით, რომელიც მესამე სუბიექტური პირის ნიშნითაა წარმოდგენილი და რითაც ავტორი აქცენტს აკეთებს მასზე, ანუ სუბიექტზე, როგორც მთავარ მოქმედ გმირზე. იმავე დროს „ს“ ბგერის ალიტერაციასაც აძლიერებს.

იყო:

„სასოებით შედის ქვაბში
და რას ხედავს **იქ**
საკვირველს!“

შეცვალა:

„სასოებით შედის ქვაბში
რას ხედავს **ის** საკვირველს!“
(გვ.22)

გრამატიკულ ცვლილებათაგან აღსანიშნავია კუთვნილებითი ნაცვალსახელის სწორი ფორმით წარმოდგენა შემდეგ სტრიქონებში:

იყო:

„და მერე კი გააღვიძა
შიგნით მწოლი **მისი** ცოლი“
„აგდებს **მის** მსხვერპლს
განსაცდელში“
„ინალიფა **მის** ბედაურს“
„მერე უთხრა **მის** ძიძიშვილს“

შეცვალა:

„და მერე კი გააღვიძა
„შიგნით მწოლი **თვისი** ცოლი“
აგდებს **თვისს** მსხვერპლს
განსაცდელში“
ინალიფა **თვისს** ბედაურს
მერე უთხრა **თვისს**
ძიძიშვილს“

აკაკიმ ამ ცვლილებით სწორი გრამატიკული ფორმაც აღადგინა ნაცვალსახელისა და „ს“ ბგერის ალიტერაციაც გაამკვეთრა.

საგულისხმოა, აგრეთვე, პოემაში შეტანილი პუნქტუაციური სახის ცვლილებანი. რომელთაც ასევე მიზანმიმართულად იყენებს ავტორი.

იყო:	შეცვალა:
„როდესაც მთა ბარს და ვაკეს“.	„როდესაც მთა, ბარს და ვაკეს“ (გვ. 9)

პოეტმა მძიმით გამოყო ერთმანეთისაგან ქვემდებარე და დამატება, რაც გრამატიკულად არასწორია, მაგრამ ვფიქრობთ, ამ სასვენი ნიშნით აკაკიმ მათი კომპოზიტად (მთა-ბარს) გაგების შესაძლებლობა გამორიცხა. ასევე უკვე დამოწმებული მაგალითი:

„სტუმარი ღვთის, კარზე ვღაკეარ“ (გვ.14)

ადრე გამოცემაში ეს მძიმე არ იყო.

ამრიგად, აკაკი წერეთელს ტექსტში მეტად საგულისხმო ცვლილებანი შეუტანია, რომელთა ნაწილი პოემის ზოგიერთი ადგილის განსხვავებულად წაკითხვის საშუალებას იძლევა (მაგ: უბრალობით – სიმარტივით, შებუღნული – შებურვილი, გადამდეგი – გადამგდები, ღვთის რისხვაა, ტყუილად ბედს) .

ვფიქრობთ, წარმოდგენილი მაგალითები სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ დაერწმუნდეთ, 1913 წლის იოსებ მერკვილაძის მიერ გამოცემული პოემა „გამზრდელი“ არის ავტორიზებული ტექსტი. მასში შეტანილი სხვადასხვა სახის ცვლილებანი მნიშვნელოვანია, როგორც ცალკეული პასაჟის გაგებისათვის, ასევე ლექსის კეთილხმოვნებისა და რითმის დახვეწის თვალსაზრისით. ცხადია, ყველა ეს სწორება ავტორისეულია, როგორც დაერწმუნდით, აღნიშნული გამოცემა არის პოემის ბოლო ნაბეჭდი წაყრო და მას პოეტის თხზულებათა ახალ აკადემიურ გამოცემაში ძირითადი ადგილი უნდა მივაკუთვნოთ.

წიგნის შუამდგომლობა „თმობა“-ს გამოცემა № 70

გამზრდელი

3 ოცმა
ა კ ა კ ი ს ა

უანი ორი შუამდგომლობა



ბუილისი
შუამდგომლობა. ბ. ჭყვილიძის, ვახ. შუამდგომლობა, № 1
1913

§ 9 „გამზრდელის“ ფოლკლორული წყაროების შესახებ

ლიტერატურათმცოდნეობაში პოემა „გამზრდელის“ ფოლკლორული წყაროების შესახებ გამოთქმულია რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება. როგორც პროფ. ოთარ ჭურდულია წერს: „ქართველმა ფოლკლორისტებმა და მკვლევარებმა საკმაოდ დიდი სამუშაოები ჩაატარეს ამ პოემის შემოქმედებითი წყაროების ძიების მიზნით, მაგრამ რაიმე გადაჭრილ შედეგს ვერ მიაღწიეს“ (ჭურდულია 1961: 70).

აღნიშნულ საკითხს საგანგებოდ განიხილავს პროფ. მიხეილ ჩიქოვანი: „ჩვენ ამჟამად „გამზრდელის“ შემოქმედებითი წყაროები გვაინტერესებს. ხომ არა აქვს ამ პოემას კავშირი ხალხურ სიტყვიერებასთან? კითხვის ასე დაყენების საბაბს თვითონ აკაკი წერეთელი გვაძლევს, რადგან დასაწყისშივე განმარტებას იძლევა სათაურის ქვეშ: ნამდვილი ამბავიაო. ასეთი მითითება იმას მოწმობს, რომ ავტორის განკარგულებაში არის უტყუარი ამბავი ან გადმოცემა მომხდარი ფაქტის შესახებ. „გამზრდელში“ აღწერილი შემთხვევის სინამდვილეზე რაიმე ისტორიული ცნობა არ მოგვეპოვება. ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის ამჟამად იგი უცნობია და ამდენად მასზე მსჯელობაც არ შეგვიძლია. მაგრამ არის მეორე ანგარიშგასაწვევი გარემოება. აქ მხედველობაში გვაქვს ერთი აჭარული ზეპირი გადმოცემა, რომელიც დოც. ჯ.ნოდარდელმა ჩაწერა 1939 წელს ხულოს რაიონის სოფელ ქედლებში, 55 წლის ადამიანი ჩოგაძის თქმით. თქმულება „ვინ არის დამნაშავე“ ძალიან ჰგავს „გამზრდელის“ სიუჟეტს (ჩიქოვანი 1958: 57), იქვე მ. ჩიქოვანი გამოყოფს იმ მსგავსებებს, რომლებიც არსებობს პოემასა და ხალხურ გადმოცემას შორის, საბოლოოდ – კი ასეთ დასკვნამდე მიდის: „აჭარული ხალხური გადმოცემა შინაარსობრივად აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ სრული შესატყვისი მოთხრობაა, აქედან გამომდინარე ბუნებრივად ისმის კითხვა: ზემოთმოყვანილი მოთხრობა აკაკის ნაწარმოების პროტოტიპია, თუ

თვითონ „გამზრდელის“ საფუძველზე აღმოცენდა იგი?“ (ჩიქოვანი 1958: 62). სათანადო მასალისა და არგუმენტების უქონლობის გამო ამ კითხვაზე პასუხი გაუცემელი დარჩა. როგორც მკვლევარი ბრძანებდა: „პრობლემა დამატებით კვლევა-ძიებას მოითხოვს. თუმცა აკაკი წერეთლის ქვესათაურული მითითება საკითხის გადაწყვეტას გარკვეულ მიმართულებას აძლევს“ (ჩიქოვანი 1958: 62).

არსებობს მეორე მოსაზრებაც, პროფ. ოთარ ჭურდულის თანახმად, აფხაზი მწერლის მიხეილ ლაკერბაის ნოველა „არღუნ სეიდიჟ“ შინაარსით მთლიანად მოგვაგონებს აკაკი წერეთლის „გამზრდელს“. სიუჟეტური ქარგა და მოქმედ პირთა რაოდენობა თითქმის ერთნაირია. მ.ლაკერბაის მოთხრობაში შეცვლილია მხოლოდ გმირთა სახელები. „გამზრდელში“ მოქმედება მიმდინარეობს აფხაზეთსა და ყაბარდოში (ჩერქეზეთში), ჰაჯი-უსუბი ყაბარდოელია, ხოლო მ. ლაკერბაის ნოველის მიხედვით კონკრეტულად არ არის მითითებული მოქმედების ადგილი, მაგრამ იგრძნობა, რომ აფხაზ გმირთა სარბიელი მათი სამშობლოა“ (ჭურდულია 1961: 73).

მ.ლაკერბაის აღნიშნული ნოველა თითქმის სიტყვა-სიტყვით ჩაუწერია 100 წელს გადაცილებული ჯირხველი (გუდაუთის რ-ნი) ჰასან პაღბასაგან.

„ჩვენი მგონის მითითება იმ გარემოებაზე, რომ პოემა „გამზრდელში“ ნამდვილი ამბავია ასახული და ისიც აფხაზეთის ცხოვრებიდან, საეჭვო არ უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, აჭარულ ხალხურ თქმულებაზე უფრო საიმედოდ და ტექსტთან ახლოს აფხაზური ხალხური ნოველა ჩანს. ამას ამაგრებს აკაკის ქვესათაურიც“ (ჭურდულია 1961: 74) – წერს მკვლევარი. შემდეგ გამოთქვამს ამგვარ მოსაზრებას, რომ შესაძლოა, აფხაზურ ფოლკლორში არსებულ ნოველას თვით „გამზრდელი“ დაედო საფუძვლად. რადგან ეს პოემა დიმიტრი გუდიას უთარგმნია აფხაზურად 1919 წელს და შემდეგაც ორგზის (1923 წ. და 1936 წ.) გამოქვეყნებულა.

„მაინც სად შეეძლო გაეგო აკაკის თქმულება „გამზრდელის“ ფაბულაზე?“ – კითხულობს ოთარ ჭურდულია.

გაეიხსენოთ თუნდაც ცნობილი პოეტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე გ.შერვაშიძე. გიორგი და აკაკი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს თბილისსა თუ ქუთაისში „სრულიად ადვილი დასაშვებია, რომ გ.შერვაშიძეს ეს გაეგონოს თავის ბავშვობის, ჭაბუკობისა თუ ჭარმაგობის პერიოდში და ეთქვას თავისი სულიერი მეგობრისათვის – აკაკისათვის.“ „ყოველ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით ორი აზრი დაუპირისპირდა ერთმანეთს აკ.წერეთლის „გამზრდელის“ ხალხური წყაროების შესახებ. პირველი ემხრობა აჭარულ ხალხურ თქმულებას „ვინ არის დამნაშავე?“, ხოლო მეორე – აფხაზურ თქმულებას, რომელიც დაკავშირებულია „არღუნ სეიდიყთან“ (ჭურღულია 1961: 75).

„დღეს დღეობით სხვა ცნობა ან ვარაუდი იმის თაობაზე, თუ სად გაიგონა ან ამოიკითხა აკაკიმ ეს მნიშვნელოვანი ამბავი, რომელიც „გამზრდელს“ დაედო საფუძვლად, არ გაგვაჩნია“ (გულდამაშვილი 1998: 36) – წერს ეთ. გულდამაშვილი.

არსებული საკითხის შესწავლისათვის მეტად საგულისხმოა ერთი მოგონება, რომლის ავტორია მიტროფანე ლალიძე, ცნობილი მეწარმე და მეცენატი, აკაკის დიდი თაყვანისმცემელი, მისი ნაწერების გამომცემელი. მოგონება ინახება საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში, გამოქვეყნებულია წიგნში „მოგონებები აკაკიზე“ (ბარამიძე... 1990: 284)

მიტროფანე ლალიძე გადმოგვცემს, თუ როგორ მოისმინა მან სოსიკო მერკვილაძის ძმის ოჯახში პირველად აკაკისაგან ახლად დაწერილი პოემა „ნათელა“, როგორ გამოსთხოვა პოეტს მისი დაბეჭდვის ნება, რაც მიიღო კიდევც.* მიტროფანე ლალიძე განაგრძობს: „შემდეგ გამოვეცი „თამარ მეფე“, „გამზრდელი“. **გამზრდელის ამბავი აკაკის უამბო ჯანსუღ დადემქელიანმა. ეს ნამდვილი ამბავია**“ (ხაზი ჩვენია, ჯ.გ.)

ამგვარად, დღემდე არსებულ ცნობებს აკაკის „გამზრდელის“ სიუჟეტის წარმომავლობის შესახებ მიემატა კიდევ ერთი დოკუმენტური წყარო – მოგონება აკაკის თანა-

* 1897 წელს მ.ლალიძემ გამოსცა აკაკის პოემა “ნათელა”.

მედროვისა. საინტერესოა, ვინ იყო ჯანსუღ დადემშქელიანი? დადემშქელიანების გვარში სახელი ჯანსუღი საკმაოდ გავრცელებულია. მათ შორის რამდენიმე ცნობილი პიროვნებაა. უფროსი ჯანსუღ დადემშქელიანი იყო თათარყან დადემშქელიანის შვილი (გასვიანი 1988) ეკერ-ცხუმარის მფლობელი, რომელმაც სახელი გაითქვა XIX საუკუნის 50-იან წლებში. იგი დაუახლოვდა ეკატერინე ჭავჭავაძეს და მათ განიზრახეს ციოყის ვაჟის (დადემშქელიანთა მეორე სახლის) კონსტანტინეს (სვანეთის უკანასკნელი მთავრის) დაღუპვა. მაგრამ იგი 1855 წელს, ბალსკეკემო სვანეთში მოკლეს კონსტანტინეს ძმებმა (მიბჩუანი 1991: 8), ამ დროს აკაკი 15 წლისა იყო. ნაკლებ სავარაუდოა, რომ აკაკის მასთან ჰქონოდა კავშირი. მეორე ჯანსუღ დადემშქელიანი (1855-1940)* აკაკის თანამედროვე და კონსტანტინეს შთამომავალი იყო. იგი დაქორწინდა ბალყარეთის თავადის ასულზე მისირხან უზურბიევაზე და ჰყავდა ოთხი შვილი. იგი ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრობდა და საქართველოში იშვიათად ჩამოდიოდა. მისი ქალიშვილი – ქემლაითი – ცოლად გაჰყვა ცნობილ ექიმს – გიორგი ნიჟარაძეს. მათი შთამომავალი დღეს თბილისში ცხოვრობს.

ცნობილია კიდევ ერთი ჯანსუღ (გიორგი) თენგიზის ძე დადემშქელიანი (1858-1921). იგი იყო ევროპული განათლების მქონე კაცი. წლების მანძილზე მუშაობდა ზუგდიდის მაზრის უფროსის თანაშემწედ. მას 1888 წელს ცოლად შეურთავს აკაკის დისწული – ანეტა დადიანი, რომელთანაც შესძენია ორი ვაჟი. სამწუხაროდ ორივე შვილი დაეღუპათ.

როგორც ცნობილია, აკაკის სიძე – დისწულის ქმარი – მეტად განათლებული კაცი იყო. იგი იმავდროულად მეგობრობდა აკაკისთან და წლების მანძილზე მსახურობდა დასავლეთ საქართველოში. ამიტომ ყველაზე უფრო სავარაუდოა, რომ მიტროფანე ლადიქე სწორედ ამ პიროვნებას გულისხმობდეს თავის მოგონებაში.

* ცნობები ამ ორი პიროვნების შესახებ მოგვაწოდა პროფესორმა **იური ნიქოვანმა**, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვასხენებთ.

ამგვარად, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში დღემდე არსებულ მოსახრებებს პოემა „გამზრდელის“ ხალხური წარმომავლობის შესახებ ერთი მეტად სარწმუნო, დოკუმენტური წყარო ემატება. ესაა მოგონება აკაკის თანამედროვისა. მისი გადმოცემის თანახმად, აკაკისთვის „გამზრდელის“ სიუჟეტი უამბია ჯანსუღ დადემქელიანს და ეს ნამდვილი ამბავია, ე. ი. პოემას ხალხური თქმულება დასდებია საფუძვლად და არა პირიქით, როგორც ვერაუდოდნენ ამას პროფ. მ. ჩიქოვანი და ო. ჭურდულია. პოემის წარმომავლობა უკვე აფხაზეთს უკავშირდება. ამის შემდეგ თამამად შეიძლება ყურადღება მივაპყროთ მიხეილ ლაკერბაის ნოველისაკენ „არღუნ სეიდიყ“. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ პროფ. ოთარ ჭურდულიას აზრს, რომ მ. ლაკერბაის აღნიშნული თქმულება თითქმის სიტყვა-სიტყვით ჩაუწერია 100 წელს გადაცილებული აფხაზისაგან. ამ მოსახრებას განამტკიცებს თვით პოემაში გადმოცემული ამბავი, რომელიც ზუსტად იმეორებს ხალხური თქმულების სიუჟეტურ ხაზს. შეცვლილია მხოლოდ გმირთა სახელები. ასევე ემთხვევა ერთმანეთს პერსონაჟთა რაოდენობა და მათი მოქმედების გეოგრაფიული ადგილ-მდებარეობა. საგულისხმოა, რომ ნოველის სათაური „არღუნ სეიდიყ“ არის სახელი გამზრდელისა, რომელსაც აკაკის პოემაში ჰაჯი-უსუბი ჰქვია. ასე რომ მსგავსება აკაკის „გამზრდელსა“ და ნოველა „არღუნ სეიდიყს“ შორის ერთობ მნიშვნელოვანია.

ამრიგად, დასკვნისათვის შეიძლება ითქვას, რომ აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელს“ საფუძვლად დაედო ფოლკლორული წყარო, სახელდობრ, აფხაზური ხალხური თქმულება, რომლის არსებობა საშუალებას გვაძლევს, უკეთ შევისწავლოთ პოემა „გამზრდელის“ შემოქმედებითი ისტორია.

2008 წელს გამომცემლობა „არტანუჯმა“ გამოსცა აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელი“ (პოემის ქართული ტექსტი დიმიტრი გულიასეული აფხაზური თარგმანითურთ გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა დაურთო და აფხაზურ-ქართული სასწავლო ლექსიკონი შეადგინა თეიმურაზ გვანცელაძემ).

მიზანი ამ გამოცემისა მეტად კეთილშობილურია, მაგრამ კარგი იქნებოდა, შემდგენელს გაეთვალისწინებინა მეცნიერებაში არსებული მოსაზრებები „გამზრდელის“ ფოლკლორული წყაროს შესახებ, რომელიც აფხაზურ ხალხურ თქმულებას უკავშირდება, მით უფრო, რომ ჩვენი წიგნი 2000 წელს გამოვიდა, აკაკი წერეთელი „გამზრდელი“ (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და გამოკვლევა დაურთო ჯულიეტა გაბოძემ).

დ ა ს კ ვ ნ ა

აკაკი წერეთლის ნაწერების გამოცემის ისტორიის შესწავლამ საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა შემდეგი დასკვნები:

უპირველეს ყოვლისა, მწერლის თხზულებათა სრული კრებულების აკადემიურად გამოცემისათვის აუცილებელია ამ თხზულებათა გამოცემების ისტორიის შესწავლა. სასურველია, ეს პროცესი აკადემიური გამოცემის მომზადების თანადროულად მიმდინარეობდეს, რადგან ერთი მხრივ, თხზულებათა გამოცემების ისტორიის კვლევით მოპოვებული შედეგები შეაგებს ამ გამოცემას და მეორე მხრივ, გამომცემელთა მიერ მიკვლეული მასალაც დაეხმარება მკვლევარს საკითხის შესწავლაში. ამგვარი ურთიერთთანამშრომლობა კი საბოლოოდ აკადემიური გამოცემის სრულყოფას შეუწყობს ხელს.

აკაკი წერეთლის თხზულებათა გამოცემების ისტორია დღემდე არ დაწერილა. ჩვენმა კვლევამ გარკვეული თეორიული დებულებები გამოკვეთა. თუმცა ჩვენი ნაშრომის მთავარ მონაპოვრად მაინც ის პრაქტიკული შედეგები მიგვაჩნია, რომლებმაც შეავსო აკაკის ნაწერების ახალი აკადემიური გამოცემა.

სახელდობრ, მაინც რა მოგვცა აკაკი წერეთლის თხზულებათა გამოცემების შესწავლამ? გამოირკვა, რომ აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემისათვის მეტად მნიშვნელოვანია პოეტის გარდაცვალების შემდეგ განხორციელებული სამი ძირითადი გამოცემა:

1. აკაკი წერეთლის რჩეული ნაწერები ოთხ ტომად (1925-1928 წ.წ.) ს. გორგაძისა და ალ. აბაშელის რედაქტორობით.

ეს იყო პირველი მეცნიერული გამოცემა. სწორედ ამ გამოცემით გახდა შესაძლებელი პირველად აკაკის თხზულებების ბიბლიოგრაფიის წარმოდგენა, რამაც საფუძველი ჩაუყარა პოეტის შემოქმედების მეცნიერულ შესწავლასა და გამოცემებს. აღნიშნული ოთხტომეული უდავოდ მნიშვნელოვანი გამოცემაა, რადგან იგი იყო პირველი ცდა პოეტის ნაწერების სრულად თავმოყრისა. სწო-

რედ მას დაეფუძნა შემდგომში გამოცემული აკაკის თხზულებათა სრული კრებულები.

2. აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებული შვიდ ტომად – (1940-1961 წ.წ.) – საიუბილეო გამოცემა. ამ გამოცემით გამოვლინდა და ფართო მკითხველისათვის პირველად გახდა ცნობილი აკაკის ორასამდე ორიგინალური ლექსი, რამდენიმე პოემა და პიესა, თარგმანი. ამ გამოცემაში პირველად დაიბეჭდა აკაკის პუბლიცისტური მემკვიდრეობა, თუმცა არასრულად. ამ გამოცემაში ნაწარმოებები განლაგებულია ჟანრობრივ-ქრონოლოგიურად. წარმოდგენილია ვრცელი კომენტარები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულმა გამოცემამ ბევრი შენიშვნაც დაიმსახურა, იგი მაინც უადრესად მნიშვნელოვანი ეტაპია აკაკის თხზულებათა გამოცემის ისტორიაში.

3. აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად (1950-1963წ.წ.). იგი განახორციელა საქ. მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა.

ეს გამოცემა დღემდე აკაკის ნაწერების ერთ-ერთ სრულ გამოცემად რჩება (რადგან ახალი აკადემიური გამოცემის მხოლოდ ერთი ტომია გამოსული). უნდა აღინიშნოს, რომ თხუთმეტტომეული პირველი გამოცემა იყო, რომელიც ითვალისწინებდა იმდროისათვის არსებულ აკადემიური გამოცემის ძირითად პრინციპებს. გარდა იმისა, რომ მასში წარმოდგენილი იყო აკაკის უცნობი ორიგინალური ნაწარმოებები, რამდენიმე ტომი დაეთმო აკაკის პუბლიცისტურ ნაწერებს. პირველად იქნა გამოქვეყნებული აკაკის ეპისტოლური მემკვიდრეობა და რუსულ ენაზე დაწერილი ნაწარმოებები. აღნიშნული გამოცემა ძირითადად აღიარებს თხზულებათა ჟანრობრივ-ქრონოლოგიური განლაგების პრინციპს. გამოცემის ერთ-ერთი დიდი ღირსება იყო კომპაქტურად შედგენილი ვარიანტები და კომენტარები ყველა ნაწარმოებისა, თუმცა გამონაკლისს ამ მხრივ, პოემების ტომები წარმოადგენენ.

აკაკის თხზულებათა თხუთმეტტომეულმა მეტად მაღალი შეფასება დაიმსახურა: „ჯერ-ჯერობით არც ერთი ქართველი მწერლის თხზულებათა კრებული არ გამოცე-

მულა ვარიანტების ასეთი სრული და დაწვრილებითი ჩვენებით, რაც საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიას და ამა თუ იმ ნაწარმოების გამოქვეყნების ისტორიას“ – წერდა პროფ. ზ. ჭუმბურიძე 1959 წელს. ასე, რომ აღნიშნული გამოცემა სახელმძღვანელოდ გამოიყენება შემდგომ სხვა მწერალთა ნაწერების გამოცემისას. რა თქმა უნდა, აკაკის ნაწერების ახალი აკადემიური გამოცემის შემდგენელთათვის იგი ასევე ერთ-ერთი საყრდენი წყარო იყო. სწორედ ამიტომაც ჩვენი ნაშრომი ამ გამოცემების შესწავლით დავიწყეთ. რათა ჯერ გაგვეანალიზებინა ის მასალა, რომელიც მომზადდა და გამოიცა დღემდე, დაგვედგინა ამ გამოცემათა ღირსება და ნაკლი და შემდგომ შეგვეთავაზებინა გამომცემელთათვის ჩვენ მიერ მოპოვებული და გამოკვლეული ყველა ის ახალი მასალა, თუ დებულება, რომლებიც მოგვცა აკაკი წერეთლის თხზულებათა სიცოცხლისდროინდელი გამოცემების ისტორიის შესწავლამ.

4. აკაკის „თხზულებანის“ I-II ტომები, რომლებიც დაიბეჭდა 1893 წელს „ქართველთა წიგნის გამომცემელი ამხანაგობის“ მიერ მეტად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწვეი გამოცემაა. გარდა იმისა, რომ ეს არის პოეტის ნაწერების პირველი კრებული, საყურადღებოა, რომ იგი რედაქტირებულია თავად აკაკის მიერ. ზოგიერთი ლექსი აშკარად განსხვავდება ვარიანტულად თავის პირველწყაროსთან შედარებით. თავად პოეტმა, როცა შეადგინა „ჩემი ნაწერების“ კრებულები, ძირითად წყაროდ სწორედ ეს გამოცემა გამოიყენა. „თხზულებანის“ მნიშვნელობა ახლახან კიდევ ერთხელ გახდა ნათელი. როცა მკვლევარმა თ. კვაჭანტირაძემ მიაგნო გამოცემის იმ ეგზემპლარს, რომელშიც აკაკის საკუთარი ხელით აღუდგენია შვიდი სტროფი ლექსში „პროზიდან ბოდვა“. აკაკის 1902 წელს გამოქვეყნებული ამ ნაწარმოებისათვის პოემა დაურქმევია. კვლევა ცხადყოფს, რომ „პროზიდან ბოდვა“ მართლაც პოემაა და აკაკის ბოლო ნება სრულიად აღდგა და იგი იბეჭდება სრული სახით, როგორც პოემა!

ამდენად, „თხზულებანი“ გამოხატავს პოეტის ნებას და ნაწარმოების ძირითადი წყაროს დადგენისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

5. მეორე ანგარიშგასაწვევი და საყურადღებო გამოცემაა ჟურნალი „აკაკის თვიური კრებული“, (1897-1900 წ.წ.). ეს გამოცემა მნიშვნელოვანია შინაარსობრივად და ჟანრობრივად. იგი აქტიურად ეხმიანებოდა ყოველ საზოგადოებრივ მოვლენას. აღნიშნულმა კრებულმა სათავე დაუდო ისეთ დიდ წამოწყებას, როგორც იყო ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების გამოვლენა და შეკრება. ჟურნალი ნათელ წარმოდგენას უქმნის მკვლევარს აკაკი წერეთლის შემოქმედებითი ცხოვრების შესახებ. ჟურნალში წარმოდგენილ ყველა ნაწერს აკაკიმ გაუკეთა რედაქტირება. ძნელია ისეთი ნაწარმოების პოვნა, რომელშიც სულ მცირე ორთოგრაფიული ცვლილება მაინც არ შეეტანოს პოეტს. ზოგიერთი კი საკმაოდ მნიშვნელოვან ვარიანტულ სწორებებს შეიცავს. ზოგან დამატებულია პოემის მთელი თავი, ან შეცვლილია ესა თუ ის მოქმედება. ჟურნალი ზოგიერთი ნაწარმოების ერთადერთი ნაბეჭდი წყაროა (მაგ. „ოცდაორი თებერვალი 1898 წლისა „ახდენილი სიზმარი“), „აკაკის კრებული“ ზოგი ნაწარმოებისათვის კი ბოლო ნაბეჭდ წყაროს წარმოადგენს („მედია“, „პატარა კახი“, „თამარ ცბიერი“, „ბუტიაობა“ და სხვ).

ამრიგად, „აკაკის კრებული“ ავტორის ბოლო შემოქმედებითი ნების გამოვლენის, ნაწარმოების ძირითადი ტექსტის დადგენისა და პოეტის ენის შესწავლისათვის ერთობ ანგარიშგასაწვევი წყაროა.

6. აკაკის „ჩემი ნაწერები“ I-II წიგნი 1912-1913 წლებში გამოიცა. იგი პოეტის სიცოცხლისდროინდელი ერთ-ერთი ბოლო გამოცემაა. მის მნიშვნელობას ერთი ორად ზრდის ის ფაქტიც, რომ თავად აკაკი შესავალში წერს, აღნიშნული გამოცემა მომზადებულია და ყველა ნაწარმოები რედაქტირებულია მის მიერ. ამიტომაც „ჩემი ნაწერები“ გამომცემელთა საგანგებო ყურადღებას იმსახურებს, როგორც ავტორის ბოლო შემოქმედებითი ნების გამოხატულება. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, აკაკის თხზულებათა

თხუთმეტოცმოეულში პოეტის ეს ნება ხშირად უგულებელყოფილია.

7. ავტორის სიცოცხლისდროინდელ გამოცემათაგან საგულისხმოა აგრეთვე ა) „ბაში-აჩუკის“-1900 წლის და ბ) „ჩემი თავგადასავლის“ 1903 წლის ავტორისეული გამოცემები. ეს უკანასკნელი ნაწარმოების ბოლო ნაბეჭდი წყაროა. გ) სატირული ჟურნალი „ხუმარა“, რომელიც 1907 წელს გამოვიდა და რომელიც აკაკის **საინტერესო ნაწერებს შეიცავდა**. დ) 1908 წელს საიუბილეო კომიტეტის მიერ გამოცემული „**თორნიკე ერისთავი**“, რომელიც არის ამ პოემის ბოლო პუბლიკაცია. იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა გამოცემებისაგან და პროფ. ლ. ჭრელაშვილი მას პოემის ძირითად კანონიკურ ტექსტად აღიარებს. ე) 1908 წელს მ. ლალიძემ ცალკე წიგნად გამოსცა აკაკის „**წმინდა ნინო ანუ ქრისტიანობის შემოღება საქართველოში**“. ეს არის ნაწარმოების მეორე შევსებული და შესწორებული რედაქცია. იგი დღემდე არსებული გამოცემათაგან მხოლოდ აკაკის თხზულებათა სრული კრებულის შეიდტომეულშია შესული. ვ) აკაკის **მიერ თარგმნილი კრილოვის იგავ-არაკები**. პოეტის სიცოცხლეში ექვსჯერ გამოიცა. ყველა ეს გამოცემა მეტ-ნაკლებად სხვაობს ერთმანეთისგან. იგავ-არაკები სხვადასხვა გამოცემაში ხშირად გადამუშავებულია და ახალი ვარიანტით, ან სულაც ახალი რედაქციითაა წარმოდგენილი. ყველაზე საგულისხმო კი ისაა, რომ ხშირად თარგმანი სცილდება ორიგინალს და დამოუკიდებელი ნაწარმოების მნიშვნელობას იძენს. აკაკი ხშირად მხოლოდ იღვას იღებს ი. კრილოვისაგან და მის იგავებს აქართულებს ყოველგვარი გაგებით. ასეა თუ ისე, კრილოვის იგავების მრავალრიცხოვან მთარგმნელთაგან ხალხმა მხოლოდ აკაკისეული თარგმანები „მიიღო ორი ხელით“.

ავტორიზებული ნაბეჭდი და ხელნაწერი წყაროები

1. 1893 წელს კ. ლორთქიფანიძემ გამოსცა „აკაკის **ლექსთა კრებული „სალამური“**, რომელსაც გააჩნია ავტორაფული ხელნაწერი Q 974 და ასლი Q 975.

წიგნი დღეს ბიბლიოგრაფიულ იმვიათობადაა ქცეული. იგი ინახება ი.გრიშაშვილის მუზეუმ-ბიბლიოთეკაში.

აღნიშნული ნაბეჭდი წყარო ვერ შევიდა აკაკის თხზულებათა თხუთმეტომეულში. ამჯერად კი პოეტის ახალი აკადემიური გამოცემა კიდევ ერთი ნაბეჭდი წყაროთი გამდიდრდება.

ეს გამოცემა მრავალმხრივ საყურადღებოა. ზოგიერთი ლექსისათვის იგი ძირითად წყაროს წარმოადგენს. კრებულში პირველად დაიბეჭდა აკაკის პოეზიის შედევრი „განთიადი“. აღნიშნული წიგნის გამოცემის ისტორიის შესწავლით შესაძლებელი გახდა „განთიადის“ თარიღის დაზუსტება. აგრეთვე დადგინდა, რომ „განთიადის“ ერთ-ერთი ხელნაწერი, Q953, რომელიც დღემდე მიჩნეული იყო ლექსის ასლად, არის მისი ავტორისებული ხელნაწერი წყარო.

2. „პატარა კახის“ 1890 წლის გამოცემის ერთი ეგზემპლარი, აკაკის უჩუქებია ნიკო ნიკოლაძისათვის. აღნიშნულ ცალში ავტორს შეუტანია შინაარსობრივი, ლექსიკური და გრამატიკული სახის სწორებანი, მართალია, ბევრი ამ სწორებათაგან გათვალისწინებულია პოემის ბოლო პუბლიკაციისას („აკაკის კრებული“, 1897 წ., №4), მაგრამ ზოგი ცვლილება, და ერთობ მნიშვნელოვანიც, მაინც გამორჩენია პოეტს. ამიტომ აღნიშნულ ავტორიზებულ წყაროს პოემის ძირითადი ტექსტის დადგენისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს!

3. „ოცნება“ ეს ვრცელი ლექსი აკაკიმ **1911 წელს** გამოსცა ვ. ბეჟანეიშვილის სტამბაში. შემდეგ იგი „ჩემი ნაწერების“ მეორე წიგნშიც შეუტანია პოეტს. თუმცა ეს ლექსი გამოტოვებულია აკაკის თხზულებათა თხუთმეტომეულის გამოცემაში.

ჟ. ქორჩილაგას მიუგენია ამ წიგნის იმ ეგზემპლარისათვის, რომელიც აკაკის 1912 წელს უჩუქებია თავისი მეგობრის ივანე ელიაშვილისათვის. აღნიშნული ცალი შეიცავს ავტორისეულ შესწორებებს. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ ეს არის პოემის ავტორიზებული ნაბეჭდი წყარო და სწორედ იგი უნდა მივიჩნიოთ ძირითად ტექსტად აკაკის თხზულებათა ახალ აკადემიურ გამოცემაში.

4. საგანგებოდ შევისწავლეთ აკაკის უცნობი პოემის – „ასი წლის ამბავი“ შემოქმედებითი ისტორია და დავადგინეთ მისი დაწერის თარიღი (1901-1912 წ.წ.).

5. პოემა „ომი“ აკაკის შემოქმედების უკანასკნელი ნაწარმოებია, იგი ავადმყოფ პოეტს აკანკალეული ხელით დაუწერია, ამიტომაც ხშირად ძნელი ხდება ამ ავტოგრაფიდან წაკითხვა. როგორც აკაკი წერეთლის თხზულებათა თხუთმეტტომეულის მეხუთე ტომის შენიშვნებიდან ირკვევა, არსებობს ამ პოემის ასლიც. ჩვენ მიერ მიკვლეული გრიგოლ დიასამიძის ცნობით დადგინდა, რომ ეს ხელნაწერი ავტორიზებულია. სპირიდონ ზაბახიძეს გადაუწერია პოემა „ომი“ და ჩაუსწორებია იგი ავტორის კარნახის თანახმად.

6. განსაკუთრებით საყურადღებოა აკაკის ნაწერების ის გამოცემები, რომლებიც განახორციელა იოსებ მერკვილაძემ 1911-1913 წლებში. ეს ნაწერებია 1. „ნათელა“, 2. „ოთია მესხი და ადამ ბებურიშვილი“, 3. „ბაგრატ დიდი“, 4. „კიკოლას ნამბობი“, 5. „გამზრდელი“, 6. „ბაში-აჩუკი“.

ყველა ეს ნაწარმოები ნასწორებია შემოქმედებითად თავად ავტორის მიერ. ანუ ისინი არიან ავტორიზებული ნაბეჭდი წყაროები და იმავე დროს, გამოხატავენ პოეტის ბოლო შემოქმედებით ნებას, ამიტომაც აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალ აკადემიურ გამოცემაში ძირითად წყაროდ აღნიშნული ნაწარმოებების იოსებ მერკვილაძისეული გამოცემები იქნება მიჩნეული.

7. მიტროფანე ლალიძის მოგონებამ საშუალება მოგვცა, ვისაუბროთ „გამზრდელის“ კონკრეტულ ფოლკლორულ წყაროზე და შევისწავლოთ პოემის შემოქმედებითი ისტორია.

8. აკაკი წერეთლის თხზულებათა ისტორიის შესწავლით, გარდა იმისა, რომ გამოვალინეთ მწერლის ბოლო შემოქმედებითი ნება და დავადგინეთ ამა თუ იმ ნაწარმოების ძირითადი ტექსტი, შესაძლებელი გახდა დაგვეზუსტებინა ზოგიერთი ნაწარმოების დაწერის თარიღიც. მაგ. „განთიადი“ – 1892 წლის აგვისტო-დეკემბერი, „ნათელა“ – 1896-1897 წ.წ., „მედია“ – 1893-1895, 1897, „ნამდვილი ამბავი“ – 1909 წ., „ტრაპიზონი ანუ მგზავრის წერილები“ –

1909წ. „როგორ შეიქმნა საადგილ-მაშულო ბანკი“ 1909 წ., „ჩვენ და სომხები“ 1909 წ.

9. დღემდე აკაკის პირადი მიმოწერის ტომში შეტანილი არ იყო აკაკის ერთი წერილი ივანე მაჩაბლისადმი; და სერგო ბახტაძისადმი. ორივე ეს წერილი მეტად საყურადღებო ცნობებს შეიცავს. დაზუსტდა რამდენიმე წერილის თარიღი: აკაკის წერილი ნიკო ნიკოლაძისადმი – 1884 წ. მაისი – 1884 წ. ივლისი; ტასო მაჩაბლისადმი – 1903 წ. მაის-ივნისი. დაკონკრეტდა რამდენიმე წერილის კომენტარი წერილი გ. ჭილაძისადმი, ივ. ელიაშვილისადმი.

10. არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანი დასკვნების საშუალება მოგვცა თხზულებათა ისტორიის შესწავლამ მწერლის ენისა და სტილის შესახებ. გამოირკვა, რომ ყოვლად დაუშვებელია თუნდაც მცირედი ცვლილება კი შევიტანოთ აკაკის ენაში. არ შეიძლება ორთოგრაფიის შეცვლა, რადგან პოეტი აღნიშნულ თანხმონებს „თ“ და „ღ“ სრულიად მიზანმიმართულად იყენებს. ისინი ხელს უწყობენ ალიტერაციისა და ლექსის ევფონიის განმტკიცებას, ან სულაც ლექსში რითმას ამაგრებენ.

მიჩნეულია, თითქოს აკაკის სტილისათვის უფრო ნიშანდობლივია მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მრავლობით რიცხვში „ენ“, „ღენ“ ფორმის სიჭარბე. ეს ასეცაა, მაგრამ როგორც კვლევამ აჩვენა, აკაკი „ნენ“ და „ღნენ“ ფორმებსაც ხმარობს და თანაც იმ შემთხვევაში, როცა ქვემდებარე „ნარ-თანთან“ მრავლობითში დგას. ამგვარ შეთანხმებას იგი განსაკუთრებულ ემოციურ დატვირთვას აძლევს. ამიტომ დაუშვებლად მიგვაჩნია, გამომცემლის მიერ პოეტის ამ ნების უგულებელყოფა და კლასიკოსის ენის დღევანდელი სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით გამართვა. ეს არა მხოლოდ თვითნებობაა, არამედ იმ კვალსაც შლის, რომელიც საშუალებას აძლევს მეკვლევარს შეისწავლოს ამა თუ იმ ეპოქის ენის ისტორია.

ასევე მიუღებელია პოეტის ენაში დიალექტური ფორმების გასწორება. ამ დასკვნის საშუალებას თავად აკაკის ენის შესწავლა იძლევა. რადგან პოეტი ხშირად ცვლის ამა თუ იმ დიალექტურ ფორმას სალიტერატურო ნორმით, მაგრამ ბოლოდროინდელ ნაწერებში გვხვდება

პირიქითაც, როცა პოეტი ამა თუ იმ სალიტერატურო ფორმას დიალექტურს არჩევს. ესეც სრულად მიზანმიმართულად ხდება. აკაკისათვის მთავარი სიმფონიაა. იგი ისე მოიხმარს სიტყვას, რომ მისი ლექსი უფრო უღერადი და კეთილხმოვანი გახდეს.

ამრიგად, აკაკი წერეთელის თხზულებათა გამოცემის ისტორიის შესწავლამ ვფიქრობთ, ბევრი საგულისხმო წყარო გამოავლინა და არანაკლებ მნიშვნელოვანი ცნობებითა და მასალით დაეხმარა აკაკის ნაწერების ახალი აკადემიური გამოცემის მომზადებლებს.

აღნიშნული შრომა წლების განმავლობაში იწერებოდა. მოკვლეული ცნობები თანდათანობით ავსებდა და სრულყოფდა პოეტის ახალ აკადემიურ გამოცემას, რომელიც წინა გამოცემებთან შედარებით ძალიან ბევრ ახალ მასალას (მხატვრულს, პუბლიცისტურსა და ეპისტოლარულს) შეიცავს. ეს ბუნებრივიცაა, აკაკის თხზულებათა თხუთმეტტომეულის გამოცემიდან 40 წელზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში გამოვლინდა ბევრი უცნობი მასალა. ყველაფერმა ამან თავი მოიყარა აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის 18 ტომში. 1991 წელს გამოქვეყნდა პირველი ტომი, მაგრამ ქვეყანაში დატრიალებული პოლიტიკური კატაკლიზმების გამო აკაკის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემა შეწყდა.

თითქოს დაებედა აკაკის ნაწერებს: თავად პოეტი დიდხანს ელოდა საკუთარი თხზულებების კრებულად გამოცემას. ისე აღესრულა, ვერ აუხდა სანუკვარი ოცნება. ისტორია მეორდება თითქოს... პოეტის ნაწერების ახალი აკადემიური გამოცემა მოთმინებით ელის იმ ბედნიერ მამულიშვილს, რომელიც შეძლებს მის დაფინანსებას და ამით ერსაც საშვილიშვილო საქმეს გაუკეთებს და საკუთარ სახელსაც უკვდავყოფს.

ასე მთავრდებოდა ეს საკვალიფიკაციო ნაშრომი, რომელმაც 2001 წელს შესაბამისი სამეცნიერო ხარისხიც მოიპოვა, თუმცა ისიც, აკაკის ნაწერებივით, იდგა და ელოდა დღის სინათლეს. როგორც ჩანს, უსასრულო არაფერია ამქვეყნად, თვით მოლოდინიც კი და აი, 2009 წელს, შოთა რუსთაველის ფონდის ხელშეწყობით

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში დაიწყო პროექტის – „აკაკი წერეთელის თხზულებათა აკადემიური ოცტომეულის (პირველი ათი ტომის) გამოსაცემად მომზადება“ – განხორციელება. (ხელმძღვანელი პროფ. ირმა რატიანი). ბოლო წლებში კვლევის შედეგად გამოვლენილმა მასალებმა შესაძლებელი გახადა, რომ გამოცემა კიდევ ორი ტომით გაზრდილიყო და განახლებულიყო.

ვიმედოვნებთ, რომ რუსთაველის ფონდის თანადგომით გამოცემა გაგრძელდება და დასრულდება. პროექტის საიუბილეოდ, 2010 წლისათვის, დაგეგმილია თხზულებათა ხუთი ტომის გამოცემა, 2015 წლისათვის კი, ოცივე ტომს მიიღებს მკითხველი.

ჩვენი ნაშრომიც, ვფიქრობთ, ერთობ საჭირო და მნიშვნელოვანი გზამკვლევი იქნება აკაკის თხზულებათა აკადემიური ოცტომეულის შემდგენელთათვის, მით უფრო, რომ ამ ტიპის შრომა დღემდე არ გამოქვეყნებულა.

დამოწმებული ლიტერატურა:

- აბაშიძე 1908:** აბაშიძე კ. თ. აკაკი წერეთელი. ქუთაისი: 1908.
- აბზიანიძე 1959:** აბზიანიძე გ. ნარკვევები მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან. თბ.: 1959.
- აბზიანიძე 1960:** აბზიანიძე გ. აკაკი წერეთელი. თბ.: 1960.
- აბზიანიძე 1985:** Абзианидзе З. Комментарии к „Рассвету“ Акакия Церетели в литературной сборнике „Кавказиони“. вып. III, 1985.
- აბრამიშვილი 1981:** აბრამიშვილი ე. (შემდგენელი). მასალები XIX ს. 60-90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებიდან (კირილე ღორთქიფანიძის მიმოწერა). თბ.: 1981.
- არველაძე 1999:** არველაძე მ. აკაკი წერეთლის პოემა „პატარა კახი“, ტექსტოლოგიური ანალიზი. თბ.: 2005.
- ასათიანი 1988:** ასათიანი გ. საუკუნის პოეტები. თბ.: 1988.
- ასათიანი 1953:** ასათიანი ლ. ცხოვრება აკაკი წერეთლისა. თბ.: 1953.
- ახნაზაროვი 1940ა:** ახნაზაროვი ა. აკაკის ლექსები. გაზ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1 თებერვალი, 1940.
- ახნაზაროვი 1940ბ:** ახნაზაროვი ა. აკაკის ნაწერების უშეცდომოდ გამოცემისათვის. გაზ. „ლიტერატურული გაზეთი“, 21 სექტემბერი, 1940.
- ბარათაშვილი 1945:** ბარათაშვილი ნ. თხზულებანი. კ. კეკელიძის რედაქციით. თბ. 1945.
- ბარათაშვილი 1972:** ბარათაშვილი ნ. თხზულებანი. აკ. გაწერელის და ივ. ლოლაშვილის რედაქციით. თბ.: 1972.
- ბარამიძე 1945:** ბარამიძე ალ. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. თბ.: 1945.
- ბარამიძე 1984:** ბარამიძე შ. აკაკიზე აკაკის შემდეგ (აკაკი წერეთლის ბოლო წლების და მისი სიკვდილის შემდგომდროინდელი ფაქტებისა და მოვლენების ამსახველი დოკუმენტები). „საისტორიო მოამბე“, № 49250, 1984.
- ბარამიძე... 1990:** ბარამიძე შ., ლომიძე ა. (შემდგენლები). მოგონებები აკაკიზე. თბ.: 1990.
- ბარამიძე 1991:** ბარამიძე შ. პუბლიკაცია „ალექსანდრე შატილოვის მოგონება აკაკიზე“. საისტორიო მოამბე, № 60-61, თბ.: 1991.
- ბაქრაძე 1992:** ბაქრაძე ა. ილია და აკაკი. თბ.: 1992.
- ბახტაძე 1990:** ბახტაძე ს. ვგრძნობდი ბუნებრივ სიახლოვეს. „საისტორიო მოამბე“, № 59260, 1990.
- ბიბილური 1991:** ბიბილური თ. „მთის მწვერვალზე, ცის მახლობლად“. „მნათობი“, № 3, 1991.
- ბოცვაძე 1956:** ბოცვაძე ი. ვის უძღვნა აკაკი წერეთელმა ლექსი „განთიადი“? „ლიტერატურა და ხელოვნება“, № 3, 1956.
- ბრეგაძე 1990:** ბრეგაძე ლ. შემდეგი აზრი სთქვას აქ წერტილმა. „კრიტიკა“, №5, თბ.: 1990.

- ბუხშტაბი 1965:** Бухштаб Б. О природе текстологии и проблема выбора основного текста. ['Русская литература', №3, 1965.
- გაბოძე 1988:** გაბოძე ჯ. აკაკი წერეთლის თხზულებათა გამოცემის ისტორია და ტექსტოლოგიური ანალიზი. „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), №4, თბ.: 1988.
- გაბოძე 1990:** გაბოძე ჯ. აკაკი წერეთლის ლექსთა კრებულ „სალამურის“ გამოცემის ისტორია. შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის XXIV სამეცნიერო სესიის თეზისები. თბ.: 1990.
- გაბოძე 2000ა:** გაბოძე ჯ. აკაკი წერეთლის ლექსთა კრებულ „სალამურის“ გამოცემის ისტორია და ტექსტოლოგიური ანალიზი. კრებ. „კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა“, № 3, თბ.: 2000.
- გაბოძე 2000ბ:** გაბოძე ჯ. აკაკი წერეთლის „პატარა კახის“ ახალი ავტორიზებული ნაბეჭდი წყარო. „მნათობი“, №324, 2000.
- გაბოძე 2000გ:** გაბოძე ჯ. აკაკი წერეთლის უკანასკნელი პოემა „ომის“ ავტორიზებული ხელნაწერი წყარო. გაზ. „კალმასობა“, №7(44), თბ.: 2000.
- გაბოძე 2000დ:** გაბოძე ჯ. „აკაკი წერეთლის თხზულებათა გამოცემის ისტორიიდან“. „მაცნე“ ენისა და ლიტერატურის სერია, № 1-4, 2000.
- გამეზარდაშვილი 1964:** გამეზარდაშვილი დ. ეროვნული საუნჯე (თხზულებათა სრული აკადემიური კრებულის გამოცემის გამო). გაზ. „კომუნისტი“, 17 აპრილი, 1964.
- გასვიანი 1988:** გასვიანი გ. დასავლეთ საქართველოს სოციალურ პოლიტიკური ვითარება და რუსეთთან შეერთება (XVIII-XIX სს.) თბ.: 1988.
- გაწერელია 1985:** Гацерелия А. „рассвет“ Акакия Церетели. В сборн. 'Кавказиони', вып III, 1985.
- გვარამაძე 1971ა:** გვარამაძე ლ. პლატონ იოსელიანი – რედაქტორ-გამომცემელი. წიგნში: „ტექსტოლოგიის საკითხები“, III, თბ.: 1971.
- გვარამაძე 1971ბ:** გვარამაძე ლ. პეტრე უმიკაშვილი რედაქტორ-გამომცემელი, „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), №2, 1971.
- გვარამაძე 1996:** გვარამაძე ლ. აკაკის თვითი კრებული (ლიტარატურულ-ტექსტოლოგიური მიმოხილვა), 1996 წლის სამეცნიერო წლიური ნაშრომი, (ხელნაწერი ინახება შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში);
- გიორგაძე 1960:** გიორგაძე ნ. „თორნიკე ერისთავის“ ტექსტის საკითხის დადგენისათვის, გაზ. „სტალინელი“, 10 აგვისტო, ქუთაისი: 1960.
- გრიშაშვილი 1935:** გრიშაშვილი ი. აკაკის „ვორონცოვის“ გამო. „მნათობი“, №1, 1935.

- გრიშაშვილი 1957:** გრიშაშვილი ი. ლიტერატურული ნარკვევები. თბ.: 1957.
- გრიშაშვილი 1964ა:** გრიშაშვილი ი. ერთი რეცენზიის გამო. წგ-ში თხზულებათა კრებული ხუთ ტომად. ტ. IV, თბ.: 1964.
- გრიშაშვილი 1964ბ:** გრიშაშვილი ი. კრილოვი და აკაკი წერეთელი, წიგნში: თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად. ტ. IV, თბ.: 1964.
- გუგუშვილი 1935:** გუგუშვილი პ. აკაკი წერეთელი და მეფის ცენზურა. „ლიტერატურული გაზეთი“, №5, 1935.
- გულდამაშვილი 1998:** გულდამაშვილი ე. აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ სწავლება. „ქართული ენა და ლიტერატურა არაქართულენოვან სკოლებში“, № 2, 1998.
- გურგენიძე... 1989:** გურგენიძე ნ., გორგაძე ი. აკაკი წერეთელი ცხოვრებისა და შემოქმედების მატინე. ბიბლიოგრაფიული ქრონიკა (1840-1915). თბ.: 1989.
- დადიანი 1948:** დადიანი შ. აკაკი. მოგონებანი. თბ.: 1948.
- დადიანი 1959:** დადიანი ჯ. როდის დაიწერა აკაკის „განთიადი“. გაზ. „სახალხო განათლება“, 4 ნოემბერი, 1959.
- დიასამიძე 1991:** დიასამიძე გრ. მოგონებანი აკაკი წერეთელზე (გურამ შარაძის პუბლიკაცია). „ლიტერატურა და ხელოვნება“, №1, 1991
- დოიაშვილი 1974:** დოიაშვილი თ. დიმიტრი ყიფიანი, თუ ნიკოლოზ ბარათაშვილი. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, №1, 1974.
- დუდუჩავა 1948:** დუდუჩავა მ. წერილები ხელოვნებაზე. თბ.: 1948.
- ელიაშვილი 1990:** ელიაშვილი ივ. აკაკი. წიგნში: „მოგონებები აკაკიზე“. თბ.: 1990.
- ევგენიძე 1999:** ევგენიძე ი. აკაკი წერეთლის თხზულებათა მივიწვებული პუბლიკაციები. წიგნში: „აკაკის კრებული“. თბ.: 1999.
- ევგენიძე... 2001:** “უცნობი აკაკი“ (ახლად გამოვლენილი ნაწარმოებები). აკაკი წერეთლის კაბინეტი წიგნი გამოსაცემად მოამზადეს იუზა ევგენიძემ და ნანა ფრუიძემ. თბ.: 2001.
- ვინოკური 1927:** Винокур Г. Критика поэтического текста. М.: 1927.
- ეპისტოლარული... 1964:** Принципы издания эпистолярных текстов. М.: 1964.
- ვეშაპიძე 1961:** ვეშაპიძე ირ. აკაკი წერეთლის ერთი წერილის შესახებ აკაკის თხზულებათა VII ტომში დაბეჭდილი აკაკის წერილი არჩილ ჯორჯაძესთან). „მნათობი“, №1, 1961.
- ზაბახიძე 1942:** ზაბახიძე გ. ცნობები „მამლის ყივილზე“ ლიტერატურის მატინე, №3-4, 1942.
- ზაბახიძე 1990:** ზაბახიძე ს. მოგონება. წიგნში: „მოგონებები აკაკიზე“. თბ.: 1990.
- ზარდიაშვილი 1997:** ზარდიაშვილი ე. აკაკი წერეთლის სატირული ლირიკის შემოქმედებითი ისტორია. სადისერტაციო ნაშრომი ფილ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებ-

- ლად, თბ.: 1997 (ინახება შ. რუსთაველი სახ. ქარ. ლიტ. ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში).
- ზარდიაშვილი 2005:** ზარდიაშვილი ე. აკაკის უცნობი ნაწერები. თბ.: 2005.
- თაყაიშვილი 1962:** თაყაიშვილი ე. რჩეული შრომები. ტ. I, გამოსაცემად მოამზადეს ალ. ბარამიძემ და გ. ლომთათიძემ. თბ.: 1962.
- თაყაიშვილი 1966:** თაყაიშვილი ე. სტატიების კრებული. თბ.: 1966.
- იმედაშვილი 1978:** იმედაშვილი ი. ჩემი ცხოვრების წიგნი. თბ.: 1978.
- ინგოროყვა... 1941:** წერეთელი აკაკი. თხზულებათა სრული კრებული შვიდ ტომად (პ. ინგოროყვასა და ალ. აბაშელის რედაქტორობით). ტ. II, თბ.: 1941.
- ინგოროყვა 1961:** ინგოროყვა პ. წერილი რედაქციის მიმართ (აკაკი წერეთლის თხზულებათა XI ტომის გამო). „ლიტერატურული გაზეთი“, 20 იანვარი, 1961.
- კოტინოვი... 1992:** ილია ჭავჭავაძე და საგარამატიკო პაექრობა 1886-1894 წ.წ. კრებული გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ბიბლიოგრაფია დაურთეს ნორა კოტინოვა და ლუბა მეფარიშვილიძე. თბ.: 1992.
- კალაძე 1961:** კალაძე ც. ქართველ კლასიკოსთა პუბლიკაციის ზოგიერთი საკითხი. „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. XII, თბ.: 1961.
- კასრაძე 1997:** კასრაძე ო. ნარკვევები ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან. თბ.: 1997.
- კეკელიძე 1960:** კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. 6, თბ.: 1960.
- კეკელიძე 1961:** კეკელიძე პრ. აკაკი წერეთლის ისტორიული პოემები „თორნიკე ერისთავი“ და „ნათელა“. თბ.: 1961.
- კეკელიძე 1962:** კეკელიძე პრ. პოეტისა და რედაქტორის მეგობრობა. „ლიტერატურული გაზეთი“, 23 მარტი, 1962.
- კეკელიძე 1993:** კეკელიძე პრ. აკაკი წერეთლის ისტორიულ დრამატულ პოემის „თამარ ცბიერის“ ქუთათური ხელნაწერი და თხზულების კანონიკური ტექსტი. წიგნში: „აკაკი წერეთელი“ – საიუბილეო კრებული. თბ.: 1993.
- კვატაია 1999:** კვატაია მ. „აკაკის ერთი უცნობი სტატიის გამო“. კრ-ში: „აკაკის კრებული“. თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 1999.
- კვაჭანტირაძე 2001:** კვაჭანტირაძე თ. „ყოფილა, დღეს ვეღარ არის, მაგრამ იქნება, ცხადია“. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 9 მარტი, 2001.
- კვიციანიშვილი 1990:** კვიციანიშვილი ე. აკაკი წერეთელი. თბ.: 1990.
- კლასიკური... 1963:** Издание классической литературы. Составитель К. Бухмейер. Предсловие В. Н. Орлова. М.: 1963.
- კრილოვი 1951:** Крилов И. А. Басны гос. изд. худож. лит-ри. М.: 1951.
- კუსრაშვილი 1971ა:** კუსრაშვილი რ. იოსებ გრიშაშვილი რედაქტორ-გამომცემელი. წიგნში: „ტექსტოლოგიის საკითხები“, I, თბ.: 1971.

- კუსრაშილი 1971ბ:** კუსრაშილი რ. თხზულებათა განლაგება აკადემიურ გამოცემებში. წიგნში: „ტექსტოლოგიის საკითხები“, II, თბ.: 1971.
- ლალიძე 1990:** ლალიძე მ. შეხვედრები დიდ პოეტთან. წიგნში: „მოგონებები აკაკიზე“. თბ.: 1990.
- ლექსიკონი 1989:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. თბ.: 1989.
- ლისაჩევი 1962ა:** Лихачев Д. Текстология на матерьяле русской литературы X–VII вв. М.-Л.: 1962.
- ლისაჩევი 1962ბ:** Лихачев Д. Текстология. М.-Л.: 1962.
- ლისაჩევი 1964:** Лихачев Д. Текстология, краткий очерк. М.-Л.: 1964.
- ლორია 1994:** ლორია ლ. აღმზრდელის პასუხისმგებლობის საკითხი აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელის“ მიხედვით. „პედაგოგიური სამრეკლო“, №4, 1994.
- ლორთქიფანიძე 1971:** ლორთქიფანიძე ი. ტექსტოლოგიური მუშაობა XIX ს. საქართველოში. წიგნში: „ტექსტოლოგიის საკითხები“, I, თბ.: 1971.
- მანსვეტაშილი 1936:** მანსვეტაშილი ი. მოგონებანი. თბ.: 1936.
- მარკოზაშილი 1990:** მარკოზაშილი შ. ერთი ოთახი პოეტისათვის. გაზ. „თბილისი“, 24 აგვისტო, 1990.
- მაჭავარიანი 1964:** მაჭავარიანი თ. ნიკო ნიკოლაძის არქივის კატალოგი ნაწ. 6, საბუთები და ფოტოარქივი. თბ.: 1964.
- მახარაძე 1973:** მახარაძე ვლ. უნდა დაზუსტდეს (ვის უძღვნა აკაკი წერეთელმა „განთიადი“). „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, №1, 1973.
- მეტრეველი 1994:** მეტრეველი ფ. აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ ქრისტიანული კონცეფცია. „რელიგია“, №1-2, 1994.
- მთვარელიძე 1988:** მთვარელიძე მ. თარიღის დასაზუსტებლად. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 6 ივნისი, 1988.
- მიბზუანი 1991:** მიბზუანი თ. უკანასკნელი მოჰიკანი. გაზ. „კოლხური დიადემა“, №5, 1991.
- ნაკაშიძე... 1940:** ნაკაშიძე თ., ხუნდაძე თ. აკაკი წერეთლის ნაწარმოებთა გამოცემების ქრონოლოგია. I, „ბიბლიოგრაფიული მონაბე“, №1, 1940.
- ნიკოლეიშილი 1964:** ნიკოლეიშილი მ. აკაკის უცნობი ხელნაწერის შესახებ. გაზ. „ქუთაისი“, 2 თებერვალი, 1964.
- ოთხთავი 1979:** ქართული ოთხთავის ბოლო ორი რედაქცია. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა. თბ.: 1979.
- ოქროშიძე 1951:** ოქროშიძე თ. აკაკის კრებული. „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. VII, თბ.: 1951.
- ჟღენტი 1966:** ჟღენტი ბ. აკაკი წერეთლის წერილები ცოლ-შვილთან. თბ.: 1966.
- პროხოროვი 1966:** Прохоров Е. Текстология (принципы издания классической литературы). М.: 1966.

- რადიანი 1951:** რადიანი შ. დიდი ქართველი კლასიკოსების თხზულებების აკადემიური გამოცემა. გაზ. „ბოლშევიკი“, №4, 1951.
- რადიანი 1964:** რადიანი შ. აკაკის პირადი მიმოწერა (მე-15 ტომის გამო). „დროშა“, №9, 1964.
- რამიშვილი 1983:** რამიშვილი კ. ნიკო ნიკოლაძის პირადი ბიბლიოთეკა. „წიგნი და ცხოვრება“, თბ.: 1983.
- რეისერი 1978:** Рейсер С.А. Основы текстологии. Л.: 1978.
- საისტორიო... 1953:** „საისტორიო მოამბე“. ტ. VII, 1953.
- სანაძე 1971:** სანაძე ლ. აღექსანდრე აბაშელი. წიგნში: „ტექსტოლოგიის საკითხები“, II, თბ.: 1971.
- სანაძე 1970:** სანაძე ლ. ილია ჭავჭავაძის ტექსტოლოგიური დაკვირვებანი. წიგნში: „ტექსტოლოგიის საკითხები“, I, თბ.: 1970:
- სანიკიძე 1982-1983:** სანიკიძე თ. აკაკი წერეთლის პოეზიის ლექსიკონი. წიგნი I, თბ.: 1982; წიგნი II, თბ.: 1983.
- სახოკია 1984:** სახოკია თ. ჩემი საუკუნის ადამიანები. თბ.: 1984.
- სხირტლაძე 1960:** სხირტლაძე ს. საჭირო შენიშვნა (VII ტომის გამო). „ლიტერატურული გაზეთი“, 5 თებერვალი, 1960.
- ტექსტოლოგიის... 1957:** Вопросы текстологии, сборник статей, вып. I. М.: 1957.
- ტექსტოლოგიის... 1962:** Вопросы текстологии, сборник статей. вып. II. М.: 1962.
- ტექსტოლოგიის... 1964:** Вопросы текстологии. сборник статей, вып. III. М.: 1964.
- ტექსტოლოგიის... 1967:** Вопросы текстологии. сборник статей, вып. IV. М.: 1967.
- ტექსტოლოგიის... 1970:** ტექსტოლოგიის საკითხები. I, თბ.: 1970.
- ტექსტოლოგიის... 1971ა:** ტექსტოლოგიის საკითხები. II, თბ.: 1971.
- ტექსტოლოგიის... 1971ბ:** ტექსტოლოგიის საკითხები. III, თბ.: 1971.
- ტექსტოლოგიის... 1974:** ტექსტოლოგიის საკითხები. IV, თბ.: 1974.
- ტექსტოლოგიის... 1976:** ტექსტოლოგიის საკითხები, V, თბ.: 1976.
- ტექსტოლოგიის... 1962:** Основы текстологии, под редакции В.С. Нечаевой. М.: 1962.
- ტექსტოლოგიის... 1981:** ტექსტოლოგიის საფუძვლები I, თბ.: 1981.
- ტექსტოლოგიის... 1983:** ტექსტოლოგიის საფუძვლები. II, თბ.: 1983.
- ტომაშევსკი 1959:** Томашевский Б. Писатель и книга. М.: 1959.
- უმიკაშვილი 1881:** უმიკაშვილი პ. (რედაქტორი). „დავითიანი თქმული გურამიშვილის დავითისაგან“. თბ.: 1881.
- ფანცხავა 1990:** ფანცხავა ს. მოგონება (პოეტის მეგობრები). „საისტორიო მოამბე“, № 59, 1990.
- ფარქოსაძე 1991:** ფარქოსაძე გ. „რა დაგვაიწვევს მის სახეს“. „საისტორიო მოამბე“, №61-62, 1991.
- ფრუიძე 2002:** ფრუიძე ნ. „აკაკის პოემა „ანდრია პირველწოდებული“. თბ., 2002.

- ქავთარაძე 1955:** ქავთარაძე ი. შენიშვნები ქართველი მწერლების თხზულებათა გამოცემის გამო. „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. IX, 1955.
- ქართული ტექსტოლოგია 2006:** ქართული ტექსტოლოგია. ზურაბ ჭუმბურიძისა და რუსუდან კუსრაშვილის რედაქტორებით. თბ.: 2006.
- ქართული წიგნი 1941:** ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია. ტ. I, თბ.: 1941.
- ქიქოძე 1947:** ქიქოძე გ. ქართული ლიტერატურის ისტორია. თბ.: 1947.
- ქორჩილავა 1992:** ქორჩილავა ჯ. უცნობი ავტოგრაფები ანუ, დიდი მეგობრობის ეპოზიდები. გაზ. „განათლება“, II სექტემბერი, 1992.
- ღვინჯილია 1983:** ღვინჯილია ჯ. პოეტური ენერგია. თბ.: 1983.
- ყუბანიეშვილი 1953:** ყუბანიეშვილი ს. ცნობები ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების გამოცემის შესახებ. „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. VIII, 1953.
- შარაძე 1972:** შარაძე გ. აკაკის „მედიას“ წყაროებისათვის (ლიტერატურის მუხეუმში დაცული აკაკის უბის წიგნაკი). „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, № 2, 1972.
- შარაძე 1986:** შარაძე გ. საქართველოს მზე და სიყვარული ალბონის კუნძულზე. თბ.: 1986.
- შარაძე 1989:** შარაძე გ. შვილნი პატარა და ძვირფასი საქართველოსი, (პარიზში ემიგრირებული ვახტანგ ღამბაშიძის მოგონებები აკაკიზე). გაზ. „კომუნისტი“, 7 აპრილი, 1989.
- შარაძე 1991:** შარაძე გ. დაბრუნება, მრავალტომეული. ტ. 1, ექვთიმე თაყაიშვილი. ემიგრანტული ნაშრომები. თბ.: 1991.
- შარაძე 2006:** შარაძე გ. აკაკის საიუბილეო მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, გურამ შარაძის ბიოგრაფიული ბიბლიოთეკა - „ბიოგრაფიკა“. თბ.: 2006.
- შარაშენიძე 1960:** შარაშენიძე ე. ტექსტოლოგიური შენიშვნები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXIV, №2, 1960.
- ჩაველიეშვილი 1972:** ჩაველიეშვილი ალ. გამზრდელ-გაზრდილის ურთიერთობის საკითხისათვის. წიგნში: „ლიტერატურათმცოდნეობის ნარკვევები“, ბათუმი: 1972.
- ჩაკვეტაძე 1960:** ჩაკვეტაძე დ. აკაკი ქართველი ერის ისტორიის მკვლევარი (აკაკი წერეთლის VI ტომის გამოსვლის გამო). „მნათობი“, №4, 1960.
- ჩიტაური 1984:** ჩიტაური ნ. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემის ისტორიის საკითხები. სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ.: 1984.
- ჩიქოვანი 1958:** ჩიქოვანი მ. აკაკი წერეთელი და ხალხური სიტყვიერება. თბ.: 1958.
- წერეთელი 1925:** წერეთელი ა. რჩეული ნაწერები ოთხ ტომად. აღ. აბაშელისა და ს. გორგაძის რედაქციით. ტ. I, თბ.: 1925.

- წერეთელი 1926:** წერეთელი ა. რჩეული ნაწერები ოთხ ტომად. აღ. აბაშელისა და ს. გორგაძის რედაქციით. ტ. II, თბ.: 1926.
- წერეთელი 1927:** წერეთელი ა. რჩეული ნაწერები ოთხ ტომად. აღ. აბაშელისა და ს. გორგაძის რედაქციით. ტ. III, თბ.: 1927.
- წერეთელი 1928:** წერეთელი ა. რჩეული ნაწერები ოთხ ტომად. აღ. აბაშელისა და ს. გორგაძის რედაქციით. ტ. IV, თბ.: 1928.
- წერეთელი 1940ა:** წერეთელი ა. თხზულებათა სრული კრებული შვიდ ტომად. ტ. I, თბ.: 1940.
- წერეთელი 1940ბ:** წერეთელი ა. თხზულებათა სრული კრებული შვიდ ტომად. ტ. III, თბ.: 1940.
- წერეთელი 1949:** წერეთელი ა. თხზულებათა სრული კრებული შვიდ ტომად. ტ. V, თბ.: 1949.
- წერეთელი 1950ა:** წერეთელი ა. თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად. ტ. I, თბ.: 1950.
- წერეთელი 1950ბ:** წერეთელი ა. თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად. ტ. II, თბ.: 1950.
- წერეთელი 1954:** წერეთელი ა. თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად. ტ. III, თბ.: 1954.
- წერეთელი 1955:** წერეთელი ა. თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად. ტ. IV, თბ.: 1955.
- წერეთელი 1956ა:** წერეთელი ა. თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად. ტ. V თბ.: 1956.
- წერეთელი 1956ბ:** წერეთელი ა. თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად. ტ. VI, თბ.: 1956.
- წერეთელი 1958:** წერეთელი ა. თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად. ტ. VII, თბ.: 1958.
- წერეთელი 1961ა:** წერეთელი ა. თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად. ტ. XIII, თბ.: 1961.
- წერეთელი 1961ბ:** წერეთელი ა. თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად. ტ. XIV, თბ.: 1961.
- წერეთელი 1963:** წერეთელი ა. თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად. ტ. XV, თბ.: 1963.
- წერეთელი 1991:** წერეთელი ა. თხზულებათა სრული კრებული თვრამეტ ტომად. ტ. I, თბ.: 1991.
- წერეთელი (ხელნაწერი):** წერეთელი ა. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ. IV (ტომის შემდგენლები ლ. ჭრელაშვილი, ჯ. გაბოძე). რუსთაველის ფონდის დაფინანსებით მზადდება გამოსაცემად შოთა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში.
- წერეთელი 1889:** წერეთელი ა. „იკოლას ნაამბობი“. ტფ.: 1889.
- წერეთელი 1891ბ:** წერეთელი ა. „თხზულებანი“, ტ. II, ტფ.: 1893.
- წერეთელი 1893ა:** წერეთელი ა. „თხზულებანი“. ტ. I, ტფ.: 1893.
- წერეთელი 1893ბ:** წერეთელი ა. „სალამური“ ლექსთა კრება აკაკი წერეთლისა. გამოცემული კ.ლორთქიფანიძის მიერ. ქუთაისი: 1893.

- წერეთელი 1897:** წერეთელი ა., „ნათელა“. მ. ლაღიძის გამოცემა. ტფ.: 1897.
- წერეთელი 1898:** წერეთელი ა. „გამზრდელი“. მ. ლაღიძის გამოცემა. ტფ.: 1898.
- წერეთელი 1903:** წერეთელი ა. „ბაში-აჩუკი“. ავტორის გამოცემა. თბ.: 1903.
- წერეთელი 1911ა:** წერეთელი ა. „ბაგრატ დიდი“ და სხვა ლექსები აკაკისა. თბ., წიგნის მალაზია „ცოდნას“ გამოცემა, 1911.
- წერეთელი 1911ბ:** წერეთელი ა. „ნათელა“. ტფ.: წიგნის მალაზია „ცოდნას“ გამოცემა, 1911.
- წერეთელი 1911გ:** წერეთელი ა. „ორი ქართველი ოთია მესხი და ადამ ბებურიშვილი...“. ტფ.: წიგნის მალაზია „ცოდნას“ გამოცემა, 1911.
- წერეთელი 1912:** წერეთელი ა. ჩემი ნაწერები. წიგნი I, თბ.: 1912.
- წერეთელი 1913ა:** წერეთელი ა. ჩემი ნაწერები. წიგნი II, ქუთ.: 1913.
- წერეთელი 1913ბ:** წერეთელი ა. „ბაში-აჩუკი“. თბ.: წიგნის მალაზია „ცოდნას“ გამოცემა, 1913.
- წერეთელი 1913გ:** წერეთელი ა. „გამზრდელი“. ტფ.: წიგნის მალაზია „ცოდნას“ გამოცემა, 1913.
- წერეთელი 1913დ:** წერეთელი ა. „იკოლას ნამბობი“. ტფ.: წიგნის მალაზია „ცოდნას“ გამოცემა, 1913.
- წერეთელი 2000:** წერეთელი ა. „გამზრდელი“, დოკუმენტური გამოცემა (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ჯუღელიტა გაბოძემ), თბ., 2000;
- ჭრელაშვილი 1970:** ჭრელაშვილი ლ. თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემა. კრებულში: „ტექსტოლოგიის საკითხები“, I, თბ.: 1970.
- ჭრელაშვილი 1971:** ჭრელაშვილი ლ. გამოცემათა სახეები. კრებულში: „ტექსტოლოგიის საკითხები“, II, თბ.: 1971.
- ჭრელაშვილი 1981:** ჭრელაშვილი ლ. ილია ჭავჭავაძის ატრიბუციისა და გამოცემის საკითხების ისტორია, „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია). №3, 1981.
- ჭრელაშვილი 1987:** ჭრელაშვილი ლ. ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის ქართული ნაწილის უცნობი აღწერილობა და თხზულებათა ატრიბუციის საკითხი. „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), №3, 1987.
- ჭრელაშვილი 1999:** ჭრელაშვილი ლ. ატრიბუციის ზოგიერთი საკითხი (აკაკი წერეთლის უცნობი ნაწერები და მივიწვეპული პუბლიკაციები). კრებულში: „აკაკის კრებული“. თბ.: 1999.
- ჭრელაშვილი 2000:** ჭრელაშვილი ლ. გახუტო „ივერიაში“ ზოგიერთი ხელმოწერების ნაწარმოების ავტორისა და ფსევდონიმ „Amicus“-ის ვინაობის დადგენა (აკაკი წერეთლის უცნობი ნაწერები). „ლიტერატურული ძიებანი“, XXI თბ.: 2000.

- ჭრელაშვილი 2001:** ჭრელაშვილი ღ. აკაკი წერეთლის საბჭოთა კონუნქტურისაგან შერისხული, მივიწყებული და უცნობი ლექსები. გაზ. „კალმასობა“, №5(51), 2001.
- ჭუმბურიძე 1958:** ჭუმბურიძე ზ. აკაკი წერეთლის პუბლიცისტური ნაწერები (თხზულებათა მეექვსე ტომის გამოცემის გამო). „ლიტერატურული გაზეთი“, 24 იანვარი, 1958.
- ჭუმბურიძე 1959:** ჭუმბურიძე ზ. აკაკი წერეთლის მხატვრული პროზა (თხზულებათა აკადემიური გამოცემის VII და VIII ტომების გამო). გაზ. „კომუნისტი“, 27 მარტი, 1959.
- ჭუმბურიძე 1961:** ჭუმბურიძე ზ. აკაკი წერეთლის თხზულებათა გამოცემის სისრულისათვის. „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. XIII, 1961.
- ჭუმბურიძე 1962:** ჭუმბურიძე ზ. ტექსტოლოგიური შენიშვნები (აკაკი წერეთლის თხზულებათა გამოცემების გამო). წიგნში: სალიტერატურო ენა და მწერლობა, თბ.: 1962.
- ჭუმბურიძე 1981:** ჭუმბურიძე ზ. ქართული წიგნის მოამბეები. თბ., 1981;
- ჭუმბურიძე 1982:** ჭუმბურიძე ზ. საშვილიშვილო საქმის დაგვირგვინება. წიგნში: „მადლი დედა ენისა“. თბ.: 1982.
- ჭუმბურიძე 1994:** ჭუმბურიძე ზ. ილია ჭავჭავაძის ენისა და ტექსტის დადგენის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1994;
- ჭურღულია 1961:** ჭურღულია ო. „გამზრდელის“ ხალხური საწყისების საკითხისათვის. წიგნში: კრიტიკული წერილები, II, სოხუმი: 1961.
- ხინთიბიძე 1965ა:** ხინთიბიძე ა. აკაკი წერეთლის თხზომებტომეულის გამოცემა, „ლიტერატურული საქართველო“, №6, 1965.
- ხინთიბიძე 1965ბ:** ხინთიბიძე ა. აკაკი წერეთლის თხზულებათა გამოცემა (შენიშვნები ლექსთწყობის თვალსაზრისით). „ლიტერატურული გაზეთი“, №10, 1965.
- ხინთიბიძე 1972:** ხინთიბიძე ა. აკაკის ლექსი. თბ.: 1972;
- ხინთიბიძე 1990:** ხინთიბიძე ა. საუბრები აკაკის პოეტურ ხელოვნებაზე. „კრიტიკა“, №5, 1990.
- ხუნდაძე 1918:** ხუნდაძე ს. აკაკი წერეთელი. წიგნი I, ცხოვრება. ქუთაისი: 1918.
- ჯაბადარი 1896:** ჯაბადარი აღ. პასუხი თავად აკაკი წერეთელს. „ივერია“, 13 თებერვალი, 1896.
- ჯაბადარი 1896:** ჯაბადარი აღ. მოგონებანი. „მნათობი“, №1-2, 1934.
- ჯოლოგუა 1999:** ჯოლოგუა თ. აკაკი წერეთლის „განთიადის“ დათარიღებისათვის. კრებ. „აკაკის კრებული“. თბ.: 1999.
- ჯოლოგუა 2007:** ჯოლოგუა თ. „საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი“ (შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, რუსული ტექსტები თარგმნა, წინასიტყვაობა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თამაზ ჯოლოგუამ). თბ.: 2007.

რევოლუციამდელი პერიოდული გამოცემები

- წერეთელი 1897ა:** წერეთელი ა. უბრალო საუბარი. აკაკის თვიური კრებული, №1, სექტემბერი, III განყ., 1897, გვ. 72
- წერეთელი 1897ბ:** წერეთელი ა. უბრალო საუბარი. აკაკის თვიური კრებული, №2, ოქტომბერი, 1897,
- წერეთელი 1897გ:** წერეთელი ა. უბრალო საუბარი. აკაკის თვიური კრებული, დეკემბერი, №3, 1897.
- წერეთელი 1897დ:** წერეთელი ა. „უბრალო საუბარი“ (კრებულის ფოსტა). აკაკის თვიური კრებული, №8, აპრილი, 1898.
- წერეთელი 1898:** წერეთელი ა. „ბიბლიოგრაფიული შენიშვნა“. აკაკის თვიური კრებული, №9, მაისი, 1898.
- წერეთელი 1899:** წერეთელი ა. „უბრალო საუბარი“. აკაკის თვიური კრებული, იანვარი, №1, 1899.
- წერეთელი 1900:** წერეთელი ა. „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს“. აკაკის თვიური კრებული, მარტი-აპრილი, №3-4, 1900.
- „ალი“ 1908:** გაზეთი „ალი“, №31, 10 დეკემბერი, 1908.
- „ახალი სხივი“ 1910:** გაზეთი „ახალი სხივი“, №7, 1910.
- „დროება“ 1869:** უმიკაშვილი პ., წერეთელი გ., ბერძენოვი ნ. „ძველი წიგნების გამოცემაზე“. გაზ. „დროება“, №4, 1869.
- „დროება“ 1879:** გაზ. შინაური ქრონიკა. „დროება“, №64, 23 მარტი, 1879.
- „დროება“ 1884ა:** შინაური ქრონიკა. გაზ. „დროება“, №184, 28 აგვისტო, 1884.
- „დროება“ 1884ბ:** სასიამოვნო ნიშნები, გაზ. „დროება“, № 214, 4 ოქტომბერი, 1884.
- „თეატრი“ 1884:** გაზ. „თეატრი“, №6-7, 1884.
- „თეატრი და ცხოვრება 1910:** გაზ. „თეატრი და ცხოვრება“, № 2, 2 მაისი, 1910.
- „თემი“ 1911:** გრ. დიასამიძის განცხადება. გაზ. „თემი“, 14 თებერვალი, 1911.
- „თემი“ 1913ა:** გაზ. „თემი“, №138, 26 აგვისტო, 1913, გვ. 2.
- „თემი“ 1913ბ:** „გრიგილ დიასამიძის განცხადება“. გაზ. „თემი“, №214, 27 მაისი, 1913.
- „თემი“ 1915:** გრ. დიასამიძე „დიდებულ ავადმყოფთან“. გაზ. „თემი“, №203, 19 იანვარი, 1915.
- „ივერია“ 1889:** სტეფანე ჭრელაშვილის ფელეტონი „ქართველთა შორის“. გაზ. „ივერია“, 20 მაისი, 1889.
- „ივერია“ 1892ა:** „ახალი ამბავი“. გაზ. „ივერია“, 17 ოქტომბერი და 20 ოქტომბერი, 1892.
- „ივერია“ 1892ბ:** „ახალი ამბავი“. გაზ. „ივერია“, №263, 11 დეკემბერი, 1892,
- „ივერია“ 1893:** გაზ. „ივერია“, №105, 23 მაისი, 1893.
- „ივერია“ 1895ა:** გაზ. „ივერია“, №50, 7 მარტი, 1895.

- „ივერია“ 1895ბ: ახნაზაროვი ა. „ფელეტონი“, გაზ. „ივერია“, №79, 16 აპრილი, 1895.
- „ივერია“ 1896: ჯაბაძე დარი აღ. „პასუხი თ. აკაკი წერეთელს“. გაზ. „ივერია“, №33, 13 თებერვალი, 1896.
- „ივერია“ 1897: გაზ. „ივერია“, №61, 30 მარტი, 1897.
- „ივერია“ 1897: გაზ. „ივერია“, №243, 1897.
- „კვალი“ 1895ა: შურნ. „კვალი“, №15, 2 აპრილი, 1895.
- „კვალი“ 1895ბ: შურნ. „კვალი“, №98, 11 მაისი, 1895.
- „კვალი“ 1895გ: „როგორ უნდა შევკრიბოთ ზეპირგადმოცემები“. 2 აკაკი. შურნ „კვალი“, №14, 26 მარტი, 1895.
- „კვალი“ 1896ა: „შენიშვნა“. გაზ. „კვალი“, 4 თებერვალი, 1896.
- „კვალი“ 1896ბ: წერეთელი ა. პასუხის პასუხი. გაზ. „კვალი“, №10, 1896.
- „კვალი“ 1897ა: გაზ. „კვალი“, 1897, 22 ივნისი, №26;
- „კვალი“ 1897ბ: „კვალი“, სხვადასხვა ამბები, №32, 3 აგვისტო, 1897.
- „მერცხალი“ 1912: კვიციანი ი. მწიგნობრის შენიშვნები. გაზ. „მერცხალი“, №16, 30 დეკემბერი, 1912,
- „მერცხალი“ 1913: გაზ. „მერცხალი“, 1 იანვარი, 1913.
- „მოამბე“ 1894ა: შინაური მიმოხილვა. „მოამბე“, №2, 1894.
- „მოამბე“ 1894ბ: შინაური მიმოხილვა. „მოამბე“, 1894, №3;
- „ცისკარი“ 1865: „რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ – აკაკისა. შურნალი „ცისკარი“, №9, 1865, გვ. 3-21;
- „ცისკარი“ 1869: „ცისკარი“, №3; 1869,
- „ცხოვრება“ 1917: აკაკის წერილი სერგო ბახტაძისადმი. „ცხოვრება“, №3, 1917.
- „ხუმარა“ 1907: „ხუმარა“, №1, 1907.

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ე ბ ი

- გრიშაშვილის... ი. გრიშაშვილის მუზეუმი, ფონდი 420 I.
- კეკელიძის... კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, აკაკი წერეთლის ფონდი, ხელნ. №599. (ნიკო ნიკოლაძის წერილი აკაკისადმი)
- კეკელიძის... კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, აკაკის ფონდი, ხელნაწერი №529 (კირილე ლორთქიფანიძის წერილი აკაკისადმი)
- კეკელიძის... კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, აკაკის ფონდი, ხელნაწერი №471-379 იველიაშვილის წერილი აკაკისადმი, 1910 წ. 4 მარტი, ბაქო)
- კეკელიძის... კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, აკაკის ფონდი, ხელნაწერი №475-379.
- კეკელიძის... კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, აკაკი წერეთლის ფონდი, ხელნაწერი №657. (ვახტანგ ღამბაშიძის წერილი აკაკისადმი).

- ღეონიძის...** გ. ღეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის მუზეუმი, №17878-17882, აკაკის წერილი ივ. მაჩაბლისადმი.
- ღეონიძის...** გ. ღეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის მუზეუმი, აკაკის ფონდი 17791-ს6 235. ხელშეკრულება აკაკისა და იოსებმერკვილაძეს შორის.
- ღეონიძის...** გ. ღეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის მუზეუმი, აკაკის ფონდი №12128/ხ
- ღეონიძის...** გ. ღეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის მუზეუმი, აკაკის ფონდი №13289/ხ,
- მიტროფანე ლადიძის მოგონება.
- ნიკოლაძის...** ნიკო ნიკოლაძის არქივი, ფონდი №40-1514 (ეროვნული ბიბლიოთეკა)
- ნიკოლაძის...** ნიკო ნიკოლაძის არქივი, ფონდი №40-3 (ეროვნული ბიბლიოთეკა)
- ქუთაისის...** ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, კირილე ლორთქიფანიძის არქივი, №2-700, (გრიგოლ ნაკაშიძის წერილი კირილე ლორთქიფანიძისადმი)
- ქუთაისის...** ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, კირილე ლორთქიფანიძის არქივი, №1054
- ცენტრალური...** ც. ს. ი. ა. ფ. 481 ანაწ. 6, საქმე 66.
- ცენტრალური...** ც. ს. ი. ა. ფ. 481. ანაწ. 6, საქმე 120
- ცენტრალური...** ც. ს. ი. ა. ფ. 481. ანაწ. 6, საქმე 198
- ცენტრალური...** ც. ს. ი. ა. ფ. 481. ანაწ. 6, საქმე 198, წიგნი 6]
- ცენტრალური...** ც. ს. ი. ა. ფ. 481. ანაწ. 6, საქმე 211
- ცენტრალური...** ც. ს. ი. ა. ფ. 481. ანაწ. 6, საქმე 1545
- ცენტრალური...** ც. ს. ი. ა. ფ. 481. აღწ. 6, საქმე 310
- ცენტრალური...** ც. ს. ი. ა. ფ. 229 ქ. შ. წ. კ. გ. საზ-ის საქმე 229, ფურც. 43
- ცენტრალური...** ც.ს.ი.ა.ფ. 11929 (158); ფ.220; ქ.შ.წ.კ. გ. საზ.-ბის საქმე 2087, ფურც 37
- ცენტრალური...** ც. ს. ლ. ა. ფ. №29, ანაწ 6, სტ. №217
- ცენტრალური...** ც.ს.ლ.ა.ფ. №114; 1409, №15
- ცენტრალური...** ც.ს.ი.ა.ფ. 480, აღწ. 6, საქმე 1461

სახელთა საძიებლები

ა

აბაშელი ალ. – 8, 25, 26, 31, 33, 70, 215, 287,
აბაშელი ს. – 95,
აბაშიძე – 149, 161,
აბაშიძე ს. – 56, 57,
აბაშიძე ვ. – 76,
აბაშიძე კ. – 126,
აბაშიძე მ. – 139,
აბღუშელიშვილები – 129,
აბღუშელიშვილი ვ. – 126,
აბღუშელიშვილი ვ. – 125,
აბღუშელიშვილი ეკ. – 126,
აბღუშელიშვილი ზ. – 125,
აბზიანიძე ვ. – 16, 44, 45, 118,
აბრამიშვილი ელ. – 56, 124,
აბულაძე ი. – 16,
ადამ ბებურიშვილი (პერსონაჟი) – 7, 30, 241, 242, 246, 293,
აღეჟსი (პერსონაჟი) – 30, 37, 47, 59, 180,
აღმასხიტი (პერსონაჟი) – 271,
ამირან (პერსონაჟი) – 110, 152, 153, 253,
ანდრია პირველწოდებული – 30, 49, 217,
ანტონ კათალიკოსი – 12,
ანტონოვი (პოლიცმეისტერი) – 234,
არველაძე მ. – 95,
არღუნ სეიდიე (პერსონაჟი) – 282, 283, 285,
ასათიანი ღ. – 33, 40, 202,
აფხაზი კოტე, – 226,
ასნაზაროვი ა. – 33, 36, 154,

ბ

ბააღურ (პერსონაჟი) – 39, 103, 104, 105,
ბაგრატ დიდი (პერსონაჟი) – 59, 164, 241, 242, 247, 293,
ბათუ (პერსონაჟი) – 268, 269, 271, 272, 274, 275, 276,
ბარათაშვილი ნიკოლოზ – 9, 11, 14, 17, 18, 54, 118, 129,
ბარამიძე შ. – 122, 125, 129, 130, 222, 283,
ბარნოვი ვასილ – 19,

ბატონიშვილი (პერსონაჟი) – 104, 105,
ბაქრაძე დიმიტრი – 11,
ბაქრაძე კ. – 126,
ბაჩანა –
ბახტაძე ს. – 36, 209, 218, 294,
ბებურიშვილი რევაზ (პერსონაჟი) – 99,
ბენია (პერსონაჟი) – 48, 198,
ბეჟანეიშვილი ვახტანგ – 60, 158, 191, 195, 292,
ბერძენოვი ნ. – 10,
ბემტია (პერსონაჟი) – 48, 198,
ბოცვაძე – 118,
ბროსე მარი – 10,

ბ

გაბოძე ჯ. (ჯ. გ.) – 39, 59, 62, 63, 65, 67, 81, 104, 108, 109, 125,
126, 132, 149, 160, 161, 195, 226, 230, 236, 239, 260, 283, 286,
გასვიანი გ. – 284
გაწერელია აკაკი – 18, 121,
გაჩეილაძე (ფსევდ. იხ. აკაკი წერეთელი) – 58
გედევანიშვილი მიხ. – 15,
გედევანიშვილი მიხეილ – 20
გვანცელაძე თ. – 285,
გვარამაძე კ. – 10, 173, 175,
გვარამაძე ლ. – 185, 186,
გიგაუროვი ნ. – 59, 60,
გივი (პერსონაჟი) – 39, 103, 104, 105, 106,
გიორგი მეფე (XII) – 219,
გოგებაშვილი ი. – 80, 83, 148, 161, 201, 218,
გოლოვინი – 231,
გორგასლანი (იხ. ვახტანგ გორგასალი)
გორგაძე სერგი – 16, 25, 26, 31, 56, 70, 199, 207, 215, 287,
გოგია მეჩანგურე (პერსონაჟი) – 59, 68, 204,
გრიშაშვილი იოსებ – 16, 33, 34, 37, 38, 39, 44, 49, 69, 70, 72, 73,
76, 77, 78, 84, 88, 91, 95, 96, 101, 103, 104, 106, 108, 115, 146, 161,
162, 198, 216, 218, 225, 226, 251, 252, 291,
გულდამაშვილი ე. 283,
გულია დ. – 282, 285,
გურამიშვილი დავით – 13,
გურგენიძე ნ. – 157, 199,

გუტენბრგი (სტ. სახ.) – 196,
გ. წ. – 158,

ღ

ღადიანი ა. – 284,
ღადიანი შ. – 147,
ღადიანი ცოტნე – 159, 162,
ღადეშქელიანი თ – 284, .
ღადეშქელიანი ჯ. – 159, 283, 284, 285,
ღადეშქელიანი ჯ. (თათარყანის ძე) – 284,
ღადეშქელიანი ციოყ – 284,
ღადეშქელიანი კ. – 284,
ღადეშქელიანი ჯ. (გიორგი, თენგიზის ძე)
დავიდოვი თ. – 59, 60,
დავითაშვილი დ. – 15, 128, 130,
დავით აღმაშენებელი – 173
დათეშიძე რ. – 213, 215,
დიასამიძე გრ. – 60, 191, 212, 226, 293
დიასამიძე ნიკ. – 29, 60, 76, 78, 123, 212,
დოდაშვილი – 188,
დოიაშვილი თ. – 120,
დუდუჩავა მ. – 38, 146, 226,

ე

ეგგენიძე – 52, 216,
ეიხენბაუმი – 100
ელიავა ნ. – 84,
ელიაშვილი ივ. – 120, 213, 228, 230, 231, 232, 234, 292, 294,
ერეკლე მეორე (მეფე) – 185,
ერისთავი რაფიელ – 11, 96, 111, 125, 213,
ერისთავი დ. გ. – 76,
ესებუა ნესტ. – 196,

ვ

ვაჟა-ფშაველა – 16, 201,
ვახტანგ მეექვსე – 13
ვახტანგ გორგასალი – 186, 228, 229,
ველიჩკო – 38, 114,
ვინმე მესხი – 173,

ვინოკური – 100

ვორდროპი (იხ, უორდროპი მ.)

ვორონცოვი (პერსონაჟი) – 49, 208, 210, 218, 219, 222, 228, 233, 234, 267,

ზ

ზაბახიძე გ. – 195, 196,

ზაბახიძე სპ. – 225, 293

ზაზიაშვილი გ. – 198,

ზარდიაშვილი ე. – 68, 147, 150, 211, 218,

ზდანოვიჩი გ. – 126,

თ

თავადი გოჯასპარ (პერსონაჟი) – 48, 198,

თავართქილაძე კ. – 60, 194,

თამარ (პერსონაჟი) – 37, 49, 70, 76, 77, 78, 79, 95, 114, 158, 183, 191, 290,

თამარ მეფე – 106, 158, 159, 283,

თაყაიშვილი ე. – 118, 129, 130,

თბილელი იოსებ – 12,

თემური (პერსონაჟი) – 248,

თერგდალეული (ფსევდ., იხ. წერეთელი აკაკი)

თინა (პერსონაჟი) – 48,

თორნიკე ერისთავი (პერსონაჟი) – 29, 38, 69, 70, 71, 78, 120, 183, 204, 291,

თომაშვილი დ. – 122,

თუმანიშვილი ა. – 126,

თუმანიშვილი გ. – 11,

ი

იერემია (პერსონაჟი) – 204,

ივანიკა (პერსონაჟი) – 198,

ილია ხონელი (იხ. ბახტაძე ს.)

ინგოროყვა პავლე – 16, 17, 33, 39, 89, 95, 108, 112, 113, 114, 115, 116, 203, 304, 243, 249,

იონა მიტროპოლიტი – 12,

იოსელიანი გიორგი – 80,

იოსელიანი პლატონ – 10, 12, 13,

იურკევიჩი ა. – 223,

კ

კაკაბაძე ს. – 16,
კალაძე ც. – 40, 48,
კალანდაძე არ. – 60
კეკელიძე კ. – 16,
კეკელიძე პრ. – 11, 29, 61, 70, 71, 72, 73, 74, 76, 77, 78, 79, 149,
160, 161, 162, 163, 164, 229, 230, 242, 251, 252, 253, 254,
კენჭოშვილი ა. – 44
კეპქენი – 10
კვატაია მ. – 199,
კვაჭანტირაძე თ. – 50, 139, 140, 289,
კვიციანი ივ. – 233, 234,
კიკვაძე თ. – 170,
კიკოლა (პერსონაჟი) – 181, 183, 241, 257, 259, 293,
კილაძე ივ. – 206, 233,
კლდიაშვილი ს. – 222, 223,
კლიშიაშვილი ა. – 41, იკოლა (პერსონაჟი) – 7,
კულა გლდანელი – 196,
კოტინოვი ნ. – 94, 189,
კრილოვი ი. – 33, 83, 84, 85, 87, 88, 90, 91, 205, 291,
კუსრაშვილი რუსუდან – 37, 38, 39, 46, 47, 49,

ლ

ლალიძე მიტროფანე – 31, 60, 143, 145, 148, 157, 158, 159, 160, 191,
196, 205, 266, 283, 284, 291, 293,
ლაკერბაია მ. – 282, ლეონიძე გ. – 143, 148, 159, 216, 285,
ლეონიძე სოლ. – 186, 219,
ლოლაშვილი ივანე – 16, 18
ლოლაშვილი ივანე,
ლორთქიფანიძე კ. – 7, 54, 56, 57, 60, 71, 72, 73, 92, 109, 110, 111,
112, 114, 115, 116, 117, 118, 119, 120, 121, 122, 123, 124, 125, 130, 136,
149, 157, 158, 160, 161, 163, 164, 252, 253, 291,
ლორთქიფანიძე ი. – 12, 13, 109,
ლორის-მელიქოვი – 131,
ლოსაბერიძე სპ. – 233,

მ

მანსვეტაშვილი ი. – 218, 229, 230, 231, 232, 233, 234, 235,
მანსვეტოვი (იხ. მანსვეტაშვილი ი.)
მარი ნიკო – 16, 173,
მარტიროსიანცი ივ. – 181,

მანაბელი ი. – 81, 83, 95, 143, 144, 145, 147, 294,
მანაბელი ტ. – 194, 195, 294
მაჭავარიანი თ. – 94,
„მაჭავარიანი“ ივ. – 174
მახარაძე ვლ. – 118,
მაგლობლიშვილი ს. – 203, მესხი სერგი – 11,
მელიქიშვილი ს. – 60,
მელიქიშვილი ი. – 66,
მერკვილაძე ი. (სოსიკო) – 7, 30, 60, 158, 161, 164, 165, 172, 193,
203, 239, 240, 241, 242, 243, 246, 247, 249, 251, 253, 255, 257, 259,
260, 263, 264, 266, 267, 269, 271, 273, 276, 279, 283, 293,
მედეა (მედია) (პერსონაჟი) – 8, 92, 143, 144, 145, 146-153, 161, 164,
183, 184, 185, 222, 290, 293,
მეტრეველი – 269,
მეუნარგია ი. – 218,
მოვარელიძე – 118,
მიბჩუანი – 284,
მირიანაშვილი ა. – 80,
მოლა ნასრედინი (ანეკდ. პერსონაჟი) – 155,
მურზაყან (პერსონაჟი) – 36

ნ

ნადეჟდა (სტ. სახ.) – 196,
ნაზიბროლა (პერსონაჟი) – 275,
ნათელა (პერსონაჟი) – 7, 30, 33, 158, 159, 160, 161, 162, 163, 164,
241, 251, 253, 254, 255, 266, 283, 293,
ნაკაშიძე გრ. – 57,
ნიკოლაძე ნიკო – 11, 61, 63, 64, 66, 67, 78, 94, 96, 97, 129, 143,
292, 294,
ნიკოლაძე რ. – 130,
ნიჟარაძე გ. – 284,
ნოლაიდელი ჯ. – 281,

ო

ორბელიანი გრ. – 13,
ორბელიანი სულხან-საბა – 13,
ორბელიანი ჭაბუა (პერსონაჟი) – 219, 220,
ოთია მესხი (პერსონაჟი) – 7, 30, 241, 242, 246, 293,

პ

პაღბა ჰასან – 282,

პატარა კახი (პერსონაჟი) – 7, 37, 39, 92, 94, 95, 96, 97, 98, 101, 102, 103, 105, 106, 183, 290, 292,

პირიმზისა (პერსონაჟი) – 162

პოლუმორდვინოვი ე. – 96,

პოლუმორდვინოვი ი. – 96,

ქ

ქუკოვსკი ა. – 90,

ქლენტი – 201, 207,

რ

რატიანი ი. – 165, 296.

რეისერი – 100

რობაქიძე გრ. – 159,

რუსთველი შოთა – 19, 44, 165, 288,

ს

სანაძე დ. – 14, 26, 27,

სარაჯიშვილი ვ. – 126,

სახოკია თ. – 154,

საფარ-ბეგი (პერსონაჟი) – 270, 271, 272, 273, 274, 276, 277,

სოლომონ მეორე (იმერთა მეფე) – 208, 210, 219, 220,

სსირტლაძე ს. – 40,

ტ

ტაბიძე გალაკტიონ – 19,

ტარიელი (პერსონაჟი) – 40,

ტატიშვილი გრ. – 173,

ტერმშოვანთ კეკელა (პერსონაჟი) – 38, 49, 216,

ტომაშევსკი – 100

უ

უზურბაევა მისირხან – 284,

უმიკაშვილი პეტრე – 10, 11, 12, 13, 14,

უორდროპი მ. – 232

უსუბი (პერსონაჟი) – 276,

ფ

ფალიაშვილი ზ. – 201,
ფანცხავა რ. (ხომლედი) – 161,
ფანცხავა იაკობ – 161,
ფარქოსაძე გ. – 129, 217,
ფალავა დ. – 162,
ფონ ტრაუნენბერგი რაუშ – 198
ფრენი – 10
ფრუიძე ნანა – 31, 216,
ფირცხალავა ს. – 84,

ქ

ქართველიშვილი გ. – 137,
ქავთარაძე ეკ. – 216,
ქიქოძე გაბრიელ – 40,
ქუთათელაძე ქ. – 60,
ქეთევან დედოფალი – 70
ქემლაითი – 284,
ქვაბულიძე ლევან (პერსონაჟი) – 99, 101,
ქვარიანი ს. – 173,
ქორჩილავა ჯ. – 213, 230, 292,
ქრისტე – 206,

ღ

ღამბაშიძე ვ. – 60, 231, 232,
ღოღობერიძე ბეს. – 11,
ღუღაძე ა. – 69,

ყ

ყანჩაველი (ბერი) – 210,
ყაუხიშვილი სიმონ – 16
ყაზბეგი აღ. – 15,
ყუბანეიშვილი სოლომონ – 16, 17,
ყიფიანი დ. – 118, 119, 120, 128, 129, 218,

შ

შანიძე აკაკი – 16
შაგვუღიძე ლ. – 140
შავთელი – 12,

შარაძე გ. – 202
შარაძე მ. – 60, 84,
შარაშენიძე ეთ. – 114, 238,
შატილოვი ალ. – 125, 126, 127, 128, 129, 130,
შეგერენი - 10
შერვაშიძე გ. – 283,

ჩ

ჩარკვიანი გრ. – 60, 131, 143, 144, 148,
ჩახრუხაძე – 12,
ჩიტაური ნათელა – 20,
ჩუბინაშვილი დავით – 13,
ჩორა (ფსევდ. იხ. არტემ ახნაზაროვი) – 154,
ჩიქოვანი მ. – 281, 282, 285,
ჩიქოვანი ი. – 284,
ჩოგაძე ა. – 281,

ც

ცოტნე (პერსონაჟი) – 158, 252,
ცხვედაძე ნ. – 81,

ძ

წ

წერეთელი აკაკი – 7-17, 19-21, 23, 25-31, 33-42, 44-52, 54-74, 76-81,
83-92, 94-106, 108-134, 136, 137, 139-155, 157-165, 167-191, 193-223, 225,
226, 228-243, 245-249, 251-255, 257-264, 266-271, 273-279,
წერეთელი ექვთიმე – 55,
წერეთელი გიორგი – 10, 11, 55, 56, 127, 128, 129, 158, 159, 160,
წერეთელი ფ. – 126,
წერეთელი ქვ. – 159,
წმინდა გიორგი – 247,
წმინდა ნინო – 31, 41, 49, 70, 71, 158, 159, 196, 205, 206, 207, 217,
291,

ჭ

ჭავჭავაძე ალექსანდრე – 10, 14
ჭავჭავაძე ეკ. – 284,

ჭავჭავაძე იასე – 11
ჭავჭავაძე ილია – 9-11, 13, 14, 15, 16, 17, 19, 20, 54, 65, 66, 67, 68, 80, 81, 96, 132, 133, 145, 154, 188, 190, 200,
ტილაძე გ. – 294,
ტიტინაძე ზაქარია (ზ. ტ.) – 59, 131, 173,
ტრელაშვილი ლევან – 20, 28, 29, 52, 66, 67, 71, 74, 81, 205, 291,
ტუმბურიძე ზურაბ – 16, 33, 36, 37, 40, 41, 42, 46, 48, 188, 195, 289,
ტურღულია ო. – 281, 282, 285,
ტილაძეები (ძმები, გიორგი და ვარლამ) – 60, 64, 65, 66, 67, 68, 158,

ხ

ხახანაშვილი ალ. – 172,
ხელაძე ექვთიმე – 58, 59, 84,
ხუციშვილი სოლომონ – 33,
ხუნდაძე სიმონ – 16,
ხინთიბიძე აკ. – 122, 152, 183, 189, 248, 249, 255, 267,

ჯ

ჯაბადარი ალ. – 15, 111, 112, 131, 133, 136, 141, 142, 143, 144, 145, 147, 148,
ჯაფარიძე ბეს. – 11,
ჯანაშვილი დიმიტრი (ინგილო) – 59,
ჯანაშვილი მ. – 173
ჯანდიერი (პერსონაჟი) – 104,
ჯოლოგუა თ. – 118, 128,

კ

კაჯი-უსუბი (პერსონაჟი) – 285,